



სვეტიცხოველი

სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2013



**საქართველოს საეპარქიარქოს,
საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და
საქართველოს ბიქნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი**

**ედვება უწმიდესა და უნეტარესს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ილია მეორეს**

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის
მოადგილეები: ვლადიმერ დოლიძე
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
ვახტანგ გურული
შალვა ნაცყეზია
გივი ლამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტყარაძე
გურამ ჯავახაძე

კომპიუტერული
შრომნიშნაობა: ირმა ჯიშკარიანი
ქეთევან მახაშვილი
ლელა ბოქოლიშვილი

ჟურნალის ინტერნეტ მისამართი: <http://sveticxovelijournal.ge>



ჟურნალ
„სვეტიცხოველის“,
1917 წლის
დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმონაწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმებისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია



ჟურნალი ეძღვნება უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტს ილია II

ფოტოს ინტერნეტ მისამართი: <http://forum.archangels.ge/lofiversion/index.php/t14.html>



პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქდავებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

"მოწყალების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხელავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებაღოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და კომპანია "მედიტეკის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქდავებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი



უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი ილია II სტუმრად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

მარცხნიდან: მიტროპოლიტი, პროფესორი ანანია (ჯაფარიძე),
უწმიდესი და უნეტარესი ილია II, პროფესორი ივანე გორგიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები. ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სარკვევები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ალბანეთისა და ხუნძეთის სამეკლესიო იშრისღიძვია	11
ალბანეთის საკათალიკოსო	11
საქართველოს კათალიკოსი ჩენეთ-დაღესტანსა და შაქ-შირვანში	19
ქართიზაციის თეორია საინგილოს შესახებ	32
წმ. არჩილ მეფის კახეთში მოღვაწეობა	35
ხუნძახის ეპარქია (გაგრძელება)	42
ანწუხის ეკლესიები	44
თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში	44
„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“	46
ქართველები დაღესტანში	47
„კახნი გარდაბნელნი“ და ორი გარდაბანი	51
„ალაზნის გაღმართი ჩაყოლება - გარდაბანი“	56
კახ-გარდაბნის დასუსტება და ჰერეთის გაძლიერება	57
METROPOLITAN ANANIAS THE HISTORY OF THE HOLY APOSTOLIC CHURCH OF GEORGIA (An abridged version)	62
Foreword	62
THE FIRST PERIOD OF THE HISTORY OF THE GEORGIAN CHURCH FROM THE HOLY APOSTLES TO THE RUIS-URBNISI COUNCIL From the 1st to the 9th century	
the first century	65
The Second Century	66
The Third Century	67
The Fourth Century	68
The Fifth Century	69
The Sixth Century	71
The Seventh Century	73



The Eighth Century	73
From the Ninth to the Tenth Centuries	75
The Eleventh Century	76
THE SECOND PERIOD OF THE HISTORY OF THE GEORGIAN APOSTOLIC CHURCH (From the 12th to the 17th Century)	
The Twelfth Century	78
The Thirteenth Century	81
The Fourteenth Century	84
The Fifteenth Century	86
The Sixteenth Century	89
The Seventeenth Century	90
The Eighteenth Century	93
THE THIRD PERIOD OF THE HISTORY OF THE CHURCH OF GEORGIA	
The Nineteenth and the Twentieth Centuries	95
Μητροπολίτης Ανατίας Τζαπαρίτζε Η ΑΓΙΑ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗ ΚΑΙ ΟΡΘΟΔΟΞΗ ΕΚΚΛΗΣΙΑ ΤΗΣ ΓΕΩΡΓΙΑΣ	99
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე საქართველოს წმიდა სამოციქულო - მართლმადიდებელი ეკლესია	113
ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი ექვთიმე თაყაიშვილის ერთი პუბლიკაციის შესახებ	127
ПРОТОИЕРЕЙ ЛЕВАН МАТЕШВИЛИ, ИВАН ЭПИТАШВИЛИ Христианская вера и измененные идеалы человечества	132
ალიკო ცინცაძე „და სასწაულად ესე აქუს...“	177
მანა ბურამიშვილი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან	182
გიორგი კოკოშაშვილი ქართული მეომრული კოდექსის შესახებ	187
გიორგი ბრძელიძე გურიის ქრისტიანული ტოპონიმიკა	202
გიორგი ბიბაური დაკარგული ისტორია (უძველესი ღვთისმსახურების კვალდაკვალ)	206



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

**ალბანეთისა და ხუნძეთის
სამეკლესიო იურიდიქცია**

ალბანეთის საკათალიკოსო

კავკასიის ალბანეთს სპარსელები, არაბები და სირიელები უწოდებდნენ არანს, ქართველები კი რანს.

ქრისტეშობამდე II საუკუნეში ალბანეთის 26 ტომის (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7) გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

სტრაბონმა ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგინა მიწა-წყალი მოქცეული კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე (სტრაბონი, გეოგრაფია, XI), შემდგომ საუკუნეთა წყაროები არ იძლევიან საშუალებას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც ალბანელების განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I-II ს.).

I-II საუკუნეებში ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მასქუთების დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. აქამდე (აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან აღწევდა ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან რანის ოლქის საზღვარი.

(პლინიუს მცირეს მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი კაპალაკი ახლოს მდებარეობდა კასპიის ზღვასთან (შესაბამისად, ის არ იყო ქალაქი ყაბალა, რომელიც ჰერეთის ოლქში მდებარეობდა). ძვ.წ. I საუ-

კუნეში ქართლის სამეფომ ალბანეთსგან დაიბრუნა ჰერეთი).

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით, გადმოინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდეგდროინდელი რანი იქცა.

ამის შემდგომ ალბანეთად, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიწა-წყალი იწოდა, რომელსაც, როგორც ითქვა, ქართველები რანს უწოდებდნენ.

სავარაუდოდ, კასპიის ზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული.

ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ქართველთა შორის „ვიდრე მასქუთებამდე“.

მასქუთებამდე ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდნენ. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმიდა ნინოს ქადაგების დროს (როგორც აღინიშნა, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას მტკვარ-არაქსის შესართავამდე ჰერეთი ერქვა, ის რანს უშუალოდ ესაზღვრებოდა, მათ ერთმანეთისაგან მტკვარი ჰყოფდა (ჰერეთი იგივე ყაბალას ოლქია).

მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართველთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციას იძლევა მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, ის წერს - „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა



კუთხეებიც დაემოდღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

მაშასადამე, ხორენაციისა და აგათანგელოზის ცნობით წმ. ნინომ იქადაგა მასქუთების საზღვრამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე (თითქმის შემდეგდროინდელ შამახამდე), რომლის იქითაც მასქუთების ქვეყანა მდებარეობდა.

აღნიშნული წყაროებით, მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართულენოვანი ხალხი ცხოვრობდა, V საუკუნეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რადგანაც რეგიონში ალბანეთის დედაქალაქები ბაილაქანი და პარტავი-ბარდავი აიგო. ამ რეგიონის ყოფილ ქართულენოვნებას ტოპონიმოკაც მიუთითებს (მაგალითად, სახელი „ბარდავი“ სახელ „გარდმანიდანა“ ნაწარმოები, სიტყვა „გარდ“ კი ქართველთა ეთნოფუძეა - „ქართ, გარდ“. ასევე ამ რეგიონთან მცხოვრები ტომის სახელი იყო „გარგარ“, რომლის სახელიც იმავე ფუძე - ძირიდან ნაწარმოები, შესაძლოა ეს ტომი ალბანიზაციამდე ქართულენოვანი იყო).

ეთნოლემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში ანუ კასპიისპირეთში მასქუთების ჩასახლებამ, ალბანური მოსახლეობა ორად გაყო, ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი ჩოლის რეგიონში კავკასიის მთებისაკენ, მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ სატომო ნიშნის მიხედვით.

სომხური წყაროებით ალბანეთად, მაინც, უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშ-

ნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალენიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. მაგრამ, ეს პოლიეთნიკურობა იქცა მთავარ მიზეზად იმისა, რომ მცდელობათა მიუხედავად ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ტრადიციული გადმოცემით კავკასიაში ერთერთ უძველეს ალბანეთის ეკლესიაში უქადაგნია მოციქულთა მოწაფე ელისეს (ელიშეს). მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა.

პირველი გადმოცემის მიხედვით ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან სომხეთის გვერდის ავლით განმანათლებელ ელიშეს მიერ, რადგანაც (ელიშე) ელისე იყო უფლის ძმის იაკობის მოწაფე. ეს გადმოცემა მიუღებელი გახდა VIII-ის შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ახალი ვერსიით „ელიშე იყო სომხეთის განმანათლებელ წმ. მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს“ - კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა ეპისკოპოს იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის ციხე-სიმაგრესთან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყო.

ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის ალბანთა ქვეყნის ისტორია (I, IV; I 6; III 16; III 23).

„მასქუთების მხარეში“ მოციქული ელისე წამებით აღსრულებულა, ის იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ.



III საუკუნეში ალბანეთის ქვეყანა სასანიდების ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა.

იმჟამად, როგორც აღინიშნა, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდეგდროინდელ შამახადან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში, IV საუკუნეში სომხური წყაროებით, გრიგორ განმანათლებლის შვილიშვილს გრიგორისს უქადაგნია და მასქუთთა ხელით მოწამებრივად აღსრულებულა.

გრიგორისს უწოდებდნენ ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსს.

ამ წოდებასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსახლვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარას რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებდნენ.

ამ მოსაზრების საფუძველი, არის მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, რომ მასქუთებამდე (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) იქადაგა წმიდა ნინომ. ის, წერდა, რომ წმიდა ნინომ ქართველთა ქვეყნის კუთხეები დამოძღვრა მასქუთთა საზღვრამდე (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172), ამიტომაც ამ რეგიონის (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთის) შემდეგდროინდელი მმართველი დინარა ივერიის დედოფლად იწოდა, მსგავსად ჰერეთის ახლო მასქუთთა შორის მქადაგებელი გრიგორისისა, რომელსაც ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსი ერქვა.

ალბანეთის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი თავისი შრომის დიდ ნაწილს უთმობს იმის აღწერას, რომ მის დროს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რანის ოლქში მდებარე უტიკი და არცახი ალბანური პროვინციები იყვნენ.

მაშტოცის ეპოქაში, V ს-ის 10-იან წლებში ალბანეთის დედაქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 10)

შემდეგში ალბანეთის მეფეებმა V ს. შუა წლებში ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე ალბანეთის ახალი დედაქალაქი კვლავ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააფუძნეს. კერძოდ, ალბანეთის მეფემ ვახე II-მ (444-463) ალბანეთის დედაქალაქი, კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო-სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 11).

საზოგადოდ, ალბანეთი თავისი დედაქალაქებით, საეკლესიო და კულტურის ცენტრებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ალბანეთის კათალიკოსები ქალაქ პარტავში იხდნენ.

ალბანური კულტურა ასევე ვრცელდებოდა ქ. ჩოლის (დერბენდთან) ახლოს მთიანეთში მცხოვრებ ლფინთა და ჭილბთა ალბანურ ტომთა შორისაც.

სასანიდების სპარსეთი ყოველმხრივ ცდილობდა რეგიონში ყველაზე მსხვილი, ანგარიშგასაწვევი პოლიტიკური ერთეულის - არმენიის მიმართ ლოიალური ყოფილიყო, ამ გზით ის ცდილობდა როგორმე გაეკრცვლებინა ზოროასტრიზმი, შესაბამისად ისინი აღიარებდნენ არმენიის ხელისუფლების მიერ სამხრეთ კავკასიის სხვა პატარა ხალხები დამორჩილების ფაქტს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოროასტრიზმი



იმჟამად მიუღებელი იყო კავკასიის ყველა ხალხისათვის.

სპარსელთა წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ხალხების 450-451 წლების დიდი აჯანყების პირველი ეტაპის შემდეგ, აჯანყება ალბანეთში გაგრძელდა. 457 წელს აჯანყებულებმა დაიჭირეს დერბენდის ანუ ჩოლის (ჩორის) გადასასვლელი კასპიისპირზე, ორწლიანი სამხედრო მოქმედებანი სპარსთა ჯარებთან დამთავრდა იმით, რომ სპარსელებმა დიდი თანხის საფასურად ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანეს ჰუნი-ონოგურები, რომლებიც შეიჭრნენ ალბანეთში და 462 წელს დაიწყეს ხანგრძლივი ომი ალბანეთთან, 463 წელს აჯანყება დამარცხდა და ალბანეთში სამეფო ხელისუფლება გაუქმდა.

შემდგომ ალბანეთს მართავდა სპარსი მარზაპანი (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია I, 10).

სასანიდების მიერ ალბანეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ (462 ან 463 წ) რაც ალბანეთში დაარსებული იქნა სამარზაპანო, მასში შევიდა კასპიისპირა პროვინციები, ასევე უტიკი, არცახი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყალის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით, **ჰერეთთან (ყაბალას რეგიონთან) ერთად.**

ალბანთა სამეფოს გაუქმების შემდეგ, ალბანეთის აღნიშნული სპარსი მარზაპანებიც (მეფისნაცვლები) 30 წლის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იხდნენ.

არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ეს ხაზგასასმელია იმის გამო რომ აუამინდელი სომხური, და შესაბამისად ქართული, ისტორიოგრაფია უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ თითქოსდა ალბანეთი მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ერქვა და მას ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ს ნათესავმა ვაჩაგან III (487-510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო.

ვაჩაგან III-ის სიკვდილის შემდეგ კვლავ გაუქმებული იქმნა ალბანთა სამეფო, აქ ირანმა აღადგინა ალბანეთის სამარზაპანო, ამ სამარზაპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთს უწოდებდნენ.

ალბანეთი ქართლთან და სომხეთთან ერთად VI საუკუნეში სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი არაბებისა.


ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640-680) მართლმადიდებლური აღმსარებლობის იყო. მისი მემკვიდრე ვარაზთრდატიც ასევე მართლმადიდებელი იყო, ამის გამო 705 წელს ის მართლმადიდებლობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) ხალიფატის შემადგენლობაში უშუალოდ შეიყვანეს, კერძოდ სახალიფოს იმ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც **არმენია** ერქვა, მისი ცენტრი იყო ქალაქი დვინი.

დვინის სომხური საკათალიკოსო გაძლიერდა, ის ახლა ალბანეთსაც აკონტროლებდა, ვითარცა არმენიაში შემავალ ერთერთ ოლქს.

არმენიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) დარჩა თითქმის IX საუკუნის ბოლომდე.

შესაბამისად, არაბებმა აიძულეს ალბანეთის ეკლესია, რომ მას სომხური ეკლესიის აღმსარებლობა გაეზიარებინა, მიზეზი ამისა იყო არაბთა ხელისუფლების მფარველობა სომხური ეკლესიის მიმართ, მისი ანტიბიზანტიური მიმართულების გამო.

იქამდე, VII საუკუნის ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაციის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური ანუ ქალკედონიკური



მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა, ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია და ისლამიზაცია.

მოვსეს კალანკატუაცი ასე აღწერს ალბანეთის ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებას VII საუკუნის ამბების აღწერისას - „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზთრდატის მეუღლე. სომხეთის კათალიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსმა მიწერა - „სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომეხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავეში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება“ (მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“, ძველი სომხურიდან თარგმნილი ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის მიერ, 1985 წ. 139).

სომეხთა კათალიკოსმა მოუწოდა ამირას, რომ ალბანელი ქალკედონიტები დაესაჯა. ამირამ სასწრაფოდ აღასრულა სომეხთა კათალიკოსის ნება.

არაბთა ამირამ სომეხთა კათალიკოსს შეატყობინა, რომ მან ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონიტი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია - მათ „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენს სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“ (იქვე, გვ. 139). რადგანაც, არაბებს ქალკედონიტები მიაჩნიათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური

სარწმუნოების“ მქონენი თავიანთ ერთგულ ღვთის კაცებად.

შემდეგ ატყობინებს, რომ „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავეში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა“ (იქვე, გვ. 139).

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავეში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული ალბანელთა კათალიკოსი დაიმაღლა, შემდეგ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მიიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“ (იქვე, გვ. 140). სომეხმა მღვდლებმა ალბანური ქალკედონიტური ლიტურგატურა გაანადგურეს.

კერძოდ, არაბებმა და ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომეხებმა ალბანთა კათალიკოს ნერსესის ქალკედონიტური ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს.

მოვსეს კალანკატუაცი წერს - „...ნერსესის „წვადებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიდეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში ჩაყარეს...“ (იქვე, გვ. 140).

ამ ეპოქაში დევნას გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც ლტოლვილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების „ქარ-



თიზაცია-გაქართველებას“, როგორც წარმოადგინა ბატონმა ზ. ალექსიძემ, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონიტი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, ვითარცა მართლმადიდებლურ კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათალიკოს ნერსესის მსგავსად სიკვდილით დასჯიდნენ.


ამის შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათალიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის მიერ - „**ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში „წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში – ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“** (იქვე, გვ. 143).

შეთანხმება დაიდო სომხური წელტაღრიცხვით 148, ანუ 699 წელს. კრებას სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა.

აქედან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს როგორ შეძლო სომხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „**სომხური სარწმუნოება**“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში (იქვე, გვ. 144).

მონოფიზიტი მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის მამამთავრებს. უძველესი ხანიდან თავისთავადობის გაუქმებამდე. ის წერს - „...უწინდელ პატრიარქთა საქმენი, დრო და სახელები დაკარგულან...“ (გვ. 168). ალბანთა განათლების წყარო ყოფილა წმიდა ელიშა, „შემდეგ იყო ყრმა გრიგორისი, სომეხთა განმანათლებლის

გრიგორის შვილიშვილი“...; „...შექმნა ნეტარმა მესროპმა ალვანური დამწერლობა. მანვე დიდი შრომის შედეგად ანბანი მისცა სომხებსა და ქართველებს. შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა... მისი დროიდან ჩვეულებად იქცა დაწერათ ასეთი პატივი: „**ალვანთა, ლვინთა და ჩორის კათალიკოსი**“. დვინის კრებიდან მას მიუთითეს, რათა ეღიარებინა მხოლოდ ერთბუნებიაობა ქრისტესი...“ (გვ. 168). „უფალი ვირო... მან ხაზარი შათის ტყვეობიდან გაათავისუფლა სომხები, ქართველები და ალვანელები... უფალი ზაქარია... (მან) სიუნქის ეპისკოპოსად აკურთხა ვინმე ვრთანესი, რაც მოხდა სომეხთა ნების გარეშე“ (გვ. 168). „უფალი ნერსესი... მას გონება აერია, მოინდომა ალვანელთა კეთილშობილი სახლი სომეხთაგან ჩამოეშორებინა და ქალკედონიტური რწმენისათვის დაემორჩილებინა“. „უფალმა მიქაელმა დასწყევლა აგრეთვე ქართველთა მწყემსი თალაღე, რადგანაც მან ნება დართო უკანონო ქორწინებას“. „უფალი სამუელი... მან თვითონ, ხელდასხმის გარეშე მიიღო სამამამთავრო პატივი, რის გამოც განთავისუფლებულ იქნა. ხელმეორედ ხელდასხმა მიიღო სომეხთა კათალიკოს გეორგისაგან დვინში. უფალი იუნანი... კათალიკოს გეორგის დაუკითხავად მივიდა ალვანეთში და ხელდასხმაც მის გარეშე მიიღო, შემდეგ თვითონ გეორგმა ხელმეორედ აკურთხა ის“ (იქვე, გვ. 170). აქ „ქართველებად“ ჰერები იწოდებიან, რომელნიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ, ხოლო ალვანელები (ალბანები) ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ (მათ მოპირდაპირე მხარეს), უტიკსა, არცახსა და სხვა ოლქებში (რანში). ალბანთა არმენიზაცია სწრაფი ტემპით წარიმართა არაბთა დროს, მას თან დაერთო მოსახლეობის ისლამიზაცია. უტიკელთა ანუ უდიელთა



მცირერიცხოვანი ნაშთები, მცირერიცხოვანი მოსახლეობა, ამჟამად უდინებად (რუსული ფორმით „უდ-ინ“) იწოდებიან, ისინი კავკასიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ, მათ შორის საქართველოშიც.

ალბანეთის ქალაქებში ბარდავში, დერბენდში და შემახაში არაბთა გარნიზონები ჩადგა, ამით ალბანეთის ისლამიზაცია უფრო გაძლიერდა, შესაბამისად IX-X საუკუნეებისათვის განჯასა და ბარდავში არაბული მუსლიმანური საამიროები წარმოიქმნა. IX საუკუნეში ჩამოყალიბდა შირვან-შაჰების სახელმწიფო, ხოლო მტკვრის სამხრეთით არსებობას განაგრძობდნენ ალბანეთის უკვე არმენიზებული ოლქების სამთავროები - ფარისოსში, ხარჩენსა და სხვაგან.

ასეთ რთულ დროს ჰერეთი ქრისტიანობას ინარჩუნებდა, თუმცა არამართლმადიდებლურს, ვითარცა არაბთა ალბანურ ოლქში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა.

როგორც აღინიშნა, ჰერეთი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ვართაშენიდან (მასთან მდებარე პუნქტ გულგულა-ფილფილადან) ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე (მას ასევე ყაბალას ოლქი ეწოდება) რანის მოპირდაპირე მხარეს. ამ ორ ოლქს (ე.ი. რანსა და ჰერეთს) ერთმანეთისაგან მდ. მტკვარი აშორებდა და მათ ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ.

კავკასიაში ხურამიტების (816-837) აჯანყების დამარცხების შემდგომ, აჯანყების მეთაური ბაბეგი ჰერეთის მმართველმა შეიპყრო და გადასცა არაბულ ხელისუფლებას, მაღლიერების ნიშნად ხალიფამ ჰერეთის მმართველი რანის მმართველადც დანიშნა, რანი და ჰერეთი ამის შემდგომ გაერთიანდნენ.

მოვსეს კალანკატუაცი წერს - მთავარ საჰლ სმბატიანს 837 წელს „...სამეფოდან დიდი ჯილდო ერგო. მას

უწყალობეს სომხეთის, იბერიისა და ალვანეთის მთლიანი გამგებლობა მთავრის უფლებით“ (იქვე, გვ. 161). როგორც ითქვა, აქ „იბერიის“ ქვეშ ჰერეთი იგულისხმება.

ჰერეთის მმართველის მემკვიდრემ ჰამამმა 893 წელს მიიღო რანის ანუ ალბანთა მეფის ტიტული, მას ქართული წყაროები „ჰერეთის მეფეს“ უწოდებენ, ის მართავდა მტკვრის ორივე სანაპიროს ქვეყნებს, ჰერეთსა და რანს, მაგრამ ალბანთა მეფის ტიტულზე თავის პრეტენზიას ასევე აცხადებდა ხანენის სამთავროს მეთაური, რომელიც ანისელ ბაგრატიონებს ექვემდებარებოდა. ალბანთა მეფის ტიტულზე პრეტენზიებს ასევე აცხადებდნენ ლორე-ტაშირის მმართველი კვირიკიანებიც.

ჰერეთ-რანის დედოფალმა დინარამ X საუკუნეში თავისი ქრისტიანული მოსახლეობა გაათავისუფლა სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან და დაუბრუნა ქართული ეკლესიის წიაღს - მართლმადიდებლობას.

X საუკუნეში, როგორც ითქვა, ვოლგისა და კასპიის ზღვის გავლით მოლაშქრე რუსულმა დრუჟინამ რამდენჯერმე მოადწია ჰერეთამდე და რანის დედაქალაქ ბარდამდე. ამ რუსულ დრუჟინასა და მის მოლაშქრეებს ჰერეთში შეხვდა მართლმადიდებელი მოსახლეობა, ამიტომაც რუსული წყაროები აღნიშნულ რან-ჰერეთის დედოფალ დინარას მოიხსენიებენ ვითარცა ივერიის მართლმადიდებელ მმართველს, რომელმაც თავის ქვეყანაში სარწმუნოება ააღორძინა, რუსულ წყაროებში დინარას ივერიის დედოფლად მოხსენიება მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჰერეთი ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ქართულენოვანი იყო და ამიტომაც ის შესაბამისად ივერიად განიხილებოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II. 2012, გვ. 178).



[(მტკვრის მარცხენა ანუ „მტკვრის იქითა“ სანაპიროს ქვეყნის ქართულ-ენოვნებას მიუთითებს ასევე სტრაბონის ცნობა. სტრაბონი „მტკვრის იქითა“, ანუ მარცხენა სანაპიროს ქვეყანას გოგარენეს, იბერების ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევს, რომელიც პარიადრეს კალთებთან და ხორძენესთან ერთად ქრისტეშობამდე II საუკუნეში არმენიამ ჩამოართვა იბერებს. სტრაბონი წერს - „მოგვი-თხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ, ...იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გუგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5). სტრაბონის გოგარენე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ანუ „კირის მეორე მხარეს“ მდებარეობდა, მისგან განსხვავებით, სომხურ წყაროებში ხშირად ნახსენები გუგარქი ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს მოიცავდა. გოგარენე და გუგარქი სხვადასხვა ოლქები იყვნენ, თუმცა ისინი ერთი, ქართველი ხალხით იყვნენ დასახლებულნი. სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე ქართული წყაროების ყაბალას ოლქი გოგარენეს შეესაბამება, როგორც ითქვა, ჰერეთი მდებარეობდა ვიდრე მდ. თეთრწყალამდე (ალსუმიდე) მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ის, სხვა ქართულ მიწებთან ერთად უცხოელთა მიერ ივერიად იწოდებოდა თუმცა, განსახილველ დროს ხშირად ალბანეთში შედიოდა)].

IX საუკუნის შემდგომ, სახალიფოს მხარდაჭერის გამო, ჰერეთ-რანის სამე-

ფო გაძლიერდა, შეძლო მეზობელი ოლქების დამორჩილება.

IX საუკუნეში გაძლიერებულმა ჰერეთის სამეფომ შეძლო მიერთებინა კახეთის მნიშვნელოვანი პუნქტები ალაზნის მარცხენა სანაპიროს მხარეს (თანამედროვე საინგილო და მისი მომიჯნავე სოფლები) და ასევე ზოგიერთი პუნქტი ალაზნის მარჯვენა მხარეს.

X საუკუნეში კახეთის სამთავრომ უკან დაიბრუნა ის ციხე-სიმაგრეები და სოფლები, რომელნიც მისგან ჰერეთიც სამეფომ მიტაცა.


XI საუკუნის დასაწყისში 1010 წლისათვის წარმოიქმნა კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებული სამეფო, რომელიც 1104 წელს შემოუერთა დავით აღმაშენებელმა გაერთიანებულ საქართველოს.

საქართველოს სამეფოს 1118 წელს შემოუერთა ტაშირ-ძორაგეტიც და საქართველოს მეფემ მიიღო ტიტული აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, ის ასევე იყო შაჰანშა და შირვანშა (შირვანშაჰი). ამ ტიტულატურაში რანს შეესაბამება გაფართოების შემდეგდროინდელი ჰერეთი.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნები კვლავ დარჩა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რამაც გამოიწვია იქაური მოსახლეობის სრული არმენიზაცია. ხაჩენის, არცახისა და უტიკის ალბანური ოლქები საბოლოოდ გასომხდნენ.

მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობა ასევე განიცდიდა ისლამიზაციას კასპისპირეთის მოსახლეობასთან ერთად, ამის გამო ალბანეთი ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნად გადაიქცა, მისი ქრისტიანული მოსახლეობა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა.

ე.წ. ალბანეთის „ივერიის“ ანუ ჰერეთის მცხოვრებნი ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდნენ. საქართველოსთან „ალბანეთის ივერიის“ საზღვარი გადიოდა, ქალაქ ყაბალასა და ვარდაშენს შუა ქედზე, რომელსაც



ამჟამადაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დალი) ეწოდება. შემდეგ დროინდელი შაქი ამ მთა-ქედის მარცხენა მხარეს მდებარეობდა (შაქის ოლქი, იმჟამად იყო კახეთში შემავალი მიწა-წყალი). ეს მთა („გურჯი დალი“) ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთსა და ჰერეთს.

აღნიშნული „ქართველთა მთის“ მარჯვნივ მდებარე ყაბაღას ოლქს, როგორც ითქვა, ჰერეთი ერქვა.

ჰერეთი იწყებოდა ამ მთის ახლო სოფელ ფილფილასთან (ძველი გულგულა, ლეონტი მროველის მიერ ნახსენები პუნქტი მდებარეობდა აქ, და არა თელავთან) და გრძელდებოდა მდინარე თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე.

ჰერეთი ალბანეთის შემადგენლობაში მუდმივად არ შედიოდა, ის, უფრო ხშირად, ქართლის სამეფოს ერთერთ საერისთავოს წარმოადგენდა, მიზეზი ამისა იყო ის, რომ ალბანეთის მოსახლეობა იყო მრავალენიკური. ალბანეთში აგრეთვე ცხოვრობდნენ მასქუთები, სუჯები, გელები, უტიელები, ლფინები, ჭილბები და სხვა ტომები, ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ.

როგორც აღინიშნა, IV-V საუკუნეებში ალბანური სალიტერატურო ენა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტომების მეტყველების შესაბამისად აიგო. კერძოდ, ალბანური სალიტერატურო ენა ჯერ გარგარელთა დიალექტს დაეფუძნა, შემდეგ კი ბარდის (უტიკის) რეგიონისას, აქედანაც ჩანს, რომ ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ძირითადი ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეგიონი იყო (და არა მარცხენა სანაპიროსი, როგორც თანამედროვე სომხურ საისტორიო მეცნიერებაში მიიჩნევენ, მართლაც რანი და არანი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს ერქვა).

(საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხური XIX-XX სს. ისტორიოგრაფიის გავლენით, დასაბუთების გარეშე, ალბანეთად განიხილავდნენ კახეთის მიწა-წყალს სოფელ

ალვანიდან მტკვარ-ალაზნის შესართავამდე. ამასთანავე, იმჟამად გავრცელდა მტკიცება, თითქოსდა სახელი სოფელ ალვანისა ალვანეთის (ალბანეთის) ქვეყნის სახელიდან მომდინარეობს. სინამდვილეში კი, სახელი ალვანი მცენარე ალვის სახელიდანაა ნაწარმოები და მას არაფერი აკავშირებს რან-არან-ალბანეთთან).

V საუკუნეში ჩამოყალიბებული ალბანეთის საკათალიკოსომ თავისთავადობა დაკარგა VII საუკუნეში და ის სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ალბანეთის მოსახლეობამაც არმენიზაციის შედეგად ეროვნული იდენტობა დაკარგა, ამასთანავე ხდებოდა მისი ისლამიზაცია.

საქართველოს კათალიკოსი ჩენეთ-დაღუსტანსა და შაქშირვანში

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს, მათ შორის ჩრდილო კავკასიას. ამის შესახებ გვაქვს, როგორც წერილობითი, ისე მატერიალური წყაროები.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ე.წ. მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვთიმეს მოუხილავს თავისი სამწყსო კახეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში.

მაღალაშვილის სახარების 1310 (სხვა კვლევით 1318) წლის მინაწერი:

„ქოღეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერთვან გადმოვიდა წახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღმრთისმშობლისა, ლექართის წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსისი, ზარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა აბოისი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს – ღმრთის-



მშობლისაი, ვართაშენს ელიასი, თა(ბა)სარანს ყოვლადწმიდისა მოციქულისა პეტრესი, კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახითა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლის ვაკისა, ესე იგი არს ძველი მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზნისა და ამან სანატრელმან ექთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვრისა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასასწავლებელთა თავსმდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსობა, მამათა ცხოვრება „ქართლის ცხოვრება, და ცხოვრება ალვანისა, ესე იგი არს სავანისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა(…) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941, გვ. 314-315).

აღნიშნულ მინაწერში ჩამოთვლილია საქართველოს პატრიარქმა კახეთში რომელი სამრევლოები მოინახულა.

- ესენი ყოფილან:
1. ანწუხის საეპისკოპოსო;
 2. წახურის რეგიონი (იგივე წუქეთი, წახეთი);
 3. კაკელისენი, სადაც მან მოილოცა (ქალაქ ან სოფელ) კასრის ყოვლადწმიდა სამების ეკლესია, ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართის მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ეკლესია, სოფელ ზარის მთავარმოწამე წმიდა გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანის წმინდა აბოს ეკლესია, სოფელ განუხში წმინდა

მოწამე არჩილის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ვართაშენში წმინდა ელიას ეკლესია;

4. ტაბასარანი (მისი სახელი მინაწერში ასოებნაკლულია). პატრიარქს ამ რეგიონში მოციქულ პეტრეს ეკლესია მოულოცავს (ესაა ეკლესია დაღესტნის ტაბასარანისა).

ტაბასარანის გარდა, პატრიარქს მოუხილავს ასევე სხვა ქართული ეკლესიები, რომლებითაც მოფენილი იყო ვრცელი რეგიონები -

5. ხუნძეთი;
6. ნახეთი;
7. თუშეთი;

მათ შემდეგ მოუხილავს ეკლესიები კვლავ კახეთში:

8. ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეთი; მათ შემდეგ კვლავ გაუგრძელებია გზა და მოუხილავს ვრცელი რეგიონები -

9. მოვაკანი ანუ ვაკე;

10. ელისენი (ტერიტორია ვერხვიანის ზეგანიდან მდინარე იორ-ალაზნის შესართავამდე).

ჩანს ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ერთეულების მეტი ნაწილი კახეთში შედიოდა და ეკუთვნოდა ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიას.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ასევე ეწოდებოდა „ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარი“.

მის საგამგებლოში შედიოდა „ყოველი მთიულეთის“ ეკლესიები, როგორც ჩამოთვალეთ ესენი ყოფილან წახური, კაკელისენი, ტაბასარანი დაღესტანში, იქვე ხუნძეთი, ნახეთი, ასევე თუშეთი და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კახეთის სოფლები, მათ შორის ასევე მოხსენებულია ანწუხის საეპისკოპოსო, ასევე ნეკრესი სადაც შესაძლოა ეპისკოპოსი იჯდა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურს დაუვალებია (ქალაქ) კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდლისათვის იასე ქიტიაშვილისათვის



ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიაში გაეგზავნა წმინდა სახარების წიგნი.

კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს თავის სამწერლობოში შეუკრებია თავისი თორმეტი მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ ამ ეკლესიებისათვის წმინდა სახარების წიგნები.

შემდგომ ეს წიგნები გაუგზავნიათ აღნიშნული რეგიონის ეკლესიებსა, მონასტრებსა და სასწავლებლებში.

კერძოდ, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ამ მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასწავლებელი. მათ რექტორებს ეწოდებოდა - „თავსმდგომნი“.

ამ უკანასკნელთ (თავსმდგომებს) მთავარეპისკოპოსმა უბრძანა მოსწავლეებისათვის ესწავლებინათ:

1. „მჯული ჭეშმარიტი“ ანუ წმინდა წერილი და კატეხიზმი;
2. ფილოსოფია;
3. მამათა ცხოვრება ანუ პატროლოგია;
4. ქართლის ცხოვრება ანუ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორია

5. საისტორიო წიგნთაგან ალვანის ანუ ალბანეთის ისტორია, ალბანეთს აქ ეწოდება „ალვანია ესე იგი არსს სავანია“.

ალვანიის ისტორია დაუწერია ვინმე პეტრე ლაგაძეს და შემდეგ მისი ეს თხზულება რომელიმე სომეხ პლაგიატორს მიუსაკუთრებია და გაურყენია (დაუმახინჯებია) თავისი შეხედულების მიხედვით – „საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (იქვე გვ. 17).

განვიხილოთ თუ სად მდებარეობდნენ ჩამოთვლილი პუნქტები:

1. ანწუხი.

ანწუხი მდებარეობდა დაღესტანში, მდინარეების ანდისა და ავარიის კოისუს ხეობებში, თანამედროვე ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებში. ამჟამად ანწუხთა თემი შედის ავარიელების ტომში.

ავარიელებად ითვლებიან – ანწუხები, ინხოელები, კუკინები, სიუხები და ტინდელეები, წყაროს მიხედვით 1310 წლისათვის ანწუხი კახეთში შედიოდა. ანწუხში ყოფილა საეპისკოპოსო, მაშასადამე იმ დროისათვის ანწუხელები იყვნენ კარგი ქრისტიანები და იმდენად მრავალი სამრევლო და ეკლესია ჰქონიათ რომ ისინი ერთ ეპარქიად გაუერთიანებიათ ანწუხის საეპისკოპოსოში, რომელიც თავის მხრივ საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა.

მკვლევარ ფატიმათ ტახნაევას სიტყვით „ავარიულ სოფლებში შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც აულების ახლო მდებარე მრავალრიცხოვანი ნასოფლარები და ნაქალაქარები ძველად დასახლებული იყო ქრისტიანებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ქრისტიანებს „ქართველებად“ მოიხსენიებენ“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანული კულტურა შუასაუკუნეთა ავარიაში (VII-XVI სს.) პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში, რუს. ენაზე,

<http://www.Krotov.info/histori>, გვ.1).

ადგილობრივი ავარიული სახალხო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ავარია თავდაპირველად ქრისტიანებითა და ქართველებით იყო დასახლებული განამტკიცა არცთუ დიდი ხნის აღმოჩენილმა არაბულენოვანმა წყარომ, რომელსაც „ირხანის ისტორია“ ეწოდება. ის მოღწეულია ოთხი ხელნაწერით, მათგან ზოგიერთი ხელნაწერი ჩართულია მეორე წყაროში, რომელსაც „დერბენდ-ნამე“ ეწოდება.

ეს ხელნაწერები ასახავენ დაღესტნის ისტორიის თემურ-ლენგის შემდგომ პერიოდს.

ირხანის ისტორიაში ასახულია დაღესტნის სხვადასხვა სოფლებისა და ოლქების ისტორია.

ქართველების დაღესტანში ცხოვრებას შეეხება მისი რამდენიმე მუხლი, მაგალითად ხელნაწერშია: - „მცხოვრებნი ოლქ ხიდალისა [ოლქი ხიდი] -



იყვნენ ქართველები“ (ირხანის ისტორია, www.volistil.info/textsts/Dokumenty/Kavkaz/VI/Dag-sronlist, გვ.1/6).

ამ ხელნაწერის კომენტარებში განმარტებულია, რომ ნაგულისხმებია გიდატელის თემი, რომელსაც ამჟამად უჭირავს ერთი ნაწილი რაიონი „სოფეტსკოესი“.

ამავე ირხანის ისტორიაში ნახსენებია ქრისტიანული თავდადება იმ „თავადებისა და აზნაურებისა“, რომელთაც ქრისტესთვის სისხლი დაღვარეს და თავი დადეს მუსულმანების შეტევისას სოფელ ხირკასის ციდატელის, (ციხე-სიმაგრის) დაცვისას.

ხელნაწერშია - „შემდეგ გაიმართა შებრძოლება ხირკასში, რომელიც მთელი კვირა გაგრძელდა. სოფელი აღებულ იქნა, მაგრამ დარჩა აუღებელი ერთი კვარტალი, სოფლის ზემო ნაწილში, სადაც მათი რაისები და ემირები – თავატილები და აზნაურალები იყვნენ გამაგრებულები. მუსულმანებმა ორი თვის მანძილზე ვერ შეძლეს ამ გამაგრებული კვარტალის აღება. საბოლოოდ ის აღებული იქნა ...“

მუსულმანებმა ყველა დახოცეს ვინც იქ შეხვდათ, მათი გამოკლებით ვინც ისლამი მიიღო“ (იქვე, გვ.4/6).

ხირკასის ანუ სოფ. არკასის ზემო ნაწილში შემორჩენილია შთამბეჭდავი ზომების ციტადელი, რომელიც XIV საუკუნემდე არსებობდა, ამ ნაშთებს ნაქალაქარს უწოდებენ (იხ. ატაევი, არკასის ნაქალაქარი).

მსგავსი „ემირები და რაისები“ (ანუ „თავატილები და აზნაურალები“ - თავადები და აზნაურები) ხირკასის მომდევნო სოფელ ირხანშიც ყოფილან და ისინი იქაც მედგრად იბრძოდნენ ქრისტესთვის მუსულმანების წინააღმდეგ, ამიტომაც ამ სოფლებმა როცა შეიტყვეს თუ როგორი სისასტიკით ამოხოცეს მეგრძოლი ქრისტიანები სხვა სოფლებში, დახოცეს თავიათი ემირები და რაისები, და მიიღეს ისლამი. ხოლო ირხანის სულთან

გაიქცა კილბახის ოლქში, სადაც ქრისტიანები ეგულებოდა, მაგრამ გზაზე ერთ ადგილას, რომელსაც „ახალი“ ერქვა მოუხდა მუსულმანებთან შებრძოლება, სადაც მოკლეს (იქვე, გვ.4/6).

ფ. ტახნაევას კვლევით XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატელის თემის „ხიდის“ ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად.

მათ შესახებ ამჟამადაც არსებობს გადმოცემები – მაგალითად, სოფლების ბაცადლას, უნტის, შულანის და კულაბისა და მიმდებარე ხუტორების ტერიტორიაზე ძველად მცხოვრებნი, ადგილობრივი გადმოცემით, ავარიულ ენაზე - „გურუხილებად“ (ქართველობად) იწოდებოდა, ამ სოფლების ძველ სასაფლაოებზე ცნობილია ქრისტიანული დაკრძალვის ფორმები და ჯვრების მრავალრიცხოვანი გამოსახულება.

ამ რეგიონში შემორჩენილია ერთერთ ადრეული ქართული ქრისტიანული ძეგლი – ქვის ფრაგმენტი ძველ-ქართული წარწერით, რომელიც აღმოჩნდა სოფელში, რომელსაც ეწოდება „ვაჩი“. ეს სოფელი მდებარეობს ჰერეთ-კუმუხ-ანდალ-გიდატელ-ხუნძახის შემაერთებელ გზაზე (ფ. ტახნაევა, დასახ. ნაშრ., გვ.3).

დაღესტანის შემსწავლელ მეცნიერებაში სახალხო გადმოცემებზე დაყრდნობით საკითხიც კი დგას ავარიული ხალხის ქართული ეთნოგენეზის შესახებ (იქვე, გვ. 3).

ავარიის ქრისტიანულ წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია - ავარიის ვრცელი ტერიტორიის მომცველი ქრისტიანული სამაროვნები, ისინია ხუნძახში, გიდატელში, ანდალალაში, სოფლებში, ურადაში, ტიღიბში (შამილის რაიონში), საკუთრივ სოფელ ხუნძახში, გალაში (ბატლაიში), ხარახში, ტინდში, კვანადაში (ჩუმადინის რაიონი), რუგუჯაში, კუდალში (გუნიბის რაიონი), მიატლში (ყიზილიურტის რ-ნი), ბოტლიხში (ბოტლიხის რ-ნი).



ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია ასევე დიდოეთში, დიდო - კაპუჩინსკის რაიონში, აქ ატავემა შეისწავლა ბეკუას ქრისტიანული სასაფლაო.

მსგავსი ქრისტიანული ნაშთი მრავალია მთელ დაღესტანში. მაგალითად, ს. ურადას ქრისტიანულ სამაროვანზე აღმოჩენილი X-XIV სს. ქვის ჯვრები. ატავეი ამ სამაროვანს VIII-X სს-ით ათარიღებს.

ამ სამაროვნებიდან ჩანს, რომ ავარიის მოსახლეობის როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენები ქრისტიანული იყო, ამ ძეგლებით არ დასტურდება არაბი ავტორების ცნობები, რომელთა მიხედვითაც სარირში (ავარიაში) თითქოსდა მხოლოდ მეფე და მისი ლაშქარი აღიარებდნენ ქრისტიანობას.

ხუნძასშიც მრავალი ქრისტიანული სამაროვანია, მაგალითად სოფელ გაღლაში VII-XI საუკუნეებისა, ადგილ ტადრაალში XIV-XV სს.-სა. თვით სოფელ ხუნძახის დიდი ქრისტიანული სასაფლაო (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, დასახ. ნაშრ., გვ. 6). ქრისტიანული წარსულის მრავალი ძეგლია ჩამოთვლილი ფ. ტახნაევას ნაშრომში, ისინი მთელი დაღესტნის მრავალ პუნქტს მოიცავენ, განსაკუთრებით ხუნძახის პლატოზე, გიდატლის და ანდალაღას თემებში.

დაღესტნის ქრისტიანობის უმთავრესი მოწმობაა იქ არსებული ეკლესიების ნაშთები. ისინი რომ მათ სისტემატურად და მიზანმიმართულად ანადგურებდნენ XIX-XX სს-ში ახალი რელიგიის - ისლამის მიმდევრები და შემდეგ ათეისტები, მათი ნაშთები მაინც საკმაოდ შემორჩა.

მთიან დაღესტანში, რომელსაც ძველ საქართველოში კახეთის მთიულეთი ერქვა, საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები აღმოჩენილია სოფლებში რუგაჯაში, ნაკაზუხში, ზაიბში და სხვაგან. ისლამის შესაბამისად გადაუკეთებიათ ეკლესიები სოფლებში -

თადრაალში, ამიტლიში, არკასში და სხვაგან.

არქეოლოგებმა ავარიაში აღმოაჩინეს VII-XIV სს-ის რვა ეკლესიის ნაშთი. ფ. ტახნაევამ შეძლო ავარიაში 18 ეკლესიის არსებობის გამოკვლევა (იქვე, გვ. 8).

მათგან მთლიანი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი - დათუნას ეკლესია. (X-XI სს). ავარიის სოფ. ზემოჩირიურტში აღმოჩნდა 4 ეკლესიის ნაშთი (VI-VII საუკუნეებისა, მდ. სულაკის ხეობაში).

დაღესტნის ერთი ყველაზე მსხვილი ქალაქი VIII-XV სს-ში ყოფილა არკასი, მისი ნაქალაქარი 26 ჰექტარზეა განვრცობილი. მისმა ქრისტიანმა დამცველებმა თავდადებით იბრძოლეს მოხვდურ მუსულმანებთან თემურ-ლენგის ეპოქაში. როგორც აღინიშნა, ქალაქის მეთაურებს ქართული ტიტულები - „თავადები და აზნაურები“ ჰქონდათ.

ფ. ტახნაევა აღნიშნავს, რომ „ქართული ფეოდალური ტიტულატურა ავარიაში ცნობილია XI საუკუნიდან - „ნუცალი“, „თავადო“, „აზნაურალ“ („არნახურალ“) საქართველოს პოლიტიკური გავლენისა და ქრისტიანობის XI-XIV სს-ში გაძლიერებისას“ (იქვე, გვ.12).

ჩვენი ფიქრით, VIII-X სს-ში დაღესტნის მთიანეთში არანაკლებ იყო გავრცელებული ქრისტიანობა, კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთის სამეფოს სიძლიერის პერიოდში და უფრო ადრეც, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არაბებს ძალზე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მთიელი წინარები.

წინარების ერთერთი ბუდე სამურის ხეობაშიც უნდა ყოფილიყო, რაც კახეთის ქრისტიანობას აძლიერებდა. ტერმინი „ნუცალი“ ამ კავშირს ადასტურებს. კერძოდ, „ნუცალი“ უნდა იყოს სახეცვლილი ფორმა ტერმინ „ნაცვალისა“, ის ალბათ იყო კახეთის ქორეპისკოპოსის ან მეფის ნაცვლის სახელი კახეთის მთიულეთში, ანუ



მთიან დაღესტანში, თუმცა მიიჩნევა, რომ ის მაჭის ერისთავის ნაცვალი იყო.

ქართული ქრისტიანობის განვრცობა დაღესტანში უნდა ვივარაუდოთ IV-VI საუკუნეებიდანვე, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისთანავე, რაც ქართველთა და დაღესტნელებს იმჟამინდელი ეთნო-პოლიტიკური ერთიანობით იყო განპირობებული.

აღნიშნულ ნაქალაქარ არკასში სამზე მეტი ნაეკლესიარია აღმოჩენილი, რომელნიც მეჩეთებათ გადაუკეთებიათ, ისევე, როგორც დერბენდის ბაზილიკური ეკლესია.

ფ. ტახნაევას ვარაუდით არკასის ეკლესიები არსებობდნენ 1396 წლის თემურის ჯარის დარტყმებამდე.

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი ისტორიული წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით ხირკასის (არკასის) აღება გაუჭირდა თემურის ჯარებს. სოფლის ასაღებად მათ ერთი კვირა დასჭირდათ მაგრამ ამ სოფლის ერთი კვარტლის ასაღებად სადაც „ტავატილები და არნახურალები“ (თავადები და ახნაურები) იყვნენ გამაგრებულები, ორი თვე დასჭირდათ.

მთელ დაღესტანში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ჯვრები, სხვადასვა ზომისა და ფორმისა, მართლაც VI-VII საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებდნენ ჯვრებს და მათ ყველგან მრავლად დგამდნენ.

2. წახური.

წახური მდებარეობდა დაღესტანში, მოიცავდა მდინარე სამურის ზედა წელის ხეობას. ეს არის თანამედროვე რუტულის რაიონი, რომელიც ესაზღვრება ზაქათალას, კახისა და ბელაქანის რაიონებს. ამჟამად წახურთა რიცხვი 25 000 კაცია, ხოლო წახური სოფელია დაღესტანში.

ძველად წახურის ოლქის ცენტრი ყოფილა წუქეთი.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ჩამოართვა კაკის რეგიონი ქურმუხთან ერთად და გადასცა წახურელ ლეკებს.

წახურელები კახეთის ამ ნაწილში გაბატონდნენ XVII საუკუნის მეორე წუქეთი და წახური სინონიმები ჩანან. ალ-ყაზვინის ცნობით „XIII ს-ის შემდეგ წახურში ყველანი მუსლიმები არიან“, ეს ასე, რომ არ ყოფილა აჩვენებს მაღალაშვილის ოთხთავის მინაწერი.

3. კაკელისენი

კაკელისენი ერქვა ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებს, მდინარე გიშის წყლამდე, როგორც ითქვა ეს რაიონები XVII საუკუნეში დაიპყრეს სპარსელებმა და იქ გააბატონეს წახურელი და ავარიელი ლეკები. ავარიელთა ლეკების ე.წ. „თავისუფალი თემები“ საინგილოში არის: ჭარბელაქანი, კატეხი, მუხახი და ქინიხი. წახურელი ლეკების თავისუფალი თემები საინგილოში არის – წახური, ელისუ და ყარადუკულაკი. კახეთის ამ დაპყრობილ ნაწილს ერთ პერიოდში „წახური“ ანუ წუქეთი ეწოდა.

ძველი წუქეთი, როგორც ითქვა, XVII საუკუნემდე მოიცავდა დაღესტნის ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე.

XVII საუკუნის შემდეგ ყოფილი კახეთის ცენტრს ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს ეწოდა **ახალი წუქეთი**. ის ფაქტიურად მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს. მაჭი ცნობილი არის VIII საუკუნიდან. XI საუკუნის შემდეგ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მაჭის წყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნზახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, შაკიხი, კასრი, ლაკუასტი.

მაჭის საერისთავო 1471 წელს გააუქმა კახეთის მეფე ლევანმა. როგორც ითქვა XVII საუკუნის შემდგომ იქ გაბატონდნენ წუქეთელი ლეკები და ამ



ტერიტორიასაც შესაბამისად მათი სატომო სახელი ეწოდა. საერთოდ კაკი – ქალაქ კახს ერქვა.

I. კასრი.

კასრი ყოფილა ქალაქი წუქეთისა. როგორც ჩანს, ის აუგია VIII საუკუნეში არჩილ მეფეს. „მაღალა-შვილის ოთხთავის“ მინაწერში ჩამოთვლილ ეკლესიათა შორის იხსენიება კასრის წმ. სამების საყდარი – პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია მეფე არჩილთან (VIII ს.). „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყენა ივინი, აღაშენა ეკლესია სამპორს, შეერთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხეესა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე, და პოენა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა - სახელით აბუხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ ივინი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243). შემდგომში მეფე არჩილმა წუქეთი და ქალაქი კასრი გადასცა სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონ პიტიასშებს, რომელნიც ვასალური სახით ეყმნენ არჩილს.

გ. მარჯანიშვილის კვლევით ქალაქი კასრი მდებარეობდა ქალაქ კახთან ახლოს, დასავლეთით, მდინარე კობალას მახლობლად (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 32). ჩვენ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც ჩანს ქალაქი კასრი მდებარეობდა მდინარე სამურის სათავესთან ახლოს.

მაგრამ სხვა პუნქტი კასრი ქალაქ კახთანაც მდებარეობდა. ჩანს სწორედ ეს უკანასკნელი მოუხილავს პატრიარქ ექვთიმეს, რადგანაც ოთხთავის მინაწერში ნახსენები კასრის ყოველადწმინდა სამების ეკლესია კაკელისენში მდებარეობდა. გ. მარჯანიშვილის აზრით, როგორც ითქვა ის მდებარეობდა ქალაქ კასრის დასავლეთ მხარეს. ეკლესიასთან ახლოს ყოფილა ქვით ნაგები და შიგნიდან გაღვსილი ძველისძველი დიდი საზედაშე ქვევრი, მისი სიგრძე და სიმაღლე ყოფილა 2 მეტრი. შესაძლოა ამ ჭურჭელს უწოდებდნენ კასრს და მისი სახელი დაერქვა ეკლესიასაც.

კასრის ეკლესია იყო ყოველადწმინდა სამებისა.

II. ყუმი.

ყუმის ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს კახის რაიონში. ითვლება რომ ყუმის ეკლესია VI საუკუნისაა, ყუმი მდებარეობს კახის რაიონის სოფელ ლეკითთან, იგივე ლეკართთან ახლოს, მის გვერდით. აქ დღესაც დგას ეკლესიის ნანგრევი, შვერილაფსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა. გ. მარჯანიშვილის კვლევით ეს ის VIII საუკუნის ეკლესიაა (და არა VI საუკუნისა).

III. ლექართი.

ლექართის წმიდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. სოფელ ლექართს ახლა ლეკითი ეწოდება. სოფელთან ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს მონასტრის ნანგრევები, ხოლო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ეკლესიის, აბანოსა და ქარვასლისაგან შედგენილი კომპლექსი. ლეკითის ტეტრაკონქის სტილით ნაგები ეკლესია ბანას ტიპის მრგვალი ტაძარი ყოფილა VIII-IX საუკუნეებისა, ე.ი. არჩილ მეფის დროინდელი. აღნიშნული ლეკითის მონასტრისა და ასევე ჰქონია მრგვალი ეკლესია, მათ შორის ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზი (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი,



გვ. 28). ყველა ჩამოთვლილი ეკლესია - „ქართული ძეგლების ფართო წრეს განეკუთვნება“ (იქვე, გვ. 29). წმინდა ნინოს სახელზე ნაგები ეკლესიის დასახელება მიუთითებს, რომ ამ მხარეებში უქადაგნია ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს.

IV. ზარი.

ზარის წმ. გიორგის ეკლესია - მდებარეობს ზაქათალას რაიონში ს. ზარნას (ძვ. ზარი) მთის წვერზე, მრგვალი ნაგებობაა, ასეთივე სახელი აქვს შექის რაიონის სოფელ ორთაზეითის, ძველი ზედგზითის ეკლესიას, რომელიც მოხატული ყოფილა ქართულ წარწერებიანი ფრესკებით. „გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ გაირჩეოდა მთავრული (ასომთავრული) ასოები „ვზ“ და „მსტოლ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 36).

ამ სოფელს ს. კარაპეტციანი ზაიზიტს უწოდებს, მდებარეობდა ქ. შაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8-9 კმ დაშორებით (ამჟამინდელი ორთა ზაიზიტი აზერბაიჯანის შექის რაიონში). ამჟამად ამ ეკლესიას წმ. გიორგის უწოდებენ. მის მოსახლეობას ს. კარაპეტციანი და მისი წინამორბედები „გამუსულმანებულ სომხებს“ უწოდებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ მთელი ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც გამუსულმანდნენ (ს. კარაპეტციანი, საკუთრივ აღბანეთის რეგიონები შაქსა და კაპპალაკში“ „Кавказ и Византия“, ტ. 6, გვ. 231). ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც აქ სომხები ძირითადად პასკევიჩმა გადმოასახლა XIX ს-ში ყარაბაღიდან, რის შემდეგაც მათ ადგილობრივი ქართული ეკლესიები აითვისეს, რადგანაც გამუსულმანებულ მკვიდრ მოსახლეობას (ყოფილ ქართველებს) ეს ეკლესიები უპატრონოდ ჰქონდათ დატოვებული. ნ. კარაპეტციანის ზაიზიტის ეკლესიისა და გ. მარჯანიშვილის ზედგზითის ეკლესიების გეგმები იდენტურია. ზარის წმ. გიორ-

გის ეკლესია კი, როგორც ითქვა, ზაქათალას რაიონში მდებარეობდა.

V. ვარდიანი.

სოფელ ვარდიანში მდგარა წმ. აბოს ეკლესია. „ვარდ“ ფუძე-ძირით ძველი, ისტორიული კახეთის ამ რეგიონში მრავალი პუნქტი მოიხსენიება, მათ შორის ვარდაშენი (ვართაშენი) და მის სამხრეთით ამჟამინდელი „ვარდანლი“. მის მახლობლად გადიოდა გზები, რომელნიც ერთმანეთში აკავშირებდა შემახას განჯასთან, ასევე კაპალაკსა და შექს დერბენდ-ჩოლთან, საბოლოოდ ყველა ეს გზა თბილის-მცხეთას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაღალაშვილის სახარების მინაწერში არ იხსენიება სიტყვა „ჰერეთი“, თუმცა კი ამჟამად კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს მინაწერი ჰერეთის ეკლესიებს შეეხება. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჰერეთი მდებარეობდა არა აქ, არამედ ჩამოთვლილი ეკლესიების აღმოსავლეთით კაპალაკსა (ყაბალასა) და მტკვარ-არაქსის შესართავს შორის. ეს იყო აღბანეთის ნაწილი. ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შექიდან გურჯაან-ბოდბის ჩათვლით. ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში კახეთი ეწოდება, საზღვანითაა აღსანიშნავი რომ ამ წყაროში (მაღალაშვილის სახარების მინაწერში) ის კახეთად მოიხსენიება და არა ჰერეთად. ჩამოთვლილი ეკლესიების სახელებიც მიუთითებს, რომ მათ არაფერი აკავშირებდათ აღბანეთის ეკლესიასთან. მათი სახელები - **წმიდა ნინო, წმიდა არჩილი, წმიდა აბო, წმიდა გიორგი** მიუთითებს, რომ ისინი ქართული სამყაროს ეკლესიებია, ქართველ განმანათლებელთა, წმინდანთა და მეფეთა სახელობისა და არა აღბანელებისა. თუმცა ს. კარაპეტციანი აყალბებს რა მაღალაშვილის მინაწერს, არწმუნებს მკითხველს, თითქოსდა ეს



ეკლესიები ალბანელთა განმანათლებელ ელიშესთან იყო დაკავშირებული. მაღალაშვილის მინაწერში კი, როგორც ითქვა, არ იხსენება არც სიტყვა „ჰერეთი“ და არც სიტყვა „ელიშე“.

ს. კარაპეტციანი იმასაც კი წერს, თითქოსდა ამ მინაწერში „წმიდა ელიშეს 12 მოწაფე იხსენიება“, მაშინ როცა მინაწერში იხსენიება არა I საუკუნის წმინდანის, არამედ XIV საუკუნის მღვდლის იასე ქიტიაშვილის სახელი, რომელსაც ქალაქ კაკში ჰყოლია 12 მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ სახარების წიგნები ჩამოთვლილ ეკლესიებში დასარიგებლად.

ს. კარაპეტციანი უხეშად, განუკითხავად აყალბებს წყაროებს.

ასეთი გაყალბება კი, ამ მინაწერის სიტყვებით, ძველადაც ერთ-ერთი ჩვეულება ყოფილა ს. კარაპეტციანის წინამორბედებისა. მასში ნათქვამია - „ცხოვრება ალვანისა, ესე იგი არს სავანისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან, ვინმე სომეხმან გა(რყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“.

ალვანია – აღნიშნული ეკლესიების რეგიონის უშუალო მეზობლად, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლაც საჭიროდ იყო ცნობილი.

ვარდიანში ყოფილა წმიდა აბოს ეკლესია.

წმიდა აბო – ქართული ეკლესიის წმინდანი იყო, რომელსაც იცნობდა მთელი ქართული სამყარო VIII ს.-ისა ანუ წმ. არჩილის ეპოქისა, ეს ეკლესიაც არჩილს უნდა დაუკავშირდეს.

VI. განუხი.

განუხის წმ. არჩილის ეკლესია უნდა მდებარეობდეს შაქსა და ვართაშენს შორის. პუნქტი დანუხი ქურმუხთან ახლოსაა შაქის მხარეს.

მისი ეკლესიის სახელიდან (წმ. არჩილი) ჩანს, რომ ის კახეთში წმ.

არჩილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და არა ალბანეთის ეკლესიასთან.

ცნობილია, რომ წმ. არჩილი თავის საბრძანებელში გადავიდა კახეთში არაბთა მპყრობელობისას და იქ მრავალი ქალაქი და ეკლესია ააშენა. მათ შორის ჩანს განუხის ეკლესიაც.

VII. ქიშნუხი.

ქიშნუხშია ღვთისმშობლის ეკლესია. კიში - იგივე ქიში, ნაჩვენებია შაქთან ახლოს მდინარე ქიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. იქ მდებარე ეკლესიას მიიჩნევენ „გიშის საეპისკოპოსოდ“.

გიშის ეკლესია, შაქის მახლობლად – მცირე ნაგებობაა, XI ს-ში განუახლებიათ. გ. ჩუბინიშვილი წერდა - „შეუძლებელია მისი მიჩნევა უკვე VI ს-ში არსებულ საეპისკოპოსო კათედრად. საფიქრებელია, რომ გიშის კათედრა X-XII სს-ში გადატანილი იქნა იქვე 5 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ნუხაში. ეკლესია ხელმეორედ გამოყენებული იქნა პასკევიჩის ბრძანებით XIX ს. 50-60-იან წლებში გადმოსახლებული სომეხების მიერ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 26)

საერთოდ, სხვაა ქართული წყაროების გიშის საეპისკოპოსო და სხვაა სომხურ-ალბანური გისის საეპისკოპოსო. გისის ცნობილი საეპისკოპოსოს მდებარეობა ივარაუდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გარდმან, შაკაშენ, უტის რეგიონში, კერძოდ კი პარტვთან ახლოს, მის ჩრდილოეთით (იხ. ბ. არუთინიანის სომხეთის რუკა), ხოლო ქართული გიშის საეპისკოპოსო სულ სხვა რეგიონში - შექთან მდებარეობდა.

შაკიხი ერქვა შექსა და მის რაიონს. სომხური წყაროების „გარდმანი“ (გარდაბანი) და ქართული შაკიხი – ერთმანეთის მეზობლები იყვნენ. ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ეს საინტერესოა ჩვეულების ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.



კახეთის ქალაქი ჩელეთი უნდა ვეძიოთ შექის რაიონში, რადგანაც მის მშენებლობაში გარდაბნელები მონაწილეობდნენ.

მართლაც, სოფელი „ჩაღეთი“ ს. კარაპეტციანის რუკაზე მდებარეობს ვართაშენ-ვარდაშენთან ახლოს, მის დასავლეთით. ამ ჩაღეთის გასწვრივ – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული გარდამანის პროვინცია მდებარეობს.

ქართლის ცხოვრება წერს - „კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეებამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა ციხე კახოსის ხეგერი იყო და მისცა კახოსს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებელსა კახეთისასა“ (ქ.ც., I, გვ. 9).

ჩელეთის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალის დროს იხსენიება ხორნაბუჯსა და აგარაკს შორის, ეს აგარაკი მდებარეობდა „ხუნანის გამართებით (იქვე, გვ. 199).

ამ განლაგებიდან ჩანს, რომ ჩელეთის საეპისკოპოსო მდებარეობდა ხორნაბუჯ-ხუნანის რეგიონში, ანუ იქ სადაც ჩვენ ვვარაუდობთ ქალაქ ჩელეთის მდებარეობას, შაქსა და ვართაშენს შორის, როგორც აღვნიშნეთ აქ მართლაც მდებარეობს პუნქტი ჩაღეთი თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (ს. კარაპეტციანი, 2005, რუკა, გვ. 252).

ამ რეგიონში უნდა ყოფილიყო ტყეება – საზღვარი ჰერეთთან, კერძოდ კაბალა-ყაბალსა და ვართაშენს შორის, აქ გამავალ მთას „გურჯი დაღის“ იქაურები საქართველოს საზღვრად მიიჩნევენ.

ამ მთის დასავლეთით ზაქათალა, კახისა და ბელაქანის რაიონებში ისტორიულად მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს დედაქალაქები ბაზარქალაქ-ზაგეში და სხვა სამეფო რეზიდენციები,

აქ იყო კახეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყლი, სხვა ტერიტორიები კახეთისა – ძირითადად ნაკლებდასახლებული იყო.

ჩვენი კვლევით „კახეთის მთას“ უწოდებდნენ გომბორის ქედს. ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

მიწები არაგვიდან გულგულა-ტყეებამდე ანუ კაბალა-ხილხალამდე – კახეთს ეკუთვნოდა. მართლაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ხილხალა – საქართველო-ალბანეთის საზღვრად მიიჩნეოდა.

ყაბალაზე გადიოდა ჩორსა და განძა-ალბანეთს დაკავშირებული გზა. ამ გზით შემოდინდნენ ჩორ-დერბენდიდან ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად ჩრდილოკავკასიელები.

როგორც ითქვა, ეს რეგიონი, ანუ ზაქათალა-კახი-ბელაქანის მომცველი მიწა-წყალი სპარსეთმა მიიტაცა – სადაც მისი ქართველი მოსახლეობა ძირითადად ასიმილირდა ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებულ ლეკებში, რომელთაც სამართავად გადაეცათ კიდევაც ეს ტერიტორიები.

ბელაქანის რაიონში განსაკუთრებულად, და საერთოდ საინგილოში, ბევრი ლეკი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობას, მაგალითად, გალაჯოელების წინაპრები ვაჩნაძეები ყოფილან, ნასტაგალოეებისა – ერისთავები. ბევრ ლეკს სცოდნია, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, და ცოდნიათ კიდევ თავინთი ქართული გვარები.

ქიშ-ნუხამდე ანუ გიშისწყლამდე მიწა-წყალი კახეთად ითვლებოდა. გიშის ტაძარი, როგორც აღინიშნა ქ. ნუსხალის (შექის) ჩრდილოეთით 6 კმ მოშორებით მდებარეობდა. გიშის საეპისკოპოსო – ვახტანგ გორგასალის დაარსებულად ითვლება. ისტორიულად გიში ასამ და ასათ გრიგოლისძეებს ეკუთვნოდათ.

ასათ გრიგოლისძეს საღირ კოლონკელისძისგან მძღავრობით მიუტაცნია



ჰერეთის ერისთავობა და ასევე მას მიუტაცნია არიშიანისაგან ადგილი საქართველოს სახელმწიფო დარბაზში (პარლამენტში), კერძოდ ის „დაჯდა სასთაულით“ არიშიანის ადგილზე დარბაზობის დროს.

ასათ გრიგოლისძემ ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს.

ოქროს ხანის პერიოდში ასათ გრიგოლის ძის მოწოდებით ანუ „წვევით“ საქართველოს ჯარმა დალაშქრა ქვეყანა „განძას ქვემოთ ბელაყნამდის, რახსის პირი მასისამდე“ (ქ.ც. II, გვ. 40).

„განძის პირის“ ქვეყანა – ჰერეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჰერეთში შედიოდა არეში ანუ არიში. ყვარყვარე ათაბაგმა 500 კაცით ილაშქრა არეში. იქაური ვაჭრის დასახჯელად, მან გაიარა ფარავნის ტბა, დმანისი, ხუნანი, „განვიდა მტკვარს და მივიდა არეშს“.

ხუნანიდან გზა მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და თანამედროვე მინგეჩაურის ტბის ოდნავ ქვემოთ კვეთდა მტკვარს. ამ მხარეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყოფილა არეში.

მაშასადამე, ქართველთა წინაპრების ქართლოსისა და კახოსის დროიდან ეს მიწა-წყალი ქართულ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა, ხოლო შემდგომ, ვახტანგ გორგასლის, წმ. არჩილ მეფის თუ ათაბაგების ეპოქაში ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში, ამას მიუთითებს გიშის ქართული საეპისკოპოსოს, ქიმ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ვარდიანის წმიდა აბოს და განუხის წმიდა არჩილ მეფის ქართული ეკლესიების არსებობა.

ამ მხარეში, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა კახეთის ძველი ქალაქი ჩელეთი (და არა ერწო-თიანეთში, ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა).

ქართლის ცხოვრებით ჩელეთი – მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა, მართლაც ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდეა შემორჩენილი შაქის რაიონის სოფელ ჩელეთში, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ჯალეთს“ უწოდებს. კერძოდ, აქ შემორჩენილია დიდი სასახლის ნანგრევები, მისი სიგრძე 16-17 მეტრია. აქვეა ჩელეთის ანუ ჩალეთის, ჯალეთის ეკლესია.

VIII. ვართაშენი.

ვართაშენის ეკლესია – წმ. ელიას სახელობისა. სოფელი ვართაშენი მდებარეობს შაქის აღმოსავლეთით, ვაბალა, კაპალაკის მარცხნივ. XVIII ს-ში ვართაშენში მცხოვრები უდები თავიანთ თავს უწოდებდნენ ასე - „ვართ ალბანელები და ეროვნებით უტიელები“ (გ. მარჯანიშვილი, გვ. 51).

არცახი და უტი ერქვა არმენიზებულ ალბანურ პროვინციებს ვართაშენის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. არცახელებმა და უტიელებმა შეძლეს გემირულად შეენარჩუნებიათ ქრისტიანობა ალბანეთის ისლამიზაციის საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ უტიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ უტის რეგიონი და თავი, მახლობლად, ჯერ კიდევ ძლიერ საქართველოში ვართაშენისათვის შეეფარებინათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის დროს უტიელები თავდაცვის მიზნით გადასახლდნენ ისტორიული ალბანეთიდან ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქვეყნიდან, იქვე მახლობლად – მარცხენა სანაპიროზე – ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უტი ერქვა ალბანურ პროვინციას სწორედ ვართაშენის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამ პროვინციას ასევე ერქვა მეორე სახლი „არანძაკი“ (არანის ქვეყანა) – მის ხალხს უტიელები ერქვა პროვინციის სახელის მიხედვით.



სოფელ ვართაშენში, რომელიც ახლა ქალაქი და რაიონული ცენტრია რამდენიმე ეკლესია არის.

ვართაშენი იხსენიება 1310 წლის განსახილველ დოკუმენტში.

XIX საუკუნეში სოფელში ყოფილა სამასი კომლი მოსახლე. მათ შორის ასი კომლი ყოფილა ქართველი მართლმადიდებლების ოჯახი და მათ გარდა უტიელებიც (უდინები).

ეს აღწერა იმით არის საინტერესო, რომ ს. კარაპეტინის სიტყვით, ის ჩაუტარებია თვით სომეხ სამღვდლოებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სომეხი სამღვდლოება კი ტენდენციურად იყო განწყობილი, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ყოველი ხერხით ცდილობდნენ დოკუმენტებში გაეზარდათ მოსახლეობაში სომეხთა ანუ მონოფიზიტთა რიცხოვრივი რაოდენობა.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, მათი აღწერით სოფელ ვართაშენის მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველი მართლმადიდებელი ყოფილა. არა ზოგადად მართლმადიდებლების რიცხვი ყოფილა ასეთი, არამედ ეთნიკური ქართველებისა.

ამ სოფელში ასევე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული უდინები (უტიელები), სომეხები, ებრაელები და სუნიტი მუსულმანები.

1890 წლისათვის მოსახლეობის წილობრივ რაოდენობაში ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი შემცირებულია. კერძოდ, ამ წელს ვართაშენში მოსახლეობდა 680 ოჯახი (კომლი). მათგან 450 ყოფილა მონოფიზიტური აღმსარებლობისა (მონოფიზიტთა შორის ჩამოთვლილები არიან ეთნიკური სომეხები და ეთნიკური უდინები), 150 ყოფილა მართლმადიდებლური ქართული ოჯახი, 200 ებრაული და 30 მუსულმანური. სომეხთა და მონოფიზიტ უდინთა საერთო რაოდენობა ყოფილა 1463 კაცი. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახი შედგებოდა 3-4 კაცისაგან, ამიტომაც

უნდა ვივარაუდოთ ვართაშენის 150 ქართული ოჯახი შედგებოდა 450-600 კაცისაგან.

კიდევ ერთი აღწერა ჩაუტარებიათ 1913 წელს და ამ დროს ვართაშენში ცხოვრობდა 2914 კაცი (ს. კარაპეტინი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, წიგნში „Кавказ и Византия“, №6, 1988, გვ. 246).

ამ აღწერათა შემდგომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტი საინგილოსათვის, გასაბჭოება, საინგილოს დაუფლება აზერბაიჯანის მიერ. ქართველთა მიზანმიმართული დევნა ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვართაშენის ქართველობა იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო საქართველოში კერძოდ, კახეთში. საქართველოში დასახლების შემდგომ ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და აღწერებშიც ქართველებად ეწერებოდნენ. მაგრამ მათ ეთნიკურ ვინაობაში ეჭვი შეიტანეს თბილისის სამეცნიერო წრეებმა. ქართიზაციის თეორიის გავლენით ისინი აცხადებდნენ რომ კახეთში ჩასახლებული ვართაშენელები იყვნენ არა ეთნიკური ქართველები, არამედ უდინები, რადგანაც ვერ წარმოედგინათ აზერბაიჯანის შორეულ სოფელში ქართული მოსახლეობის ცხოვრება. თბილისელი მეცნიერები მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობდნენ კახელ ვართაშენელებთან, უმტკიცებდნენ მათ, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ ეთნიკური ალბანელების ბოლო, გადარჩენილი მცირე რაოდენობა, უდინები. მოუწოდებდნენ შეესწავლათ და აღედგინათ თავიანთ მეტყველებაში უდინური ენა. ეს მაშინ როცა XIX საუკუნის სომხური აღწერებითაც კი აზერბაიჯანის ვართაშენში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ქართულ და უდინურ ოჯახებში და მათ



კარგად იცოდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობა.

ვართაშენში ქართველებს თავიანთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ და ასევე იქვე ყოფილა მონოფიზიტური ეკლესიაც, ხოლო ვართაშენის გარეუბნებსა და სასაფლაოებზე სხვა ეკლესიებიც მდგარან. ქართული 1310 წლის საბუთის მიხედვით ვართაშენში მდგარა წმინდა ილია წინასწარმეტყველის („ელიას“) სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პასკევიჩის შემდგომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ ყარაბახელ სომხებს თავისებურად, მონოფიზიტურად გადაუკეთებიათ და მისთვის უწოდებიათ ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშეს სახელი. შეუთხზიათ ლეგენდაც, რომ თითქოს იქ არის დაკრძალული ამ მოციქულის ორი მოწაფე, რომელზეც აღმართული არის სამლოცველო. ამ ლეგენდას ს. კარაპეტინი ამატებს კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც შეიძლება ითქვას არის სრული დეზინფორმაცია, თითქოსდა მოციქულ ელიშეს მოწაფეთა საფლავებზე აღმართული სამლოცველოები მოხსენიებულია 1310 წლის ჩვენს მიერ განსახილველ ქართულ დოკუმენტში. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ნახსენებია ვართაშენის წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია და მასში საერთოდ არ იხსენიება არც მოციქული ელიშე და არც მისი მოწაფეები. ჩვენი თვალსაზრისით ვართაშენში შესაძლოა არც იყო ძველი სომხური ეკლესიები, რადგანაც ს. კარაპეტინის მიერ გამოქვეყნებული სომხური წარწერები XIX საუკუნეს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ვართაშენის რაიონშია სოფელი ჩალეთი (ჭალეთი) ანუ ჩელეთი, ჩანს უძველესი კახური ქალაქი. მას ჯალეთსაც უწოდებენ.

ამ მიდამოებში, გ. მარჯანიშვილის სიტყვით, „ძველი შაქისა და ხანძახის გამყოფ ქედზე, საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი –

„გიურჯი დალი“ (ქართველთა მთა) არის დაფიქსირებული. **გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი**“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

როგორც აღინიშნა სოფელ ჩელეთ-ჭალეთში არსებობს სასახლის ნაშთი, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ტიპური კახური სასახლეების მსგავსს“ უწოდებს.

ასევე აღინიშნა, რომ სოფელ ნიჯისა და ვართაშენის მცხოვრებ უღებს პეტრე I-ისათვის, XVIII ს-ში გაუგზავნიათ წერილი. უღების თქმით ისინი „**ალბანელები და ეროვნებით უტიელები**“ არიან. ამ განსაზღვრებაში, ალბანელებისა და უღების ცნება არ ფარავს ერთმანეთს“ (იქვე, გვ. 51).

მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რეგიონს სომხურად „უტი“ და ასევე „არანძაკი“ ერქვა (იხ. არუტუნიაჩის რუკა).

ძველი „უტიკის“ ანუ უტის პროვინციაში მდებარეობდა ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდა) – უტიდან ვართაშენში გადასახლებულ უტიელებს XVIII ს-ში ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკური ვინაობა, ისინი იყვნენ ძველი ალბანეთიდან, ამავე დროს კი იყვნენ უტიელები, ანუ ძველი უტიკის მცხოვრები, ტომობრივად უტები ანუ უღები.

XV-XVI საუკუნეებში, ძველ რეგიონში, როცა ქრისტიანთათვის იქ ცხოვრება გაძნელდა, როგორც ითქვა, მათ თავი შეაფარეს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოში შემავალ შაქი-ვართაშენის რეგიონს, რომელიც მართალია უკვე იწყებდა გამაჰმადიანებასა და სეპარატიზმის გზას ადგა, მაგრამ ვართაშენსა და მის შემოგარენში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქრისტიანთათვის.

ვართაშენში, უტიელებს ცხადია დახვდათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და ეკლესია. აქვე, ჩანს ეთნიკური სომხური მოსახლეობაც გაჩ-



ნდა. ამის შედეგად ვართაშენში აღმოჩნდა ქართული, უტიური, სომხური, ებრაული და მაჰმადიანური მოსახლეობა.

XVIII ს-ში, როგორც პეტრე I-სადმი მიმართვიდან ჩანს, ამ უდინებს (უდებს) კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი ალბანელები და ამავე დროს უტები იყვნენ.

შემდეგში, ვართაშენის ქართულ მოსახლეობას უფრო და უფრო გაუჭირდა ამ რეგიონში ცხოვრება, რადგანაც შაქში მაჰმადიანური ხელისუფლება გაძლიერდა, კახეთის დიდი ნაწილი კი შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა, ამავე დროს სპარსელთა ნებით შეიქმნა კაკელისენის განდგომილი რეგიონი, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა ლეკური მმართველობის ქვეშ. ამ რეგიონის ქართველები შესაბამისად ლეკდებოდნენ და მაჰმადიანდებოდნენ.

ამგვარ პირობებში მით უმეტეს გაუჭირდებოდა ვართაშენის ქართველებს, ისინი ჩანს ასიმილირდნენ უტიელებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში. თუმცა, მაინც, XIX ს-ში მათი რაოდენობა 600 ყოფილა, ისინი XX ს-ში ზინობიანში გადასახლდნენ და უკვე ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ თვითშემეცნება, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ და ამიტომაც მისკენ ისწრაფოდნენ საბოლოოდ დასაფუძნებლად.

ქართიზაციის თეორია საინგილოს შემსახე

როგორც აღინიშნა, განუხში ანუ დანუხში მდებარეობდა წმ. არჩილის ეკლესია და ნახსენებია 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში, დასახელებულია ვარდიანის წმ. აბოსა და ქიშნუხის ღვთისმშობლის ეკლესიათა შორის. მაშასადამე ის ახლოს ყოფილა ქიშნუხთან და ვართაშენთან. მისი ადგილმდებარეობა ამჟამად ერთმნიშვნელოვნად ცნობილი არ არის. ს. ერემიანი მას ალბანური ოლქის ხენის სახელს უდარებს და ათავსებს ზაქათალას რაიონში.

ქართველი მეკლევარები, როგორც გ. მარჯანიშვილის წიგნიდან ჩანს, მიიჩნევენ რომ ჩვენს განსახილველ რეგიონში (ანუ მდინარე ალაზის ქვემო წელზე და საინგილოში) ქართველობა არ იყო მკვიდრი მოსახლეობა და იქ ქართველები მოხვდნენ მიგრაციის პროცესის შედეგად. გ. მარჯანიშვილი ამის შესახებ წერს - „**პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი**“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50).

გ. მარჯანიშვილი ისე, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეპოქის მკვლევარი, ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს არაქართულ ქვეყანად მიიჩნევს, რომლის ქართიზაცია ანუ როგორც გ. მარჯანიშვილი უწოდებს - „**გაქართლება**“- VIII საუკუნისათვის დასრულდა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან ძველ ქართულ წყაროებს რომელთათვისაც ქართველობა იყო ერთიანი ეთნოსი, ერთიანი ხალხი, რომლითაც დასახლებული იყო ჩვენი რეგიონი.

ამავე თვალსაზრისს ავითარებს V საუკუნეში მოვსეს ხორენაცი. კერძოდ, ის თავის ცნობილ სომხეთის ისტორიაში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა



კლარჯეთიდან მასქუთებამდე და ამ რეგიონის მოსახლეობა ანუ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი თავისი ტკბილი და ადვილად გასაგები ენით მოაქცია.

ხორენაცი წერს - „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოდერა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

მოვსეს ხორენაცი, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს იყენებდა ქართულ წყაროებს და ცხოვრობდა თითქმის წმ. ნინოს ეპოქაში არსად აღნიშნავს, რომ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი იყო მრავალენიკური, პირიქით მ. ხორენაცი წმ. ნინოს ერთმნიშვნელოვნად უწოდებს ქართველთა განმანათლებელს. მისი სიტყვით კლარჯეთიდან მასქუთებამდე ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო, სადაც წმ. ნინომ იქადაგა.

როგორც ცნობილია, IV საუკუნისათვის მასქუთები ან მასაგატები ცხოვრობდნენ მტკვარ-არაქსის შესართავიდან ჩორ-დერბენტამდე. აქედან მოვსეს ხორენაცის მიერ წმ. ნინოს მიერ მოქცეული მასქუთებამდე მცხოვრები ქართველობის საცხოვრებელი არეალი მოიაზრებოდა მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ამ არეალში თავსდება ისტორიული ჰერეთი. შესაბამისად, ჰერეთი ქართველებით ყოფილა დასახლებული, რომელთაც ესმოდათ ქართველთა განმანათლებლის ენა. აქედან გამომდინარე არასწორია ქართიზაციის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ჰერეთის მხარე VIII საუკუნისათვის „გაქართველდა“ („VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50). ქართი-

ზაციის ეს თეორია გამეორება და გადრმავებაა XIX ს. სომხური საისტორიო შეხედულებებისა, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბრუნვაში შეიყვანეს პროფესორმა ქ. პატკანოვმა და აკადემიკოსმა ნ. მარმა.

მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით აქვე, სოფელ ლექართში, მდებარეობდა წმ. ნინოს ეკლესია. ამ ეკლესიის სახელი უნდა წარმოადგენდეს მის არეალში წმ. ნინოს მოღვაწეობის ანარეკლს, ანუ ამ ეკლესიის სახელი - წმ. ნინოს - არაა შემთხვევითი და ეთანადება მოვსეს ხორენაცის ცნობას. აქ წმ. ნინოს ქადაგების შესახებ. შესაბამისად, იქ მდებარე სოფლის - **დანუხის სახელწოდებაში** ჩვენ არ უნდა ვეძიოთ ალბანური კვალი. მისი სახელი ისევეა ნაწარმოები როგორც სხვა მრავალი პუნქტის სახელი საქართველოში, გ. მარჯანიშვილი სოფელ დანუხის სახელს უკავშირებს ალბანეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ტომის ხენუკების სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, **დანუხის ეკლესია** წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული. ეს მიუთითებს, რომ ამ რეგიონში უღვაწია წმ. არჩილ მეფეს VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დროს, მართლაც, ეს დასტურდება ქართული წყაროებით, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კახეთის ამ რეგიონში მრავალი ციხესიმაგრე ქალაქი და ეკლესია ააგო წმ. არჩილ მეფემ. საზოგადოდ კი, როგორც აღვნიშნა, 1310 წლისათვის ამ რეგიონის მრავალი ეკლესია ატარებდა ქართულ სახელს - **წმ. ნინო, წმ. არჩილი, წმ. აბო, მათ ემატება წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.**

როგორც ითქვა, გვიან პერიოდში უფრო მეტად XVIII საუკუნეში პასკევიჩის შემდეგ ყარაბაღიდან ჩამოსახლებულ სომხებს ხელში ჩაუგდიათ უკვე გაუკაცრიელებული ძველქართული ეკლესიები და დაურქმევიათ მათთვის ახალი სახელები - წმ. რიფ-



სიმე, წმ. ელიშე და სხვა მსგავსი, თუმცა შეუცვლელად დაუტოვებიათ ყოველადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიათა სახელები. როგორც ცნობილია სომხურ ეკლესიებს ნაკლებად არქმევდნენ ასეთ სახელებს. ისინი უფრო მეტად არქმევდნენ წმ. გრიგოლს, წმ. გაიანეს, წმ. რიფსიმეს, ასტვაცაცინ, სტეფანოსი და სხვა მსგავსი.

ქართველი მეკლევარები, როცა ისინი ისტორიულ კახეთს ჰპრეტად მიიხნევენ, ვფიქრობთ შეცდომას უშეგებენ იმის გამო, რომ უმართებულად საზღვრავენ პუნქტ ტყეცბა-გულგულას ადგილმდებარეობას.

ქართლის ცხოვრების თანახმად პუნქტი გულგულა მდებარეობდა კახეთისა და ჰერეთის საზღვარზე.

ივანე ჯავახიშვილის კვლევებით უკვე ლეონტი მროველს აღარ სცოდნია მისი (გულგულას) ზუსტი ადგილმდებარეობა, მითუმეტეს ის არ უნდა სცოდნოდა ვახუშტის. ამიტომაც ის მხოლოდ ვარაუდობდა, რომ გულგულა ეწოდებოდა თელავის ჩრდილოეთით მდებარე სოფელს. გულგულას მეორე სახელიც ერქვა „ტყეცბა“. ეს სახელი (ტყეცბა) ჩანს ქართულ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული იყო. მაგალითად ამჟამადაც კი ტყეცბა ეწოდება მდინარე ძუსას ხეობაში საზანო – ზესტაფონის, მეორე, შემოვლით, არამთავარ გზაზე მდებარე ერთ-ერთ ადგილს. ასეთი ტყეცბიანი ადგილი მრავალი უნდა ყოფილიყო მცენარეულობითა და მწვანე საფარით სახელგანთქმულ კახის, ზაქათალასა და ბელეჩნის რაიონებში.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით საზღვარი ალბანეთსა და საქართველოს შორის გადიოდა სოფელ ხილხალაზე, ჩორისა და ალბანეთის დამაკავშირებელ გზაზე. ეს გზა გადიოდა ქალაქ ყაბალასთან. ვართაშენ ჩრდილკავკასიის დამაკავშირებელ ამ გზაზე მდებარეობს ამავე ეტიმოლოგიის პუნქტი **ფილფილა**.

სახელები ფილფილა, ხილხილა და გულგულა, როგორც აღინიშნა მსგავსი ეტიმოლოგიისაა და რადგანაც, ამჟამადაც კი აქ ფილფილასთან მდებარე ქედს „**გურჯი-დაღს**“ მიიხნევენ ძველი საქართველოს საზღვრად, და ხალხური მესხიერება ხაზგასმით მიუთითებს აქ ძველი საქართველოს საზღვრის არსებობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტყეცბა-გულგულა ერქვა თანამედროვე სოფელ **ფილფილას**. ეს სოფელი მართლაც ტყეებსა და მდინარეთა ჩანჩქერებშია ჩაფლული და მისი მომცველი რაიონი მთელ აზერბაიჯანში საუკეთესო საკურორტო ზონად ითვლება.

როგორც აღინიშნა, ეტიმოლოგიურად ფილფილა და გულგულა ერთმანეთის მსგავსია, ამიტომაც ძველი ქართული წყაროების ანალიზიდანაც ჩანს, რომ სასაზღვრო პუნქტი გულგულა უნდა იყოს იგივე ფილფალა, ანუ ვართაშენის რეგიონში უნდა ყოფილიყო ისტორიული პუნქტი გულგულა - საზღვარი კახეთსა და ჰერეთ-ალბანეთს შორის.

ჰერეთი ჩვენი კვლევით ერქვა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ალაზან-იორის შესართავიდან და ფილფილა-გულგულადან მტკვარ-არაქის შესართავამდე, ხოლო საკუთრივ ალბანეთი ერქვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას, განბა-უტიკ-არცახის რეგიონს მტკვარ-არაქის შესართავამდე და იმის იქით კასპიის ზღვამდე ბასკანის ჩათვლით.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე ხილხალა, ვართაშენ-შაქის რეგიონში მდებარეობს, თუმცა ცნობილი არის მეორე საქართველოს ალბანეთის საზღვარზე მდებარე პუნქტი, თითქმის ამავე სახელისა: „ხილხილა“. მაგრამ ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, ხოლო ჩვენი ხილხალა იგივე თანამედროვე **ფილფილა**ა, ესაა ძველი გულგულა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, იქამდე აღწევდა უძველესი ისტორიული კახეთი.



აქვე, ვართაშენ-ფილფილა-გულგულ-ლასთან ახლოს, მათ დასავლეთით, უნდა ყოფილიყო კახეთის უძველესი ქალაქი ჩელები. ამის დასტურია ისიც, რომ მისი სახელი დღესაც ცოცხალი არის აღნიშნულ რეგიონში შაქსა და ვართაშენს შუა. მას, როგორც ითქვა, ამჟამად ჩაღვთს უწოდებენ.

მართალია სახელი ჩელები ემსგავსება ძველქართულ ქალაქ ქაღეთის სახელს, მაგრამ ჩელები ქაღეთი არ არის, ერთი შემდგომდროინდელი სიონის წყალსაცავთან მდებარეობდა, ხოლო მეორე შაქ-ვართაშენის რეგიონში. ამ რეგიონის ეკლესიების ქართული სახელები უჭკველად მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ქართველებით მჭიდროდ იყო დასახლებული და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ამ რეგიონის ქართველობა, როგორც აღინიშნა უკიდურესად დააზარალა შაჰ-აბასმა, როცა მან ეს მიწა-წყალი კახეთს ჩამოაცილა და სამართავად დაღესტნელ ლეკებს გადასცა. ამ პროცესმა ქართველების ასიმილაცია, რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ქართველების რაოდენობა აქ კიდევ უფრო შემცირდა XX საუკუნის დასაწყისში სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს, ამ დროს მათ მიატოვეს სოფელი ვართაშენი, ასევე სოფელი ნიჯი და თავი შეაფარეს თავიანთ ისტორიულ მშობელ ქართველ ერს, საქართველოს მიწა-წყალს.

1918-1922 წლებში მღვდელ ზინობი სილიკაშვილის მეთაურობით ისინი ვართაშენიდან გადასახლდნენ ყვარლის რაიონში. სულ, ჩამოსახლებულა 600 კაცამდე. მართლაც, როგორც აღინიშნა 1890 წელს ვართაშენში 150 ქართულ-მართლმადიდებლური ოჯახი ყოფილა. რაც ალბათ გულისხმობს 600 კაცამდე სულადობას, რომელთაც ყვარლის რაიონში სოფელი ზინობიანი დაუარსებიათ. მათაც ამჟამად უდინებს უწოდებენ.

წმ. არჩილ მეფის კახეთში მოღვაწეობა

მაღალაშვილის სახარების მინაწერში დაცული ცნობის მიხედვით კახეთის სოფელ განუხში მდებარე ეკლესია იყო წმიდა არჩილ მეფის სახელობისა, რაც საფუძველს გვაძლევს მოსაზრებისა, რომ ეს ეკლესია არჩილ მეფის მიერ იყო აგებული. მართლაც, ქართლის ცხოვრების ცნობით კახეთში არჩილს მრავალი ეკლესია აუგია.

ქართლის ცხოვრება წერს:

„ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყენა იგინი, აღაშენა ეკლესია **სამძორს**, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შეილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა **წუქეთს** და აღაშენა **კასრი** და ხევსა **ლაკუასტისასა** აღაშენა ციხე და პოვნა **წუქეთს** მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა **წუქეთი**, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა **თუშთა** და **ხუნზთა** ზედა და ყოველთა **წარმართთა მის მთისათა**, სახელით აბუხუასრო და არ ინება მისგან წარებად **წუქეთი** და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი **ნუხპატს** ორთა წყალთა შუა. ხოლო **ნუხპატელნი** უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნენ სარკინოზნი ქუეყანასა **რანისასა**; დაეკურათ **გაზირი** და **სომხეთი** და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა, ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრძმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს **ტარონით შაკიხად**, სამნი ძმანი და დაემკვიდრნენ მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, **რანით კერძი უმკვიდრო** ქმნილ იყო, ხოლო **ჰერეთი** და **კახეთი** ჭალაკთა და ტყეთაგან



უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პიტიახში ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელს ერქვა კალმახი და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურობებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოხნი შემოსვლად ქართლად ყურესა წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდამეთესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (ქართლის ცხოვრება, ტომი I, გვ. 243).

ამ დოკუმენტში ნახსენებია: კახეთი, საძმორი, წუქეთი, კასრი, ლაკუასტი, თუშები, ხუნძები, მთის წარმართები, აბუხოსრო, ნუხპატი, რანი, გაზირი, სომხეთი, ტარონი, შაკიხი, ჰერეთი, კლარჯეთი, ტაო, კალმახი და სხვა. ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ადგილსამყოფელი ცნობილია.

აღნიშნულ პუნქტთაგან ზოგიერთი ცნობილი არის „ქართლის ცხოვრების“ იმ ჩანართიდან, რომელიც შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ იქ ნათქვამია:

„იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (საწმესოსა) სამწყსოსა თვისსა ქართლსა: გამოღმა გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა...“ (ქართლის ცხოვრება I, გვ. 232).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართლის ქვეყანაში შემდეგი პუნქტები: გამოღმა კახეთი, გაღმა კახეთი, შაქი,

შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები ანუ დაღესტანი და ჩერქეთი, მათთან ერთად სვანეთი, ჩერქეზეთი, ოსეთი და ზემო ქართლში სამცხე საათაბაგო.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე პუნქტები არის დასახელებული 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში. როგორც აღინიშნა მასში ჩამოთვლილია შემდეგი სახელები – კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო, წახური, კაკელისენი, კასრი, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვარდთაშენი, თაბასარანი, ხუნძები, ნახჩები, თოშეთი, ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრები, ყოველი ვაკე ანუ მოვაკანი, ელისენი, ვერხვიანთ ზეგანი, იგრისა და ალაზნის შესართავი, ქურმუხი, ყოველი მთიულეთი, კაკი, ალვანი ანუ სავანია და სხვა.

1. შირვანი.

ყველაზე შორეული პუნქტი, სადაც ამ დოკუმენტების მიხედვით თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესია, იყო შირვანის პროვინცია. ის ამჟამად შედის აზერბაიჯანში და მოიცავს შამახის რაიონს, აქ განვითარებული არის მევენახეობა და ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად ითვლება. მიიჩნევა, რომ შირვანშაჰების სახელმწიფო ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში, აბასიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ, შირვან-შაჰების სახელმწიფო შეუერთდა საქართველოს დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ტიტული იყო შირვანშაჰი.

2. ჰერეთი.

შირვანს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. მართალია, არცერთ აღნიშნულ დოკუმენტში სახელი ჰერეთი ნახსენები არ არის, რადგან არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო I ათასწლეულშივე (მისი ძლიერების



პერიოდში), ამიტომ II ათასწლეულში მისი ხსენებაც კი გაქრა და დოკუმენტებშიც არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჰერეთის სახელი XX საუკუნეში გააცოცხლეს სამეცნიერო წრეებმა და მას მისთვის იქამდე უჩვეულო ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭეს. კერძოდ, XX ს. მეცნიერებმა ეთნიკურ ჰერებად გამოაცხადეს კახეთის ძირძველი ისტორიული რაიონების კახის, ბელაქნისა და ზაქათალას მოსახლეობა, მაშინ როცა თვით ძველი, თავდაპირველი, I ათასწლეულის ჰერეთი ეთნოსის სახით არც კი ჩამოყალიბებულა. ჰერეთი იყო ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი სადავო ალბანეთსა და ქართლს შორის, თანაც ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა ამ (კახის, ბელაქანისა და ზაქათალას) რაიონებს.

ისტორიული ჰერეთი იწყებოდა არა თელავის სოფელ გულგულადან, არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილადან. სწორედ ამ თანამედროვე პუნქტ ფილფილას ეწოდებოდა ქართულ წყაროში ნახსენები სახელი „ტყეცბა-გოლგოლა“, იგივე გულგულა. ე.ი. იყო ორი გულგულა, ერთი თელავთან, მეორე კი ვართაშენთან, როგორც ითქვა, **ისტორიული ჰერეთი** იწყებოდა ვართაშენის ფილფილა-გულგულასთან და გრძელდებოდა შამახამდე. უფრო ზუსტად იქვე მდებარე მდინარე **აღსუმდე**, ასე ერქვა მდინარეს რომელიც მტკვარს უერთდებოდა მარცხენა სანაპიროს მხრიდან. იქ სადაც მტკვარს მარჯვენა სანაპიროს მხრიდან უერთდება არაქსი.

აღსუს ქართველები თეთრ წყალს უწოდებდნენ. აქ საუკუნეთა მანძილზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც შეეხება უშუალოდ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარს, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი გადიოდა აღნიშნულ ფილფილა-გულგულასთან, და საქართველოს სახელმწიფოში შემა-

ვალი ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი უკვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს წარმოადგენდა აღნიშნულ აღსუ-თეთრწყალზე.

დიდხანს, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგაც, აქამდე აღწევდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია **შირვანის ქვეყანაში**. როგორც აღვნიშნეთ, აქვე შირვანთან მთავრდებოდა ჰერეთის საზღვარი.

ჰერეთი, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა ფილფილასთან, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა (მას ძველ წყაროებში ეწოდებოდა ტყეცბა - გოლგოლა). 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ რუკაზე ამ ადგილას პუნქტი **ხილხალა** ნაჩვენებია, როგორც აღინიშნა ის მდებარეობს ვართაშენის რაიონში. ქალაქ ვართაშენს XX საუკუნის ბოლოს შეუცვალეს სახელი და ოგუზი უწოდეს.

აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი გამოირჩევა თავისი ლამაზი და ხშირი ტყეებით, რადგანაც ამ რაიონის ნახევარი ტყით არის დაფარული. აქ არის ბევრი ჩანჩქერი, წყაროები, თერმული წყლები, ფაუნა ძალზე მდიდარია, მათ შორის ხოხობი და კალმახით, ხარობს ყოველგვარი ხილი, სოფელი **ფილფილა** სახელგანთქმული არის ხაღინების მქსოველი ოსტატებით, ამავე სოფელში ცნობილი არის ასევე რიყის ქვით ნაგები კოშკი XVIII საუკუნისა, რომელსაც სულხაიხანის კოშკს უწოდებენ, ეს კოშკი არის მდინარე გაღაჩაის ნაპირზე ფილფილასთან ახლოს.

ფილფილასთან გადის გზა, რომელიც უღელტეხილით გადადის ჩრდილო კავკასიაში, სამურის ხეობაში, იქიდან ეს გზა მიემართებოდა დერბენდისაკენ, ეს მომენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის ცნობას და ბადებს თვალსაზრისს, რომ **ფილფილა** და მოვსესის მიერ დასახლებული **ხილხილა** ერთიდაიგივე პუნქტია.



მოსეს კალანკატუაცის ცნობით დერბენდის ჩორის ქვეყნიდან ამ გზით, ხილხილას გავლით მტრები ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად მოემართებოდნენ, ე.ი. ჩრდილოკავკასიიდან, სამურის ხეობიდან ფილფილა-ხილხილას გავლით მიემართებოდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ, ანუ ალბანეთისაკენ. ფილფილას მხარე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ეს მიდამოები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ, როგორც აღინიშნა, აქ ერთერთ ქედს „გურჯი დადი“ ქართველთა მთა ეწოდება. გ. მარჯანიშვილი წერს - „გამოთქმული იყო მოსაზრება რომ სწორედ აღნიშნული ქედის არეში ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

ჭალეთი ამჟამად იწოდება ჩელეთად და არის ვართაშენის ანუ ოგუზის რაიონის ერთერთი სოფელი დასავლეთის მხარეს ანუ საქართველოს მიმართულებით.

„გურჯი დადის“ ქედამდე ანუ სოფელ ფილფილა იგივე გულგულამდე აღწევდა ქართლის სამეფოს ერთერთი რეგიონის-კახეთის საზღვარი პირველათასწლეულში.

ქართლის სამეფოში შემავალ კახეთს და ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ჰერეთს ერთმანეთისაგან გულგულა ჰყოფდა, ანუ აქ გადიოდა არა საქართველოს საზღვარი, არამედ ქართლის სამეფოს საზღვარი ფარნავაზის ეპოქიდანვე, ანუ გულგულამდე იგივე ფილფილამდე აღწევდა კახეთის საზღვარი, ხოლო გულგულადან „თეთრ წყლამდე“, ანუ აღსუამდე მდებარეობდა ჰერეთი.

მარტივად რომ ვთქვათ გულგულამდე (ფილფილამდე) – იყო კახეთი, ხოლო თეთრწყალ-აღსუამდე ჰერეთი. ე.ი. ჰერეთში შედიოდა ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონი, გაბალა, იგივე კუტკაშენის რაიონი და ისმაილის რაიონი, მასში შედიოდა შემახას რაიონის ერთი ნაწილი, აქედან გამომ-

დინარე კახეთში შედიოდნენ თანამედროვე შექის რაიონი, თანამედროვე გახის რაიონი ანუ კახის რაიონი, თანამედროვე ზაქათალას რაიონი და თანამედროვე ბელაქანის რაიონი.

შექის რაიონის მთავარ ქალაქს ძველად ერქვა ნუხა, აქაურ სოფლებში ისევე როგორც კახეთის ზემონამოთვლილ სხვა რაიონებში ეკლესიები აღუმართავს წმ. მოწამე არჩილ მეფეს.

კახეთის ეს ეკლესიები და ასევე ჰერეთის ზოგიერთი ეკლესია 1310 წელს მოუხილავს საქართველოს პატრიარქს, ჰერეთს ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებდნენ და მისი საზღვრები როგორც აღინიშნა აღწევდა გულგულამდე ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე, მის დასავლეთით მდებარე შექის ანუ ნუქას რაიონი ისტორიული კახეთის ნაწილი იყო. ამიტომაც ნუხის, შექის, კახის, ზაქათალას და ბელაქანის რაიონებში მდებარე ეკლესიები არ იყვნენ ალბანური ეკლესიები. ისინი იმთავითვე მცხეთის იურისდიქციაში შედიოდნენ და მათ აშენებდნენ კიდევ ქართლის მეფეები.

ამჟამად, ალბანურ ეკლესიებადაა მიჩნეული შექის ანუ ნუხის რაიონის სოფლების ბიდეიზის, ბაშკიუნგიუცის, ორთაზეიზიცის და კიშის (გიშის) ეკლესიები. მიჩნეულია, რომ კიშის ეკლესია წმ. ელისემ (მოციქულმა ელიშამ) ააგო, ეს ეკლესიები თავის მხრივ ს. კარაპეტთანს სომხურ ეკლესიებად მიაჩნია, მაშინ როცა ამ ეკლესიათა წარსული ისტორიის ნამდვილ და უეჭველ წყაროში, 1310 წლის ქართულ დოკუმენტში ისინი ქართულ იურისდიქციაში მოიხსენიებიან და მეორე ასეთივე წყაროში წმ. არჩილ მეფის ნაღვაწად მიიჩნევა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისს, მათ არ გააჩნიათ არავითარი პირდაპირი წყარო და ისინი მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. მაგალითად, ვარდთაშენის ეკლესია 1310 წლის წყაროში



იწოდება ელიას სახელობის ეკლესიად, ელია - ყოველთვის ეწოდებოდა წმ. წინასწარმეტყველ ელიას, ხოლო ს. კარაპეტციანს მიაჩნია, რომ თითქოსდა წყარო უთითებს არა ელიას, არამედ – ელიშეს - ალბანეთის განმანათლებელს, შესაბამისად მან ეს ვითომდა ელიშეს ეკლესია ალბანურ იურისდიქციაში მოაქცია. ეს წყაროს ცნობის განგებ დამახინჯებაა.

ოგუზის რაიონის - ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული და აქ არის ბევრი ჩანჩქერი. აქაა ტყეში ჩაფლული სოფელი ფილფილა, იგივე „ტყე-ტბა გულგულა“. დავით აღმაშენებელმა თავის სახელმწიფოს შეუერთა ამჟამინდელ გაბალასა და შამახას შუამდებარე თანამედროვე ისმაილის რაიონი აზერბაიჯანში, რომელიც ისტორიულ ჰერეთში შედიოდა.

3. შექი.

„შექი – მდებარეობს დიდი აბრეშუ-მის გზის ტრასაზე“.

შაქი არის სიტყვა შაკიხისაგან მიღებული, თავის მხრივ „შაკიხი“ არის იგივე „საკიხი“, ანუ საკახო, ნაწარმოებია ფუძიდან „კახ“ („კუხ“, „კიხ“) (აქედან სა-კახ-ო, შა-კიხ-ი, კუხ-ეთი).

ქიშ-ნუხი – სავარაუდოდ მდებარეობდა პუნქტ „გიშთან“ (კიში).

ნუხი – შექის რაიონი (ძველი ნუხა)

ამ ოლქში ხშირია სახელები „ნუხ“ ფუძე-ძირით, მაგ. განუხი და ნუხპატო. „ნოხო“ - გამოქვაბულია ადრეული რკინის სადგამის არტეფაქტებით ბელაქნის რაიონში.

როგორც აღვნიშნეთ 1310 წლის ცნობის მიხედვით საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო იქიდან გადავიდა წახურში შემდეგ მოიხილა კაკ-ელისენი და ამ პროვინციის ეკლესიები, კერძოდ ქალაქ კასრში ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, სოფელ ყუმში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართში წმ. მოციქულთა სწორ ნინოს სახელობის

ეკლესია, სოფელ ზარში წმ. მთავარ-მოწამე გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანში წმ. აბოს სახელობის ეკლესია, სოფელ განუხში წმ. არჩილის სახელობის ეკლესია, სოფელ ქიშ-ნუხში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ბარდაშენში წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობის ეკლესია და მათ შემდეგ მიმოიხილა სხვა პროვინციები: კერძოდ მოუვლია ხუნძეთი, ნახთა ქვეყანა, თუშეთი, იქიდან კვლავ გადმოსულა კახეთის მხარეს, მოულოცავს ნეკრესის, ლაგუთის, ბელაქანის, მაჯ-ფიფინეთის, ფერიჯან-მუხახ-მამრეთის და ძველი მოვაკანის, ანუ ვაკის და ელისენის ეკლესიები, რომლებიც მდებარეობდნენ ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე. ამ დროს პატრიარქ ექვთიმეს მიუცია ბრძანება, ყოველი მთიულეთის წინამძღვარი ქურმუხელი მთავარ-ეპისკოპოს კირილე დონაურისათვის თვითოეულ ამ ეკლესიაში გაეგზავნა სატრაპეზო-სახარების წიგნი. მართლაც, სოფელ კაკის წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს იასე ქიტიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს დავალება შეუსრულებია თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად.

ქიშ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ამ ჩამონათვალში მოთავსებულია ვარდიანსა, განუხსა და ვართაშენს შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქიშ-ნუხი ამ რეგიონში მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ვარდაშენს - ბარდაშენი ერქვა და მისი სახელი შესაძლოა დაკავშირებული იყოს არა ვინმე პიროვნება ვარდანთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა იქაური გიდეების მიერ, არამედ ქალაქ ბარდას სახელთან, რომელსაც ძველქართულად ბარდავი ერქვა. საფიქრებელია, რომ ქალაქ ბარდას მართლმადიდებელი მოსახლეობა გადასახლდა ახალ რეგიონში, სადაც ამჟამად ვარდაშენი, იგივე ოგუზი მდებარეობს და დააფუძვნა ბარდაშენი. ამ გადასახლებას თითქოსდა ვარდაშენის მოსახლეობის



ერთი ნაწილის ეთნო-სახელი „უდიელებიც“ (უდინი) მიუთითებს. ისინი ბარდის რეგიონის უტის ცნობილი პროვინციის მცხოვრებთა სახელი უნდა იყოს.

მაშასადამე, უტიელები გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით და მათთან გადაიტანეს ძველი პროვინციის - „უტისა“ და მისი მთავარი ქალაქის - „ბარდას“ სახელი - „უტი-უდინები“, „ბარდა-ვართაშენი“.

წყაროებში ასევე ნახსენებია პუნქტი, რომლის სახელიც ხელნაწერებში წაშლილია, თუმცა იკითხება: - „თა...სარანი“, ს. კარაპეტიანი მას დადესტნის ტაბასარანს უკავშირებს. ის, ჩანს ვარდაშენის რეგიონიდან ჩრდილოკავკასიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. „თა...სარანის“ ეკლესია წმ. პეტრეს სახელობისა ყოფილა.

ვარდაშენიდან ფილფილას გავლით ჩრდილო კავკასიაში გადასულ პატრიარქს მოუხილავს ჯერ ტაბა-სარანის, შემდეგ კი ხუნძთა ეკლესიები.

4. ხუნძთა ეკლესიები ნახსენებია ტაბასარანის შემდეგ.

წყაროში ხუნძეთის ადგილსამყოფელი ცნობილია, მას ამჟამად ავარიელების ქვეყანა ეწოდება დადესტანში, ავარიელები, როგორც ითქვა, ცხოვრობდნენ მდინარე სულაკის ხეობაში, ასევე შუა და დასავლეთ დადესტანში, მდინარე ანდისა და ავარის კოისუს ხეობებში, რომლებიც ამჟამად შეადგენდნენ ბუინაკისა და ხასაფ-იურტის რაიონებს.

5. ნახნთა ეკლესიები

ნახნებს ამჟამად უწოდებენ ჩენნებს, ასევე ვაინახებს, პატრიარქ ექვთიმეს დროს ნახნების ქვეყანაში, ანუ თანამედროვე ჩენნეთში, მრავალი ქართული ეკლესია ყოფილა, რომლებიც საქართველოს პატრიარქმა მოინახულა. იგულისხმება რომ ისინი საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ (ნახნების ქვეყანა იმ დროისთვის უფრო მეტად

მდებარეობდა მთის ზონაში, რადგანაც ჩრდილოკავკასიის ვაკე 1310 წლის დოკუმენტში არ იგულისხმება).

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილეს ებარა „ყოველი მთიულეთი“ ანუ კავკასიის მთიანეთის ეკლესიები - ხუნძების, ნახნებისა და სხვათა.

ჩანს ხუნძთა ეკლესიებში იგულისხმება მდინარე ასას ხეობისა და ტყობა-იერდის ეკლესიებიც. ჩანს ისინი მთავარეპისკოპოს კირილეს დონაურის წინამძღვრობით იმართებოდა.

6. წყაროში თუშეთი თოშეთად მოიხსენება. ჩანს თუშეთშიც ყოფილა ეკლესიები და მონასტრებიც.

7. თუშეთიდან პატრიარქი ექვთიმე გადასულა და მოუხილავს ნეკრესის, ლაგოეთის (ლაგოდეხის) და ბელქანის ეკლესიები.

8. შემდეგ წყაროში ნახსენებია მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი.

მუხახი მდებარეობს ზაქათალას რაიონში, ქ. ზაქათალას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი ალიაბადი. წყაროდან ჩანს, რომ მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი მდებარეობდა თანამედროვე ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში.

ამის შემდეგ წყაროში დასახელებულია „ყოველი ვაკე“ მას ამჟამად წყაროში ასევე ეწოდება ძველი მოვაკანი და ელისენი, ჩანს ეს უკანასკნელი ანუ ელისენი ვერხვიანთ ზეგანიდან იორალაზნის შესართავამდე მდებარეობდა, ხოლო მოვაკანი ერქვა ვრცელ ტერიტორიას აღნიშნული შესართავიდან მტკვრის ხეობას ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე.

როგორც ითქვა, ზაქათალას მომდევნო კახის რაიონის სოფელ კაკში წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი სამწიგნობრო ცენტრი აღნიშნული ვრცელი რეგიონისა, საიდანაც ქართული საღვთისმშასხურო წიგნებით მარადეობდა ყველა აღნიშნული ეკლესიამონასტერი, ე.ი. თანამედროვე კაბალას



(გაბალას) რაიონიდან ვიდრე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით (შეიძლება შევადაროთ, ტოპონიმი **კაბალა-გაბალა**, „გაბური“ - სახელი კახეთის მთავარისა და ასევე სახელი „გაბულოცი“).

(შენიშვნა: -

1) ლექართი - დღევანდელი „ლეკითი“.

2) ზარი - ზარნა.

3) ზაგემი, ბაზარქალაქი - აკისბაზარი (ზაქათალასთან) - კახეთის მეფეთა რეზიდენცია - ალიაბადთან.

4) მაჭი (VIII ს.) - ლაგოდეს-ბელაქანის გზაზე, მაჭისწყლთან (ლაგოდესთან ახლოს) - კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია.

5) ბოეთანი - კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია - მდ. ბელაქანის და ალაზნის შესართავთან. აქ იღებდნენ ელჩებს.

6) „კავკასიის დიდი კედელი“ (საინგილოს დიდი გალაგანი - იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე) - ის აუგიათ მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით XVI-XVII სს.-ში, აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები („Тифлисские ведомости“, т.82, 1830).

7) ქელი „გიურჯი დალი“ (ქართველთა მთა) - ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს - იქაურ ხალხში დაცული გადმოცემით - „გიურჯი დალის ქელის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი“ - (მარჯანიშვილი, გვ. 40).

8) „შარმატი“ (სარმატი) - „ქართველთა ნათესავი ტომი ჩნდება კავკასიაში“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 55).

9) „იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა“ - აპოლოდორი (ძვ. წ. II ს.) [გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 138].

10) „ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი - ურარტული... ყველაზე

ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას“ (იქვე, 143).

11) ისტორიული კახეთის ცენტრი - ზაქათალადან კახის რაიონის ჩათვლით ვიდრე ვარდაშენამდე (შექამდე) შაჰ-აბასმა ჩამოართვა კახეთის მეფეებს და იქ გააბატონა მის მახლობლად მცხოვრები დაღესტნის ტომი წუქებისა, ამიტომაც ამ ტერიტორიას ეწოდა - წუქეთი XVII-ის შემდეგ.

12) XVII ს-მდე წუქეთი ერქვა დაღესტნის თემს მდ. სამურის სათავეში.

13) ქართული წყაროების ცნობით ძველი წუქეთი მოიცავდა ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე დაღესტანში.

14) XVII ს-ის შემდეგ გაჩნდა ე.წ. ახალ წუქეთი (ყოფილ კახეთის ცენტრში ზაქათალას, ბელაქანის, კახის რაიონები), მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს მიწა-წყალს.

15) მაჭი (VII ს.) „მაჭის საერისთავო (XI ს.) მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნძახამდე, აქ შედიოდა პუნქტები - გიში, კახი, ლაკუასტი და სხვა, შაკიხამდე. საერისთავო გააუქმა 1471 წელს მეფე ლევანმა, ძველად, არაბთა შემოსევებისას, მის ალაზნისპირა ნაწილს - „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება - გარდაბანიც“ ერქვა, (მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე), მისი მოსახლეობა იყო ე.წ. კახნი-გარდაბნელები, ამ სახელწოდების ქართველობა მიმდებარე ტერიტორიებზეც ცხოვრობდა). არაბთა ნებით ჰერეთმა დაიპყრო, XI ს.-თვის განთავისუფლდა.

16) ბელაქანის, ზაქათალის, კახის, შექისა და ნაწილობრივ ვართაშენის რეგიონები, როგორც აღინიშნა, კახეთს ჩამოატრა შაჰ-აბასმა, აქ შექმნა ელისუს სასულთნო და შეიქმნა „ახალი წუქეთი“ იგივე „ალის-სულთანი“ იგივე მაჭის საერისთავო, სამწყვსო გიშელი ეპისკოპოსისა (ისტორიულ



კახეთში, მას არასწორედ ამჟამად ჰერეთს უწოდებენ).

17) ძველი წუქეთი იგივე წახეთი-წახური (დადესტანში).

18) ელისენი – მოიცავდა ტერიტორიას ქურმუხიდან ვიდრე გიშის-წყლამდე.

19) შაკიხი – შექია.

20) გიში – შექის მახლობლად (აქ შემდეგ გადაიტანეს კათედრა).

ხუნძახის ეპარქია (გაგრძელება)

დადესტნის გიდატლის ოლქი სახელგანთქმულია იმით, რომ იქ არის X-XI საუკუნეების ცნობილი სიძველის – დათუნას ეკლესია. ეს ერთადერთი დაუნგრეველად გადარჩენილი ქრისტიანული ნაგებობაა მთელ დარესტანში. დანარჩენი უამრავი ეკლესია მხოლოდ ნაკვალევებსა და ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

გიდატლის თემში შედიან სოფლები ურდა, ტიდიბი, ხოდოტა, მანადა, გენტაბი, კახიბი და სხვები. XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატელები – „ხიდის ოლქის მცხოვრებნი“ იწოდებიან „ქართველებად“. ამ წყაროს ცნობით გიდატელები – ეთნიკური ქართველები იყვნენ.

მთელი მთიანი დადესტანი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. დადესტნის ეს ცენტრალური მხარე ქრისტიანობის თავდადებული და მხურვალე მხარდამჭერი იყო, ამით უნდა ავსხნათ დათუნას ეკლესიის გადარჩენა. აქ ბოლო ქრისტიანი თავადის სახელიც ახსოვთ – „კავსარი“, ის სოფელ მანადაში ცხოვრობდა, ხოლო სოფლის ეკლესია ისლამის მიღების შემდეგ სოფლებებს დაუწვავთ. ყველა აღნიშნულ სოფელში ნაეკლესიარებს აჩვენებენ, გადარჩენილა ეკლესიების ზოგიერთი ქვაც, რომლებიც საცხოვ-

რებელი სახლების კედლებშია ჩაყოლილი.

ხალხური გადმოცემა დათუნას ეკლესიასთან დაკავშირებით ასეთია – აქ ცხოვრობდა ვინმე ქართველი, რომელსაც ერქვა „თავადო“, მან თხოვა ხუნძახის ნუცალს დაეტოვებინა ის ამ ადგილას (როგორც ქრისტიანი), სამაგიეროდ დაეხმარებოდა ნუცალს კახეთში ლაშქრობისას. გიდატლის თემი მდებარეობს საქართველო – ავარიის დამაკავშირებელ გზაზე (იქვე გვ. 13).

ხუნძახშიც მრავალი ქართული ნაეკლესიარია შემორჩენილი.

ავარიის ისტორიულ ცენტრში ხუნძახის პლატოზე აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაშთები.

ყურადღება მიიპყრო ქართველ არქეოლოგთა მიერ სოფელ ხუნძახის ახლო აქაროს დასახლებაში აღმოჩენილმა საეკლესიო ნაშთმა X-XIV საუკუნეებისა, რომლის სიგრძეა 17 მეტრი და სიგანე 8 მეტრამდე. სახურავის ნაწილი მოჭიქურებულ კრამიტისაგან იყო. აქაროს მთაზე აღმოჩნდა ასევე უამრავი ნამსხვრევი ჯვრებისა ასომთავრული და ნუსხასუცური წარწერებით. ეს ჯვრები დაუმსხვრევიათ, ხოლო ეკლესია გადაუწვიათ XIII – XIV საუკუნეებში ხუნძახზე გაზივლთა შეტევის დროს. მუჰამედ რაფი XIII-XIV სს.-ში აღწერს ამ შეტევას თავის „დადესტნის ტარისში“.

ამავე პლატოზეა მეორე ქართული ეკლესია სოფელ ამიტლთან. ამ პლატოზე მდებარე უამრავი საეკლესიო ნაშთი ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, მაგრამ ამ ეკლესიებიდან ამოღებული ზოგიერთი არტეფაქტი ცნობილია, მაგალითად ქართული წარწერა სოფელ ხუნძახის ტადრაალიდან – „აღაშენეთ ეს ეკლესია წმიდა კოსმა და დამიანესი ჩვენ უჩადადანელებმა“ (ინახება თბილისში, ისტორიის მუზეუმში).

გადმოცემით მეორე ეკლესია მდებარეობდა სოფელ ხინთან, რაც დადასტურდა გათხრებით. აქ ძალზე მნიშვნე-



ნელოვანია, რომ აქ აღმოჩნდა სეფის-კვერის ბეჭედი ხუცური წარწერით – „**იესო ქრისტე, ძლევა**“ (ნეგატიური დაქარაგმებით) – თარიღდება XIII ს-ით.

იქვე ახლოს ს. ბაიბის ეკლესიის ქვები სახლების მშენებლობაში გამოუყენებიათ, ახსოვდათ, რომ ეკლესია იყო დათუნას ეკლესიის მსგავსი.

გადმოცემით ს. ობიდაშიც ყოფილა ეკლესია, ნაეკლესიარ ადგილზე აღმოჩნდა ქვის ჯვარი. ასე, რომ ხუნძახის პლატოს ქრისტიან მოსახლეობას მრავალი ეკლესია ემსახურებოდა მდ. ავარიის კოისუს ახლოს.

მდ. კაზიკუმუხის კოისუს ხეობაში მდებარე ანდალალის ოლქშიც მრავალი ქართული ეკლესია იდგა. ისლამიზაციამდე ამ ქრისტიანულ ოლქს ერქვა – ვიცხუ, მასში ერთიანდებოდნენ სოფლები – ჩოხი, სოგრატლი, ობოხი, მეგები, გამსუტლი, რუგუჯა, კუდალი, კეგორი, სალტა, კოროდა, გუნობი, ხოტოჩი, გონოდა, ხინდახი. გამოთქმულია აზრი, რომ მათ ქრისტიანობა XIV-XV საუკუნეებამდე შეინარჩუნეს (იქვე, გვ. 18). ამ ტერიტორიას ირხანის ისტორიაში „ჩახაალის ოლქი“ ეწოდება. მის ერთერთ დასახლებას – „წმიდა გიორგის გორა“ ერქვა. აქ აღმოჩნდა ჯვარი „ქრისტიანული წარწერით“ (ე.ი. ქართული წარწერით). აქ მდებარე სოფელ გუნობთან შამილის გამო რუსებმა დიდი ომები გამართეს, რამაც ფ. ტახნაევას სიტყვით, მრავალი ქრისტიანული ნაშთი მოსპო. ზოგიერთი საეკლესიო ქვა სახლის კედლებშიც ჩაუტანებიათ. ერთერთ მათგანზე აღმოჩნდა ქართული წარწერა (სოფელ რუგუჯასთან) – „**ქრისტეს ჯვარო, წმიდა გიორგი, შეეწიე დარხვას და მის შვილებს**“ თარიღდება XIV-XV სს-ში.

ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლები ბაცალა, უნტი, შულანი და კულაბი მათ ახლო მდებარე ხუცურებთან ერთად იწოდებოდა ასე – „**გურჯიხლი**“, როგორც აღინიშნა ითარგმნება, როგორც „ქართველობა“.

ამ სოფლების სამაროვნებზე ცნობილია ქრისტიანული საფლავები და მრავალრიცხოვანი ჯვრები. ფ. ტახნაევა ამ სოფლებთან დაკავშირებით წერს – „ყველაზე ნათელ და ქრისტიანული კულტურის მთლიანად შეუსწავლელ ძეგლს წარმოადგენს ამ ოლქში არსებული ზიარათი – „თამარის საფლავი“, ამ სოფლებთან ახლოს მთაზე, 5-10 კილომეტრში მთაზე, ადგილზე, რომელსაც „სესდაგაბური“ ეწოდება, ესაა სოფელ რუგუჯასთან ასევე 5-10 კილომეტრში (იქვე, გვ.18). ამ ზიარათის ნაგებობის ქვაზე გამოსახულია წმიდა ნინოს ჯვარი – ეს ნაგებობა შემდეგში გადაუკეთებიათ მუსულმანთა სამლოცველოდ და აქ მრავალი მლოცველი დადის. ამ ოლქში მცხოვრები „ქართველობისათვის“ ბუნებრივია „თამარი“ უნდა ყოფილიყო თამარ მეფე, რომლის საფლავსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხე იჩემებდა.

სოფელ ნაკაზუხში 1940 წლამდე მდგარა სამრეკლო, რომელიც ხრამში გადაუგდიათ ათეიზმის მძლავრობისას, ხოლო სოფლის ეკლესიის ნანგრევების მიმართ ხალხი პატივისცემას გამოხატავდა, ითვლებოდა სიწმიდედ და გვალვის დროს აქ იკრიბებოდნენ ქალები და ადასრულებდნენ წესებს წვიმის მოსვლისა (ეს ჩვეულება გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში). 1990 წლამდე აქ ეკლესიის კედლებიც იდგა. ფ. ტახნაევა – „ანდალალში მუსულმანობის პერიოდამდე ეკლესიების არსებობა ქრისტიანულ ვიცხუსა და კარახის („ქართველობის“) თემში, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა აქ მტკიცედ იყო დამკვიდრებული“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიასში, გვ. 19).



ანწუხის ეკლესიები

ანწუხის თემი 21 სოფლისაგან შედგებოდა. ის მაღალაშვილის სახარების ცნობით მოიხილა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ 1310 წელს, შესაბამისად აქ მრავალი ეკლესია მდგარა, მაგრამ ისინი გამოუკვლეველია, რადგანაც ეს თემი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ანწუხი და ხუნძახი დაღესტნის მსხვილი საეკლესიო ოლქები იყვნენ. აქ ქართული წყაროების ცნობით არა მხოლოდ საეპისკოპოსოები, არამედ საკათალიკოსოც კი არსებობდა. როგორც აღინიშნა ანწუხის საეპისკოპოსო მოხსენიებული არის მაღალაშვილის სახარების მინაწერში, ხოლო ხუნძახი სინას მთის ქართული წყაროს ცნობით საკათალიკოსო ოლქიც კი ყოფილა, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში.

დაღესტნის ქრისტიანობის ბედი შეიცვალა თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომ.

საერთოდ, დაღესტანში მუსულმანობა როგორც ჩანს XIII საუკუნიდან ვრცელდებოდა, ის იჭერდა ქრისტიანობის ადგილს, მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ქრისტიანულ აღმსარებლობას დაღესტანში, სწორედ ამ შუა პერიოდში თემურ-ლენგის შემოსევამდე დაღესტანში საგანგებოდ იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ. მაშასადამე, ის დაღესტანში მივიდა იმ დროს, როდესაც კასპიის ზღვისპირეთიდან თანდათანობით შეღწევა დაიწყო მუსულმანობამ. ქრისტიანობის განსამტკიცებლად პატრიარქმა დიდად იღვაწა, მისი სამისიონერო მოღვაწეობა დარესტნის მთიანეთის ურთულესი გზებით ჩეჩნეთში, იქიდან თუშეთში, შემდგომ კახეთსა და მიმდებარე რეგიონებში არაქსამდე, უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უიშვიათეს მოვლენად, არამედ გმირულ თავდადებადაც, თითქოსდა ის გრძნობდა წინასწარი ხედვით თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგებს და ყველაფერს აკეთებდა მის შესამცილებლად.

თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში

(საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 2009, გვ. 862, 865, 866.)

1386-1403 წლებს შორის თემურ-ლენგი 8-ჯერ შემოესია საქართველოს – 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402, 1403 წლებში.

სამხრეთელი მონღოლები სასტიკად სჯიდნენ საქართველოს ჩრდილოეთთან, ოქროს ურდოსთან, კავშირისათვის. ეს კავშირი განუახლებია დავით VI-ს, მეფემ ისევ ჩრდილოეთისკენ იბრუნა თავისი პოლიტიკური გეზი და კვლავ „წარაგლინა ძმა მისი ბაადური დიდსა ყანისა თოხთას წინაშე“. ეს ხდება XIV საუკუნის დასაწყისში, ანუ თემურ-ლენგის შემოსევებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე.


ირანის მონღოლებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთის გზების ხელში ჩაგდება, საქართველო მათ მოკავშირედ არ იქცა და ის გზას უთმობდა სამხრეთისაკენ მოლაშქრე ოქროს ურდოს ჯარებს.

XIV საუკუნის დასაწყისში ირანის პოლიტიკურ წრეებში წარმოშობილა იდეა, რომ ირანს უშუალოდ პოლიტიკური კავშირი ჰქონოდა არა საქართველოსთან, არამედ მის კავკასიელ მეზობლებთან, რომელთა საცხოვრისის მახლობლადაც აღნიშნული გზები გადიოდა.

ამის გამო, 1301 წელს ყაზან ყაენმა შირვანისა და ლეკეთის მთიანეთში გასწია „აქ მას მორჩილების გამო-საცხადებლად დიდი ხნის წინათ აჯანყებული ლეკების ტომთა მეთაურები წარუდგნენ“.

საქართველოს ოქროს ურდოსთან დაკავშირებით არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია თავისი პოლიტიკა, ამიტომაც თემურიც, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა უშუალოდ დაემორჩილებინა კავკასიელი ტომები. გააერთოვლებინა ისინი მათში მაჰმადიანობის გავრცელებით.

როგორც თემურს, ისე ილხანებს, არ შეეძლოთ თავიანთი ლაშქრით დიდი ხნით დაეჭირა აღნიშნული გადმოსა-



სველელი, ამიტომაც მოიმხრეს ამ გადმოსასველელის მახლობლად მცხოვრები ტომები. ჩაასახლეს ისინი უშუალოდ ამ გადმოსასველელის ტერიტორიებზე, და უფრო მეტიც, შეეცადნენ აემხედრებინათ ისინი ქართველ მეფეთა წინააღმდეგ, ამ საშუალებით ფიქრობდნენ გადმოსასველელზე ქართველთა სახელმწიფოს კონტროლის გაუქმებას.

1391 წელს თემური თოხთამიშის გასანადგურებლად დაიძრა და დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ოქროს ურდომ მალევე შეძლო გაძლიერება, თოხთამიში 1393 წლისათვის დარუბანდის გზით შირვანშიც კი შეიჭრა. „ცხადია, რომ თოხთამიშ-ხანს საქართველოსა და დაღესტნის მეთაურებთან წინასწარ, შეუთანხმებლივ ასეთი საქმის დაწყება არ შეეძლო... გადაწყვიტა, დაესწრო და დარიალანის გადმოსასველელის ყველაზე უმოკლესი და საშიში გზის ხელში ჩაგდებათ თოხთამიშის ლაშქრისათვის გზა შეეკრა“. თემური შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ კი, არაგვის ხეობაში. ეს იყო მესამე შემოსევა.

1395 წელს თერგის პირას თემურმა თოხთამიში სასტიკად დაამარცხა. ოქროს ურდოს დედაქალაქშიც შეაღწია და გადაწვა.

„უკან დაბრუნების დროს თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურ-ლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“.

მიუხედავად 1395 წელს ჩრდილო კავკასიის დალაშქრისა, 1398 წელს საქართველოს მეფემ გიორგიმ დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები და დასძრა ნახივანისაკენ.

ეს იმას მიუთითებდა, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეეცდებოდა თემურ-ლენგი გაეკრცვლებინა მთიელთა შორის მაჰმადიანობა და ჩამოეშორებინა ისინი საქართველოსაგან. თემურმა კვლავ ილაშქრა არაგვისა და ქსნის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში „ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“.

თემურს გაუნადგურებია ჩრდილო კავკასიაში ოსების სამთავრო. აყრილი ოსების ნაწილი დვალეთში, ანუ დარიალისა და მამისონის უღელტეხილების შორის დასახლებულა.

კავკასიის მთებში ოსები ჩინგის ყანის შემდეგვე შემოვიდნენ, მაგრამ თემურის დროს ეს პროცესი გაძლიერებულა.

„კვლავ შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღების კონსტანტინეპოლისა ემძლავრნენ ოსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქ-თემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოვილტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავი, რომელ არიან დვალნი“.

ამ დროისათვის ოსებმა დაიპყრეს დვალეთი და დაიმორჩილეს დვალეების ქართული ტომი, იმდენად, რომ ოსები დვალეთში ზედა ფენად, დვალეები კი ქვედა, დამონებულ ფენად იქცნენ. ასეთივე პროცესები განვითარდა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, აქაც თემურმა სხვადასხვა ტომები შემოიყვანა და ისინი გააბატონა ადგილობრივ ქართული წარმოშობის ქრისტიანულ მოსახლეობაზე, რომელთა ასიმილაციაც სწრაფი ტემპით წარიმართა.

1400 წლისათვის დვალეების აჯანყება ქართველთა მეფის წინააღმდეგ უთუოდ თემურის პოლიტიკის შედეგი იყო.



„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“

თემურ-ლენგის შემოსევებამდე და-
ლესტანსა და ჩენეთში ქრისტიანული
სარწმუნოების განსამტკიცებლად იმოგ-
ზაურა საქართველოს პატრიარქმა, ალ-
ბათ მან წინასწარ თუ განჭვრიტა
თემურის ლაშქრობათა გამანადგურე-
ბელი შედეგები და სურდა მათი წინას-
წარი ნიველირება.

იმჟამინდელ მსოფლიოში შექმნილი
ვითარების გათვალისწინებით, როცა
თანდათანობით იშრიტებოდა ძალები
ბიზანტიისა და საქართველოს ქრის-
ტიანული სახელმწიფოებისა და მძლავ-
რობდა მაჰმადიანობა, XIV საუკუნეში
1310 წლიდან ვიდრე 1380-იან წლებამდე
თემურის შემოსევამდე, ანწუხის და
ხუნძახის საეპისკოპოსოების ბაზაზე
ჩამოყალიბდა ხუნძეთის საკათალიკოსო.

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“
ნახსენები არის XIV საუკუნის სინას
მთის სინოდიკოში.

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზ-
რება, რომ საქართველოს საპატრიარქო
XIV საუკუნისათვის შედგებოდა რამ-
დენიმე საკათალიკოსოსაგან, ესენი
იყვნენ აფხაზეთის, ქართლისა და ხუნ-
ძეთის საკათალიკოსოები. ამ საკათა-
ლიკოსოებს ჰქონდათ იგივე ფუნქცია,
რაც გააჩნდათ ბერძნულ საპატ-
რიარქოებში მიტროპოლიებს ანუ ხუნ-
ძეთის საკათალიკოსო იყო, ერთერთი
მიტროპოლია საქართველოს ეკლეს-
იისა.

იგივე მოსაზრება, ჩვენგან დამოუ-
კიდებლად გამოთქვა ფ. ტახნაევამაც.
კერძოდ ის წერს – „XIV საუკუნის
დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებას
განაგრძობს საქართველოს მართლ-
მადიდებელი ეკლესიის მიტროპოლია,
რომელიც წარმოიქმნა ხუნძახის
პლატოზე XIII საუკუნის შუა წლებში“
(ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში,
გვ. 39).


ჩვენი ფიქრით ხუნძეთის საკათა-
ლიკოსო ჩამოყალიბდა საქართველოს

პატრიარქის ექვთიმეს მიერ ხუნძეთის
მოხილვის შემდგომ XIV საუკუნის
დასაწყისში. უფრო მეტად საქართვე-
ლოს მეფის გიორგი ბრწყინვალის
დროს (1318-1346).

თემურის შემდგომ, XIV საუკუნის
ბოლოსათვის, ხუნძახში და დაღეს-
ტანში ვითარება აბსოლუტურად შეცვ-
ლილი იყო. იქ როგორც ჩანს ხუნძელ
კათალიკოსს აღარ დაედგომებოდა და
ჩანს ის გამგზავრებული და თავი
შეუფარებია სინას მთის მონასტ-
რისათვის. მსგავსად იმ ეპისკო-
პოსებისა, რომლებიც მესხეთის ისლა-
მიზაციის გამო ტოვებდნენ თავიანთ
კათედრებს და თავს აფარებდნენ სხვა
რეგიონებს.

როგორც აღინიშნა, ხუნძეთის საკა-
თალიკოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო
სოფელ ხუნძახის ცნობილ პლატოზე,
სადაც აქაროსთან აღმოჩნდა ძალზე
საინტერესო ქრისტიანული ეკლესიის
ნანგრევები, როგორც ჩანს ხუნძეთის
საკათალიკოსო მხოლოდ რამდენიმე
ათეული წელი არსებობდა. ფ. ტახნა-
ევას ძალზე საინტერესო დაკვირვებით
ტერმინი საკათალიკოსო აღნიშნავდა
როგორც მთლიანი ავტოკეფალური
ეკლესიას, ისე მის დიდ სამიტრო-
პოლიტო ოლქს, სწორედ ასეთი სამიტ-
როპოლიტო სტატუსი ჰქონდა ხუნძეთის
საკათალიკოსოს, რომელიც ერთერთი
საეკლესიო ერთეული იყო საქარ-
თველოს ეკლესიისა, როგორც ჩანს ის
მოიცავდა ხუნძეთთან ერთად მთელ
მთიან დაღესტანს.

ფ. ტახნაევას დაკვირვებით ამჟამად
ერთმანეთს არ ემთხვევა ავარიელთა
ტომის ძველი სახელმწიფოებრივი
გაერთიანებისა და ავარიელების გან-
სახლების ამჟამინდელი საზღვრები.



ქართველები დაღესტანში

ფ. ტახნაევა ცნობილი წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობებს, დაღესტნის ზოგიერთი ოლქში ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ ხსნის ისე, თითქოსდა წყაროს ტერმინი „ქართველი, ქართველები“ ნიშნავს არა ეთნიკურ ქართველს, არამედ კონფენსიალურ ქართველს ანუ ნიშნავს იმ დაღესტნელს, რომელიც აღიარებდა ქართულ სარწმუნოებას (მართლმადიდებელ ქრისტიანობას), ჩვენ არ ვეთანხმებით ამ საკითხში ტახნაევას და ვსვამთ კითხვას, თუ ეს ასე იყო, მაშინ როგორღა უნდა ავხსნათ ამავე წყაროს ცნობა ავარიელთა რუსობის შესახებ? ამ წყაროში ავარიელები რუსებად იწოდებიან.

წყაროს ამ ცნობის ანალიზისათვის ჩვენ ალბათ გამოვადგება თანამედროვე დაღესტნის თითქმის ყველა ტომში დაცული გადმოცემები მათი წარმოშობის შესახებ. ზოგიერთ სოფელში მიუთითებენ ძველი სამშობლოს ადგილსამყოფელის შესახებ.

ამ ტომთა გადმოცემები მიუთითებს რუსეთის ტერიტორიებიდან დაღესტნის მთებში მათი დასახლების შესახებ. ავარიელთა ცნობილი ტომის ნაშთები რუსეთის ტერიტორიის სამხრეთით ცხოვრობდნენ. ეს ის ავარიელებია, რომელნიც V-VII საუკუნეებში ევროპაშიც ლაშქრობდნენ და მას შიშის ზარს ცემდნენ. მათი გადარჩენილი მცირე ნაშთები თემურ-ლენგს დაღესტანში ჩაუსახლება შემდგომში რუსეთში შემავალი ტერიტორიებიდან

XIV საუკუნის ავთენტური წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით, ავარიელები „სუფთა წყლის რუსებად“ იწოდებიან.

როგორ უნდა გავანალიზოთ წყაროს ეს ცნობა - ავარიელების რუსებად მიხნევა, მაშინ როცა ეს წყარო დაღესტანშივეა შედგენილი, ჩანს თვითმხილველის მიერ.

ირხანის ისტორიაში ავარიელთა რუსობა უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ ავარიელები იყვნენ რუსეთის ტერიტორიებიდან კავკასიაში ჩასახლებული ხალხი, უფრო სწორად იმ ტერიტორიებიდან, რომელნიც შემდგომ რუსეთმა დაიპყრო და წყაროს შედგენის მომენტში რუსეთის ტერიტორიად მოიაზრებოდა. წყარო უნდა აღნიშნავდეს იმ მომენტს, როცა თემურ-ლენგმა რუსეთის სამხრეთის სტეპებიდან მოსახლეობა შეიყვანა დაღესტნის მთიანეთში და მათი დახმარებით თითქმის მთლიანად შეცვალა მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოსახეხალხთა ამ გადასახლების შედეგად მთლიანად შეიცვალა დემოგრაფიული სურათი, ასეთი ვითარება შუა საუკუნეებში იყო ჩვეულებრივი მოვლენა.

XX საუკუნეშიც კი და XXI საუკუნის დასაწყისში ისე შეიცვალა სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი დიდი ოლქის დემოგრაფიული სურათი, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც ცნობილი და განხილვადი არ ყოფილა. მაგალითად, XX ს-ში შეიცვალა ჩრდილო სომხეთის ეთნოგრაფიული სახე და იქ მცხოვრები თითქმის ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი სხვაგან გადასახლდა. იგივე მოხდა აფხაზეთსა და ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთში, ამ ოლქებიდანაც თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი დევნილად იქცა და სხვაგან გადასახლდა. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო როგორც ვახუშტის ისტორიიდანაც ჩანს XIV-XV საუკუნეების კავკასიის მთიანეთში.

თემურ-ლენგის მიზანმიმართული ქმედება ის იყო, რომ აუცილებლად შეეცვალა საქართველოს მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ეთნოგრაფიული ვითარება და იქ მცხოვრები ქართველობა დაემცრო ან გაექვევინა სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის რელიგიის გამოყენებით.

თემურ-ლენგი იძულებული გახდა 8-ჯერ შემოსეოდა საქართველოს, რადგანაც ვერ შეძლო მისი სახელმ-



წიფობის გაუქმება და საბოლოო დამორჩილება.

საქართველოს გაუტყველბის მიზეზების ძიებისას შეწუხებულ თემურლენგს აუხსნეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ძალებს იღებდა ჩრდილო კავკასიიდან, რომელთანაც საქართველო ერთ მთლიან ეთნორელიგიურ ერთეულს შეადგენდა.

თემური მიხვდა რომ საქართველოს დასამარცხებლად საჭირო იყო საგანგებო ღაშქრობა ჩრდილო კავკასიაში, რათა შეეცვალა მისი დემოგრაფიული და რელიგიური სახე.

იმჟამად ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო, ქართველობასთან ბრძოლა იყო ქრისტიანობასთან ბრძოლა და პირიქით. ჩრდილო კავკასიაში ქართველობის მატერიალური განსახიერება იყო ქრისტიანული ეკლესიები, ქრისტიანული სალოცავები და თვითონ მოსახლეობის ქრისტიანული სარწმუნოება.

ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვა არ იყო ადვილი თემურისათვის, ამიტომაც მან ხერხი იხმარა და რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთში შეიყვანა უკვე მუსულმანურად მიხეული სხვადასხვა ტომები.

ახალი ჩეჩური ტომები ხაზარეთის ყოფილი სახაკანოსაგან დარჩენილი ეთნიკური ნამსხვრევებისგან შედგებოდა, რომლებიც ჯერ კიდევ იყვნენ იუდაიზმის გავლენის ქვეშ, ახალი დაღესტნური ტომებიც ხაზარების იუდაიზმის გავლენას განიცდიდნენ. თემურის დროს ჩანს ისინი რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ასე თუ ავხსნით ირხანის ისტორიაში დართულ ცნობებს დაღესტნის ზოგიერთი თემის ებრაელობის და ზოგიერთი თემის რუსობის შესახებ.


მაშასადამე, წყაროს ცნობაში ტერმინით „ქართველი“ აღინიშნება დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა თემურის ღაშქრობათა ეპოქაში, ტერმინით „ებრაელი“ აღინიშნება თემურის ეპოქა-

ში დაღესტანში დასახლებული ყოფილი ხაზართა სამეფოსაგან დარჩენილი იუდაური აღმსარებლობის მქონე ეთნიკური ჯგუფები, ტერმინით „რუსი“ აღინიშნება სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში ჩასახლებული სხვადასხვა ტომები.

დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა ქართველებად იწოდებოდა, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ სახელი, რომლითაც საქართველოს სხვა კუთხეებში იცნობდნენ, ეს იყო „ლეკი, ლეკეთი“. ლეკოსი ქართლოსის „თვისად“, ე.ი. ქართველთა თანამეტომედ მიიხსენოდა სწორედ თემურლენგამდე. შემოსულმა ე.წ. „სინოკავკასიურმა“ ტომებმა იქამდე ქართული წარმოშობის ლეკების ასიმილირება შეძლეს, რის შედეგადაც ახალი შერეული წარმოშობის ხალხი ჩამოყალიბდა, თუმცა დაღესტნის ზოგიერთ კუთხეში თავიანთი ქართული წარმომავლობა ახსოვდათ, რაც წყაროებით და დოკუმენტებით დასტურდება.

ბუნებრივია, დაღესტანში ქრისტიანობის დამარცხებისა, მუსულმანობის გამარჯვებისა და ახალი ხალხის მკვიდრებზე გაბატონების ეპოქაში და შემდგომ, დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა იღებდა ისლამს და ისინი წარმოადგენდნენ დაღესტნის მოსახლეობის უმეტესობას, მაგრამ ისინი სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე მდგარი, დამარცხებულ-დამონებული ხალხი იყო, ხოლო გამარჯვებული მოსახლეობა, ანუ ახლად შემოსული ხალხი იყო დაღესტნის ახალი საზოგადოების ზედა ფენა, მმართველობა, რომელთა კულტურა ანუ ისლამის სარწმუნოება სავალდებულო იყო ყოველი თემისათვის. ალბათ შესაძლებელი არის ასეთი სახით წარმოვიდგინოთ კავკასიის მთებში ახალი ენებისა და ახალი ეთნოსების ჩამოყალიბება XIV-XX საუკუნეებში.

ვახუშტი ბატონიშვილი ასევე აღწერს თანამედროვე ოსი ხალხის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ისტორიულ ოლქ დვალეთში ცხოვრობდნენ მკვიდრი



დვალი ქრისტიანები, მათი ქვეყანა დაიპყრო შემოსული ოსების მცირერიცხოვანმა, მაგრამ ორგანიზებულმა ჯგუფმა, ისინი გაბატონდნენ და შეიქმნენ დვალეთის ახალი საზოგადოების ზედა ფენად, დაბალი ფენა – „გლეხები“ იყვნენ უუფლებო და დამორჩილებული მკვიდრი დვალეები. XVIII საუკუნეში ისინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ თავიანთ დვალურ კილოზე, რომელიც მათ საბოლოოდ დაივიწყეს და მიიღეს ზედა ფენის ოსური ენა, დაივიწყეს თავიანთი ძველი იდენტობა, ჩამოუყალიბდათ ახალი ოსური თვითშეშეცნება, ანუ ჩამოყალიბდა ახალი ერი ძველი ეთნოსუბსტრატის საფუძველზე.

ასეთივე გზით ჩამოყალიბდნენ ახალი ერები. მაგალითად ლათინურ ამერიკაში მექსიკელებისა, რომლის ეთნოსაფუძველია დაბალი ინდიური წარმოშობის ტომები, რომელთა კონსოლიდაცია ახალ ერში მოხდა შემოსული ზედა ფენის რელიგიისა და კულტურის გათავისების საფუძველზე.

არ არის გამორიცხული, რომ მსგავსადვე ჩამოყალიბდა კავკასიის ეთნოსები XIV–XX საუკუნეებში.

კავკასიის მრავალრიცხოვანი ეთნოსები თუ ტომები მკვიდრი ადგილობრივი დამარცხებული უმრავლესობისა და შემოსული გამარჯვებული უმცირესობის ურთიერთშერწყმით უნდა ჩამოყალიბებულიყო უმცირესობისაგან შედგენილი ზედა ფენის ჰეგემონობით, ეს ზედა ფენა იქცა დვრიტად, რომელმაც სრულებით შეძლო ასიმილირება მკვიდრი მოსახლეობისა თავისი ადათისა და რელიგიის წიაღში.

თავდაპირველად, დაახლოებით XV–XVI საუკუნეებში, დაღესტნის მოსახლეობის დაბალი ფენის ენა ქართული ან მისი დიალექტი უნდა ყოფილიყო, რომელიც დაფარულად გამოიყენებოდა ოჯახებში, ალბათ უფრო მოხუცი ქალების მეტყველებაში, ოფიციალურად კი ზედა ფენის ენა იქნებოდა საკავალდებულო.

ამავე დროს ალბათ ხდებოდა ახალი საზოგადოების წარმოქმნა ადგილობრივი და შემოსული ზედა ფენის ურთიერთშერწყმით. რადგანაც დაღესტანში მრავალი სხვადასხვა წარმოშობის ტომი შემოიყვანა თემურის ისლამიზაციის პროცესმა, შესაბამისად მრავალი ახალი ენა, დიალექტი და ენაკავები ჩამოყალიბდა (რომელთაც ალბათ რაიმე საერთო ექნებათ).

ფ. ტახნაევა აზოგადებს ერთერთ სოფელში არსებულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც სოფელი ოდესღაც დაუარსებია სამ სომეხ ძმას. ამ განზოგადების შედეგად ნ. მარის თეორიის საფუძველზე მკვლევარი მიიჩნევს, რომ VI-VII საუკუნეებში დარესტანში „სომეხს“ უწოდებდნენ არა ეთნიკურ სომეხს, არამედ აღმსარებლობით მონოფიზიტს, რომლის ცენტრიც სომხეთი იყო. ასევე მიიჩნევს, რომ დაღესტანში ალბანურ ეკლესიასაც ჰქონდა გავლენა, მაგრამ, რადგანაც მისივე სიტყვით VII საუკუნეში არაბებმა ალბანური ეკლესია დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, ამიტომ ალბანურმა ეკლესიამ დაკარგა თავის ძალა თვით ალბანეთშივე, ხოლო დაღესტანში მით უმეტეს. მისი სიტყვით, ყველა მონოფიზიტს „სომეხს“, ხოლო დიოფიზიტს „ქართველს“ უწოდებდნენ.

ნ. მარის ამ თეორიით თითქოსდა შესაძლებელია განვმარტოთ „ირხანის ისტორიაში“ ნახსენები ინფორმაცია, რომ დაღესტნის გავლენიანი თემები „ქართველებით“ იყო დასახლებული ისე, თითქოსდა წყარო ამ „ქართველების“ ქვეშ გულისხმობს არა ეთნიკურ ქართველებს, არამედ სარწმუნოებით მართლმადიდებლებს, მაგრამ მაშინ როგორც ითქვა აუხსნელი დარჩება „ირხანის ისტორიის“ ცნობა ხუნძახელების „რუსობის“ და სხვა თემების „ებრაელობის“ შესახებ, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ჩვენეული თვალსაზრისი უფრო მეტად ხსნის ირხანის ისტორიის ცნობებს.



არასწორი უნდა იყოს ფ. ტახნაევას მტკიცებანი, რომ VI-VII საუკუნეებში დაღესტანი მონოფიზიტური აღმსარებლობის ქვეყანა იყო, საფიქრებელია, რომ ასომთავრული წარწერების სიმრავლე აღმოჩენილი დაღესტანში სხვას მიუთითებს.

ასომთავრული წარწერები დამახასიათებელი იყო I ათასწლეულში, უფრო მეტად IX-X საუკუნეებამდე. II ათასწლეულში ნაკლებად გამოიყენებოდა ასომთავრული, რადგანაც ნუსხახუცურმა ის თითქმის ჩაანაცვლა, თუმცა ალბათ გამონაკლისებიც იყო, რაც დამატებითაა შესასწავლი. ასომთავრული ჯვრებზე, საქართველოსთვის დამახასიათებელი ქრისტიანული სიმბოლო იყო სწორედ VI-VII საუკუნეებში, დაღესტანში კი ისინი მრავლად აღმოჩნდა, ეს მიუთითებს, რომ იმთავითვე, უკვე VI საუკუნიდანვე (როცა საქართველოს მთიანეთში ზოგადად განივრცო ქრისტიანობა), დაღესტანიც ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფეროში შედიოდა.

ავარიის ცენტრები – ანდალალი და გიდატლი, არქეოლოგიური და სხვა ძეგლების მიხედვით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ფ. ტახნაევას დასკვნით. მით უფრო რომ „ირხანის ისტორიით“ გიდატლის მოსახლეობა – „ხიდის ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად, ხოლო ადგილობრივი გადმოცემით სოფლების – ბაცადა, უნტი, შულანი და გულაბი მიმდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა „გურჯინლებად“, რაც ავარიული ენით ითარგმნება როგორც „ქართველობა“.

„ირხანის ისტორიაში“ დაღესტნის მნიშვნელოვანი თემის ზედა ფენასაც ქართული ტერმინებით „თავადობად და აზნაურებად“ იწოდებოდნენ. ავარიაში (ავარეთში) ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურსაც ქართული სახელი „ნაცვალი“, ჰქონდა ფ. ტახნაევას აზ-

რით ის იყო ერისთავის ნაცვალი, ალბათ მაჭის ერისთავისა.

სახელი ნაცვალი შემდგომ ტრანსფორმირდა როგორც ნუცვალი (ალსანიშნავია, რომ ერთ დროს კახეთსაც ეპისკოპოსის ნაცვალი ქორეპისკოპოსი მართავდა).


დაღესტანში აღმოჩენილი ქართული ეკლესიების უმრავლესობაც ავარიის ტერიტორიაზეა, ეს ეკლესიები როგორც აღინიშნა მდებარეობდნენ სოფლებში: რუგაჯა, ნაკაზუხი, ზაიდი, იხოდა, ტადრაალი, ხუნძახი, ამიტლი, არკასი, დათუნა და სხვა.

შესაბამისად, ამ საფუძველზე ავარიაში აღმოცენდა კიდევ ქართული საეკლესიო ოლქი **ხუნძეთის საკათალიკოსო**, რომლის მეთაურად კათალიკოსი ოქროპირი მოიხსენება XIV საუკუნის სინოდიკში.

სულ მცირე ხუნძახის საკათალიკოსოში ორი ეპარქია – ანწუხისა და ხუნძახისა მაინც შედიოდა. ეს საკათალიკოსო ალბათ განსაკუთრებით გაძლიერდა გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) დროს. საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ ჩანს, 1310-1318 წლებში მოინახულა ხუნძეთი და მისი ეკლესიები.

თემური ჩრდილო კავკასიაში 1395-1396 წლების თავის სამხედრო კამპანიას 10 წელი ამზადებდა, საქართველოში 1386 წლის შემოჭრის შემდეგ.

მიუხედავად მისი შეჭრისა ავარიის ცენტრმა – გიდატლმა მხოლოდ 1475 წელს მიიღო საბოლოოდ ისლამი, ე.ი. თემურის შეჭრიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ერთი საუკუნე იგერიებდა ისლამის მიმდევრების თავდასხმებს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ავარიის პატარა ეროვნებებმა ფ. ტახნაევას სიტყვით კიდევ უფრო გვიან მიიღეს ისლამი. იქამდე ისინი ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ. სახალხო თქმულებები მიუთითებენ მათ სოფლებში ქრისტიანული ეკლესიების არსებობას, არქეოლოგიების



მიერ სოფლებში აღმოჩენილია ქრისტიანული სამაროვნები. ისლამი, მათ ზოგიერთი მკვლევარის აზრით XVII-XVIII საუკუნეებში მიიღეს. ფ. ტახნაევას კვლევით XIV ს-ში, ცნობილია, რომ ამ რეგიონში ისლამი შესულა გიდატლის ცენტრიდან – სოფელ ურატადან.

კიდევ უფრო გვიან მიიღო ისლამი მაღალმთიანი დაღესტნის სხვა რეგიონებმა, მათ შორისაა კახეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი მაღალ მთაში – დიდო.

დიდოეთი იყო კახეთის ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული და იმართებოდა „მოურავის“ მიერ, ამასთანავე დიდოეთი იყო ერთერთი სამხედრო ოლქი კახეთის სამეფოსი და დიდოს სამხედრო ოლქი იმართებოდა სასულიერო პირის – ეპისკოპოსის მიერ.

XV ს-ში იწყება გიდატელების ე.წ. „გაზის ღაშქრობები“ დასავლეთ დაღესტანში, კერძოდ კი დიდოში, მათ მხარს უჭერდნენ ავარიელი და კუმუხელი ხანები, დიდოელებმა ამის გამო შეიცვალეს თავიანთი პროქართული ორიენტაცია.

ანწუხელებმა და კაპუჩინელებმა გიდატლის და ხუნძახის წნეხის შედეგად ისლამი მიიღეს XVI-XVII სს-ში. ამის შემდეგ ანწუხი და კაპუჩა თვითონ გადაიქცა ისლამის ფორპოსტად (ფ. ტახნაევა).

ავარიის ქრისტიანობამ, რომელიც წარმატებული იყო VIII-XIV სს-ში, თემურის შემდეგ დაკარგა პოზიციები. ამის მიზეზი იყო ასევე საქართველოს დაშლა 1466 წელს. თემურის შემოსევამდეც ქრისტიანობამ დაკარგა თვისი სახელმწიფოებრივი რელიგიის პოზიცია ავარიაში, თემურის შემოსევამ 1395-1396 წლებში ეს პროცესი დაასრულა. მხოლოდ ჩრდილო კავკასიის დამორჩილების შემდეგ შეძლო თემურმა საქართველოს ასე თუ ისე დაქვემდებარება, მისი ბოლო ღაშქრობა საქართველოში 1403 წლით თარიღდება.

„კახნი ბარდაბენი“ და ორი ბარდაბანი

მატიანე ქართლისაის ცნობით ხაზართა მეფის ხაკანის სპასალარს გამოუვლია გზა ლეკეთისა და შესულა კახეთში.

შესაძლოა „გზა ლეკეთისა“ ერქვა თანამედროვე ვართაშენიდან ანუ ოგუზიდან სოფელ ფილფილას გავლით ჩრდილოკავკასიაში, დაღესტანში, მდინარე სამურის ხეობაში შესასვლელს, საიდანაც გზა მიემართება კასპიის ზღვისა და დერბედისაკენ, აქედან გზა შედიოდა ხაზარეთში, ამიტომაც შესაძლებელი არის არჩილის მიერ აგებული ციხე-ქალაქი ნუხპატი ამ გზას აკონტროლებდა და სამურის ხეობიდან ვართაშენისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. აქ ყოფილა კახეთის ის ციხე რომელსაც შემოადგნენ ხაკანის სპასალარის ჯარები, მათ ტყვედ ჩაუგდიათ არჩილის შვილი ჯუანშერი და მისი და შუშანი. შუშანის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევა 764 წელი.

ხოსროიან მეფეთა (არჩილისა და მირის) შემდეგ „განადიდნა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა, ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ (ქ.ც. I, 1955, გვ. 252).

ამის გამო აშოტის მემკვიდრე ბაგრატიონ მეფეებს არჩილ მეფის ყოფილი სამეფოს საზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი, მათ შორის კახეთი, თავისად მიაჩნდათ და ვერ ეგუებოდნენ კახეთის დამოუკიდებელ მმართველებს.

კერძოდ, აშოტ კურაპალატის სამფლობელოს საზღვარი ჩრდილოეთით ყოფილა მდ. ქსანი, ხოლო აღმოსავლეთით ქალაქი ბარდავი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა), მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა კახეთის მთავარ გრიგოლის ხელში ყოფილა. აშოტი გრიგოლის დამოუკიდებლობას არ ცნობდა. აშოტის მხარეზე ყოფილა აფხაზთა მეფე თევდოსი, ხოლო



გრიგოლს კახეთის მთიელები, წანარები და თბილისის ამირა შველოდა.

„**შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა, რომელ ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე**“ (ქ.ც. I, გვ. 253).

ამის შემდეგ არაბებს კვლავ დაუპყრიათ ქართლი და ჰერეთი - „და მოკლეს აშოტ კურაპალატი **გარდაბანს**, ეკლესიასა შინა და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“ (იქვე, გვ. 253).

აშოტ კურაპალატის მკვლელობის ადგილის შესახებ ორი ცნობა არსებობს. ერთის მიხედვით ის **გარდაბნის** ეკლესიაში მოკლეს, მეორე ცნობით კლარჯეთში.

გარდაბანიც თავის მხრივ საქართველოში ორ მხარეს ერქვა ერთი იყო ქვემო ქართლისკენ, მეორე კი ალაზნის მიმდებარედ.

მემატიანეს კომენტატორის ცნობით „**გარდაბანი – ალაზნის გაღმართი ჩაყოლება**“ იყო (ქ.ც. I, გვ. 254).

უნდა ვივარაუდოთ, რომ „**ალაზნის გაღმართი ჩაყოლების**“ **გარდაბანი** ერქვა **ალაზნის ხეობაში მდებარე ამჟამინდელ ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს, შესაძლოა შაქთან ერთად**. ამას მემატიანის სხვა მინიშნებებიც ეთანადებიან.

საერთოდ ამ რეგიონში „გარდ“, „გარ“ ფუძე-ძირის მქონე სახელები სხვადას, მაგალითად, **გარგარელთა** ტომი ბარდავის მიმართულებით ცხოვრობდა, სტრაბონი **გოგარენს** უწოდებს „მტკვრის იქით მხარეს“ ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას – სავარაუდოდ, შაქკაბალას რეგიონებს, მსგავსადვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას თბილისის სამხრეთით სომხურ წყაროებში **გუგარქი** ანუ **გუგართა** ქვეყანა ერქვა. სიტყვები **გარდაბანი, გოგარენა, გუგარქი, გარდმანი და გარგარი** – ერთი ეტიმოლოგიური წარმოშობის უნდა

იყოს და დაკავშირებული უნდა იყოს ფუძე ძირ „გარდ“-თან.

„**გარდ**“ ანუ „**ქართ**“ - ქართველი ერის თვითსახელწოდებაა.

ქართველი, ანუ **გარდელელი** საერთო ფუძისეული სიტყვაა, რომელზეც აგებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული სახელები.


გარგარელებიც შესაძლოა ქართულ ეთნოსთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ. მათი ენა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ის მკვდარ ენათა ჯგუფს განეკუთვნება.

ყოველ შემთხვევაში კახეთი და კახელები გარდაბანთან არიან დაკავშირებული მატიანე ქართლისაის მიერ - მაგალითად მემატიანე წერს - „გამოვიდა საჰაკ ამირა ტფილელი ლაშქრით ... და მოვიდეს **კახნი გარდაბნელნი** შველად საჰაკისა“ (ქ.ც. I, გვ. 255)

„**კახნი გარდაბნელნი**“ სახელის ხსენება საფუძველს იძლევა ვიგულისხმობთ, რომ გარდაბანი ანუ „ალაზნის იქითა ჩაყოლება“ ეთნიკურად კახელებით იყო დასახლებული, ამიტომაც წერს მემატიანე - „მოვიდეს **კახნი გარდაბნელნი**“. კახელები გარდაბნის გარდა კიდევ სხვა მრავალ რეგიონებშიც ცხოვრობდნენ, ამიტომაც განმარტავს მემატიანე, რომ ის კახელები, რომელნიც საჰაკის მხარეს იბრძოდნენ - **გარდაბნის ქვეყნელები, ალაზნის გაღმართი ჩაყოლების მცხოვრებნი იყვნენ, ამ ქვეყანას მაჭის საერისთავოც დაერქვა შემდგომ**.

როგორც ითქვა, აშოტ კურაპალატის აღზევებას ხელი შეუშალა ქართლში კვლავ შემოჭრილმა არაბების ლაშქარმა, რომელსაც ხალილი მეთაურობდა. აშოტის მკვლელობის შემდეგ ისინი კვლავ დაეუფლნენ ქართლს. ხალილმა თბილისის ამირად დატოვა ალი შუაბის ძე, თვითონ კი უკან დაბრუნდა.

„**მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბნელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოანე ქუაბულის ძისა, და შემდგომად მისსა დასვეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური და**



კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი, შეიბნეს გარდაბნელნი გავაზს და გააქციეს ხალილ და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი და კუალად დაჯდა ტფილისს ამირად საჰაკ ისმაილის ძე. ხოლო ხალილ მივიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს“ (იქვე, გვ. 255).

თბილისის ამირა საჰაკი არ ემორჩილებოდა არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას, ამიტომაც ის ტახტიდან გადააყენა ხალილმა და მის მაგიერ ამირობა უბოძა ალი შუაბისძეს, ამის შემდეგ გარდაბნის კახელები შეებრძოდნენ გავაზთან საქართველოში მეორედ შემოჭრილ ხალილს და დაამარცხეს, თბილისის ამირობა ამის შედეგად უკან დაიბრუნა საჰაკმა. მაშასადამე, საჰაკი და კახნი გარდაბნელნი ერთიანი ძალებით ებრძოდნენ ბარდავში დამკვიდრებულ ხალილსა და მის მომხრეებს.

ხალილის სიკვდილის შემდეგ მის ძეს მოჰამედს მიემხრო ბაგრატ კურაპალატი - აშოტ კურაპალატის ძე „და მისცა მას ქართლი“ (იქვე, გვ. 255). ამას არ შეეგუენ „კახნი გარდაბნელნი“ და თბილისის ამირა საჰაკი და შეებრძოდნენ რეხთან მოჰამედსა და ბაგრატ კურაპალატს. ამის შემდეგ მოჰამედი გაიქცა ბარდავში.

გარდაბნელების ქვეყანაში მდებარეობდა პუნქტი ძველი გავაზი, რასაც მემატიანე აღნიშნავს კიდევ.

ძველი გავაზი ლაგოდეხის რაიონში მდებარეობდა. მაშასადამე, „გარდაბანი ალაზანს გაღმართი ჩაყოლება“, ის, როგორც ითქვა ლაგოდეს, ზაქათალა, ბელაქან, კახის რეგიონს მოიცავდა. მას დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ არაბთაგან და ძლიერ ძაღად წარმოჩნდა, კახ-გარდაბნელებს მათ მიერვე ამორჩეული ქორეპისკოპოსი მმართველობდა.

გარდაბნელებს საერთო კრება მოუწყვიათ, სადაც ქორეპისკოპოსად ჯერ დაჩი დაუდგენიათ, მის შემდეგ კი სამოველ დონაური. დაჩი იაონე ქვაბულის შვილი იყო, გამოჩენილი საგვა-

რეულოდან (ქვაბულისძენი). ისინი ქორეპისკოპოსები ყოფილან **გარდაბნელებისა**, კახეთის საქორეპისკოპოსოს სახელით ცნობილი პოლიტიკური ერთეულისა. ქორეპისკოპოსი – საეკლესიო ტერმინია და ნიშნავს ეპისკოპოსის ნაცვალს, იმ დამხმარე სასულიერო პირს, რომელსაც სოფლების, შორეული კუთხეების სასულიერო მმართველობა ევალება.

მაშასადამე, კახეთის, ანუ გარდაბნის ქორეპისკოპოსები ყოფილან სასულიერო პირები – ეპისკოპოსის დამხმარენი.

რომელი ეპისკოპოსი იგულისხმება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი იყვნენ ქართლის კათალიკოსის ქორეპისკოპოსები. მაგრამ, იუამად, ქართლის კათალიკოსები არაბობის გამო სამცხე-ჯავახეთში იყვნენ გადასულნი, რადგანაც „გარყენილ იყო საყოფელად მცხეთა“ ანუ მცხეთა იმუამად (არაბთაგან დანგრევის გამო) კათალიკოსის საცხოვრებლად უვარგისი გამხდარა. კათალიკოსის სამცხეში გადასვლის გამო ცნობილი საეკლესიო კრებებიც სამცხე-ჯავახეთში ჩატარდა გრიგოლ ხანძთელისა და სხვათა მონაწილეობით.

თვითონ კახეთ-გარდაბნის მხარეშიც იყო საეპისკოპოსო, ზემოთ ხსენებული საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს 1310 წლის მოგზაურობიდან ჩანს, რომ მცხეთა ამ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ასევე უნდა ყოფილიყო 840-860-იან წლებში, როდესაც საქორეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, აღმსარებლობით ეს მხარეები არა მონოფიზიტური, არამედ ქალკედონიტური ყოფილა, რადგანაც ქორეპისკოპოსი ქალკედონიტური მცხეთის ერთერთი სასულიერო ხელმძღვანელი იყო, რომელსაც ჩანს საერო ფუნქციებიც მიენიჭა და ის თავის ქვეყანას საერო მხრივაც მართავდა, რადგანაც ლეგიტიმური საერო ხელისუფლება მკვეთრად იყო შეზღუდული და განადგურებული არაბთა მიერ. მათ



ჯერ არჩილი ხოსროიანი მეფე აწამეს, შემდეგ კი აშოტ ბაგრატიონი.

კახეთის ქორეპისკოპოსების ქალკედონიტობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ჰერეთი მონოფიზიტური იყო ვიდრე დინარა დედოფლამდე ანუ X საუკუნემდე.

ესაა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც, სამწუხაროდ ყურადღება არ ექცევა, რომ ჰერეთი ერქვა კახ-გარდაბნის იქით, შაქის პროვინციის მარჯვნივ მდებარე კაბალასა და მის მიმდებარე სანახებს, ვიდრე შამახამდე და არა კახ-ზაქათალა-ბელაქან-ბოდბე-დავით-გარეჯას რეგიონს, როგორც ეს მიჩნეულია ამჟამად.

თბილისის განდგომილი ამირას დასასჯელად ქართლში შემოიჭრა ბუღა თურქი, მან მოკლა თბილისის ამირა საპაკი, მას მიემხრო ბაგრატ კურაპალატი.

აფხაზთა მეფეები და გარდაბნელები ეომებოდნენ ბუღას ჯარებს - „დაუდგეს წინ გარდაბნელნი და ავნებდეს დიდად ლაშქარსა“ (იქვე, გვ. 256).

თოვლის მოსვლის შემდეგ ბუღა „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს და შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო და შემუსრა გარდაბანი. განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი და დასხნა იგინი შანქორს“ (ქ.ც. I, გვ. 256). აქედან ჩანს, რომ გარდაბანში - „ალაზნის იქითა ჩაყოლები“ გარდა ჩანს შამქორიც ანუ რანის ერთი ნაწილიც მოიაზრებოდა, სადაც მტერს ხაზართა 300 ოჯახი დაუსახლებია.

ამ დროისათვის ქორეპისკოპოსად გაბრიელ დონაური, სამოელ ქორეპისკოპოსის ძმა და სხვანი ყოფილან (იქვე, გვ. 257). მემატინე მათ შემდეგ ასახელებს კახთა ქორეპისკოპოსებს გაბრიელ დონაურს და ფადლა არეგმანელს, ამ უკანასკნელს ბრძენ კაცსა და საქმის მცოდნეს უწოდებს (იქვე, გვ. 259). ისინი ყოფილან ბაგრატ კურაპალატის ძის დავით მეფე-კურაპალატის დროს, ხოლო მეფე ადარნასე

კურაპალატის დროს იხსენიებიან ქორეპისკოპოსები ფადლა და კვირიკე - „ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბნელნი და შემდგომად მისა დაჯდა კვირიკე ქორეპისკოპოსად“ (ქ.ც. I, გვ. 262).

კახ-გარდაბნის ქვეყანა და ჰერეთი ერთმანეთს ებრძოდნენ.

ჰერეთი ამ დროისათვის გაძლიერებული იყო არაბთა მიერ.

იმ დრომდე კახეთში შემავალი შაქისის მეპატრონე ბაგრატიონები გაძლიერდნენ და მათ შეძლეს ჰერეთის ანუ კაბალის ქვეყნის დამორჩილება ვიდრე შამახამდე.


ამის გამო ჰერეთის მპყრობელებად შაქისელი ბაგრატიონები გადაიქცნენ, მათ ჰერეთის მეფის ტიტული მიანიჭეს არაბებმა და დაიწყეს თავიანთი სამეფოს საზღვრების გაფართოვება.

ჰერეთის სამეფო გაძლიერდა და შეძლო კახ-გარდაბნის, მისი მეზობელი ტერიტორიის დაპყრობა, მათ შორის ყოფილა ვეყინის ციხეც.

გარდაბნის პოლიტიკური ერთეული ბუღა-თურქის ლაშქრობის შემდეგ კიდევ უფრო, მკვეთრად დაემცრო. მან დაკარგა ძირითადი ტერიტორიები - „ალაზნის გაღმა მხარის“ სამხრეთი ნაწილი და საზღვარი გავაზთან იქნა გაველებული, სხვა ტერიტორიები ჰერეთში აღმოჩნდა.

გარდაბნის პოლიტიკური ერთეული ამ დამცრობის შემდეგ კვლავ აგრძელებდა არსებობას - ახლა უკვე მისი ძირითადი ნაწილი გახდა კახეთის ჩრდილო მხარე. ყოფილი კახ-გარდაბანის ერთი ნაწილი ჰერეთში მოექცა, მაგრამ მისი უკან დაბრუნებისათვის კახელები დიდად იღწოდნენ.

ქვეყანა არაბების გამო აოხრებული იყო, ხალხის რაოდენობა შემცირებული, ამიტომაც წერს მემატინე - „შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქვეყანა, მაშინ უხმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვევი-



ნისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზელათ-კერძო და კვირიკე ქვემოთ და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის ჯვარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გაგაზნი და კვირიკეს ორჭობი“ (ქ.ც. I, გვ. 264).

მაშასადამე კახეთის საქორეპისკოპოსო და აფხაზთა სამეფო ერთიანი ძალით იბრძოდნენ კახეთის ძველი ციხეების გასათავისუფლებლად ჰერეებისაგან. თავის მხრივ ჰერელებს ეხმარებოდა ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) მეფე. საბოლოოდ მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდა კახეთს. ამ შველის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ძველი ქართლის სამეფოს არჩილ მეფის დროინდელი შემკვიდრება თავიანთად მიაჩნდათ კლარჯეთის „ქართველთა მეფეებს“, მოითხოვდნენ არჩილ მეფის კახურ ტერიტორიებს და კახეთის ბრძოლა თავისუფლებისათვის მათ სეპარატიზმად მიაჩნდათ, მათ წინააღმდეგ არაბულ ძალებს ემხრობოდნენ.

აფხაზთა მეფე გიორგის დროს გარდაიცვალა კვირიკე ქორეპისკოპოსი და მის ნაცვლად დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა, ძე კვირიკისი. ამან ააგო ციხე ლოწობანთა (იქვე, გვ. 265). ამ ეპოქაშივე ცხოვრობდა ჰერეთის დედოფალი წმ. დინარა - „ჰერეთსავე მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყენეს მწვალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცევინა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან და საღართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადრაბაგანი“ (ქ.ც. I, გვ. 266).

გარდაბანი – ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ბუღა თურქის შემდეგ უკვე არა კახეთის, არამედ ჰერეთის ქვეშ მოიაზრება, ასეთი ცვლილება მოახდინა ბუღა თურქის ლაშქრობის შედეგად „გარდაბნის შემუსურამ“ (გარდაბანი შემუსრა ბუღამ) და ჰერეთის გაძლიერებამ.

როგორც აღინიშნა ბუღა თურქის შემდეგ კიდევ უფრო განივრცო ჰერეთი, მიზეზი ამისა ის იყო, რომ გარდაბან-კახეთის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ თბილისის იმ ამირებს, რომელნიც ბარდავ-რანში დამკვიდრებულ არაბთა სხვა სარდლებს მტრობდნენ. ამის გამო ჰერეთის მეფე მთავრები რან-ბარდავის მფლობელებს ემხრობოდნენ. საბოლოოდ ბუღა-თურქმა დაამარცხა თბილისის ამირები, რომლებსაც გარდაბანის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ. ეს იყო კახ-გარდაბნელთა დიდი პოლიტიკური მარცხი. ისინი ბრძოლის ველზეც დაამარცხა ბუღამ და კახ-გარდაბანიც შემუსრა. ამ მიზეზის გამო, გარდაბანი ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ჰერეთში აღმოჩნდა IX საუკუნის შემდეგ.

X საუკუნესა და შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მთავრები აფხაზთა მეფეების შემწევით ცდილობდნენ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლების“ უკან დაბრუნებას, ეს მათ იმუამად ვერ მოახერხეს. „ქართველთა მეფეები“ ანუ ტაო-კლარჯეთის მეფეები ჰერეთის მფლობელებს უჭერდნენ მხარს.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჰერეთიც და კახეთიც ერთიან სამეფოში მოექცა. ასე, რომ კახელებით დასახლებული გარდაბანი ანუ ალაზნის გაღმა მხარე - ბელაქნის, ზაქათალას და კახის რაიონები, შაქის ჩათვლით ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ჰერეთში იყო მოქცეული. ის ყოველთვის ქალკედონიტური ანუ მართლმადიდებლური მხარე იყო იმ დროსაც როცა ჰერეთის ძირითადი ნაწილი მონოფიზიტური იყო.

ჰერეთის ძირითადი ნაწილი იწყებოდა ბარდაშენ-ვართაშენთან და ვიდრე შამახამდე იყო განვრცობილი ისიც X საუკუნეში ქალკედონიტური გახდა და მცხეთელი პატრიარქის იურისდიქციაში შევიდა. „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ საქართველოს პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, ამით უნდა ავსხნათ



1310 წელს მცხეთელი პატრიარქის აქ მოგზაურობა, მის მიერ ამ მხარეში მდებარე წმ. ნინოს, წმ. არჩილის, წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიების მონახულება, მათ შორის ძველი მოვაკანისა და ელისენისა.

„ალანის ბაღმართი ჩაყოლება - ბარდაბანი“

ზაქათალა, ბელაქან, კახისა და შაქის რაიონები მუდამ კახეთში შედიოდნენ. მათი მომცველი რეგიონი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და კახეთის სამეფოს დაარსების შემდეგაც მუდამ კახეთის განუყოფელი ნაწილი იყო, უფრო მეტიც აქ მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს ცენტრები, სამეფო სატახტო ქალაქები - **ზაგეში, ბაზრქალაქი**, კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია **მაჭი** (VIII ს.) და **ბოეთანი** - კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია.

კახეთის ამ გულში იღებდნენ კახეთის მეფეები ელჩებს. ასე იყო შაჰ-აბასამდე, რომელმაც კახეთს ჩამოაჭრა ეს ნაწილები ისევე, როგორც ადრე ბუღა-თურქმა. შეიქმნა სასულთნო, შემდეგ კი საბუღარო დაღესტნელი ლეკებისა - ჭარ-ბელაქანი.

შაქი კიდევ უფრო ადრე დააშორეს კახეთს. მისი მოსახლეობა გამაჰმადიანდა.

ამ დროს კვლავ მიეცა ასპარეზი სომხურ ეკლესიას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიაში მოექცა. პასკევიჩის დროს და მის შემდეგ 1820-30-იანი წლებიდან აქ ჩამოსახლეს ყარაბაღელი სომხები. მათ აქ ძირითადად გამაჰმადიანებული ყოფილი კახელები დახვდათ, მათი სოფლები მოფენილი იყო იმ ძველი ტაძრებით, რომელნიც ერთ დროს საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა.

მონოფიზიტთა ერთი ჩვეულება ექვთიმეს დოკუმენტშიც არის აღწერილი - ესაა სხვისი სასულიერო საკუთრების მითვისება - კერძოდ ექვთიმეს დროს მათ პეტრე ლაგაძის მიერ დაწერილი წიგნი „ალანის ისტორია“ მიუთვისებიათ, პასკევიჩის დროს კი ქართული ტაძრები - ამ რეგიონისა - მიისაკუთრეს.

1310 წლის დოკუმენტში ნაბრძანებია - **„ცხოვრება ალანისა, ესე იგი არს საგანისა, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან - ვინმე სომეხმა გარყვნა იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“** (1310 წლის მაღალაშვილისეული სახარება, კ. კამკულიძე, ეტიუდები, II, 1941, გვ. 314-315).

ტექსტში სიტყვა „გარყვნა“ წაშლილია და მისგან მხოლოდ ორი ასო დარჩენილა „გა“, კეკელიძის აზრით აქ ეწერა „გადაიღო“. ტექსტის გამრყვნელს საბოლოოდ მთელი წიგნი მიუთვისებია და ავტორად თავის თავი გამოუცხადებია - ეს კი მათ „ადვილად დაიჯერეს ჩვეულებისამებრ“ ნათქვამია დოკუმენტში.


პასკევიჩის დროს ყარაბაღელ სომხის სასულიერო პირებს უპატრონოდ მიტოვებულ ზაქათალა-ბელაქან-კახის რეგიონში ქართული ეკლესიებისათვის სახელები შეუცვლიათ.

კერძოდ - ვარდაშენის წმ. წინასწარმეტყველ ელიას ტაძრისთვის უწოდებიათ წმ. ელიშეს სახელი - ელიშე ალბანეთის განმანათლებლად მიიჩნევა და ალბათ ამ მიზეზით.

შაქის ეკლესიისთვის წმ. რიფსიმეს სახელი უწოდებიათ, მაშინ, როცა 1310 წლის დოკუმენტში ასეთი სახელის მქონე ეკლესია არ ჩანს, აქ იხსენიება ლექართის წმ. ნინოს ეკლესია.

ქიშ-ნუხის, ანუ გიშის ეკლესიისათვის სახელი არ შეუცვლიათ - ის დარჩა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა.

ასევე წმ. გიორგის სახელი არ შეუცვლიათ ზარის ანუ ზაიზიტის



ეკლესიისათვის. სამაგიეროდ ქართული წარწერები სომხურით შეუნაცვლებიათ. მრავალი სომხური წარწერა XIX საუკუნით თარიღდება. ეს შეეხება ძირითადად შაქი-ვარდაშენის (ოგუზის) რეგიონს, ასევე მოხდებოდა კაბალას (კუტკაშენის) რეგიონშიც.

როგორც აღინიშნა, გარდაბანი ერქვა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებს. კერძოდ უძველესი ხანიდან „ბერდრუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე“ - გარდაბანი იყო. მაგრამ VIII-IX საუკუნეებში გარდაბანი ასევე ერქვა „ალაზანს გაღმართ ჩაყოლებას“. ეს მიწა - კახელებით იყო დასახლებული ქართლის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობებით, შემდეგ - ბულათურქის დროს - ეს გარდაბანი ჰერეთს გადაეცა, საქართველოს გაერთიანების შემდეგ - კვლავ კახეთის პროვინციაში მოექცა, საქართველოს დაშლის შემდეგ კი კახეთის სამეფოში XVIII-მდე როცა შაჰ-აბასმა ის ჩამოაჭრა კახეთის სამეფოს, რამაც იქამდე მცხეთის პატრიარქის სამრევლო ამ მხარეებისა გაამაჰმადიანა, ნაწილი მართლმადიდებლებისა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, თუმცა მცირე ნაწილმა შეძლო თავისი ვინაობის შენარჩუნება.

16. XII. 2012
 მონასტერი

კახ-ბარდაზნის დასუსტება და ჰერეთის ბაჰლიერება

VIII ს-ში აშოტ კურაპალატის ძემ ბაგრატმა შეძლო თავის ხელში აეღო თავისი მამის, აშოტის მიერ მოპოვებული მიწა-წყალის მმართველობა, თავის ძმებთან ერთად. ის ემორჩილებოდა არაბთა ხელისუფლებას და ამიტომ მიემხრო ხალიფას მიერ გამოგზავნილ მხედართმთავარ მუჰამედს, ამ მუჰამედს ევალებოდა განდგომილი თბილისის ამირას საჰაკის დასჯა. საქმე ის იყო, რომ აფხაზთა მეფეები და თბილელი ამირები შეკავშირდნენ არაბთა სახალიფოსთან ბრძოლისას, ხოლო კლარჯი ხელმწიფეები პირიქით - სახალიფოს ემხრობოდნენ.

თბილელ ამირა საჰაკს შეებრძოდნენ მუჰამედი და ბაგრატ აშოტის ძე, მათ აიღეს უფლისციხე.

„კახნი გარდაბნელნი“ მივიდნენ უფლისციხესთან საჰაკის საშველად. დიდი ბრძოლის შემდეგ მუჰამედმა დატოვა საქართველო და ბარდავში გადავიდა.

საჰაკისა და მუჰამედის ურთიერთ-ბრძოლა კვლავ გაგრძელდა, ამ ეტაპზე სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლისას აფხაზები, კახელები და თბილელები ერთად იდგნენ, შემდეგ ბულათურქის შემოსვლისას აფხაზთა და კახთა ძალები კვლავ ერთ მხარეს იბრძოდნენ. ბულათურქმა დასაჯა თბილელი ამირა საჰაკი, რომელიც არ ემორჩილებოდა სახალიფოს.

შემდეგ ბაგრატ კურაპალატის და ბულათურქის ჯარი შეებრძოლა და დაამარცხა აფხაზთა ჯარი, აფხაზთა მეფე იძულებული გახდა ექებნა უკან დასახევი გზა დასავლეთ საქართველოსკენ, ეს გზები ჩაკეტილი იყო, ამიტომაც ის იძულებული გახდა წასულიყო დვალეთის გზით. „კახნი გარდაბნელნი“ წინ დაუდგა სახალიფოს ლაშქარს. ბულათურქმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა ჩრდილოეთის გზით



გაქცეულ აფხაზთა მეფეს და სურდა კავკასიაში შესვლა, მართლაც მიაღწია ცხავატამდე, მაგრამ კახეთის გავლენის ქვეშ მყოფმა მთიულეებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და არ შეუშვეს კავკასიის მთებში. ფაქტიურად „**კახ-გარდაბანელთა**“ წინააღმდეგობის გამო სახალიფოს გეგმა ჩაიშალა.

ბუღა თურქი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და დაეზამთრა ბარდავში, მან ისარგებლა იმ მომენტით, რომ გარდაბანი ახლოს მდებარეობდა ბარდავთან და მემატინანეს სიტყვით მან შეიპყრო **კახ-გარდაბანის** მთავარი, ვინმე ხუცისძე და შემუსრა გარდაბანი. ამ გარდაბნის ქვეშ იგულისხმება ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიაც. **გარდაბანს მემატინანე უწოდებს „ალაზნის გაღმართი ჩაყოლებს“**.

როგორც ჩანს, გარდაბნის ამ რეგიონში იმჟამად შედიოდა ასევე შამქორიც, ამიტომაც ბუღა თურქმა დარუბანდის გზით კასპიის ზღვის მხრიდან შემოიყვანა სამასი სახლი ხაზარები და „დასხნა იგინი შამქორს“ („ქართლის ცხოვრება“ ტომი I, გვ. 256).

უძველეს დროს, როგორც მიიხნევა, ერთ ოჯახში, ერთ სახლში დაახლოებით 80-100 კაცი ცხოვრობდა, ასეთ შემთხვევაში 300 სახლი შეადგენს 24000-30000 სულს, რაც დიდი რაოდენობაა იმ ოლქისათვის. ამ ჩამოსახლებით ბუღა-თურქმა შეასუსტა **კახ-გარდაბანელთა** ძალა.

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ IX საუკუნისათვის გარდაბანი დიდი ოლქი იყო და მასში არა მხოლოდ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლებს“, ანუ ალაზნის მარცხენა სანაპირო, არამედ ალაზნის მარჯვენა სანაპიროცა და მტკვრის სანაპიროებიც შედიოდა, მასთან ახლოს იყო დმანისის ძლიერი ოლქი, ამიტომაც ბუღა თურქმა დმანისის რეგიონის დასუსტების მიზნით ჩრდილო კავკასიიდან შემოიყვანა „100 სახლი“ ოსური ოჯახი და „დასხნა იგინი დმანისს“ (იქვე, გვ. 257),

ამით **კახ-გარდაბნის** სამხედრო ძლიერება დასუსტდა.

ამ ეპოქაში კახთა ქორეპისკოპოსი ყოფილა გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა.


გაბრიელ დონაურის შემდგომ, კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა არეგმანელი. ფადლას შემდგომ კი კახთა ქორეპისკოპოსი იყო კვირიკე უჯარმა იყო თბილისის ამირას ხელში, არაბებმა აიღეს ბოჭორმის ციხე და მიწა-წყალი უფლისციხემდე.

კახ-გარდაბანელთა დასუსტებამ საერთოდ შეცვალა პოლიტიკური სურათი, მნიშვნელოვნად შეიცვალა საზღვრები და კახეთი შემცირდა.

კახეთის გარდაბნის დასუსტებით ისარგებლა ჰერეთის მეფემ, მან შეძლო დაეპყრო კახეთის მიწები ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხარეს აიღო ვეჯინის ციხე.

დაუძღურების გამო, როცა კახეთის მიწაწყლის დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში აღმოჩნდა, კახეთის მთავრები იძულებულნი გახდნენ შეკავშირებოდნენ თავიანთ წინანდელ მტრებს აფხაზთა მეფეებს. კერძოდ კვირიკე ქორეპისკოპოსმა კახეთში მოიწვია აფხაზთა მეფე კოსტანტინე და ისინი ერთიანი ძალით შეებრძოლენ ვეჯინის ციხეში გამაგრებულ ჰერეთელ მეციხოვნეებს, არიში და გავაზი აფხაზ მეფეთა ხელში გადავიდა, ხოლო კვირიკეს ხელში გადავიდა ორჭობი. მის შემდეგ მხარეები დაზავდნენ.

კვირიკე ქორეპისკოპოსის შემდგომ ახალ ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა კვირიკეს ძე, რომელმაც ლოწობნის ციხე ააშენა „და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავ ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან. და საღართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგი“ („ქართლის ცხოვრება“, ტომი I, გვ. 266).



კახეთი უფრო და უფრო მცირდებოდა, ერთ მხრივ მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში გადავიდა, ხოლო დასავლეთის მხარეს მის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა აფხაზთა სამეფო.

ფაღლა ქორეპისკოპოსის შემდგომ კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა კვირიკე, მაგრამ კახელი გარდაბნელი აზნაურები მას გადაუდგნენ და მიემხრნენ აფხაზთა მეფე გიორგის, რომელიც თავისი ლაშქრით კიდევაც ჩავიდა კახეთში და მემატიანეს ცნობით გადაწვა ის, უკან დაბრუნების შემდეგ ჩაღვა ატენის ციხეში, ხოლო ქართლის ერისთავად დანიშნა თავისი ძე ლეონი.

აფხაზთა ლაშქარი შეიკრიბა რათა კვლავ შესულიყო კახეთში. კახეთის ყველა ციხე გადავიდა აფხაზთა ხელში გარდა სამი ციხისა – ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა, რომელნიც შემდეგ აიღო აფხაზთა მეფემ, მალევე ყველა ციხე კვლავ დაიჭირა კვირიკე ქორეპისკოპოსმა. ამის მიუხედავად, კახეთის სამეფო თანდათან თავისთავადობას კარგავდა.

შემდგომ კვირიკე ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე ლეონი გიორგის ძე დაზავდნენ და ამ უკანასკნელმა თავისი ასული ცოლად მისცა კვირიკე ქორეპისკოპოსს, მალე ეს ქალი გარდაიცვალა. კვლავ დაიწყო ომი კახეთსა და აფხაზეთს შორის. კახეთის საზღვარი მუხრანამდე აღწევდა. კახეთის თავისთავადობა განამტკიცა აფხაზთა სამეფო სახლში დაწყებულმა არეულობამ.

კვირიკე ეპისკოპოსი დადგა შუამდგომლად დემეტრე აფხაზთა მეფისა და მის ძმას თეოდოსს შორის. მიუხედავად ამისა დემეტრემ თეოდოსს თვალები დაწვა, დემეტრეს სიკვდილის შემდგომ ბრმა თეოდოსი გამეფდა. ამ დროს კახეთის ლაშქარი მოადგა უფლისციხეს, ამიტომაც ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ მოციქული გაუგზავნა დავით კურაპალატს

და მოიწვია ის რათა ქართლში ელაშქრა, შესთავაზა ან თვით დაეჭირა ქართლი ანდა გადაეცა ჩრდილო ტოკლარჯეთ-სამცხის მმართველ ბაგრატ გურგენის ძისათვის რომელიც იყო აფხაზთა მეფის გიორგის შვილიშვილი, კერძოდ გიორგის ასულის წული **„რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“** (ქართლის ცხოვრება, I ტომი, გვ. 272).

დავით კურაპალატი თავისი ლაშქრით მიადგა უფლისციხეს და ის უბოძა ბაგრატს და მის ძამას გურგენს - **„ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად“** - წერს მემატიანე დავით კურაპალატის შესახებ.

სამხრეთ ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა თავის გარშემო შემოიკრიბა აზნაურები და მათ განუცხადა: **„ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“** (იქვე, გვ. 274)

აქედან ჩანს, რომ იმჟამინდელი საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ნაწილად იყოფოდა, ესენი იყვნენ ტაო, ქართლი, აფხაზეთი და კახეთ-ჰერეთი თბილისის საამიროსა და ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს გარდა.

Φλωρεντίας

1. Ύστερα από τον Πατριάρχη σε 4 καρέκλες καθόντουσαν: 2. Ο Αρχιεπίσκοπος της Ηράκλειας (ο οποίος είχε το πληρεξούσιο του Πατριάρχη της Αλεξάνδρειας και έπαιρνε τη θέση του), 3. Ο Αρχιεπίσκοπος της Εφέσου τον οποίο είχε στείλει ο Πατριάρχης της Αντιόχειας, 4. Ο Αρχιεπίσκοπος της Μένζιας, ο αντιπρόσωπος του Πατριάρχη των Ιεροσολύμων και 5. Ο εκπρόσωπος του βασιλιά της Ιβηρίας – ο Μητροπολίτης της Ιβηρίας.



ACTA SACRA OECUMENIKI
CONCILII FLORENTINI


Եկկղիսիաս տի Դեւրյիցի. Կո քոիմնոյ տից
եյնա թերիսսոյտերոյ աքո 4.000.000 աճրուքոյ.

1. In quatuor scabellis post Patriarcham dispositis sequebantur 2. Archiepiscopus Heracleensis, Alexandrini Patriarchae legitimum mandatum habens, eiuque locum tenens, 3. Archiepiscopus Ephesius Patriarchae Antiocheni Legatuw, 4 Archiepiscopuw Menesiensis Ierosolymitani Patriarchae personam repraesentans **et 5. Metropolita Yberiuw Regiw Yberiae Apocrisarius.** (Միտրոքոլիտից Անանիա ԿՅաքարիտՅե, Օյ Եկկղիսիաստիկի Տյնոքոյ մե տիյն սյմետոքի տոյն Դեւրյիցիանոյն Եպիսկոպոյն, 2003, սեղ. 37).

Մետափրասի
Մալյիա Կաքասբիլի

Քրոս տո քարոն տո կանոնիկոյ եդափոս տից Այտոկեփալից Եկկղիսիաս տից Դեւրյիցի ճիլաճի տոյն Քատրիարքիւոյ տից Դեւրյիցի եյնա ի Դեւրյիցի սե ճիեթնոյն աոագոարիսմեյնա սյնորա, ճիլաճի եկեյ մքայնիյե թրոսարինա ի ԱմքաՅիցիա կա ի Լեյոյմեյն Նոյտիա Օսսետիա թոյն քրիսկոնտա լյո կատոքի, եթիսից օյ թերիօքեց թոյն սոնորեյոսոյն մե տիյն քորեյա Արմեյնիա, տո քորեյօճյտիկոյ ԱՅերմքայիտՅան կա տի քորեյօաոաոլիկի Կուրքիա. Ելից 39 Եքարքիցեց կա ի Եկկղիսիաստիկի Տյնօքոյ, թոյն ելից Աոյտաթի Նօմիկի կա ճիկաստիկի ելոսոսիա, ճիալեյի տոյն Կաթօլիկօյ Քատրիարքի Քաթից Դեւրյիցի, տոյն օթոյն քօիթայի ի Տյնօքոյ. Տ' ալթի լյալոնտա Օյ Արքիերեյց տոյն Եքարքիւոյն.

Ի Եկկղիսիա տից Դեւրյիցի տո 1811 ելից սե տո ալտօկեփալօ մե տիյն թարանօմի աթօփասի տոյն իլեյտոյն տից Քրօսիկից Ալտօքրատրիաց, տո օթօյն աթեկտիցե ճիաճա տո 1917 կա տո օթօյն տո 1943 աոագոարիցե ի Եկկղիսիա տից Քրօսից. Կո 1990 ճարի սից եոերլլեյցեց տոյն Կաթօլիկօյ Քատրիարքի տից Դեւրյիցի տոյն Ալլիօտաթոյ կա Մաքարիօթաթոյ Իլիա տոյն Ե' տո Քատրիարքիւօ տից Կօոստաոտիոսոյնօթլեւօց քեքայիցե տիյն առքայիթիթա տոյն ալտօկեփալօ տից



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

**საქართველოს წმიდა
 სამოციქულო -
 მართლმადიდებელი ეკლესია**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას “უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროების - „მოქცევაი ქართლისაის“ (VII-IX სს.) და „ქართლის ცხოვრების“ (VIII-XI სს.) ცნობებით, წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო - „ქართლის სამეფო“, რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა.

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული გადმოცემით, ჩვენში უქადაგია მოციქულთა დასს - წმ. ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომასა და თადეოზს. ქართული და უცხოური წყაროებიც მიუთითებენ მოციქულების საქართველოში მოღვაწეობას.

მიზეზი მოციქულთა ასეთი სიმრავლისა უნდა ყოფილიყო იმუამინდელი საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში საერთაშორისო სავაჭრო გზების მოქცევა. მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში იბერიის გავლენის სფეროში მოექცა ვრცელი ტერიტორია კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და სამხრეთით ვანის ტბამდე. აქ გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზები, რომელნიც რომის იმპერიას სპარსეთთან და სკითიასთან აერთებდა, იბერიის მიერ კონტროლდებოდა. ამ მიზეზის გამო, სპარსეთ-ინდოეთსა თუ, ჩრდილოეთით, სკითია-სარმატიაში საქადაგებლად მიმავალი წმიდა მოციქულები გზას ვერ აუქცევდნენ იბერიას.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას (ტაციტუსის ცნობით I ს. 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან. გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად იმუამად „იბერიაში შეიერთა ალბანია და უნმო სარმატებს“ (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33-36, IX,9, XII,15-50). მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით II ს. პირველ ნახევარში „იბერიის მეფე ფარასმანესი როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები“ (დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XIX, 15).

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით ღვთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას სიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ



ცნობას ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) იძლევა.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, ჩამოყალიბების დროიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში - „**წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა**“.

ივერიის ეკლესიის დიდი მამა გიორგი მთაწმინდელი წერდა, რომ საქართველოში მოღვაწე სიმონ კანანელი დაკრძალულია „ქვეყანასა ჩვენსა აფხაზეთს“ (კერძოდ ახალ ათონში), ხოლო მოციქული მატათა დაკრძალულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფხაროსში.

უძველესი ქრისტიანული წყაროები მიუთითებენ ასევე მოციქულების ბართლომესა და თადეოზის ყოფნას საქართველოში.

მოციქულების ქადაგებათა ეპოქაში და შემდგომ, I-III საუკუნეებში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა რომ გაქრისტიანებულა, დასტურდება უახლესი არქეოლოგიური მონაპოვრებით, ისინი მეფე რეგ მართლის ეპოქის (III ს.) საზოგადოების ქრისტიანულ მიდრეკილებას ნათლად ასახავენ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით, რადგანაც საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები წარმართი მეფეების მხრიდან განიცდიდნენ დიდ დევნას, ამიტომაც IV საუკუნეში წარმოიქმნა საჭიროება მთელი ერის მოქცევისა.

IV ს.-ში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი და უფლის შეწევნით მან ეს მოახერხა.


სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა, ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „**ყოველი საესება ყოველთა ქართველთა ნათესავისა**“, ისევე როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „**ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა**“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545-546).

ჩვენი წყაროების ამ მითითებას, რომ წმიდა ნინომ „**განანათლა ყოველი საესება ყოველთა ქართველთა ნათესავისა**“ მთლიანად ეთანხმებიან IV-V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები - კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს – იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „**ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ**“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც – „**ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს**“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV-V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).



გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საშუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოდღვრა... გაგებდავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე, ხორენელის ცნობით ამ არეალზე იქადაგა წმ ნინომ.

რადგანაც, ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც, დასავლეთ საქართველო წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო. კირიონ კათალიკოსი (VI-VII სს.) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს - კირიონ I იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატინე, 1912, გვ. 65).

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც ეხება

საქართველოს ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

ქართული წყაროებით კი, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებიდანვე უწყვეტად საქართველოს (მცხეთის) საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა. ქართული წყაროები ამ კუთხით საგანგებოდ შეისწავლა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა – ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს გამნტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47). „ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ დადგენილი და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნება“ (იქვე, გვ. 97). ხოლო რაც შეეხება ნოტიციებით ცნობილ საინინის, პეტრას, როდოპოლისისა, ზიგანასა და ფასიდის ეპარქიებს, ისინი განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმიშხანეს რეგიონში (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქისკოპოსოები ლაზიკაში, თბ., 2011, გვ. 29-30).

გელასი კესარიელისა და სხვათა ცნობებს, რომ წმიდა ნინომ ლაზიკა მოაქცია, ეთანადება XVI ს. ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ იბერიის განმანათლებელმა ლაზეთში დააფუძნა ქალაქ ოფის სამიტროპოლიტო კათედრა (რიზეს რეგიონი), ცნობილი ისტორიკოსის ნ. აღონცის კვლევით ოფ-რიზეს რეგიონში მდებარეობდა პიტუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონააწილეობა მიიღო 326 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში



(ნ. აღონცი, არმენია იუსტიციანეს ეპოქაში, 1908 წ. გვ. 203).

აგათანგელოზისა და სხვა V ს. ცნობით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, V საუკუნის 60-70-იან წლებში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს მამამთავრის ტიტული ჰქონია (სიტყვა „მამამთავარი“ იდენტურია სიტყვა „პატრიარქისა“). აქ პირველ კათალიკოსს პეტრეს მამამთავარი ეწოდება - „აქათგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად“ (ძეგლ, I, 1964, გვ. 93).

ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ საქართველოს ეკლესია მოწყობილიყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, სამამამთავრო ეკლესია, ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი გახდა (ბერძნ. სიტყვიდან „კათოლოს“-საყოველთაო). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბდა ორი თეორია. პირველი აღიარებული იყო X-XI საუკუნეებში და საერთაშორისო ასპარეზზე წარადგინა ათონელმა მამამ წმიდა გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის საპატრიარქოში კამათის დროს: მან განაცხადა - საქართველოს ეკლესია რადგანაც დაფუძნებულია წმიდა ანდრია მოციქულის მიერ, ის დაარსების თანავე ავტოკეფალურია ისევე, როგორც ყველა სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები. შესაბამისად, წმ. გიორგი მთაწმიდელმა წარადგინა საქართველოში მოციქულთა ქადაგებათა მამტიკიცებელი წყაროები და მისი მტიკიცება უდავოდ იქნა აღიარებული. ბალსამონიც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურად მოიხსენიებს II მსოფლიო საეკლესიო კრების II კანონის განმარტების დროს. განსხვავებული თეორია საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ძირითადად ჩამოყალიბდა XIX-XX სს.-ში, იმ ეპოქაში როდესაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო დამოუკიდებლობა გააუქმა. ამ დროს საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები იბრძოდნენ რათა საეკლესიო ავტოკეფალია დაებრუნებინათ. ამ დროს საისტორიო წრეებში ჩამოყალიბდა მოსახრებანი, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალურობა მოიპოვა V ს-ში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში.

ქადაგებათა შემდგომ IV-VII სს-ში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბებული რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით, ქართული ეკლესიის წიადში ჩამოყალიბდა დასვლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ქვემო ივერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული მიენიჭა, რადგანაც „უზუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველიერარქს ერქვა,

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX ს.) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატინე შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).



აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის საქართველოს საპატრიარქოში შემავალ ერთ-ერთ საეკლესიო-ადმინისტრაციულ ოლქს წარმოადგენდა, ნაწილს ზოგადქართული ეკლესიისა. უცხოური წყაროები აფხაზეთის საკათალიკოსოს უწოდებენ „ქვემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს“, ხოლო ქართლის საკათალიკოსოს უწოდებდნენ - „ზემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს“.

ქართული საეკლესიო წყაროს - „ბიჭვინთის იადგარის“ ცნობით „ქვემო ივერიის“ საკათალიკოსო მოქცეული იყო - „რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“. აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის სამწყსოდ მიანდა „პონტოს“, ანუ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები - „პონტო ჩრდილოით“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. 1970 წ., გვ. 923);

IX-XI საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა, სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს „ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის“ სახელი, ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე ქართული საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წახურისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ჩრდილო კავკასიის დარესტნისა და სხვა რეგიონებში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX-X სს. სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

საეკლესიო წყაროებით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მიქცეული იყო ჩრდილო კავკასიის ვრცელი ტერიტორია ყირიმის ნახევარ-

კუნძულის ქალაქ კაფადან (ფეოდოსიადან) ვიდრე კასპიის ზღვამდე.

საქართველოს სამხრეთით, ქართული მრევლისათვის ასევე დარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული - „სომხეთის სამიტროპოლიტოს“ სახელწოდებით, მისი იურისდიქცია თითქმის ვანის ტბამდე ვრცელდებოდა. იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი მდინარე არეზამდე (არაქსამდე) ჩადიოდა, ის წერს, - მდინარე არაქსის „...მარცხენა მხარე იბერიისაკენ მიმართული ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვეს ჩვენი მბრძანებლობის ქვეშ. საზღვრად მდინარე იქნება“ (გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი II, გვ. 271);

არაქსისა და ეფურატის სათავეები X საუკუნეში არა მხოლოდ კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს იყო ქართველებით დასახლებული, არამედ საერთოდ არაქს-ეფურატის სათავეების მიწა-წყალი ისევე, როგორც ტრაპეზუნტის ოლქის მთიანეთი - პარიედრედან ვანის ტბის მიმართულებით, სტრაბონის ცნობით, იბერების ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა ძვ.წ. II საუკუნებდე. ამ მიწა-წყლის არმენიის სახელმწიფოში შესვლამდე.

სტრაბონი წერს - „მოგვიტხოვენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგველივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ... იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს



კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

სტრაბონის მიერ აღნიშნულ (უკვე არმენიაში შემავალ მიწებზე) ქართულები (იბერები) უწყვეტად ცხოვრობდნენ ოსმალების სახელმწიფოს შექმნამდე და მის შემდგომ საუკუნეთა მანძილზე, ისინი ტაოში (ამჟამად თურქეთშია) ამჟამადაც კი ცხოვრობენ.

დასავლეთ სომხეთში არეზისა, ეფერატისა და ჭორიხის სათავეების სიახლოვეს მცხოვრებმა ქართველებმა დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი ენა, კულტურა, თავიანთი ქართული ეკლესია, მართალია, მათ XX ს-ში დაინტერესებულმა პირებმა სომეხი-ქალკედონიტები უწოდეს, მაგრამ ისინი, თვით ამ რეგიონიდან გამოსული წმიდა მამების განმარტებით, ეთნიკურად იყვნენ მკვიდრი ქართველები, საკუთარი ქართული თვითშეგნებით, რომელიც არ ჩაკვდა იმის გამო, რომ ქრისტემდე IV-III საუკუნეებში შექმნილი იბერიის სახელმწიფო ამ მიმართულებით საზღვრებს იფართოებდა ხოლმე, განსაკუთრებით I-II საუკუნეებში.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოქმნის დროს აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა უამრავი ქართველი ადგილობრივი მცხოვრები თავიანთი ცნობილი ოშკის, ხახულის, ბანას, იშხანის, პარხალისა და სხვა ცნობილი ეკლესიებით. მათთვის დაარსებული იქნა საეპისკოპოსოები, რომელთა საზღვრები აღწევდა რახსისა და ეფერატის ხეობებამდე. „XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობის დროსაც კი სამხრეთ საქართველო აღწევდა - „აღმართ, ვიდრე კარნუ ქალაქამდე“ და ბასიანამდე “... XVII საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ეფერატი და ეფერატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა. საქართველოს საზღვარი რომ ეფერატამდე ჩადიოდა, ამას ამოწმებს

ჩელებიც. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII საუკუნეში არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 256).

ამის გამო, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა – ანისის, ყარსის, ერზრუმის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები.

ეს მხარეები დავით კურაპალატის დროს X საუკუნეში, ივერიის ანუ „ქართველთა“ სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, ვიდრე ვანის ტბამდე ბიზანტიის იმპერიამაც აქ (თეოდოსიოპოლ-არზრუმიდან ანისამდე) თავისი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოაყალიბა „იბერიის თემის“ სახელწოდებით. რადგან ამ მხარეებს შუა საუკუნეებში სომხეთი ეწოდებოდა, აქ საქართველოს საპატრიარქოს მრევლის სულიერ მეთაურს „სომხეთის მიტროპოლიტი“ ერქვა.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურებით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკა-



თალიკოსობებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) სჯულისკანონის დაცვა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ., 2010, გვ. 687).

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397 და სხვა).

ძველ ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას მიაჩნდა, რომ ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ღირსება მოიპოვა 681 წლისათვის (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232). მართლაც, ამ ეპოქაში, პატრიარქის წოდებას ატარებდა ამიერკავკასიის ორივე მეზობელი ეკლესიის მეთაური - სომხეთისა და ალბანეთისა, როგორც ეს კარგად ჩანს მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან. ამიტომაც არაა გასაკვირი ის, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეძია პატრიარქის წოდება და მოეპოვებინა ეს უდიდესი ღირსება მსოფლიო ეკლესიის დასტურით. ამის შემდეგ ქართული ეკლესიის პატივი გაუთანაბრდებოდა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოთა პატივს. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ცნობა: „ამის კრების მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232). აქვეა განხილული ქართული ეკლესიის სამწყსო. მასში საქართველოს გარდა შევიდა ქართული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიები: შაქი და შირვანი, კავკასიის მთიანეთი „მიდგმით - წარმოვლით მთისა ადგილნი“ -

ესენია დღევანდელი დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი „სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის“, მასში შესულა „სრულიად ოსეთი“. ოსეთი იმ დროისათვის მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ეკლესია, სწორედ VII ს-ის დასასრულს შეიერთა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, მ. კალანკატუაცის თანახმად; ხოლო ალბანეთის ჩრდილოეთით მდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებული მხარეები, როგორც აღინიშნა, დაუბრუნდა დედაეკლესიას. იგულისხმება ტერიტორია მოქცეული მტკვარ-ალაზნის შესართავიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, სადაც, როგორც აღინიშნა, ვიდრე მასქუთებამდე იქადაგა წმიდანინომ. ამ მხარეების მიმართ ქართულ ეკლესიას თავისი იურისდიქციის უფლება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა მხარეები ამ დროისათვის, ე.ი. VII ს-ის ბოლოსათვის, კვლავინდებურად შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ხოლო, როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები ფასისისა, როდოპოლისისა, პეტრონისა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, როგორც მიიჩნიეს XX ს-ში, არამედ, ნ. ადონცის კვლევით, ტრაპეზუნტის რეგიონში, თანამედროვე თურქეთის გუმუშხანეზიგანას რეგიონში, რომელიც ისტორიულად ქართველი ხალხით იყო დასახლებული, მას ერქვა „ლაზიკის ეპარქია“.

მაშასადამე, თვით საქართველოს ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრებული იყო მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესიას საპატრიარქო ღირსება მიუღია VII საუკუნეში, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ჩრდილო კავკასია,



სამხრეთ კავკასიის მართლმადიდებლური ნაწილი და ასევე მის სამხრეთით მდებარე ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი. მართლაც ტაოკლარჯეთში პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებული არის მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს, მოხსენიებული არის „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“.

„ყოველი აღმოსავლეთი“ ქართული საეკლესიო წყაროების ცნობით ერქვა ვრცელ ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამხრეთით კი ვანის ტბამდე.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურს ოფიციალურად ეწოდებოდა – „ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი და ქართლისა კათალიკოსი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 51).

IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში იბერიის სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გაჩაღებული იყო ყოვლისმომცველი მთარგმნელობით მუშაობა, რომელსაც ერთოდა საკუთრივ ქრისტიანულ-ქართული დამწერლობის შექმნა-ძიება. IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში საქართველოში მეფეების ბაკურისა და ფარსმანის დროს მოხდა ბერძნული ანბანის მიხედვით ძველი ქართული (სემიტურ-ფინიკიურიდან წარმომავალი ე.წ. არმაზული) დამწერლობის რეფორმა, დაიწყო ქართულ ენაზე წმიდა წერილის თარგმნა და ჩაწერა ქართული ასოებით. ქრისტიანული მწიგნობრობის დაფუძნების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ წმიდა წერილის პირველი მთარგმნელები, ძირითადად პეტრე იბერის პაპის, მეფე ბაკურის კარზე, პირველ მთარგმნელებს თავიანთი მოღვაწეობის საყრდენად ჰქონდათ ადგილობრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მემკვიდრის ცნობით მეფე ბაკურის შვილიშვილს (შემდეგში ცოხილ პეტრე იბერს) 3 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ წმიდა წერილს „დღე და ღამ“

9 წლის მანძილზე (დაახლ. 414-423 წლებში). პალესტინაში ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერის მიერ აშენებულ (ლაზთა) მონასტრებში (ივარაუდება 433 წლის ახლო ხანებში) აღმოჩნდა უძველესად მიხნეული ქართული ასომთავრული წარწერები, სადაც იხსენიებიან პეტრე და მისი წინაპრები, მათ შორის მეფე ბაკური (პეტრეს პაპა დედის მხრივ). ამ დროს (V ს. პირველ ნახევარში). ამ დროისათვის სალიტერატურო ქართული ენა მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული. ამავე ხანას განეკუთვნება ქართლის ეპისკოპოსის მობიდანის შესახებ დაცული ცნობა, რომ იგი „წერდა წიგნებსა“ V ს. I მესამედში. ეპოქას განეკუთვნება ცნობა არჩილ მეფის (422-432) შვილის მირდტის მეუღლისათვის წმიდა სახარების თარგმანის შესახებ.

ძველი საქართველოსათვის წმ. მეფე მირიანისა და მეფე ვახტანგ გორგასლის ეპოქიდანვე (IV-V სს.) ნიშნეული იყო საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობა“.

სასულიერო ძალაუფლების სიმფონიური თავმოყრა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) დადასტურა. სასულიერო პირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, სახელმწიფოში თანამდებობრივად მეფის შემდეგ მეორე სახელისუფლო პირად დაწესდა.

ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს სახელმწიფო იმართებოდა არა თვითმპყრობელი მეფის, არამედ მეფისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელსაც „დარბაზი“, „დარბაზის კარი“ ეწოდებოდა. ეკლესიის ადგილი სახელმწიფოს მართვის საქმეში სახელმწიფო საბჭოში ჩანდა. ამ საბჭოში, უპირატესი და უმთავრესი წევრები იყვნენ საქართველოს ეკლესიის პირველხარისხოვანი ოთხი იერარქი - „ოთხი ბერი“. ეს ოთხი ბერი ქმნიდა საბჭოს უმთავრეს და ცენტრალურ ბირთვს, ისინი იყვნენ – საქართველოს პატრიარქი (იგივე კათალიკოსი ქართლისა), აფხაზეთის კათალი-



კოსი, ჭკონდიდელი ეპისკოპოსი-მწიგნობართუხუცესი და მოძღვართმოდვარი. მათ განაწილებული ჰქონდათ არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ეკლესიის მართვის ფუნქციებიც – დარბაზის მეშვეობით. მათგან ერთ-ერთ მწიგნობართუხუცესს უშუალოდ ევალებოდა ხელმძღვანელობა გაეწია სახელმწიფოს აღმასრულებელი და სასამართლო სფეროსათვის, მოეკითხებოდა ფინანსური და სამხედრო სფეროებიც. საბჭოს სხვა სამ წევრს - ე.ი. საქართველოს პატრიარქს, აფხაზეთის კათალიკოსსა და მოძღვართმოდვარს არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროები ებარათ საქვეყნო-საეკლესიო მართვა-გამგეობისა, თუმცა მწიგნობართუხუცესი უშუალოდ წარმოადგენდა მთავრობის მეთაურს, ანუ ვაზირთა უპირველესს. ამიტომაც აცხადებს მემატიაზე - „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ღოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა და ყოვლად შეგნიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ღოცვისა და მარხვისასა“.

„საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობის“ გამო „დარბაზის კარი“, საეკლესიო საკითხების განხილვისას უკვე საეკლესიო კრებას წარმოადგენდა, აქედან წესსა და რიგს იღებდა ყველა უწყება – როგორც საერო, ისე საეკლესიო. დარბაზის კარის საქმიანობას უმაღლესი იერარქია წარმართავდა.

ცნობილია XII-XX სს.-ში საქართველოში შემდგარი 15 საეკლესიო - საკანონმდებლო კრება:

1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, შემდგარი 1103 (1104) წელს, რომლის გამოცემული სამართალი დაყოფილია კანონებად. კრების მიერ გამოცემული კანონები („ძეგლისწერა“) დაყოფილია 19 მუხლად.
2. საკანონმდებლო კრება მოწვეული მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ (1335).

კრებაში მონაწილეობდა საქართველოს პატრიარქი („წმიდა მეუფე ქართლის კათალიკოსი ეფთვიმე“) და ეპისკოპატი. კრების მიერ გამოცემული კანონები ძირითადად სამოქალაქო „მსოფლიო“ სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ თვით კრების განსაზღვრებით მათში გადმოცემულია „სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისიც გინდა სასაქმოსა-კაცის მკვლელთა, ეკლესიის მკრეხელთა, ცოლის გამგდებელთა ანუ წარმგვრელთა“. მათ საეკლესიო სამართლის სფეროს აკუთვნებდნენ. კრების „ძეგლის დადება“ შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან, მათ შორის რამდენიმე საეკლესიოა. კრება სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა.

3. ჭულევის საეკლესიო-საკანონმდებლო კრება (1381-1386). კრებამ განიხილა და უკლებლივ დაამტკიცა იქამდე 70-80 წლით ადრე შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელსაც დაურთო 33 მუხლი, რომელიც აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის სახელითაა ამჟამად ცნობილი. ამასთანავე, კრებამ აღნიშნულ (ბექასა და აღბუღას) კანონებს დაურთო ძველთაგანვე არსებული ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ მუხლები. საბოლოოდ კი, კრებამ აღნიშნულ სამართლის წიგნებს დაურთო თავის, თვით ჭულევის საეკლესიო კრების მიერვე შედგენილი ე.წ. კანონიკური სამართლის 10 მუხლი. ამით ჭულევში შედგენილი იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც სულ 170 მუხლისაგან შედგებოდა (კრებული მუხლებად შემდეგ იქნა დაყოფილი). ჭულევის კრებაც სახელმწიფო (სამთავროს) დარბაზის სხდომას წარმოადგენდა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ „ბექა-აღბუღას სამართლის“ ცნობილ კრებულს საბოლოო სახე მიეცა XVII-XVIII სს.-ში, ჩვენი კვლევის თანახმად ეს სამუშაო შეასრულა ჭულევის კრებამ.



4. დაახლოებით 1470-1474 წლებში შედგა ე.წ. „ცაიშ-ბედიის საეკლესიო კრება“, აღნიშნულ წლებში დასავლეთ საქართველოში ჩასულ ანტიოქიის პატრიარქს მიხეილს უცდია „ქართველი ერის საუკეთესო შვილთა მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი ქართული ეკლესიის თავისუფლების მოსაპოვა“, მაგრამ როგორც გარკვეულია, მან ეს ვერ შეძლო. გამოცემული სამართალი ჩამოთვლის ძირითადად ხალხის ზნეობრივი დაცემის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებებს და შეიცავს 43 მუხლს.

5. დაახლოებით 1543-1549 წლებში, ბიჭვინთაში შედგა საეკლესიო კრება, რომელმაც გამოსცა „კათალიკოსთა სამართალი“. ეს სამართალი ასახავს მაშინდელი ყოფაცხოვრების სინამდვილეს. მიმართულია „კაცის სეიდვის“, საეკლესიო ქონების გამტაცებელთა, საეკლესიო კანონებისა და ქრისტიანული ზნეობის დამრღვევთა წინააღმდეგ, უდგენს ნორმებს ეპისკოპოსებს, სამართალს უზენს მეფისა და ქვეყნის მოღალატეებს. კათალიკოსთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი სჯული იყო. შეიცავს 22 მუხლს. კრებაში დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი.


6. 1702 წლის საეკლესიო კრების „განჩინება სამონასტრო წესის თაობაზე“ მართალია კონკრეტულად დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრების მოსაწესრიგებლად გამოიცა, მაგრამ ზოგადეკლესიური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მონასტრებისათვის. შეიცავს სულ 6 მუხლს.

7. ვახტანგ VI-მ „იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა მიმოდებნეული იყო. ეს ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა ფრიადითა შრომითა“. ვახტანგ VI-მ შექმნა სამართლის წიგნთა ცნობილი კრებული და თავისი

შემოქმედებითი ნამუშავეი დაამტკიცებინა კრებას, რომელიც შედგებოდა კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან. უმაღლეს სასულიერო იერარქიასთან ერთად კრებას, ვითარცა სახელმწიფო დარბაზის სხდომას, ესწრებოდნენ დიდებულნი და დარბაისელები. ვახტანგს 1706-1709 წლებში შემდგარი კრების „დამოწმება და ნებადართვა“ ესატიროებოდა, რათა მისი „სამართალი“ ქვეყანაში ამოქმედებულიყო. სამართლის იმ მუხლებს, რომელთაც ეკლესიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა თან ვურთავთ აღნიშნულ კრებას.

8. მაჰმადიანთა მმართველობისას 1632-1744 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად დაუძლურდა ქართული ეკლესია და საზოგადოდ შეირყა ქრისტიანული ზნეობრიობის სიწმინდე, ამიტომაც სამეფო ტახტზე თეიმურაზ I-ის, ვითარცა ქრისტიანი მეფის, ასვლის შემდეგ მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა თავისი უფლებები. საქმის სწრაფი გამოსწორების მიზნით, კათალიკოსი ანტონ I რამდენიმე წელი ამზადებდა და 1748 წელს მოიწვია კრება, რომელსაც ჩვენ „თბილისის III საეკლესიო კრება“ ვუწოდებთ (თბილისის I და II კრებები შედგა XII ს-ში და მათ კანონები არ გამოუციათ). 1748 წელს კრებამ გამოსცა სამართლის ძეგლი, რომელსაც „კანონნი“ უწოდა. იყოფა 27 მუხლად.

9. 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა, მასში ეკლესიის უმაღლეს იერარქთა და ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს მეფეთავერები და დიდებულები. კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა, აღადგინა საეპისკოპოსო კათედრები, დაუბრუნა ეკლესიას იქამდე მიტაცებული მამულები, გადასახადისაგან გაათავისუფლა საეკლესიო ყმები, აუკრძალა საერო ხელისუფალთ საეკლესიო მფლო-



ბელობაში ჩარევა. გამოსცა „ხელით-წერილი“, რომელიც უმკაცრესად კრძალავს ტყვეთა სყიდვას, შეიცავს მოწოდებას მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ავალდებულებს თავის მოქალაქეებს სათანადო პატივი მიაგონ „სარწმუნოებასა და მეფის ერთგულებისათვის თავდადებულს“.

10. XVIII ს. II ნახევარში ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საეკლესიო კრებებმა კვლავ დაიბრუნეს მაჰმადიანთა მმართველობის დროს დაკნინებული უფლებანი და გამოსცეს შესაბამისი ზნებრივი სახის დადგენილებანი. 1762 წელს გამოიცა „დადგენილებანი საეკლესიო კრებისა საქაისკოპოსოთა მართვის შესახებ“, 1768 წელს გამოიცა მეფე ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის „განსაზღვრება“ ეპისკოპოსთა მიმართ: „მცნება მღვდელთათვის“, შეიცავს 35 მუხლს, 1777 წელს აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ გამოსცა მითითება თავის სამწყსოს მიმართ, რომელიც შეიცავს 10 მუხლს, 1793 წელს გამოიცა „კანონთა განმწესება ცოდვითათვის ანტონ II-ის მიერ“, შეიცავს 10 მუხლს.

11-15. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) საეკლესიო-საკანონმდებლო კრებმა გამოცეს „მართვა-გამგეობის დებულებანი“ (1917, 1920, 1927, 1937(1945), 1995 წლებში.

XIX-XX სს-ში საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა, სახელმწიფო წყობილება ათეისტური მიმართულებისა იყო, ეკლესია სახელმწიფოსაგან კანონმდებლობით იყო გამოყოფილი, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. მართლაც XX ს-ში შემდგარი ყველა საკანონმდებლო კრება აჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიას ამ პერიოდში უკვე მთლიანად აქვს აკარგული სახელმწიფოებრივი სხეულის ნიშან-თვისებანი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,

საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ. 2010, გვ. 717-723).

პირველი საუკუნეებიდანვე ქართველებს თავიანთი ეროვნული ღირსების უკეთეს გამოხატულებად მიცანდათ ქრისტიანული სარწმუნოების სიწმიდის დაცვა. ქართველთა მიერ მართლმადიდებელი სარწმუნოების ყველაზე უკეთ დაცვის შესახებ მიუთითებდნენ უცხოელი ავტორებიც. პროკოფი კესარიელი, რომელსაც VI ს-ში მოვლილი ჰქონდა აზიის, აფრიკისა და ევროპის მრავალი ქვეყანა, წერდა: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმაზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“.

XI ს-ში წმიდა გიორგი მთაწმიდელი: „წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და რადგანაც ერთი ღმერთი გვიცნობიეს არღარა უარ-გვიყვიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთა მტკიცე ვართ“.

X-XI სს-ში საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღორძინებაში ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღოდა. საქართველოს ეკლესიამ დიდ სიძლიერეს მიაღწია XII-XIII სს-ში წმიდა კეთილმსახური მეფეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს. ამ ეპოქაში გაერთიანებულმა საქართველომ შეძლო თავისი პოლიტიკური საზღვრების შიგნით მოექცია კავკასია და მისი მომიჯნავე დიდი რეგიონები.

XI-XV სს-ში საქართველოს საპატრიარქოს სიძლიერის ეპოქაში, საქართველოს პატრიარქს დიპტისში ეჭირა VI ადგილი 5 პატრიარქის შემდეგ.

მართალია, ქართულ ეკლესიაში მიღებულ დიპტისში ქართველ პატრიარქს ეჭირა VI ადგილი, მაგრამ სცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ



თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს VI ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის 4 პატრიარქი სცნობდნენ იბერიის ეკლესიას VI ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე რომის პაპის შემდეგ, ალექსანდრიელი მესამე. შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე – იერუსალიმელი“...

მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის, არამედ სარწმუნოების საკითხს, მაგრამ, საერთოდ, ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებითაც ჩანს.

ქართული, ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ წარმომადგენლობით კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ „მსოფლიო“ საეკლესიო კრებას, სადაც ერთმანეთს შეხედნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, „თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი“.

„იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს V ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქის შემდეგ

ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის მსოფლიო წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი“.

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი – რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა –

1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა);

2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;

3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;

4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;


5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია – „მეფის“) წარმომადგენელი – მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

ნაწყვეტი ფლორენციის საეკლესიო კრების ოქმიდან

1. პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ:

2. ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა),

3. ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი,



4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და

5. იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი.

**ACTA SACRA OECUMENICI
CONCILII FLORENTINI**

1. In quatuor scabellis post Patriarcham dispositis sequebantur 2. Archiepiscopus Heracleensis, Alexandrini Patriarchae legitimum mandatum habens, eiuque locum tenens, 3. Archiepiscopus Ephesus Patriarchae Antiocheni Legatus, 4. Archiepiscopus Menesiensis Ierosolymitani Patriarchae personam repraesentans **et 5. Metropolita Yberius Regis Yberiae Apocrisarius.**

(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003, გვ.37).

როგორც აღინიშნა, ნიკეის I მსოფლიო კრებას (325 წ.) ესწრებოდა ორი ეპისკოპოსი ქართველთა ისტორიული მიწა-წყლიდან. ესენი იყვნენ პოლემონის პონტოს ეპარქიაში შემავალი პიტიუნტელი ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნტელი ეპისკოპოსი დომნე (დომნუსი). ევსევი კესარიელი, ამტკიცებდა, რომ შავი ზღვის სანაპირო - „პონტოს ზღვის მარჯვენა მხარე“, სადაც პიტიუნტისა და ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი, იბერებით იყო დასახლებული.

II მსოფლიო კრების (381 წ.) კანონებს ქართველმა ეპისკოპოსმა პანტოფილემ მოაწერა ხელი. კრების ხელისმომწერ ეპისკოპოსთა შორისაა „პონტო ამისიის ოლქიდან პანტოფილე იბერიელი“. ზოგიერთ ხელნაწერში პანტოფილეს ნაცვლად წერია „პონსიფე იბერიელი“ ან „პასიფილ იბერიელი“.

431 წელს ეფესოში ჩატარდა III მსოფლიო საეკლესიო კრება, როგორც მიიჩნევენ ამ კრების მომზადებაში მონაწილეობა მიუღია ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსს იერემიას. ის V ს-ის პირველ ნახევარში გააფთრებით იბრძოდა ნესტორიანელთა დოქტრინის წინააღმდეგ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურპაელი ქართველი მართლმადიდებელი“.

ქალკედონში შემდგარ 451 წლის IV მსოფლიო კრებას, უდიდესი მნიშვნელობის მქონეს მსოფლიო ეკლესიისათვის, ქართულ წყაროთა მტკიცებით იმთავითვე დაუჭირა მხარი საქართველოს ეკლესიამ. ზოგიერთი ცნობით ქალკედონის კრების მუშაობაში „მონაწილეობა მიუღია სებასტოპოლის (ნიკოფსიის) ეპისკოპოსს“.

ნიკოფსია, ჩვენს წინაპრებს ქართველთა ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიანჩნიათ, როგორც ეს განაცხადა წმიდა გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის საპატრიარქო კარზე გამართულ მღვდელმთავართა შეკრებაზე - „ერთი წმიდა თორმეტ მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამმარხულ არს - აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“.

ნიკოფსიაში მოციქულ სიმონ კანანელის საფლავის შესახებ ბერძნული საეკლესიო წყაროებიც მიუთითებდნენ - „არს ჯიქეთს ნიკოფსიაში საფლავი, რომელსა აქვს წარწერა სიმონ კანანელისა“.

მონაწილეობდა თუ არა საქართველოდან რომელიმე ეპისკოპოსი V მსოფლიო კრების (553 წ.) მუშაობაში, დაზუსტებული არ არის.

VI მსოფლიო კრებას (680 წ.) კანონები არ გამოუტანია, მაგრამ ზოგიერთი ქართული ხელნაწერის თანახმად, მიუღია დადგენილებანი, მათ შორის, ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად აღიარების შესა-



ხედავ. განუსაზღვრავს მისი იურის-
დიქციის საზღვრები.

კონსტანტინოპოლის 691 წლის ე.წ.
ტრულის კრების კანონების ხელის-
მომწერთა შორისაა ლაზიკის ორი იერ-
არქი – „ფასო ს“ ეპისკოპოსი თეო-
დორე და „პეტრონის“ ეპისკოპოსი
იოანე.

ქართული წყაროებით „სოფელი
მეგრელთა“ და „ქვეყანა მეგრელთა“
ერქვა ვრცელ ტერიტორიას ისტორიულ
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში,
კერძოდ კი, ტრაპეზუნტის რეგიონს. ამ
მიწა-წყალს ბიზანტიელები ლაზიკას
უწოდებდნენ. „ბიზანტიური საეკლესიო
ეკთესიებით (ნუსხები), კონსტანტი-
ნოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარ-
ებულ ლაზიკის ეპარქიის ფასიდის
მიტროპოლიტს ექვემდებარებოდნენ
ოთხი ქალაქის - როდოპოლისის,
საისინთა, პეტრას და ზიგანევის
ეპისკოპოსები.

აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში, კერძოდ, ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქებს თემში.

787 წელს ნიკეაში შემდგარი VII
მსოფლიო საეკლესიო კრებაზე პონ-
ტოსპირეთის ქართველმა მართლმადიდებლებმა, რომელნიც ხატმებრძოლობას მხარს არასოდეს უჭერდნენ, თავისი ნება გამოხატეს ეპისკოპოსის ხელისმომწერით, რომელსაც ჰქონდა ტიტული „ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპიზონისა“.

ამჟამად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ანუ საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური ტერიტორიაა – საქართველო, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ანუ მასში შედის დროებით ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ასევე საქართველოს მოსაზღვრე მიწები ჩრდილო სომხეთში, ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. აქვს 39 ეპარქია საქართველოში და 5 ეპარქია ემსახურება დიასპორას. უმაღლესი

საკანონმდებლო და სასამართლო ძალაუფლების მქონეა საეკლესიო კრება, ის ირჩევს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, რომელსაც მუშაობაში ეხმარება წმიდა სინოდი. ის შედგება ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრებისაგან.

საქართველოს ეკლესიამ 1811 წელს დაკარგა ავტოკეფალია რუსეთის იმპერიის საერო ხელისუფალთა უკანონო გადაწყვეტილებით, რომელიც აღიდგინა 1917 წელს და აღიარებული იქნა რუსეთის ეკლესიის მიერ 1943 წელს, 1990 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქ უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ღვაწლით კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაადასტურა საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია. მისი მრევლია ოთხ მილიონზე მეტი ადამიანი.



ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი

**ექვთიმე თაყაიშვილის ერთი
 აუბლიკაციის შესახებ**

ექვთიმე თაყაიშვილის ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე გასაველელი გზა უადრესად მძიმე და ეკლიანი იყო. ჟამთა სიავის მიუხედავად, მან ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროების შეკრების, მეცნიერული შესწავლის, გამოცემის და დაუნჯების საქმეში [1,4]. ამჯერად, ჩვენი ყურადღება „საქართველოს სიძველენში“ დაცულმა ერთმა სემანტიკურად საინტერესო ვერიდმა მიიპყრო.

ექვთიმე თაყაიშვილის მოწმობით, წერილი, 43×17 სმ ზომის, დაწერილია ქალაქდზე ნუსხა მხედრული ხელით. თითოეული სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. წერილი დროთა ვითარებაში ოდნავ დაზიანებულია, უფრო მეტად თავსა და ბოლოში. ქორონიკონი არა ჩანს, მაგრამ წერილი, უნდა იყოს დაწერილი 1650-1658 წლებში, ვინაიდან აფხაზეთის კათოლიკოსი გრიგოლი, რომლისადმი მართა მონაზონს ეს საყურადღებო წერილი მიუწერია, უნდა იყოს გრიგოლ I, რომელიც დაახლოებით ამ წლებში კათოლიკოსობდა. ამავე წერილში მოხსენებული კათოლიკოსი მაქსიმე უნდა იყოს აფხაზეთის კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, გრიგოლ I-ის მოადგილე. შეიძლება ეს მაქსიმე იყოს ის, რომელიც, ტიმოთე გაბაშვილის აზრით ყოფილა იერუსალიმში 1640-იან წლებში. წერილის შინაარსი შემდეგს გვამცნობს:

„1650-1658. ...დარჩომილი, ცოდვათა ჩემთა მიერ მოვლინებული, ომ... საქართველოს ამბის დანატრებული, მარიამ დედოფალს აქეთ სისხლის [ნთხევეით ამ დიდს დავითის ქალაქს და წმიდას იეროსალიმს მავალი, ცოდ-


ვისაგან დახშულის პირით მაგათის ტახტისა, და დოგლათისა, და უფროსად ამ წმიდად იერუსოლიმად მოვლინებისათვის მხურვალედ რუდუნებით ცრემლით მტირალი, წმიდა საფლავსა და სისხლ-მეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო, ხელის დებადცა უღირსი, მონა უფლისა და ერდგულად მაღიდებელი მაგათი, მონაზონი მართა ვკადრებთ აიე კირ პროტოსინგელო, უფალსა და მეუფესა ჩვენსა. ზეცის კაცსა და ქვეყნიერსა ანგელოზსა, სავანესა და პალატსა წმიდისა სულისასა, თვით ბრძენსა, თვით ვრცელსა, თვით ფილოსოფოსსა, რიტორსა და გამომეტყველსა, მსმენელსა და მსწრაფლ მიმგესა მსაჯულსა და მართლმსაჯულ მწყემს-მთავრად განჩინებულსა, უხესთაეს და აღმატებულს, ხარისხზედ ხელ განაყრობ ყოველთათვის უმურველად მეურნაღსა, და ჯვარის მსახველსა, წმიდათ წინასწარმეტყველთა ნაქადაგევსა და გრიგოლის და იოვანეს დმრთის მეთქისაგან გამომეტყველებულსა, და მათ სახელ დებულსა, და მათგან პატრიარქადვე კურთხეულსა, - და აწ მრავალი რაღა თავი მოვაწყინო: ბატონს მრავალი შიშით და მოძიწებით თაყვანის ცემა, მაზარის კალთას განკრძალვით შემთხვევნა და, თუ მაგათი მოლოდინი სული მედვას, მორეს წელიწადს კიდევ მაგათის მშვიდობის გაგონების ნატრა მიკადრებია. რასთვის ასრე იქმნენ? ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყანასა? თუ ამისთანა კათალიკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი ურჩ იქმნების მაგათის ბრძანებისათვის? რასთვის კრებას არ იქმენ ეფისკოპოზნი? რომ ქრისტიანს მოუჭირონ, ხომ ყველა დამონდების? ვისი შიში აქუთ უფროს უფლისა? ასრე არ მოიხსენებს საღთო? „კეთილ არს მოსავ ყოფა უფლისაო, ვიდრე კაცისაო, კდ ხოლო შიშისაგან თქვენისა არ გვეშინოდისო“. დავით მამა უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთუ დაგივიწყო შენ იერუსალიმ,



დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემით”. აქ არ მობრძანდით, მაგრამ უნებლიად ერთს წამეს არ მოვლენ ყოველი სული, მაგათი თავის ჭირიმე, აქ სიონს არ ეგულების მოსლად ბევრეულთა გუნდითურთ უფალსა? ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეცა. აქაური ამბავი ამ ჩემა შვილმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირვება არის მაგისთანა რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუბებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები, საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების! ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოვლენ და ეშურებიან. ბერები გამოგზავნეთ, თავი თქვენ ბრძანდები, გამოიდევე პირად ამ ცხოლს-მყოფელის საფლავისა და ჯვარის სიყვარული. ახლა ჩემი სვიმონ – ოსტატი და ბრძენი შეიქნა, აქაური ანბავი დიად კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართებს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოვო, მე წინ მოუძღვებო. და ახლა ცოტა ნამუსი დაიდგეს. ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშონოს, და თქვენ სულ იერუსოლიმი დაკარგეთ! ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლ[ამის] რომ სულა გამოვრდეთ: წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და

სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო”. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს: ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქუს, და ჩვენი სამწირველ ისრევე მორთული არის, თუ არ მოხვალთ, დაქცევენ. საბრალო პატრიარქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევე მოცემსთ. უსაცილოთ გოლგოთასაც და გესამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გო[ლ]გოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიქინეთ, რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახლა საქმე. უსათუოდ შავის ზღვით გამოგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტანბოლს მოვიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით. თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მანდაური შიში უფროსი მოსდის. მოგვეხმარენით, თავს აღარ იქნა, თხუთმეტი წელი არის პატრიარქი ა[რ] მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსოლიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი, რაც ქართველის არის, ყველა გაგიცემიათქო, ან დაგვათათრე, ან დაგ[ე]ხოცე, და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წავგართვამთქო, თვარა არ იქნება... თვარა...

...[კა]თალიკოზის მეოხებამ ვაი რომ...
...[სა]ფუძველი აიშენეთ, ტაროსი არის,



გორაა „წერილი“ „ასოდ“). სრულიად გამოცალკეებულია ქართული ენის სასწაულად მოხმობილი შეკითხვა (კულმინაცია: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათ თოთხმეტი...“), ან კიდევ ავტორის მიერ „მოწამედ“ მოტანილი ფრაზა (ბოლოთქმა): „ასი ესე წელი (წილი) ანბანისა“. ეს სირთულის უმაღლესი ხარისხია. კითხვების გართულებას მხოლოდ გამოცანის ფუნქცია კი არა აქვს, არამედ თანმიმდევრულად მიეყავართ რელიგიური, ღვთიური იდემალების სიდრმეებისა და ადამიანური ამაღლებულის ზიარებისკენ. ნაწარმოების მხატვრული მთლიანობა გვკარნახობს, რომ მოსალოდნელია გაჩენილი შეკითხვების პასუხები ერთიან ლოგიკაში, კომპლექსურად იძებნებოდეს და ბოლოს გლობალურად გახსნას ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე. ამდენადაც იყო, რომ ხელნაწერში წამოჭრილი კითხვების შესახებ ყველა იმ გადაწყვეტას, რომელიც ტექსტში დაშიფრულ გზავნილის ერთ მხარეს ხსნიდა, ვერ შეჰქონდა საკმარისი სიცხადე მის გარშემო შექმნილ ბუნდოვანებაში; პირიქით, იგი ერთი შეხედვით, თითქოს გვაშორებდა კიდევაც ჭეშმარიტებას. შემდეგ ენათმეცნიერებას უხდებოდა მიღებული შედეგების უარყოფა; თუმცა მათი უარყოფა არ იყო რთული, რადგან ყველა დანარჩენი კითხვა უპასუხოდ იყო დატოვებული. როგორც გაშიფვრისას ვნახეთ, ხელნაწერით მოტანილი საკრალური ღირებულების მქონე ინფორმაცია კულმინაციასა და ბოლოთქმაშია მოცემული, ტექსტის დარჩენილი ნაწილები მხოლოდ დამხმარე, ხელშემწყობ როლს ასრულებენ. ამდენად თავიდანვე გასაგები ხდება, „ქებაის“ კულმინაციისა და ბოლოთქმის მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ხელნაწერის სწორედ ამ ორმა ნაწილმა განიცადა ენათმეცნიერთა ყველაზე დიდი შეტევა, რადგან აქ ხდებოდა ტექსტი ყველაზე მეტად ბუნდოვანი. ასეც უნდა ხდებოდეს; დაფარული



გზაენილი აქ ხდება ინფორმაციულად ყველაზე გაჯერებული.

რაც შეეხება ენობრივ უზუსტობას, გადახრებს („შეცდომებს“), მათი რაოდენობა თვალშისაცემია. ავტორის ამ სატყუარაზე გაუაზრებელ გამოდევნებამ შექმნა სწორედ პარადოქსული სიტუაცია, ქართული დაუწუნეთ, ქართული ენის ქებათა-ქების ავტორს. ხელნაწერის ადგილები, რომლებიც კითხვებს წარმოქმნიან მისი ხელნაწერიდან ხელნაწერში უცვლელად გადადის, ამავე დროს იცვლება და რაც მთავარია, არ კლებულობს ენობრივი „ლაფსუსები“ (მაგ. დამარხულ“-ის ნაცვლად „დამარხუ“-ს ჩაწერა), სიტყვის ან ქარაგმის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. განსხვავება ხელნაწერებს შორის ამიტომაც არის (Sin,38 ხელნაწერი გასხვავდება Sin,34-დან 18 სიტყვის ჩაწერით, სულ 28 ასონიშნით; ხელნაწერი Sin,38 განსხვავდება Sin,32-დან 11 სიტყვის ჩაწერით, სულ 18 ასონიშნით; Sin,34 კი განსხვავდება Sin, 32-დან 17 სიტყვით, სულ 28 ასონიშნით. 150-მდე სიტყვისგან შექმნილ ხელნაწერებში ასეთი დიდი განსხვავებები თვალშისაცემია). მაგრამ, როგორც უკვე ითქვა კიდევ, ამ ცვლილებებით კითხვების წარმოქმნილი ადგილების განმარტება, უფრო ცხადად მოცემა ან ე.წ. „ბუნდოვანების“ განმარტება, გაფანტვა, არც უფიქრია ავტორს. პირიქით, ისინი ყველა ხელნაწერში თითქოსდა საგულდაგულოდ, ყურადღებით გადააქვს. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. თუმცა ოდნავ ცვლის მათ, მაგრამ ეს მხოლოდ შიფრის უკეთ მოცემის მცდელობაა. როცა ავტორს გაცნობიერებული აქვს თუ რა დონის ნაწარმოებს ქმნის (ის მის სიცოცხლეშივე შევიდა სინურ მრავალთავეში, თვითონვე გადაწერა და შემოსა. ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ ელოდიაგებოდა იგი თავის ხელნაწერს. ბოლოს და ბოლოს, ახლა ხომ ნათელია, რომ ეს მისგან

მომავლისთვის მიწერილი წერილი იყო), მას სულ ცოტა ხელნაწერი მაინც უნდა გადაეკითხა, არასწორი ადგილები ჩაესწორებინა. ამ დროს მის ხელნაწერებში ლექსიკური „შეცდომების“ კლების ლოგიკა არ შეინიშნება. თავისთავად უზულისყურობის თვისება სრულიად შეუთავსებელია კალენდართა მსწავლელთან, რომლის საქმიანობა სიზუსტეს მოითხოვს.

კვლევა ცხადად დაადასტურა, რომ იოანე-ზოსიმეს სამივე ხელნაწერი, დაშიფვრის სხვადასხვა სქემაზეა აქცენტირებული, და იმის მიუხედავად, რომ ერთი და იგივე ინფორმაციის შემცველია, თავიანთ ორიგინალურ ღირებულებას ინარჩუნებენ. რაც შეეხება ნაწარმოების კულმინაციას („და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა“) და მის „მოწამედ“ მოხმობილ ფრაზას („ასი ესე წელი ანბანისაი“), გავასწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: ისინი, ერთიანი მეთოდით სისტემურად, კომპლექსურად იხსნებიან, ხოლო ამონახსნი, როგორც მოსალოდნელიც იყო, სწორედ ქართული მესიანისტური აზროვნების საფუძველი აღმოჩნდა.

კალენდრები ქართულ სიტყვაში

უძველესი ტექსტების გაშიფვრისას ძიება მათემატიკის, ასტრონომიისა და კალენდრის პირველისტორიის კვალზე უნდა წარიმართოს (ზ. სიტჩინი). ეს კარგად ცნობილი და ზოგადი კანონ-ზომიერება დიდხანს რჩებოდა ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღების მიღმა. „სიტყვა წელი ძირეული ქართული, უმოტივაციო სიტყვაა. წელიწადი კი კომპოზიტია, მიღებული „წელ“ სიტყვის გაორკეცვით“, - წერდა ენათმეცნიერი ზურაბ ჭუმბურიძე. მაგრამ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს კულმინაციაში ცხადად სწერია: „და სასწაულად ესე აქუს



(ქართულს) ოთხმეოც და ათ თოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა...“ და იგი სრულიად გაუგებარი იყო...

ასეთ დამოკიდებულებას ამ ფრაზის ჩასწორების არაერთი მცდელობა მოჰყვა, მაგრამ ოთხი ხელნაწერიდან ოთხივეში „ოთხმეოც და ათ თოთხმეტი“ ცხადად სწერია, ამიტომაც ჩასწორების ყველა ცდა, მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ხელნაწერის მეტაფიზიკური ინფორმაცია ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო. ეს ნაწარმოების კულმინაციაა და რადგან მასში აღნიშნული სამივე ელემენტი მეტნაკლებად იკითხება, გაშიფვრის საწყისიცა და უმთავრესი კვანძიც აქ უნდა იყოს.

ხელნაწერის ამ უმთავრესი ბუნდოვნების 94-ს შემდეგ კალენდარული ერთეულის, სრულიად შეუსაბამო სიტყვა „წელი“-ს არსებობამ გვიბიძგა ზემოთმოტანილ დასკვნას, დაშიფრულ ტექსტში კალენდარული, ასტრონომიული და მათემატიკური ინფორმაციის შესაძლო გამოჩენაზე განსაკუთრებული ყურადღებით მოვკიდებოდით. და ამ ფრაზის რიცხვული მხარე უძველეს კალენდრებთან მიმართებაში განგვეხილა; „ოთხმეოც და ათ თოთხმეტი წელი“-ში იმდროინდელი მათემატიკის, ასტრონომიისა და კალენდრის საწყისები მეტ-ნაკლებად სახეზეა: 94 – ჰემატრიული რიცხვია (ეს იმდროინდელი მათემატიკაა(!), „წელი“ კალენდარული (!) ერთეულია და ამდენად, ასტრონომიულადაც (!) დედამიწის მზის გარშემო შემოვლის დროის ერთეულია.

ასე იქნა გამოვლენილი უმთავრესი ინფორმაციის მომტანი ნაწარმოების კულმინაცია და მოხდა მასზე ფოკუსირება.

სავარაუდოდ, სიტყვაში (წელთადრიცხვის ერთეულში) კალენდრის რიცხვულად ჩატანების ტრადიციის ფესვები უშორეს წარსულშია საძებნი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან კალენდარი სწავლულთა დაკვირვება-გარჯის შედეგია და ერთეულიც მათი შემოტანილი და გააზრებული. ამგვარი

მომენტების მიგნება ხდება ენის ღვთიურობის აღიარებისა და განცდის საფუძველი.

ცა უძველესი ადამიანისთვის ღმერთების საუფლო იყო, მთვარე და მზე ღმერთები, უზენაესი ღვთაებები; მადუნად, ცაზე მათი მოძრაობა, წასვლა-მოსვლის განრიგს, უდიდესი სარწმუნოებრივი და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა (პრაქტიკულის გარდა). კალენდარი, ფაქტობრივად, მნათობთა მოძრაობის განრიგია, სარწმუნოებრივი რიტუალის განმსაზღვრელი (ეს დღემდე ასეა). სწორედ ამ საფუძველებიდან ამოდის ის შედეგები, რასაც იოანე-ზოსიმეს წერილი იძლევა.

როგორც აღმოჩნდა ქართული კალენდარი ანბანთან ერთად, სიტყვაშიც დევს და სწორედ აქ არის იოანე-ზოსიმეს ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნაც, დადგინდა ისიც, რომ სიტყვაში, დროის ერთეულად მიჩნეულ სიტყვაში კალენდრის რიცხვული მექანიზმის ჩადების ტრადიცია წმინდა წინარექართული ტრადიციაა.

როცა დროის უმნიშვნელოვანეს ერთეულში, რომელიც მზის გარშემო დედამიწის ერთი შემობრუნების აღმნიშვნელია, მთელ კალენდარს ვპოულობთ, ეს უკვე თვისობრივად განსხვავებული დონეა, ვიდრე, თუნდაც იგივე კალენდრის ანბანში ხილვა. აქ ნათლად ჩანს, რომ ის, ვინც ეს სიტყვა შექმნა კალენდრის შემოქმედი იყო (?!).

ახლა უშუალოდ სიტყვიერ კალენდრებზე ვისაუბროთ.

მზის მოძრაობა კალენდარი

სავარაუდოდ, ძველი წელთადრიცხვის მეოთხე ათასწლეულის დასასრულს ქურუმთა კასტამ დააზუსტა წელიწადის ხანგრძლივობა და 365-დღიანი მზის კალენდარული სისტემა შემოიღო.

ტროპიკული წლის ხანგრძლივობა, მზის გარშემო დედამიწის რეალური



გარშემოვლის დრო, 365 დღესა და კიდევ, თითქმის 6 საათს შეადგენს. ამ მიზეზით, ყოველწლიურად 365-დღიანი კალენდარი ოთხ წელიწადში ერთ დღეს სხვაობას იძლეოდა. ამიტომაც მას მზის მოძრაეი კალენდარი ეწოდა. მოძრაეი კალენდარი მზის გარშემო დედამიწის გარშემოვლის რეალურ დროსთან (ე.წ. ტროპიკულ წელიწადთან) დიდი სხვაობის გამო დაერქვა; იგი ოთხ წელში 1-დღიან სხვაობას იძლეოდა და შესაბამისად ასტრონომიული საფუძვლის მქონე დღესასწაულები (ბუნიობა, მზებუდობა და ა.შ.) ერთი დღით იძვროდა. მზის მოძრაე კალენდარში გვქონდა თანაბრად 30-დღიანი 12 თვე, და ეს გვაძლევდა:

$$12 \times 30 = 360 \text{ დღეს.}$$

წლის ბოლოს 360-ს ემატებოდა 5 რელიგიური სადღესასწაულო დღე (ეგვიპტე მას ეპაგომენს ეძახდა), რაც ჯამში იძლეოდა, 365-ს:

$$5 + 360 = 365.$$

ძველ ეგვიპტეში ქურუმებმა, პრაქტიკულად თავიდანვე იცოდნენ მზის მოძრაეი კალენდრის ეს ნაკლი, მაგრამ გასწორება ეკრძალებოდათ (იყო რამდენიმე მცდელობა). არ უნდა შეგვექმნას მცდარი შეხედულება იმის თაობაზე, რომ 365-დღიანი კალენდარი ქურუმთა ცუდი გამოთვლების, ანდა სულაც დაკვირვებათა არასრულყოფილების ბრალი იყო. პირიქით, მათი გათვლების სიზუსტე განსაცვიფრებელია. უკვე იმ დროს ქურუმთა ჩაკეტილი კასტის გარდა დედამიწაზე არ არსებობდა სხვა ცოდნის კერა, სადაც მნათობთა გადაადგილება, ან მდებარეობა, ასეთი დიდი სიზუსტით აღირიცხებოდა.

ქურუმებმა იცოდნენ, რომ რეალური კალენდარის მისაღებად საჭიროა ოთხ წელში ერთ-ერთს, ერთი დღე დაეუმატოთ, ხოლო 150 წლის შემდეგ, ერთი დღე, პირიქით, დავაკლოთ. ასეთი კალენდრის სიზუსტე საკმაოდ აღემატება იმ კალენდრის სიზუსტეს, რითაც

დღეს სარგებლობს კაცობრიობა, მისი ცდომილება მხოლოდ 2 წუთი და 50 წამია. კალენდრის საკრალურობა ის გახლდათ, რომ დღესასწაულები კონკრეტულ რიცხვებს არ ებმოდნენ (დაახლოებით ისევე, როგორც მართლმადიდებლური აღდგომა), არამედ ყოველ ოთხ-წლეულში გადადიოდნენ ერთი დღით წინ. (მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ 365-დღიანი კალენდარი ვენერას წელის სინქრონულია. 8 მიწიერი წელი, თითო 365 დღით, იგივეა, რაც ვენერას 5 წელი.) იგივე ცოდნის კვალი ჩანს ქართულ ლექსიკაში. ასე მაგალითად, განვიხილოთ სიტყვა – „ნაკი“, და მისი სემანტიკური მნიშვნელობა დიალექტებში. იგი ნაკლია (გურ.); პატარა (ნაკლული) ტანის საქონელია (გუდამაყ. მთ. მოხ.); მოუსავლიანი (ნაკლულ მოსავლიანი) წელიწადია (მთიულ.); ნაკი ბატკანი – დღენაკლული ბატკანია (მთ.); აქედან გამომდინარე, ნაკიანი წელიწადი – ნაკლული, დღენაკლული წელიწადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საპირისპიროდ, ის დღე (ერთი დღე) ნამატი წელია. ე.ი. დღის დამატება ითვლება სწორედ „ნაკის“, ნაკლულობის ნიშნად. თუ $365 + 1 = 366$ -დღიანი წელი ნაკიანია, გამოდის, რომ 365-დღიანი წელი ითვლებოდა მართე-ბუღად. ეს კი მზის მოძრაეი კალენდარია. ე.ი. ქართული სიტყვა „ნაკი“ და ნაკიანთან შექმნილი ერთი შეხედვით „გაუგებრობა“, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია: ქართული სწორად მიიხნევდა 365-დღიან, ანუ მზის მოძრაე კალენდარს. ეს იგივე პროცესია, რასაც ვხედავთ ეგვიპტეში, სადაც 4 წელიწადში 1 დღის დამატების შესახებ ცოდნა არსებობს, მაგრამ რელიგია სწორად მზის მოძრაე კალენდარს მიიხნევს და მას ინარჩუნებს.

როგორც ვნახავთ მზის მოძრაეი კალენდარი ყველაზე მოხერხებულად და ორგანულად, მარტივად, თვითონ ქართულ სიტყვაში განხორციელდა, თანაც მზის გარშემო დედამიწის ერთი



შემოვლის დროის ერთეულად მირე-
ბულ სიტყვაში – „წელი“. ახლა
წარმოდგენა შეგვექმნება იმაზე, თუ
რაოდენ ძველია ქართული სიტყვა
„წელი“ და რა დიდი, და გასაი-
ღუმლოებული საკრალური ინფორ-
მაციის მატარებელია იგი.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ
„წელი“ ჩვეულებრივი, რიგითი სიტყვა
კი არ გახლავთ, არამედ კალენდრის
ერთეულია:

წ ე(5) ლ(12,30) –ი,

აქ უკვე სიტყვის თითოეული ასოს
რიგით სათვალავთა და რიცხვ-
მნიშვნელობათა ერთობლიობის გათვა-
ლისწინება ხდება აუცილებელი, თუმ-
ცა ესეც ისეთივე მარტივი და გენია-
ლურია, როგორც წინაპართა დანა-
ტოვარი ყოველი საიდუმლო.

ქართული ანბანის პირველი თორ-
მეტი ასო-ნიშანი ცის თაღზე 12
ზოდიაქოს აღმნიშვნელია. სიტყვაში
„წელი“, „ლ“ რიგითი სათვალავით
ანბანის 12-ე ასო-ნიშანი ანბანურ ცის
თაღზე 12 ზოდიაქოს ბოლო წევრია,
ანუ ანბანურ ცარგვალზე მზის
წლიური მოძრაობის ბოლო
თანავარსკვლავედი, მასში მზე წლიურ
გზას ასრულებს და სრულ წრეს
კრავს. იმ დროს, როცა ქართულ
ანბანში მზის კალენდარული სისტემა
ჩაიდო, მზე თავის ყოველწლიურ
მოქცევას ვერძის ზოდიაქოში იწყებდა
და უკვე წლის ბოლოს, თევზის
ზოდიაქოში ასრულებდა: „თუ ქართულ
ანბანში განხორციელებულია მზის
კალენდარული იდეა, უნდა ვიფიქროთ,
რომ ქართული ანბანის 12-ე, „ლას“,
ასო-ნიშანში მზე თავის წლიურ
მოქცევას ამთავრებს“-წერს ბ-ნი რამაზ
პატარიძე („ქართული ასომთავრული“,
1980). ეს ასეცაა, რადგან ანბანური ასო
– „ლას“ თევზის ღვთაების სახელია
(გ. ჩიტაია), ე.ი. ანბანის მე-12 ასო-
ნიშანი თევზის ზოდიაქოს აღმნიშ-
ვნელიცაა. ამგვარად, ასო „ლას“-ი
ანბანურ რიგში ზოდიაქოს 12 ნიშანს
და წელს ამთავრებს; როგორც იტყვიან:

„ბედისწერას ცაზე თორმეტი გაჩერება
აქვს და ბოლო გაჩერებით წრე
იკვანძება“. ამიტომაც, მეთორმეტე
ზოდიაქოს მახასიათებელი რიცხვები
ერთ სრულ წრეს, 360-ს (წრის ნაწილს,
გრადუსს, დღეს) უნდა იძლეოდეს.

მართლაც, „ლას“-ი რიგითი სათ-
ვალავით 12, ხოლო რიცხვ-მნიშვნე-
ლობით 30-ია. ამ ორი რიცხვის ერთ
ასო-ნიშანში თავმოყრა, ერთიანობა,
ჰემატრიის წესით მათი გამრავლების
შესაძლებლობას გვაძლევს. ნამრავლი
თავის მხრივ, იმ შედეგს იძლევა, რაც
უკვე მოსალოდნელი და ასტრო-
ნომიულად გამართლებულიც იყო: ერთ
სრულ წრეს, 360⁰-ს, ანუ წლის 360
დღეს: $12 \times 30 = 360$.

დააკვირდით ქურუმთა შექმნილ
მზის მოძრავი კალენდრის პირველ
სტრიქონს, ასო – „ლ“, „ლას“-ის
ჰემატრია ზუსტად იმეორებს მას.

მოძრავი მზის კალენდარის
სრულყოფისთვის აუცილებელ, ზემოთ
აღწერილ დამატებით 5 დღეს „წელი“-
დან ასო „ე“(5) გვაძლევს, ასეთივე
რიგითი სათვალავით: $5 + 360 = 365$.

ამდენად, „ელ“-ი სრულად იმეორებს
მზის მოძრავი კალენდრის რიცხვებს
და ჰემატრიის წესების დაცვით მათზე
მოქმედებებსაც, კალენდარს ($12 \times 30 = 360$;
 $360 + 5 = 365$). მის შინაგან,
უმარტივეს ვარიანტს სიტყვა – „ელ“-ი
(365) (იგივე, ლოდინი, „მოცდა“,
არსებობა იმ იმედით, რომ ვინმე ან
რამე მოვა“ (განმარტებითი ლექსიკონი)
იძლევა, იგი პირველადი კვალია,
მაგრამ მისი სრულყოფილი სახე, რა
თქმა უნდა, „წელი“-ა. პირველ ასო-
ნიშანს „წ“ (წილი) ქვემოთ მივუბ-
რუნდებით და დავრწმუნდებით, რომ
იგი წრის რიცხვს იძლევა.

„სიტყვა „ელი“ – კოლხ-ლახურად
ნიშნავს მზეს (!), ნათელს, სინათლეს;
„ელი“-ს ასევე ჰქონდა უზენაესი
ღმერთის სახელწოდების მნიშვნელობა.

ელი-სთან ერთად ეს მნიშვნელობა
აქვს მის სინონიმ-სიტყვებს: ელ, ელა,



ელახ, ელუ... სიტყვა ელ და ელი ძველ კოლხეთში აღნიშნავდა პირველყოფილ (უზენაეს) შემოქმედს ყოვლისა, ცხოვრების დაბუდებისა, დავანებისა... სიტყვა ელ და ელი არის ფუძემდებლური სიტყვა... (ელ – გელ, ელუ, გელუ, იალუ (ახდენა, აღსრულება, შესრულება); ელ – ელ-მალ, ელ-მელე (ასავალ-დასავალი), ელახ – აღმოსავლეთი, ელ – ელადგინა (განთიადი); ელ – ელაჯინა (შეხედვა ზევით); ელ – ელარჩინა, ელმარჩილე (უხილავი შესმინება); ელ – ჭეკა-ჭუხილი (ელვა?!); ელ – ელრჩინა, ერჩინა (დაბადება).“ (ელ.ვახანია, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, 2011, გვ. 264.) ყველა ეს სიტყვა „ელ“ ფუძიდან და შემდეგ ზოგადქართველური კალენდარული სიტყვიდან „წ-ელი“ გამოდის.

როგორც ზემოთ ითქვა, „ელი“-თ მოტანილ 360 კალენდარულ დღეს, ეგვიპტეში ბოლოს, 5 დამატებითი დღე, ე.წ. ეპაგომენი ემატებოდა. ბ-ნმა რამაზ პატარიძემ დაამტკიცა, რომ ამ დღეების დამატება ასტრონომიულად ყველაზე გამართლებულია შემოდგომის ბუნიობის წინ, რადგან „კალენდარულ წელიწადს ქართული ასომთავრული ანბანი გაზაფხულის ბუნიობით იწყებს, როცა მზე ვერძის ზოდიაქოში შედის.“ „წლის დაწყება გაზაფხულის ბუნიობის დროით მეტად გონივრული და ასტრონომიულად გამართლებულია“, მაგრამ სწორედ ამის გამო „ხუთდღიანი განსხვავება გროვდება გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე.“ (რ.პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, გვ. 429-31) „ვერძის ეპოქაში (დაახ. ძვ.წ.ად. 2200 – 0 წლები – ავტ.), შემოდგომის ბუნიობა, ანუ შემოდგომის დღე-ღამე სწორება ხდებოდა მაშინ, როცა მზე „სასწორის“ ზოდიაქოში შედიოდა.“ (იქვე). გამოდის, რომ 5-დღიანი განსხვავებაც ამ დროისთვის უნდა აღმოიფხვრას. ეს ის პერიოდია, რასაც სულხან-საბა ამგვარად განმარტავს: „არდადეგი არს – რა მკათათვეში მზე ლომზე შევალს“; ანუ

20 ივლისი. (პრეცესიული პროცესის გამო „ვერძის ეპოქაში“ ივლისში უწევდა შემოდგომის ბუნიობა). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მზის მოძრაე ქართულ კალენდრს 5-დღიანი ეპაგომენი 20 ივლისიდან უნდა დამატებოდა და ამ დღეს აღენიშნათ „ელი“-სთვის, უმაღლესი შემოქმედი ღმერთისთვის მიძღვნილი დღესასწაული.


რა უნდა დარქმეოდა ასეთ რელიგიურ დღესასწაულს? „ელიობა“, სავარაუდოდ, ყველაზე შესაფერი სახელი იქნებოდა, რადგან დღეები „ელ“-ი კალენდარს ემატება. წარმოიდგინეთ, კოლხეთში არის ასეთი რელიგიური დღესასწაული და მას სწორედ „ელიობა“ ჰქვია და იგი ზუსტად 20 ივლისს აღინიშნება („მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონი“, (გ. ელიავა)). 20 ივლისს იგივე „ელიას დღეობა“ აღინიშნება ხევსურეთშიც და მასაც „ელიობა“ ჰქვია. (ა. ჭინჭარაული) „ამინდის ღვთაების ელიას დღესასწაულს... საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად მართავდნენ. ელიობას მესხეთში ტაძარში იხდიდნენ, ასევე სცოდნიათ იმერეთში. კახეთში დღესასწაულს მართავდნენ ელიას მთაზე.“ („ქართული ენციკლოპედია“)

შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, ნაპოვნია „ქართული ეპაგომენი“, მზის მოძრაე კალენდრისთვის დღეთა დამატების დიდი დღესასწაულის ნაშთი.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ელიას ხალენი მცხეთას განისვენებს სვეტიცხოველში „საკურთხევისა ქუეშე უპოვნელად ვიდრე ჟამამდე მისა.“ (ტ 1. გვ. 100) ამით მისი შემოქმედი ხალხია პატივდებული. „ელ“ კალენდარი წინარესაქართველოს კუთვნილებაა და მასთან დაკავშირებული სასწაულებსაც აქედან მიიღებს კაცობრიობა (!).

„იყვნენ სიმართლითა მორტყმულ წელნი (!) მისნი...“ (ესაია, 11. 5)

ეს ფაქტები ეჭვმიუტანლად ამტკიცებენ, რომ კალენდარი „წ-ელი“



„ვერძის ეპოქაშია“ შექმნილი, ამას დადასტურებაა: – „ლას“-ის, თევზის მეთორმეტე ზოდიაქოდ არსებობა, ე.ი. ამ დროს წელს ვერძის ზოდიაქო იწყებდა;

– 5-დღიანი დამატება ივლისის ბოლოს (20 ივლისი), მხოლოდ ვერძის ზოდიაქოში უწყევდა; და რადგან „ელი“ კალენდარია, და „ელიობა“ ივლისის ბოლოსაა, ეს ნიშნავს, რომ ვერძის ზოდიაქოში აღინიშნებოდა „ელიობა“ და დღემდე ოდნავ სახეშეცვლილი, მაგრამ სახელშენარჩუნებული შემორჩა.

კითხვას: წყაროების არარსებობისას როგორ განვსაზღვრავთ სიტყვა „წელი“-ს ხმარებაში შემოსვლის თარიღს, პასუხს ლოგიკაც სცემს. იგი მარტივად აღგენს „წელი“-ს შემოტანის ქვემოთა ზღვარს: ხომ არ შექმნიდნენ ქართველები მზის მოძრავ კალენდარს მაშინ, როცა კალენდარული რეფორმა უკვე რომში განხორციელებული იყო (ძვ.წ.ად. 46 წელი), მზის მოძრავი კალენდარი ხმარებიდან გამოსული. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდისთვის რომთან ქართულ სახელმწიფო წარმონაქმნებს ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ, ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა; ამდენად, „წელი“ უფრო ძველია.

დასკვნა: „წელი“ და მისგან გამომდინარე სიტყვა „ელი“, კალენდარია ქართულში, (ქვემოთ ვნახავთ, რომ იგი გაცილებით ძველია და სწორედ აქედან ვრცელდება). იოანე-ზოსიმე თავის ხელნაწერში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ წერს: **„და სასწაულად ესე აქუს (ქართულს): ოთხმეოც და ათოთხმეტ წელი (!!!) უმეტის სხვათა ენათა...“**

ქართულის ენის სასწაული ის საიდუმლოა, რაც დევს სიტყვაში „წელი“.

მართლაც, სასწაულია სიტყვიერი კალენდარი, სიტყვაში კალენდრების ჩადების ტრადიცია, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება.

მზის უძრავი სრულყოფილი კალენდარი

ტროპიკულ წელსა (დედამიწის მზის გარშემოვლის რეალური დრო) და 365-დღიან კალენდარულ წელს შორის დაზუსტებული სხვაობა 5 საათი 48 წუთი და 46 წამია. ზემოთ აღწერილი მზის უძრავი კალენდრით, ანუ იმ კალენდრით, რითაც დღეს ვსარგებლობთ, ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე შემოგვაქვს. ე.ი. საშუალოდ წლიურად $24 : 4 = 6$ საათი დამატა. გამოდის, რომ მზის უძრავი კალენდარი წელზე 11 წუთითა და 14 წამით მეტს ითვლის, ე.ი. უფრო მეტს ვამატებთ, ვიდრე საჭიროა, ამიტომაც მას დაახლოებით ყოველი 128 წლის შემდეგ კორექტირება სჭირდება, უკვე მთელი ერთი დღის დაკლება. ქრისტეშობის, ანუ ახალი წელთაღრიცხვის შემოტანის შემდეგ არსებული კალენდრის კორექტირება, ე.წ. „ახალ სტილზე გადასვლა“ ერთბაშად, წინა საუკუნეში განხორციელდა და ეს მზის უძრავი კალენდრით დაგროვილი ცდომილების აღმოსაფხვრელად გაკეთდა. ე.ი. თუ მზის მოძრავ კალენდარს 5 საათი 48 წუთი და 46 წამი ჰქონდა ტროპიკულ წელთან სხვაობა, მზის უძრავ კალენდარში ეს სხვაობა 11 წუთსა და 14 წამამდე შემცირდა, მაგრამ სულ არ გამქრალა, ამიტომაც ისევ სჭირდება მზის უძრავ კალენდარს კორექტირება; თუმცა 4 წელიწადში კი არა, არამედ უკვე 128 წელიწადში.

კალენდრის სრულყოფა მზის კალენდრის განვითარებას უნდა მოეცა, ეს ლოგიკურად სრულიად ცხადია; ამისთვის, ახალ კალენდარს წინარეს სიტყვიერი და რიცხვული ნაწილის გამეორება სჭირდებოდა, ასე იქნა მიღებული მზის უძრავი კალენდარი, იდენტური რიცხვული კონსტრუქციით, „წელიწადი“. იგი არა მხოლოდ პირდაპირ ინარჩუნებს რთულ ფუძეში „წელ“-ს, არამედ გაცილებით მნიშვნე-



ნელოვანი ინფორმაცია მოაქვს სემანტიკურ და პემატრიულ შრეში. კალენდრად გამოყენების შემდეგ მაკორექტირებელი ფუძე „წადი“, წასვლის მნიშვნელობის ზმნაში გადადის და ამასაც აქვს ლოგიკურად გამართლებული საფუძველი. სიტყვიდან „წადი“ ასო-ნიშანი „წ“-ს რიგითი სათვალავი – 31, ციფრულად 3 და 1-ია, ანუ ჯამში ოთხი: $3+1 = 4$, ეს მიგვანიშნებს იმას, რომ ყოველ ოთხ წელში სამჯერ 365-დღიანი წელია, ხოლო იმ ერთ ნაკიან წელს, მას 366-დღე ემატება. „ყოველ ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე-ღამის საიდუმლო... ასო „წილი“-ს ფორმულაშია დამარხული“ (რ.პატარიძე). ამ ერთ, დასამატებელ დღეს სიტყვაში ასო-ნიშანი „ა“(1) იძლევა. 128 წელში რეალური, ტროპიკული წელიწადებით გასული დრო, მზის უძრავი კალენდრით აღრიცხულზე 1,0016 დღე-ღამით ნაკლებია. ასეთი თვალსაჩინო ცდომილების გამოსწორების შესაძლებლობას მაკორექტირებელი ასო-ნიშანი, სიტყვის ბოლოს „დ“ (დონ-ი) იძლევა. მისი რიგითი სათვალავია 4, ხოლო სახელდება „დონ“-ი, მართლაც განსაკუთრებული რიცხვითი შიგთავსით: $დ(4) ო(70) ნ(50) -ი, 4 + 70 + 50 = 124$;

პემატრიით მიღებული 124, წელთა ის რაოდენობაა, რომელსაც „წელიწადი“, როგორც მზის უძრავი კალენდარი ისევე ითვლის. „სახელდება „დონ“-ი შემთხვევითი ხასიათისა კი არ არის, არამედ მას ერთდროულად საიდუმლო რიცხვითი მნიშვნელობა აქვს და ასტრონომიულ-კალენდარულ ფუნქციებს ასრულებს.“ (რ. პატარიძე). სავსებით სწორია, უნდა დავამატოთ მხოლოდ, რომ არა მხოლოდ ანბანში, არამედ სიტყვაშიც – „წელიწადი“. 124 წელში 31 ნაკიანი წელია, სწორედ ასე ითვლის მზის უძრავი კალენდარი დღეებს და იგივე ხდება მზის უზუსტეს კალენდარში. მაგრამ შემდეგი ოთხი წელი,


განსაკუთრებული წლებია, რომელშიც უკვე ნაკიანი წელი აღარ გვხვდება. ამაზე ინფორმაციას „დ“ (დონ-ი) ასო-ნიშნის რიგითი სათვალავი იძლევა, ის 4-ს ტოლია. ე.ი. კალენდარი „წელიწადი“ 124 წელს 31 ნაკიანი წლით გადის ($124: 4 = 31$, აქ 124 „დონ“-ის პემატრია და 4, მისი რიგითი სათვალავია); ხოლო შემდეგი 4-წლედი უნაკიანო წლებია (4, ისევე „დონ“-ის რიგითი სათვალავია). ამით კალენდარი თვითონვე ახდენს ზედმეტი ერთი დღის კორექტირებას. მივიღეთ ე.წ. უზუსტესი ქართული კალენდარი, მასში $124 + 4 = 128$ წელიწადში 32-ს ნაცვლად, 31 ნაკიანი წელია. ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო კორექცია გამაოგნებელ შედეგს იძლევა:

ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365,2422 დღე-ღამეა, 128 წელში იგი $128 \times 365,2422 = 46751,0016$ დღე-ღამეს. ე.წ. ქართული კალენდრით ჩვენ 128 წლიდან 31 გვაქვს ნაკიანი, ანუ, $31 \times 366 + (128 - 31) \times 365 = 46751$ დღე-ღამე.

ფაქტობრივად, სხვაობა უსასრულოდ მცირეა, ეს სხვაობა 128 წელიწადმა მოგვცა:

$$46751,0016 - 46751 = 0,0016 \text{ დღე-ღამე.}$$

თუ მზის უძრავ კალენდარს 1,0016 დღე-ღამე ჰქონდა ცდომილება, ახლა ქართული კალენდრით იგი 1 დღე-ღამით შემცირდა და 0,0016 დღე-ღამე გახდა. გადავიყვანოთ იგი წამებში და გადავიანგარიშოთ ერთ წელზე, ანუ გავყოთ 128-ზე და წელიწადში სულ 1 წამიანი სხვაობა გვჩნება (მას კორექტირება მხოლოდ 86400 წლის შემდეგ დასჭირდება). გათვლისას არ არის გათვალისწინებული პრეცესია და დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვის შემცირების პროცესი, რამაც 1 წამიანი ცდომილება შეიძლება გააბათილოს. „ესოდენ სრულყოფილი კალენდარი დღემდე არ იცის კაცობრიობის ისტორიამ.“ (რ. პატარიძე). ახ.წ.აღ. მეთერთმეტე საუკუნეში შუა აზიური (ომარ ხაიამის) კალენდრით მიღწეული



იქნა 19 წამიანი სიზუსტე, ადრე მაიას ცივილიზაციამ 17 წამიანი სიზუსტეს მიაღწია, ქართული კალენდარი გაცილებით ძველია და როგორც ვხედავთ, უფრო ზუსტიც. იგი 850-ჯერ ზუსტია, ვიდრე დღეს ხმარებული კალენდარი და 170-ჯერ უფრო ზუსტი, ვიდრე ეგვიპტელთა ცოდნა, ანუ, ის, ზემოხსენებული ეგვიპტელ ქურუმთაგან აკრძალული კალენდარი.

მეცნიერთა ჯგუფმა ქართულ ანბანში 128-წლიან ციკლებში თვითკორექტირებად კალენდარს მიაგნო. ახლა ვხედავთ, რომ იგივე კალენდარი ჩადებულია მზის გარშემო დედამიწის შემოვლის დროის ერთეულად მიღებულ სიტყვაში „წელიწადი“. ის, რომ ქართულ ანბანსა და სიტყვაში დატანებული კალენდრები იდენტურია, საბოლოოდ ამტკიცებს მის რეალურობასა და ქართულ წარმოშობას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინა სიტყვის „წელი“-ს ბრუნვის ნიშანი „ი“ სიტყვაში ჩარჩა და მივიღეთ ახალი სიტყვა, კალენდარული შიგთავსით „წელიწადი“. შუაში „ი“ კალენდარულად სრულიად ზედმეტია, იგი მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ამ სიტყვის მიღება ორ ეტაპად ხდებოდა. ჯერ მზის მოძრავი კალენდარი გეჰქონდა და მას ერქვა – „წელი“, მზის უძრავ, უზუსტეს ქართულ კალენდარზე გადასვლისას უკვე „წელიწადი“ მივიღეთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩარჩენილი „ი“ სასურველი ჰემატურიული რიცხვის მისაღებად ხდება აუცილებელი.

„წელიწადი“, ლექსიკურადაც და კალენდარულადაც „წელი“-ს განვითარებაა. იგი წლებს 128-წლიანი ციკლებით ითვლის.

როცა „წელი“ და „წელიწადი“-ც კალენდარია, ეს მისი შემოქმედის სტრატეგიული ჩანაფიქრის ნიშანია. ახ.წ.ად. მეათე საუკუნეში იოანე-ზოსიმე წერს: „და სასწაულად ესე აქუს (ქართულს): ოთხმეოც და ათოთხმეტი(!) წელი უმეტესის სხვათა ენათა...“

„და სასწაულად ესე აქუს...“

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდემალება, რომელიც იოანე-ზოსიმეს წერილშია, რიცხვ 94-ს ეხება. ეს მთელი წერილის, ქართული ენის სასწაულებრივი ღირებულების მამტკიცებელი კულმინაციაა. მისი სრულყოფილი ამოხსნის გარეშე წერილის არსის გაგების მცდელობაც კი ამაოა. ქართული ენათმეცნიერება გრძნობდა ამ ფრაზის გაშიფრვის აუცილებლობას და ესეც იყო ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ იოანე-ზოსიმეს მცირე მოცულობის წერილს, ამდენი გამოკვლევა მიუძღვნა. ტექსტი იმდენად ამოუცნობი ჩანდა, რომ ხსენებული 94 ერთი ხანობა 104-ად, შემდეგ კი 96-ად წაიკითხეს. ბოლოს, ისევ ცხადად ამოიკითხეს 94, მაგრამ ვერ იქნა პასუხი დაძებნილი კითხვაზე – სხვა ენებთან შედარებით, 94-წლიანი ასეთი რა უპირატესობა ჰქონდა ქართულს? არადა, თითქოს იმთავითვე ცხადი იყო, რომ იოანე-ზოსიმეს პასუხი, სიტყვაში და ანბანში უნდა მოეძებნათ, რადგან „ღვთისმოსავი ბერი“, მართალია ქართულ ენაზე საუბრობს, მაგრამ მოწმედ მუდამ ანბანს, ან მის ასო-ნიშნებს იმეორებს. როგორც ვხედავთ, იოანე-ზოსიმეს ტექსტში გვაქვს 94 და „წელი“, ანუ იგივე „წელიწადი“. ტექსტის ანალიზისას „წელი“-დან „წელიწად“-ზე გადასვლის აუცილებლობა ისევე აუცილებელი ხდება, როგორც მზის მოძრავი, იგივე სიტყვა „წელი“-ით მოცემული კალენდრიდან, უძრავ, სიტყვა „წელიწადი“-თ მოტანილ კალენდარზე. ამ გადასვლაში, სიტყვიერი კალენდარული სრულყოფის მთელი ფილოსოფიაა ჩადებული და ამით ყველაფერი კიდევ არაა ნათქვამი (!).

მაგრამ რა შუაშია აქ „ოთხმეოც და ათოთხმეტი“ (94), რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ რიცხვს კალენდართან?

გამოვიყენოთ ზემოთ მოტანილი ქართული ჰემატრიის წესები და



ვიანგარიშით, „წელიწადი“-ს რიგითი სათვალავის ჯამი:

$\text{წ}(31) \text{ ე}(5) \text{ ლ}(12) \text{ ი}(10) \text{ წ}(31) \text{ ა}(1) \text{ დ}(4) - \text{ი},$
 $31 + 5 + 12 + 10 + 1 + 4 = 94 (!!!);$

წარმოუდგენელ მტკიცებულებას, სიტყვიერ რიცხვული იგივეობას მივაღქვით: „ოთხმეოც და ათოთხმეტი“- = „წელიწადი“- (ჰემატრიით 94).


„წელიწადი“- რიცხვული არსით, შიგთავსით, ჰემატრიით ის 94-ია, რომელზეც ხელნაწერში იოანე-ზოსიმე საუბრობს; და საუბრობს, იმიტომ, რომ ქართულ (უზუსტეს) კალენდარს სიტყვაში მიაკვლია. როგორც აღმოჩნდა, თავის ამოცანას (94-ს) იოანე-ზოსიმემ ამოხსნა იქვე, შემდეგივე სიტყვაში მოაყოლა: „წელი“- „წელიწადი“-; ამით ამომშიფრავს მისცა შესაძლებლობა შეემოწმებინა ამონახსნი.

ამ მიგნებულ „სასწაულს“ იოანე-ზოსიმე კიდევ ერთხელ ადსტურებს „მოწამედ“ წარმოთხრობილ ბოლო-თქმაში: „ასი ესე წელი (წილი)“, ასევე ხელნაწერის ასო-ნიშნების რიგით სათვალავთა ჯამით, მაგრამ ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. იოანე-ზოსიმეს ტექსტში ფრაზა: „ქრისტეის მოსვლიდან ვიდრე დღესამომდე“, ახალ წელთაღრიცხვას, უკვე მასში წელიწადების მდინარებას გვეუბნება. სულაც არაა გამორიცხული, ამ ფრაზით იოანე-ზოსიმე „წელიწადი“-ს ქრისტეშობასთან ერთად შემოღებაზეც გვანიშნებდეს. თუმცა, როგორც ვნახავთ, თვითონ მზის ქართული კალენდარი გაცილებით ძველია, ვიდრე ქრისტეს დედამიწაზე მოვლინება, მაგრამ მისი გარკვეულ დრომდე ქურუმთა მიერ დაფარვისა და შემდეგ გამხელის შესაძლებლობაც, არ უნდა გამოგვრჩეს. ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელნაწერში ქართული ენის „სასწაულის“ მამტიცებელი: „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტესის სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“, კალენდარს ეხება, არსებობდა. ეტყობა მათ ამის საფუძველს

სიტყვა „წელის“ ხსენება და „ქრისტეს მოსვლითგან“ წელთა გადმოთვლის მოთხოვნა აძლედათ, მაგრამ სრულიად გაუგებრად რჩებოდა, სად ან როგორ ჩანს იგი (კალენდარი). მითუმეტეს, „ყველაფერს აფუჭებდა“ და აბუნდოვანებდა „94 წელი“. როგორ ან რით უკავშირდება ენასა და კალენდარს 94 წელი? სწორედ ეს გახლდათ პასუხგაუცემელი კითხვა და პრობლემის თავი და თავი. ჰემატრიული რიცხვი 94 შემთხვევითად არ გაჩენილა. იგი დედამიწის ორბიტის სიბრტყის (ეკლიპტიკის) მიმართ მზის წლიური გადაადგილების ჯამია. დედამიწის დერძის გადაადგილების გამო დროთა განმავლობაში იგი იცვლება. (ზ. სიტჩინი, „კოსმიური კოდი“, 2006; ა.გასვიანი, „სამყაროული მოძრაობა“, 2006). როგორც „წელი“-ი, ისე „წელიწადი“, გარდა იმისა, რომ მზის კალენდრებია (ერთი მოძრავი, მეორე ე.წ. ქართული) ჰემატრიულად მზის ამოსვლის წერტილის გადახრის კუთხეს იძლევიან (ამაზე ქვემოთ).

* * *

იოანე-ზოსიმეს წერილში ნათქვამი „ყველა საიდუმლო...“-ს ერთი მიზეზთაგანი, სწორედ ეს ცოდნაა: უზუსტეს ქართულ კალენდარზე და შესაბამის სიტყვაში ჩადებულ მის რიცხვულ მექანიზმზე. როგორც აღმოჩნდა, ერთხელ უკვე მიგნებული: ანბანში ჩადებული საიდუმლო, ასტრონომიული ცოდნა და იგივე საიდუმლოს რიცხვული კონსტრუქციის მომცემი სიტყვის ერთობლიობა, ქართველ სწავლულთა ტრადიცია იყო; ამით კალენდრების ორივე ფორმას, ანბანურსა და სიტყვიერს, ინფორმაციულად აესებდნენ და დაკარგვისგანაც აზღვევდნენ. ეს მეთოდი მისი ძიების, მიგნების შესაძლებლობას ამარტივებდა და ზრდიდა. მაღალი გახლდათ ალბათობა იმისა, რომ როდესმე მას ქართულად



მოლაპარაკე მომავალი თაობა შეამჩნევდა.

შიფრის ამოკითხვა, რამდენიმეგზის და გამოწვილით ანალიზს მოითხოვს. ბოლოს, როგორც წესი, რჩება ეჭვი, თუ რამდენად ჭეშმარიტია მიღებული ამონახსნი. ასე ხდებოდა ენათმეცნიერთა მიერ ანბანში მიკვლეულ ქართულ ანბანურ კალენდართან მიმართებაშიც. მტკიცებისთვის საკმარისი პირობა ორი (ან რამდენიმე) მიკვლევის მიერ, სხვადასხვა გზით მიღებული ერთი და იგივე შედეგია. ამ შემთხვევაში ჩვენი მიგნება, სრულიად ამტკიცებს ანბანში (1980 წელს) მიკვლეულ წინა შედეგს და ამდენად, თავის თავსაც. იოანე-ზოსიმეს შიფრი 94 კი, როგორც ანბანური კალენდრის, ისე ჩვენი შედეგის ცხადი და უცილობელი დასაბუთებაა. მისი ახსნა, მიგნება ჰემატრიის გამოყენებასაც ამართლებს და უამრავი ახალი ინფორმაციის წყაროსთვადი ხდება.

ცალკე განსახილვის საკითხად უნდა იქცეს ამონახსნის სისტემური მრავალმხრივობაც, რაც ასევე უცილობელს გახდის მიღებულ შედეგს. ქვემოთ სწორედ ამ მნიშვნელოვან ჭრილში გავაგრძელებთ ანალიზს. როგორც ვნახავთ, იქ უფრო მეტია ხელჩასაჭიდი და სარწმუნო არგუმენტი.

* * *

ასეთი დიდი სიზუსტის ასტრონომიული ინფორმაცია საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რაც პროტოქართველთა იმდროინდელ მეზობლებს გააჩნდათ.

ზემოთ დასმული გლობალური ამოცანა სრულად და დადებითად გადაწყვეტილია. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრის გასაღები მიგნებულია და გზავნილი ამოკითხულია. აქვე უნდა შევნიშნოთ: საბედნიეროდ „წელიწადი“-ს ჰემატრია შემთხვევითად არ დაეთხვა 96-ს ან 104-ს, თორემ ენათმეცნიერება ამას

სულ სხვა ვერსიით, სუფთა სინდისით ახსნიდა და ქართველი ერის წარსულზე, ქართულ სიტყვაზე ასეთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, სამუდამოდ ამოუხსნელი დარჩებოდა. ოთხივე ხელნაწერში ცხადად ამოკითხული 94-ც კი ძლივს გადაურჩა ჩასწორებას.

* * *

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ღირებულებისა და მოცულობის ასტრონომიულ-მათემატიკური ინფორმაციის სიტყვაში დაშიფვრა, ცდება იმ ფარგლებსაც, რასაც ტრადიციული გაგებით ჰემატრიას ეძახიან. ჰემატრია რჩება, როგორც მეთოდი, რომელმაც დაშიფვრა უზრუნველყო. ხოლო გზავნილის ღირებულება გაცილებით მეტია და საკრალური, რადგან ახლებურად წარმოგვიდგენს იმ პერიოდში ქართველური ხალხების მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივ თვალსაწიერსა და შესაძლებლობებს.

* * *

ჰემატრიის წესები ამ მტკიცების საკმარისი პირობა ხდება, უფრო ცხადლივ სიტყვაში ამგვარი რთული რიცხვული მექანიზმის ჩადება სრულიად შეუძლებელი იყო, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, განვითარების იმ ეტაპზე. ამით ქართულ ლექსიკაში კალენდარული კონსტრუქციის მატარებელი სიტყვების რაოდენობა არ სრულდება („მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“), რაც კიდევ მეტად ამტკიცებს მიღებულ შედეგებს.

სკეპტიკოსების გასაგონად აღვნიშნავთ: **კალენდრის შემოქმედი ის ხალხია, ვინაც ეს კალენდრები სიტყვებში ჩაიტანა და დაფარა (!).**

ე.ი. მან ეს ცოდნა მოიპოვა და გაასაიდუმლოა, რამდენად დაიცვა ეს ცოდნა სხვა საკითხია, მაგრამ სიტყვაში ჩადებული საკრალურ საიდუმ-



ლოს შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს...“

სხვისი მიგნებულის და გახმაურებულის, ე.ი. ჩვენგან გადმოტანილის ან სიტყვაში ჩატანას, მითუმეტეს გასაიდუმლოებას რა აზრი ჰქონდა?!

ჩვენ მზის ქართულ კალენდრებზე ესაუბრობთ!

როგორც იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვიდან ჩანს, ამ საიდუმლოს ზიარებელი, მისი ქართულ სიტყვაში გამშიფრავი, თვითონაც კალენდრების შესწავლით დაკავებული ბერიც იგივე დასკვნამდე მივიდა; იმიტომაც ქართული ენის მრავალ სხვა სასწაულე-ბრივი იდუმალებიდან კალენდარული ინფორმაცია გამოარჩია და იგი მიიჩნია სასწაულის ნიშნად. მართლაც, კალენდრები ქართულ სიტყვაში დაფარული სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა მაგალითებია.

„სახარებასა შინა... მათეისა... ასოდ არს...“


მიუხედავად იმისა, რომ დროის აღრიცხვის ერთეულებად მიღებულ სიტყვების „წელი“-სა და „წელიწადი“-ს პირველ ასო-ნიშანს – „წ“ („წილ“-ი). რადგან სახარებაც ამავე ასოთი იწყება. ამ მნიშვნელოვან არგუმენტზე ხელნაწერში იოანე-ზოსიმე განსაკუთრებულად ჩერდება (გადავწეროთ ამონახსნით): „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისა წილი ზის, რომელი ასოი არს და იტყვის 4000 მარაგსა...“ რატომ გახდა იგი ასე მნიშვნელოვანი ავტორისთვის, რომ ამ 30 სტრიქონიან ტესტში შეჩერდა მასზე? მხოლოდ ის მიზეზი, რომ მათეს სახარება „წ“-თი („წილი“-თ) იწყება საკმარის არგუმენტად ვერ გამოგვადგება, პირიქით, ამით იოანე-ზოსიმეს ამგვარ აღფრთოვანებას სჭირდება სწორედაც, რომ ახსნა. სახარების თავში პირველ ასო-ნიშნად „წილი“-ს ყოფნას იგი საყურადღებოდ მიიჩნევს. როგორც ვნახეთ, „წილ“-ს განსაკუთრებულად თვლის (როგორც

წრის რიცხვს) სიტყვების, „წელი“ და „წელიწადი“ შემოქმედიც, რადგან კალენდრის პირველ ასოდ ჩასვა, თან ისე, რომ ფუნქციურად სხვა დატვირთვა არც მიანიჭა.

„მაშინ ვთქუ: ესერა მოვალ, თავთა წიგნთასა წერილ არს ჩემთვის...“ (ფსალ. 39. 8) ის რომ, წრის აღმნიშვნელ ასო-ნიშან „წილ“-ს ამ სიტყვებში კალენდარულ-რიცხვული კონსტრუქცია მოჰყვება, ამით კალენდარი სრულყოფილი ხდება. აქ უკვე შეგვიძლია დაუშვათ, რომ ქართული კალენდრის შემოქმედისთვის დედამიწა მზის გარშემო წრეზე მოძრაობდა, ამიტომ მზის მოძრაობაზე ორიენტირებული კალენდრის წრის მაგიური რიცხვით დაწყება, დროის შესაბამისად, ლოგიკურად სრულიად გამართლებულად უნდა ჩავთვალოთ: ჯერ მოცემულია დედამიწის მზის გარშემო (ან პირიქით) წრეზე მოძრაობის ნიშანი და შემდეგ ამ მოძრაობის რიცხვული კონსტრუქცია, კალენდარი. უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იოანე-ზოსიმემ იცის ეს, ე.ი. ეთანხმება ათასეული წლებით მისგან დაშორებულ ქართული კალენდრის შემოქმედს? მისთვის ეს ლოგიკურად სრულიად გამართლებული გადაწყვეტაა. იქნება ამიტომაცაა მისთვის მათეს სახარების „წილი“-თ დაწყება განსაკუთრებული მოვლენა? მივყვეთ თანმიმდევრობით:

ქართული ანბანის „წილი“ მართლაც განსაკუთრებული ასო-ნიშანია, იგი ანბანში 31-ე რიგითი ნომრითაა და 4000 რიცხვ-მნიშვნელობა აქვს: 31. – წ – 4000.

წრეწირის სიგრძის დიამეტრზე გაყოფით მუდმივად ერთი და იგივე ე.წ. „პი“ რიცხვი მიიღება. როგორც ჩანს, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, კაცობრიობამ დიდი ხნის წინათ შეამჩნია ეს და მას წრის მაგიურ რიცხვად თვლიდნენ. ე.წ. „პი“ არაპერიოდული ათწილადია 3,14159265...-ის ტოლი მნიშვნელობით.



წარსულში მისი გაანგარიშების სიზუსტე თუ ცივილიზაციის დონეს არა, მასში მათემატიკის განვითარებას ნამდვილად განსაზღვრავდა. „პი“, როცა ათწილადები ცნობილი არ იყო, სწორედ ასე – 314000 ჩაიწერებოდა. ფაქტია, რომ იგი ასომთავრულის ერთ სტრიქონზე „ზის“ (იხილეთ ანბანური ცხრილი). თუ ამ რიცხვს ორ ნაწილად 31 – 4000 გავეყოფთ, იგი ქართული ასომთავრული „წილი“-ს რიგითი სათვალავი და რიცხვ-მნიშვნელობა ხდება.

ეს კი ანბანის შემოქმედის წინასწარგამიზნული ჩანაფიქრი უნდა იყოს, თანაც, თუ იგი წრის რიცხვია, წრე ძველად გამოჩნეულ, სრულყოფილ ფიგურად ითვლებოდა. როცა იოანე-ზოსიმემ ქართული სახარების პირველ ასო-ნიშანად სწორედ „წილი“ „იხილა“, ცხადია გააცნობიერა, რომ მხოლოდ ქართული სახარების თავშია ასე მართლაც, მათეს სახარების პირველი მუხლი გვეხება:

„წ-იგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“.

* * *

იოანე-ზოსიმე ანბანში აღმოაჩენდა იმასაც, რომ „წილი“-ს რიცხვ-მნიშვნელობა 4000, დავით წინასწარმეტყველის „მასშტაბით“ („წილი ათასი, ვითარცა ერთი დღე“) ზუსტად იძლეოდა სახარებაში ლაზარეს სიკვდილის 4 დღეს ($4000 : 1000 = 4$), აქედან, გამომდინარე მისთვის ლაზარე (იგივე „ლას“-არე) კიდევ ერთი, ამ არგუმენტით დაუკავშირდა ქართულს. როცა იოანე-ზოსიმე „იხილავდა“, რომ ქართული ანბანის მხოლოდ ამ ერთ-ერთ ასო-ნიშანში თავმოყრილია, როგორც იესო ქრისტეს მოსვლის (3X14 მოდგმა), ისე სახარებაში ე.წ. დავით წინასწარმეტყველის საზომით ლაზარეს აღდგინების დღეთა რაოდენობა და თანაც, სახარებაც გამორჩეული სიდიდისა და მოხატულობის ამავე ასო-ნიშნით იწყება (მათეს სახარება), მისთვის ქართული ენის უფალთან ზიარების

საფუძველი რეალურ კონტურებს შეიძენდა. ეს ხდება მხოლოდ ქართულ ანბანში და ქართულ სახარებაში (!), ამიტომაც ღვთის მოცემულ ნიშნად მიიჩნია იგი. თანაც, „წ“ „წილი“-სა და „წილიწადი“-ს, ქართული კალენდარის კონსტრუქციის შემცველი სიტყვების პირველი ასო-ნიშანი და სრულყოფილი ფიგურის, წრის რიცხვის მომცემიცაა. მაშინ ამ ხელნაწერის შექმნისა და მასში „წილი“-ზე აქცენტების მიზეზები გასაგები ხდება. არც იმაშია გასაოცარი რამე, რომ ჟამთა „მხრეკალი“ ბერი რიცხვებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ქართულ სიტყვაში იოანე-ზოსიმეს „ხილვებს“ სხვაც, არანაკლებ ღრმა და როგორც ჩანს, მისთვის ღვთიურთან ზიარებული საფუძვლები ჰქონდა, რომელსაც ნაშრომში თანმიმდევრობით გავეცნობით. რაღა გასაკვირია, რომ სამშობლო მონატრებული ბერისთვის ყველაფერი ეს შემოქმედებითი აღმაფრენის იმდენად დიდ იმპულსად იქცა, გარკვეულად გაცდა კიდევ რელიგიური დოგმატის ზღვარს და ქართული რწმენისა და ენის საგალობლად გადმოიღვარა. ლექსის ფორმამაც კი, ტრადიციული სქემების სანაცვლოდ, ქართულისთვის იმ დროს უჩვეულო და ახალი სახე მიიღო.

იმ დროს, როცა „ახალი აღთქმა“, მათეს სახარება იწერებოდა, დანარჩენ კაცობრიობას რიცხვი „პი“, 314000 სიზუსტით მოპოვებული არ ჰქონდა. ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: როგორ აღმოჩნდა ეს რიცხვი სახარებაში (მათეს სახარება 1,17) თუ იგი იქამდე მხოლოდ ქართულ ანბანში გვხვდება ამ მნიშვნელობით?

დასკვნის მაგიერ: ამგვარი ფაქტების მომრავლება სულ უფრო ამცირებს „შემთხვევითი დამთხვევებით“, შემთხვევითობის არგუმენტით მისი ახსნის ალბათობას, თუმცა იგი მაინც არსებობს.

თუკი სრულად გამოვრიცხავთ შემთხვევითობას, აუცილებელი ხდება, ხელა-



ხლა მივუბრუნდეთ თეორიას წინარეპარტული მოსახლეობის (იბერიულ-კავკასიური, შუმერულ-ბაბილონური (ქალდეური)-იბერიული მემკვიდრეობის) ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის თაობაზე. მაგრამ საკითხი მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებისთვის დგას ასე. ღრმად მორწმუნე მღვდლის(!) იოანე-ზოსიმესთვის საკითხი ასე არ იდგა.

რატომ დაიშიფრა წერილი?!

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი მხოლოდ ახსნა იმ გზავნილისა, რაც ქართულ ანბანს, სიტყვასა და ენას მოაქვს. იგი შუალედური გაძლიერება, გადაძახილია უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი სათქმელისა. სათქმელი ქართული ანბანის, სიტყვის შესაქმნეს პერიოდში და მისი ეტაპობრივი კორექტირებისას ითქვა, და ითქვა საქართველოს მერმისის გასაგონად. იოანე-ზოსიმემ იგი მხოლოდ გააძლიერა, მას არც შიფრი გამოუგონია. მაგრამ რადგან ქართული ანბანისა და ენის შიფრის გასაღები იპოვა, კიდევაც ამოიკითხა და ბევრი იცოდა... ალბათ, იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე დღეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

* * *


თუმცა მისი წერილი იმდენად მრავალმხრივია, რომ იმ ეპოქის შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული, მათ შორის ამ შიფრის გამოყენების თვალსაზრისითაც (ჰემატრია).

ზემოთ დავრწმუნდით, რომ ქართული კალენდარული სიტყვის განმსაზღვრელი ფუძეა მარცვალი – „ელი“ (წელი, წელიწადი); „ელი“ ქალდეველთა ღმერთია, მზე ღმერთი. აქედანაა მიღებული გაღების ღმერთი „ბელი“ და სემიტების „ელი“-ც. ეჭვსგარეშეა, რომ იოანე-ზოსიმეს ეს სიტყვები სწორედ ასე ესმოდა. ვერც ანბანი და ვერც კალენდარი ერთ

სიტყვას, თუნდაც იგი მზე ღმერთის სახელი იყოს, ვერ მოერგებოდა. ანუ ლოგიკურად, ისევე იქამდე მივდივართ: ქართული ანბანისა და კალენდრის ცოდნა უძველეს წარსულშია საძებნელი, იქამდე სანამ ეს ღმერთთა სახელები შეიქმნებოდა, ამიტომ იგი საწყისის თვისების მატარებელია(!). უფრო მეტიც, ისმის სავესებით ლოგიკური კითხვა: თუ ქურუმთა საიდუმლო ენის ნაშთები ქართულ ენაში არსებობს, რაღა მაინცდამაინც „წელი“ და „წელიწადი“ მოექცა იოანე ზოსიმეს თვალთახედვის არეში და მასხუა აგებული მთელი მისი ხელნაწერი? სწორედ იმიტომ, რომ მათ უმთავრესი სათქმელი მოაქვთ: აქ „წელი“-ს ქალდეურ, სემიტურ, გალური ღმერთის, „ელი“-ს დროება გასრულდა, „წელი - წადი“-თ იგი, „ელი“ უნდა წავიდეს, დასრულდეს და დასაბამი დაელოს სარწმუნოებრივად ახალ, ამაღლებულ, ღვთიურ, უკვე ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეპოქას, „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღე-სამომდე.“ (მისი ტრანსკრიბცია სხვადასხვაგვარად გვხვდება, მაგრამ „ელი“ ყველაზე გავრცელებული და მიღებული ვერსიია, ყოველ შემთხვევაში „წელიწადი“-ს შემოქმედს, რომ ამგვარად ესმოდა, ეჭვსგარეშეა.)

იოანე-ზოსიმე ხელნაწერის ორ ვარიანტში ერთი და იგივე წინადადებაში „წელი“-თან(48) ერთად სიტყვას „მკუდარი“ ამგვარად წერს – „მკ'დარი“(48). სხვაგან იგივე სიტყვა ქარაგმის გარეშეა ნახმარი („მკუდარი“). ამ წინადადებაში კი, ჰემატრიების ხელოვნურად გატოლებით ავტორი „წელი“-თ მოცემულ ფუძეს, „ელი“-ს, მთელ იმდროინდელ კალენდარულ-რელიგიურ მსოფლმხედველობრივ წინა სამყაროს გარდასულთან, მკუდართან, აიგივებს და იქვე ლაზარეს „ე“(მერვე)-ს გამოყენებით წერს:

წ(31) ე(12) ლ(12) –ი,
 $31 + 5 + 12 = 48;$



მ(13) კ(11) დ(4) ა(1) რ(19) –ი,
 $13 + 11 + 4 + 1 + 19 = 48$;

ლ(12) ა(1) ზ(70) ა(1) რ(19) ზ(8),
 $12 + 1 + 7 + 1 + 19 + 8 = 48$.

$48 = 48 = 48$, ეს ლაზარეა „მკლარი“ და იგი უნდა აღდგეს; ეს ლაზარეა „წელი“-თან, მზის მოძრაობის კალენდარ-თან კავშირში; „წელი“-ს სიკვდილია ლაზარეს სიკვდილი.

იმისთვის, ვინც იცის ჰემატრიის ენა, ეს უცილობელი არგუმენტია და იოანე-ზოსიმე ერთი მათგანია. იმ დროს „წელი“-ს უარსაყოფად, მის სიკვდილთან და მომავალ აღდგომასთან დაკავშირებით ფარულად, მას მეტის თქმა არ შეეძლო. სათაურში გამოტანილი კითხვა უმთავრესია და როგორც ვხედავთ, მასზე პასუხი წერილში არსებობს. ამ უმნიშვნელოვანესი, და არანაირად ყველასთვის მისაღები სარწმუნოებრივი ინფორმაციის გამო დაიშორა ხელნაწერი.

ერთი მხრივ, „ელი“ ისრაელისთვის ღმერთია და მეორე მხრივ, „ელი“ ქართული ანბანური კალენდრის („წელი“) ფუძის უმთავრესი რიცხვული კონსტრუქციის მომცველი ნაწილი. შეკითხვას: თუ რომელი მათგანია პირველადი, ლოგიკურად ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს – კალენდარი! რადგან სიტყვას ანბანი და კალენდარი ვერ ერგება (ეს უკვე ზევით გავარკვეეთ). ამდენად, ღმერთის სახელი სემიტურში გადატანილი ჩანს, მითუმეტეს, თუ ვერწმუნებით ვერსიას, რომ ძველი ივრითი ხელოვნურად შექმნილი ენაა. ამგვარი მჭიდრო ურთიერთ-განპირობებულობა მიგვანიშნებს ქართულ-სემიტურ საერთო ისტორიულ ძირებზე და ზემოხსენებული საწყისის ახლებურად გააზრების საკითხს ხელახლა სვამს.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის (დედნის) ანალიზმა, შესაძლებელია, მისი საიდუმლოს ახალი მხარეები კიდევ წარმოაჩინოს; მაგრამ იგი არ შეცვლის საერთო სურათს; ისევე

როგორც კვლევისას მიგნებული ახალი ფაქტები, ართუ ცვლიდნენ, პირიქით, ამაგრებდნენ და სრულყოფდნენ მას, ტექსტის გახსნის მექანიზმი უცვლელი და მდგრადი რჩებოდა.

**იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები,
 ავტორის სტრატეგია**

იოანე-ზოსიმეს წერილის სულ რამდენიმე ხელნაწერია შემორჩენილი (Sin,34; Sin,38; Sin,32-57-33; Sin,6,233). მათგან სავარაუდოდ, სამი მისი ხელითაა გადაწერილი. შეიძლება ითქვას, ქართული ენათმეცნიერება არცერთ ქართულ წერილობით ძეგლს ისე სასტიკად არ მოქცევია, როგორც ამ ხელნაწერებს. ამას გამამართლებელი მიზეზიც ჰქონდა, მისი სიმბოლიკები, განსაკუთრებით რიცხვული გაუგებარი იყო. თვითონაც ხელნაწერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რადგან ჯერ კიდევ შემოქმედებით პროცესში მყოფი ავტორი თვითონ ცვლიდა და აკორექტირებდა ტექსტს. ეტყობა, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ შიფრი ძალიან მარტივია და ართულვება, უფრო აზუსტებდა შიფრს, უჭირდა ყველა რიცხობრივი მომენტის ერთდროულად შენარჩუნება, ხვეწდა ენობრივ მომენტებს და ა.შ. რაც შეეხება ტექსტობრივ „ლაფსუსებს“, ავტორის ამგვარი ტაქტიკური სვლა წინასწარ ჩაფიქრებული და სტრატეგიულად გააზრებული ჩანს: მაგალითად, ერთგან უწერია: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხ მასთმსსა წერილი ზის რ'ლ ასოდ არს და იტყვის ყ'ლად ოთხ ათასსა მარავსა“. ნუ ჩავთვლით, რომ „წილი“ ზედმეტად მარტივად მიიჩნია და „წერილი“-თ მხოლოდ ამიტომ შეცვალა. აზრი არ იცვლება, რადგან მათეს სახარების წერილიც, თუ იგი, 4000 იტყვის, „წილი“-ა. ტაქტიკური გათვლა სულ სხვაგვარია: როცა რიცხვულად დაშიფრული სტრიქონები



ერთმანეთს ებმებიან „წერილი“ მნიშვნელოვან სხვა დატვირთვას იღებს. თავისთავადაც „წერილი“-თ კიდევ ერთი პატარა ქვეამოცანა აღმოჩნდა მოცემული და ავტორმა მკითხველი თავიდანვე შეაგუა ხელნაწერის, როგორც ამოსახსნელი ტექსტის განხილვას. მეორეგან კიდევ ფრაზა, „ასი ესე წელი ანბანისაჲ“ იხმარა და ისევ ქვეამოცანა დასვა. თანაც სიტყვა „წელი“, ანუ „წელი“-თ მოცემული კალენდარი და „წ-ელი“, ისევ კითხვად დააყენა. სწორედ ამგვარი ერთგვაროვანი ტაქტიკური სვლებით შემზადებული მკითხველისთვის ისმის წერილის ბოლოს, კულმინაციური ამოცანა: „და სასწაულად ესე აქუს (ქართულს): ოთხმოც და ათოთხმეტი წელი...“ უპირველესად, განვიხილოთ ხელნაწერის ამოკითხვის საკითხი: დაბეჯითებით უნდა ითქვას: ოთხივე ხელნაწერში 94 ცხადად წერია და ყველა კვლევა, რომელიც ამ რიცხვის ჩასწორებასა და ისე ახსნას ეყრდნობოდა, არასწორია. ხოლო ფრაზაში მომდევნო სიტყვად სწორედ „წელი“ უნდა ეწეროს: რადგან „წელი“ კალენდარია, თანაც ადვილად მისახვედრი რიცხვული მექანიზმით და გამოყენებული დაშიფვრის პირობების დასაკმაყოფილებლად მისი საბოლოო და სრულყოფილ ვარიანტში – „წელიწად“-ში გადაყვანა მოგვეთხოვება. ე.ი. ჯერ „წელი“ გადაგვყავს მის სინონიმში და უფრო მაღალიერარქიულ, ისევ კალენდარში – „წელიწადი“. ამის შემდეგ „წელიწადი“ – **ჰემატრიაში**; ამოცანა კულმინაციაში ორმაგდება. რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ხელნაწერის დაშიფვრის იოანე-ზოსიმესულ სტრატეგიას, სასურველი ხდება ერთიანობაში განვიხილოთ მისი ყოველი ტაქტიკური სვლა და ვარიანტი; და ახლა, ამოხსნილი ამოცანის პირობებში, ეს ძალიან ღამაზად ჩანს: განვიხილოთ ყველა ქვეამოცანა თავიდან:

პირველივე სტრიქონებში:


„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად...“

მკითხველს ძალაუწებურად უჩნდება კითხვა: „ვის საწამებელად?“ თავდაპირველად იგი პავლე ინგოროყვამ დასვა და სავესებით ლოგიკურად. ავტორის ტაქტიკური სვლაც ამ კითხვის გაჩენას ითვალისწინებდა. მთელი ხელნაწერიც ამ კითხვაზე პასუხის მომზადებას ეძღვნება, ხოლო მისი პოვნის გარდაუვალი აუცილებლობა ხელნაწერის სულ ბოლოს, მის კულმინაციურ ფრაზაში – „და სასწაული ესე აქუს“, ჩნდება და იქვე თვითონაც „ჩნდება“, რადგან ემოწმება ავტორს (ამაზე ქვემოთ). პავლე ინგოროყვამ თავისივე დასმულ კითხვას სწორი პასუხი გასცა, ამიტომაც ჩაასწორა ფრაზაში – „მისისა საწამებელად“, სიტყვა – „მისისა“ „მესი“-თ. მან სწორად შეაფასა მთელი ტექსტი, რადგან ამ პასუხისკენ იოანე-ზოსიმეს მიზანდასახულად, თანმიმდევრულად მივყავართ. დღეს ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ მაშინ როცა იოანე-ზოსიმე ამ წერილს წერდა, საკითხი, ალბათ, ასე არ იდგა, მითუმეტეს სხვაგვარი მდგომარეობა იყო სიტყვა „წელიწადი“-ს შექმნის დროისთვის. ავტორმა არც ის იცოდა, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა ხელნაწერის გაშიფვრის დროს.

სტრიქონებში:

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხ' მათემსა წერილი ზის რ'ლ ასოდ არს და იტყვს ყ'ლად ოთხ ათასსა მარავსა.“

აქ მართალია „წერილი“ წერია, მაგრამ აშკარაა, რომ ასო მართალია და „წერილი“-ა, მაგრამ 4000 მხოლოდ ასო-ნიშანი „წილი“-ა; ანუ ქვეამოცანის ამოხსნა „წილი“-ა. აქ ამოცანის შემოთავაზება და სახელდება „წილი“-ს „დამალვა“ სრულიად გამართლებულია, რადგან მის ამოხსნას შიფრის გასა-



ლებზე, ჰემატრიაზე გავყავართ. „წილი“-ს 4000-სში გადასვლით ასო გადადის რიცხვში, ანუ „ისხნება“, „შიშვლდება“ ჰემატრიის მექანიზმი. თანაც როგორც ვხედავთ, იგი მხოლოდ ერთი შეხედვითაა ამოცანა, მისი ამოხსნა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამ ქვეამოცანის შემოტანით ავტორი შიფრის გასაღებს ტექსტში ცხადად კი არა, ოდნავ შეფარულად იძლევა, გამოცანის ბურუსში ხვევს. ასეც უნდა იყოს, დაშიფვრა ყოველგვარ აზრს დაკარგავს თუ მისი გახსნის გასაღებს იქვე გამოვამხეურებთ.

ანალოგიურად, სტრიქონებში:
 „და ესე ყელი რელი წერილ არს მოწამელ წარმოვითხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ.“

ფრაზა „წელი ანბანისაი“ წერია, მაგრამ ანბანის წელი არ არსებობს, ლოგიკურად მის ადგილზე, ისევე „წილი“ იგულისხმება. როგორც ვხედავთ, ბოლო ორი ამოცანის პასუხი დაემთხვა, ამით ავტორი „წილი“-ს განსაკუთრებულ კალენდარულ-ციკლური ღირებულებას უსვამს ხაზს. თანაც თუ ერთგან ამოცანად დასმული სიტყვა „წერილი“ იყო, მეორეგან „წელი“-ია. რადგან მათ ერთი და იგივე პასუხი („წილი“) აქვთ, ლოგიკურად ისინიც შიფრულ იგივეობას უნდა ქმნიდნენ, სავარაუდოდ, „წერილი“ „წელ“-ზე გვიყვება, ანდა „წერილი“ „წელი“ ამოსახსნელია. ეს იდუმალების ლექსიკური გახსნის გზაა. იოანე-ზოსიმე, ალბათ, იმას ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ჰემატრია მომაგლის თვალთახედვიდან გაქრებოდა, მაგრამ იქნებ, კალენდრის მიგნება ეეჭვებოდა? რაც მთავარია, სამივე ამ მცირე ქვეამოცანას ერთადერთი და საკმაო მარტივი ამონახსნები აქვთ. ამდენად, ავტორმა თავიდანვე გამორიცხა ამომშიფრავის შეცდომა. ქართული ენათმეცნიერება, როგორც ჩანს „მიუხვდა“ ავტორს და ჩაასწორა „შეცდომები“. ამ დროს ხელნაწერში ჩას-

წორება სწორედაც, რომ სასურველი არ იყო. კითხვები იმიტომ არ დასმულა, რომ მათზე პასუხები ავტორს არ ჰქონდა. მაგალითად, თუ „წერილი“-ის ადგილზე „წილი“ უნდა ჩაეწერა, თვითონ იოანე-ზოსიმე დაწერდა ასე. უკვე მერამდენედ, როგორი მცდარი შეხედულება გვინდება ასეთი შედეგის ავტორის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე?! დავუშვათ და, ერთ-ერთ ხელნაწერში შეეშალა, მაგრამ დანარჩენებში, მის ჩასწორებას, რა დაუშლიდა?! დომები კი არა, მის მიერ გააზრებული ერთიანი სტრატეგიის ნაწილია. თუ მიაქციეთ ყურადღება, ქართული ენათმეცნიერება აჰყვა ხელნაწერის ავტორს ტაქტიკურ თამაშში, მაგრამ ვერ გააკეთა ლოგიკურად დამავიზგვინებელი სვლა, რადგან ვეღარ მოძებნა ამოცანის ამოხსნის ჰემატრიული, სულ ბოლო გადაწყვეტა. ამ დროს აბსოლუტურად იგივე ხდება კულმინაციურ ფრაზაში და აქვე დგება ჰემატრიული გადასვლის აუცილებლობაც: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი...“ აქაც ისმება საესებით ლოგიკური კითხვა: რა კავშირია „ოთხმეოც და ათოთხმეტი“-სა „წელ“-ს შორის. ეს ერთიანი სქემის ნაწილია, და ისეთივე ბუნებრივი, როგორც ყველა ზემოხსენებული კითხვა. სწორედ მას უტრიალებდა ქართული ენათმეცნიერება მთელი საუკუნე. ეს იოანე-ზოსიმესგან დასმული მთავარი კითხვაა და ავტორის მთელი სტრატეგია მის დასმას, მის მომზადებას ემსახურებოდა. იგი ისევე უნდა ამოგვეხსნა, როგორც ზემოხსენებული კითხვები. პირდაპირი კავშირი, რაღა თქმა უნდა, არ არის. აქ „წელი“ მზის მოძრავი კალენდარია და გადასვლაც ახლა მის სინონიმში, მაშინ კი მზის უძრავ კალენდარში – „წელიწად“-ში მოგვეთხოვება, რადგან იგი ამ ქვეამოცანის ისევე ერთადერთი ამოხსნაა; მითუმეტეს, წერილის რიგით-სათვალავთა ჯამისა და შიფრის ყველა



სხვა, განსაკუთრებით ჰემატრიული მომენტის გათვალისწინებით. ასეთი გადასვლით ავტორის მიერ ქვეამოცანის დასმის ხელწერა უკვე ყველგან დაცული და შიფრის ხიბლი შენარჩუნებული იქნება. და რა მნიშვნელოვან სათქმელს გვეუბნება იოანე-ზოსიმე თავის ხელნაწერში, ამ ტაქტიკური სვლებითა და ქვეამოცანებით, სანამდე მივყავართ მის მიერ არჩეულ სტრატეგიას?!


აქ დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: „წელი“ ისეთივე შეუსაბამოა „წელიწად“-თან და აქედან გამომდინარე 94-თან, როგორც წერილი 4000 მნიშვნელობის მქონე ასო-ნიშანთან, ან თავისთავად, სრულიად ალოგიკური – „წელი ანბანისად“. ამ ერთგვარი ამოცანებით, ერთი შეხედვით შეუსაბამობების კასკადით, იოანე-ზოსიმე შეფარულად უმთავრეს სათქმელს ამბობს: იგი უარყოფს „წელი“-ს, ანუ მისით მოცემული მზის მოძრავე კალენდარს (იგი „მკდარი“-ა) და ხაზს უსვამს „წელიწად“-თ მოტანილი მზის უძრავი, ამავედროულად, ქართული უზუსტესი კალენდრის ღირებულებას. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გადადის ღვთიურ ჭრილში და ლექსიკურად იძლევა პასუხს თავდაპირველ კითხვაზე: „ვის საწამებელად?“ და „წელიწადის“ ნაცვლად გვიტოვებს „წელიწადი“-ს, მესიის, იესო ქრისტეს ეპოქას, გვიტოვებს პასუხს: მესიის საწამებელად! თანაც პირველივე ასო-ნიშნით, „წელი“-თ განსაზღვრავს ღვთიური წრებრუნვის, მისი მოსვლის დროს: ქრისტეს მოსვლა 3-ჯერ 14 მოდგმის შემდეგ მოხდა, ხოლო ლაზარეს აღდგომა 4000 წლის მერე მოხდება. სიტყვის – „წელი“-ს ერთი და უმნიშვნელოვანესი განმარტებაც ზუსტად ჯდება ამ კონტექსტში: წელი – რაც არგუნეს, რაც ერგო ვისმე (რისამე გაყოფისას) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ეს სიტყვა, ფაქტობრივად „ხვედრი“-ს სინონიმია (ხვედრი – რაც ერგება, შეხვდება ვისმე). გამოდის, რომ

ანბანის ასო-ნიშნის სახელდება ხდება დამოუკიდებელი სიტყვა და იძენს ზემოთ აღწერილი სიტყვის აზრობრივად სრულიად შესატყვის მნიშვნელობას: „წელი-ხვედრი“. ეს კიდევ უფრო ზრდის სიტყვის გამიზნული, გააზრებული შემოტანის ალბათობას. ხელნაწერის შიფრის გახსნის პარალელურად ავტორი ხელოვნურად შექმნილი სიტყვების, „უფლის ენის“ კვალზე გვაყენებს, ეს მის მიერ სწორად არჩეული სტრატეგიის შედეგებია. „წელი“ ხელნაწერში სამეზობლო ნახსენები და სამიგვან იგი ამოცანად გხვდება. სამაგიეროდ, არც ერთხელ ამოხსნაზე გარდამავალი სიტყვა – „წელიწადი“, მას არ უხსენებია. ავტორის გატარებული მთელი სტრატეგია ერთიანი და მთლიანია. ხელნაწერში „წელი“-ს პირველი ხსენებისას კანონიკური დოგმატის დარღვევასთან გვაქვს საქმე („წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“), „წელი“-ს მესამე ხსენებისას შეუსაბამობა, ქვეამოცანაა მოცემული („წელი ანბანისაი“), ხოლო „წელი“-ს მეორე ხსენებისას („და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი“) სრული ბუნდოვანება იქმნება და ხელნაწერის გლობალური ამონახსნი ხდება მისაგნები, ესაა „სასწაულის“ ნიშანი. დასკვნა, რომ ხელნაწერში „წელი“ აქცენტირებულია, ცხადია. სამივე შემთხვევას მიზეზი უნდა მოეძებნოს და ესეც გლობალური ამონახსნია. თვალშისაცემი, ერთი სტილის ქვეამოცანებია:

„წერილი ზის, რომელ ასოი არს“;

„ასი ესე წელი ანბანისაი“.

მათი ამოხსნა არ უნდა გასჭირვებოდა გამშიფრელს, ასეც მოხდა. როცა ავტორი წერს: „წერილი ზის, რომელ ასოი არს“, ამით „წელი“-ზე, ასო-ნიშან „წ“-ზე კეთდება ფოკუსირება. ამის შემდეგ ყველა ქვეამოცანაში ამოსახსნელი სიტყვა „წ“(„წელით“) იწყება, ისევე როგორც მისი პასუხები:



წ-ერილ – (ასოი არს) – წ-ილი (ამონახსნი);

წ-ელი – (წელი ანბანისაი) – წ-ილი (ამონახსნი);

იგივე უნდა მოხდეს უმთავრეს, „ოთხმეოც და ათოთხმეც“-თან დაკავშირებითაც:

წ-ელი – (ოთხმეოც და ათოთხმეცი) – ამონახსნი?

ე.ი. ხელნაწერის ლოგიკა ერთმნიშვნელოვნად გვეკარნახობს, რომ ამონახსნი ასო-ნიშან „წ“(წელი)-თი უნდა იწყებოდეს.

აქ აღარ გვაქვს სიტყვა „ასოი არს“, როგორც განხილულ პირველ შემთხვევაში, ან სიტყვა „ანბანი“, როგორც სულ ბოლო შემთხვევაში, რომ „წელი“-ს ამონახსნი განსაზღვროს, სამაგიეროდ, გვაქვს „ოთხმეოც და ათოთხმეცი“ (94), რომელსაც პირდაპირ გავყავართ ხელნაწერის გლობალურ ამონახსნზე, როგორც „წელის“ 94-იან პასუხზე, „წელის“, „წ“-თი დაწვებულ სინონიმზე, „წ-ელიწადი“ (94).

ფაქტობრივად, ამოცანა ჰემატრიის გარეშეც ლოგიკურად მიდის ბოლომდე.

ამგვარი სტილისტური, სისტემური ანალიზი, ეჭვს არ ტოვებს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის მექანიზმის სწორად გახსნის თაობაზე, რადგან ავტორის მიერ გააზრებული და გათვლილი მისი ყველა დეტალი თავის შესატყვის ადგილს პოულობს, ავსებს და სრულყოფს ერთიან სურათს. მთელი ხელნაწერი, თავისი ქვეამოცანებით ერთი გლობალური შეკითხვაა, რომლის პასუხიც, ლოგიკურად ყველა დასმული კითხვის პასუხიც ხდება.

სავარაუდოდ, იოანე-ზოსიმე თვლიდა, რომ თუ მომავალი მას ვერ მიუხვდებოდა, იგი მითუმეტეს ვერ მიუხვდებოდა ქართულ ენასა და ანბანში შესაქმნეს პერიოდში ჩადებული სასწაულების ავტორებს.

ხელნაწერის ყოველი დეტალი მისგან კარგადაა გააზრებული. იოანე-ზოსიმესთვის მნიშვნელოვანია ტექსტის

მუხლებად დაყოფაც, რადგან მათ რიცხვულ მნიშვნელობას შიფრული დატვირთვა აქვს. ენათმეცნიერთა მიერ ბოლო დროს ახლებურად მუხლებად დაყოფაც, როგორც გაირკვა, არასწორია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ხელნაწერის ყოველი სტრიქონი და ყველა ასო მათში შიფრული დატვირთვის მქონეა.

მაგალითები ამ კუთხით კიდევ მრავლადაა, მაგრამ ეს ცდება ნაშრომის ფარგლებს. ქარაგმებიც ხელნაწერში ჰემატრიულად გაააზრებული არის, თვისობრიობის მქონე რიცხვების მატარებელია, სულაც, მცირე ზომის ინფორმაციული გზავნილებია.

ხელნაწერის სხვადასხვა ვარიანტი ბევრს არაფერს ცვლის, ოდნავ შიფრი უფრო დახვეწილი და ტექსტი სრულყოფილი ხდება. თუ ერთგან აქცენტი სტრიქონების რიცხვულ მნიშვნელობაზეა გაკეთებული (Sin. 34), მეორეგან სიტყვის გადატანისას წარმოქმნილი მარცვლის ჰემატრია ხდება ინფორმაციულად დატვირთული (Sin. 38) და ა.შ.. ავტორი თვითონაც ყოყმანობს, თუ ერთგან სტრიქონებზე გატანილი ფარული ინფორმაცია ეხვენება უფრო ღირებულად, მეორეგან მისთვის მთავარი სიტყვის გადატანით წარმოქმნილი ჰემატრია ხდება, რადგან იგი მთელი ხელნაწერის ამოხსნის გამეორებაა. ამ დროს მისთვის უპირველესია ხელნაწერი ამოიხსნას.

ბუნებრივია, ხელნაწერის ყველა სიტყვისა თუ ფრაზის ჰემატრიულ, დამოუკიდებელ გზავნილად განხილვა არ იქნებოდა სწორი. თუნდაც ამ მოცულობის, როგორც მთლიანი ტექსტის, ისე მისი ცალკეული სტრიქონების, მთელი ფრაზების დაშიფვრის ამოცანა, თანამედროვე გამოთვლითი საშუალებების პირობებშიც კი, ძნელი გადასაწყვეტი იქნებოდა. ტექსტის ავტორის გზავნილები მხოლოდ გამიზნულ, დამატებითი მინიშნების მქონე, ხელგონურად გაყოფილ სიტყვებში,



გადატანებში, ერთი შეხედვით თვალ-
შისაცემ ფრაგმენტებში უნდა ვეძებოთ.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა
ენისაი“-ს ავტორი ქართული
ჰემატრიის, რიცხვული სიმბოლიკის
დიდოსტატია!!!

როცა კითხვებიც იხსნება

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ
წერილის თითოეულ ასოს, მის რიგით
სათვალავსა და რიცხვ-ნიშანს თავისი
შიფრული ღირებულება აქვს და
ხელნაწერში არაფრის შეცვლა არ
შეიძლება, რადგან ახლა მთელი წერი-
ლის ყველა ასოს მიერ ერთობლიობაში
მოტანილი ინფორმაცია უნდა წარმო-
გიდგინოთ, როგორც კიდევ ერთი
მტკიცებულება. საუბარია, ისეთ ინფორ-
მაციაზე, რომელიც იოანე-ზოსიმემ
„94“-ვით წერილში კი არ ახსენა,
არამედ დაფარულად გამოატანა მას.
ამით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა,
შემოფარგლა სიტყვა „წელიწადი“,
იგივე ქართული კალენდარი, როგორც
წერილის მრავალჯერადი შიფრის
ერთადერთი ამონახსნი. ასეთი, ცალ-
სახა, ჰემატრიული ინფორმაციის და-
ფარვას თავისებური ახსნაც აქვს, მას
უჭირდა მთელი წერილის, სრული
ტექსტის რიგითი სათვალავის ჯამში
საჭირო რიცხვის შენარჩუნება და იგი
არც უხსენებია. ასეთი რიცხვის
მთლიან ხელნაწერში არსებობის შე-
საძლებლობა, ლოგიკურად იქნა ჩვენს
მიერ გათვლილი და რა საოცარია,
რომ იგი იქ მართლაც არის (!).

* * *

ლოგიკურმა ანალიზმა მიგვიყვანა
დასკვნამდე, რომ მთელი ხელნაწერის
ერთიანი ჰემატრიულ რიცხვებში უნდა
დაფიქსირებულიყო 8050.

ამ ისტორიაზეც ღირს შეჩერება:


როცა ამონახსნი მიგნებული იქნა,
ლოგიკურად ჩემთვის ცხადი გახდა,
რომ იოანე-ზოსიმე თავის ამონახსნს

დაზღვევას გაუკეთებდა და ხელნა-
წერში 8050-ს ჩადებდა, რადგან ამით
მისი ერთადერთობა იქნებოდა განპი-
რობებული. ამ რიცხვის მოცემის მეთო-
დი, ბუნებრივია, ჰემატრია უნდა
ყოფილიყო. პირველმა გათვლამ აჩვენა,
რომ იგი მთელი ხელნაწერის რიგით
სათვალავთა ჯამურ ჰემატრიაში უნდა
გვექმნება, მაგრამ დეტალურმა ანალიზ-
მა გაცილებით მაღალი რიცხვი
მოგვცა.

ეს არღვევდა ხელნაწერის ამოხსნის
ლოგიკურ მთლიანობას, და ამ გან-
თახმების, შეუსაბამობის გამო კვლე-
ვები შეწყდა...

ბოლოს დადგინდა, რომ ხელთ
ხელნაწერის ენათმეცნიერთა მიერ
ჩასწორებული ვარიანტი გეჰქონდა,
სადაც გახსნილია ქარაგმები (ჩამე-
ტებულია, დაახლოებით 90-ზე მეტი
ასო-ნიშანი, რაც მნიშვნელოვნად
ცვლის, ზრდის ჰემატრიულ რიცხვს),
ჩასწორებულია ენათმეცნიერთა აზრით
„ლაფსუსკალმად“ მიხნეული სიტყვები
(მაგალითად, „დღედმმდე“-ს ნაცვლად
წერია „დღედმდე“, რაც ასევე ცვლის
(ამცირებს) ჰემატრიულ რიცხვს), ამოხ-
სნილია ქვეამოცანები (მაგალითად
„ასი ესე წელი“-ს ნაცვლად „ასი ესე
წილი“ წერია, და ისევე იცვლება
ჰემატრიული რიცხვი), უფრო მეტიც,
ზოგ ვარიანტში გაკეთებულია ენათ-
მეცნიერთა „ანალიზით“ მიგნებული
ჩასწორება („ასოი ესე წილი“, „ესე
წილი“, ნაცვლად „ასი ესე წელი“-სა,
რაც ანგრევს ავტორის ჩანაფიქრს
საერთო ჰემატრიული რიცხვის, 8050-ის
შენარჩუნებაზე) და ა.შ. დასკვნა
ერთადერთი გაკეთდა, საჭირო იყო
პირველადი, ხელშეუხებელი ტექსტის
მოპოვება და მისი ანალიზი.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ
თუმცა იოანე-ზოსიმე მრავალჯოის
ხმარობს ქარაგმას, ტექსტის ამოხსნის-
თვის უმთავრეს სიტყვებს ყველა
ხელნაწერში ქარაგმის გარეშე, სრუ-
ლად წერს (ეს ეხება „მარაგს“ –
დაშიფრული სიტყვა; ხელნაწერის



კულმინაციას: „და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოც და ათოთხმეტი წელი...“ და დასკვნასაც: „მოწამედ წარმოგიოხარ: ასი ესე წელი...“ და ა.შ.), ამით იგი ეხმარება გამშიფრავს და თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს მოსალოდნელი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად. როგორც კი თავდაპირველი ტექსტი მოპოვებული იქნა (იხილეთ: ლ. ხევსურიანი, ტ. ფუტკარაძე, „ქებაი და დიდებაი“), ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

სრულიად აშკარა გახდა, რომ იოანე-ზოსიმე თავის ყველა ხელნაწერში, ტექსტის მთლიან რიგით სათვალავთა ჰემატრიაში, 8050-ის მიღებას ცდილობს.

და არა მარტო იქ...

* * *

ეს იმაშიც გვარწმუნებს, რომ შიფრი ლოგიკის პრინციპების სრული დაცვითაა აგებული: წერილის ასოების რიგით სათვალავთა შეკრება (Sin,38) გვაძლევს – 8050-ს, გავყვეთ ტექსტს სტრიქონების მიხედვით:

დამარხულ(105) არს(40) ენა(35) ქართული(87) = 267

დღემდე(60) მეორედ(62) მოსვლისა(98) მისისა(74) = 294

საწამებელად(95) რა(20) ელსა(59) ენასა(41) ღთმან(62) = 277

ამხილოს(105) ამით(33) ენითა(39) და(5) ესე(30) ენა(35) = 247

მინარც(95) არს(40) დღესამომდე(106) = 241

და(5) სახარებასა(103) შინა(52) ამას(35) ენასა(41) ლაზარც(48) = 284

რქვან(58) და(5) ახალმან(75) ნინო(54) მოაქცია(94) = 286

ჰელენე(77) დედოფალმან(93) ესე(30) არი(30) = 230

ან(15) ორნი(49) დანი(19) ვა(7) მარიამ(57) და(5) მართა(58): = 210

და(5) მეგობრობა(92) ამისთვის(73) თქა(34) ვდ(10) = 214

ელი(38) საიდუმლო(113) ამას(35) ენასა(41) შინა(52) = 279

დამარხუ(ლ)(93) არს(40) და(5) ოთხისა(89) დლისა(60) მკუ(46) = 333

დარი(24) ამისთვის(73) თქა(34) დავით(30) წყველმან(133) = 294

რ(19) წელი(48) ათასი(31) ვა(7) ერთი(33) დღ(37) = 175

და(5) სახ(ა)რ(ე)ბასა(97) შინა(52) ქართულსა(108) თავსა(37) = 299

ხ(33) მათსსა(72) წერილი(77) ზის(37) რლ(31) ასო(52) არს(40) = 342

და(5) იტყვს(77) ელად(43) ოთხ(58) ათასსა(52) მარაგსა(58) = 293

და(5) ესე(30) არს(40) ოთხი(58) დღ(37) და(5) ოთხისა(89) დლისა(60) = 324

მკუდარი(70) ამისთვის(73) მის(43) თანავე(36) დაფლ(40) = 262

ული(34) სიკდილითა(87) ნათლისღებისა(129) მისისათა(99) = 349

და(5) ესე(30) ენა(35) შემკული(90) და(5) კხეული(83) სახელი(81) = 329

თა(10) ოისა(?)(71) მდაბალი(33) და(5) დაწუნე(77) = 196

ბული(36) მოელის(76) დღესა(55) მას(34) მეორედ(62) მოს(49) = 312

ღვასა(40) ოისასა(68) და(5) სასწაულად(112) = 225

ესე(30) აქუს(67) ოთხმოც(121) და(5) ათოთხმეტი(107) = 330

წელი(48) უმეტეს(89) სხუათა(86) ენათა(30) ქეს(49) = 302

მოსღვითგან(104) ვე(11) დღესამომდე(106) = 221

და(5) ესე(30) ელი(38) რლი(31) წერილ(77) არს(40) მოწამედ(83)

წარ(51) = 355

მოგითხარ(104) ასი(21) ესე(30) წელი(48) ანბანისა(77) = 280

ჯამი – 8050

სხვა ვარიანტებში უმნიშვნელო ცდომილება (1 და 3), ისედაც გადაშლილი ტექსტის ოდნავ ცუდად ამოკითხვის ბრალი უნდა იყოს. ხელნაწერები რიგ ადგილებში ძნელად იკითხება და ერთი ასო-ნიშნის ცდომილება სავსებით დასაშვებია. ვერ



გამოვრიცხავთ იმასაც, რომ სულ ოდნავი უზუსტობა ავტორის არასწორი გათვლების ბრალია. სამაგიეროდ, 8050-ის დაცვაზე მისი ზრუნვა სრულიად ცხადია და სტატისტიკურად დიდად საიმედოც. მაგ.: Sin. 32-57-33-ში Sin.38-თან შედარებით 20-მდე ასო-ნიშანი, ე.ი. მთელი სიტყვები, ქარაგმული ჩაწერები, ფრაზები იცვლება, მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად უცვლელი რჩება მთელი ხელნაწერის რიცხვთა ჯამი.

მიაქციეთ ყურადღება, Sin.38-ში 8050-ის მისაღებად ავტორი ქართულის აშკარა დამახინჯებაზე მიდის, მაგალითად, „დამარხულ“-ის ნაცვლად იგი წერს – „დამარხუ“ („დამარხუ არს“); ამ დროს დასაწყისში იგივე სიტყვა სწორად უწერია, ე.ი. სიტყვის სწორად ჩაწერა არ ეშლება. მეორეგან, სიტყვა „სახარებასა“ – „სახ'რბასა“ ხდება და ა.შ. ასეთი თვალშისაცემი „შეცდომები“ წერილში საკმაოდ არის. ყველა „შეცდომის“ თვალშისაცემი ხელოვნურობა აშკარაა. (დავუშვათ და იოანე-ზოსიმე ცუდი მექართულე იყო, მაშინ მისი გადამწერი ხომ ჩაასწორებდა ასეთ თვალშისაცემ „ლაფსუსკალამს“? მაგრამ იგიც ხვდება მის სიდიადეს და დიდი სახეცვლილების გარეშე გადმოიტანა წერილი. 1000 წლის წინანდელი გადამწერი, თანამედროვე ენათმეცნიერთა ფონზეც უცოდველი მოსჩანს. თავის მხრივ, ენათმეცნიერება ერთ საუკუნეზე მეტია „მიწვივ სცოდავს“ იოანე-ზოსიმეს წინაშე.)

* * *

მიუხედავად იმისა, რა უნდა იყოს წერილის ასოების რიგით სათვალავთა სრული ჯამი – 8050? ან რატომ გვგონია, რომ 8050 ხელნაწერის ამონახსნის შემოწმების საშუალებას მოგვცემდა? რატომაა იგი ასე მნიშვნელოვანი?

იმიტომ, რომ 8050 ქართული უზუსტესი კალენდრის, „წელიწადი“-ს, ე.ი. ხელნაწერის მთავარი ამონახსნის

რიცხვ-ნიშანთა ჯამია, მისი რიცხვ-ნიშანთა ჰემატრია.

როცა გაირკვა, რომ „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი“-ს ამოხსნა, კალენდრის რიცხვული მექანიზმის შემცველი სიტყვა „წელიწადი“-ა; ხოლო 94 ამ სიტყვის რიგით სათვალავთა ჰემატრიაა, ლოგიკურად ცხადი გახდა, რომ მისი რიცხვ-ნიშანთა ჰემატრია, ხელნაწერში უნდა ყოფილიყო:

$$\begin{aligned} & \text{წ(4000) ე(5) ლ(30) ი(10) წ(4000) ა(1)} \\ & \text{დ(4) -ი;} \\ & 4000 + 5 + 30 + 10 + 4000 + 1 + 4 = \\ & 8050 (!!!). \end{aligned}$$

ე.ი. ხელნაწერს 8050 უნდა მოეცა, და მართლაც...

ხელნაწერის რიგითი სათვალავის სრული ჯამი, ჰემატრია – 8050 (იხილეთ ზემოთ), „წელიწად“-ის რიცხვ-ნიშანთა ჯამი, ჰემატრია – 8050, 8050 = 8050.


იგივეობა მიღებულია არაერთგზის.

ეს საშუალებას ქმნიდა ქართული კალენდარული ლექსიკიდან გამოგვეჩინა ერთადერთი სიტყვა, რომლის ჰემატრია: 94 და 8050-ა („წელიწადი“). ე.ი. 8050 აკონკრეტებს, საზღვრავს პასუხის ერთადერთობას.

* * *

ტოლობა რიგითი სათვალავითა და რიცხვ-ნიშნებით მიღებულ ჰემატრიებს შორის დგება. „წელიწადი“ ქართულ ლექსიკაში, ერთადერთი კალენდარული სიტყვაა, რომლის რიცხვ-ნიშანთა ჯამი – 8050-ა, ხოლო რიგითი სათვალავის ჯამი – 94. ამდენად, „წელიწადი“ „ოთხმეოც და ათოთხმეტისა“ და მთელი ხელნაწერის რიცხვული შიგთავსის, 8050-ის ერთადერთი ამოხსნაა.

ენათმეცნიერთა მიერ ანბანში 1980 წელს მიღებული ქართული კალენდარი ასო-ნიშნების აღნიშვნებს, მათ სახელდებებს, რიცხვით სიმბოლიკას ეყრდნობოდა და არ გააჩნდა სიტყვა, მისი აზრობრივი დატვირთვა-გამაგრება, ამიტომაც მისდამი დაპირის-



პირება ადვილი გამოდგა. ჩვენგან სიტყვაში მიგნებულ იგივე კალენდარში უკვე გაჩნდა აზრობრივად გამართლებული სიტყვების ჯაჭვი: „წელი“ – „წადი“ – „წელიწადი“, თანაც დედამიწის მზის გარშემო ერთი შემობრუნების ერთეულში. ასეთი არგუმენტის უარყოფა ძნელდება. დამატებით, იგი ორგანულად შეერწყა ანბანში მიგნებულ კალენდარს, მის ანბანურ ასლს და გამოდგა ხიდი მასა და იოანე-ზოსიმეს წერილს შორის. ჩვენ ვიპოვეთ იგივე, რასაც იოანე-ზოსიმემ 10 საუკუნის წინ მიაგნო და ხელნაწერში ამოცანად აღწერა. ან იქნებ, მან ეს ინფორმაცია სხვა დაფარული წყაროდან მოიპოვა, თუმცა ეს სულაც არ ცვლის სიტუაციას.

* * *

როგორც სამად გაჭრილი ერთი ნახატიდან, ჩვენ ვიპოვეთ შუა ნაწილი, რომელმაც პირველ ორთან შერწყმით, სრულად აღადგინა თავდაპირველი სურათის მთელი მომხიბლავობა და სიდიადე.

* * *

უკვე სამი მძლავრი საყრდენი გაჩნდა, რომელთა წინააღმდეგაც ძნელდება დაპირისპირება, რადგან ეს ერთიანი ჯაჭვია. საბოლოოდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული სხვა სიტყვა, რომელიც რიგითი სათვალავების შეკრებით 94-სა და რიცხვმნიშვნელობებით – 8050-ს იძლეოდეს, არ არსებობს. ამდენად, საკითხი ამოწურულად და იდუმალემა გახსნილად, გზავნილი მიგნებულად, უნდა ჩაითვალოს.

როცა მთელი ხელნაწერის სრული, ჯამური კეპატრია გზავნილია, უკვე ეს ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტექსტში არც ერთი ასონიშნის შეცვლა არ შეიძლებოდა. გამოდის, რომ ენათმეცნიერთა მიერ გაკე-

თებული ყველა ჩასწორება გაუმართლებელი იყო.


როგორც მთელი ხელნაწერი, შიფრია ტექსტის შესამოსელიც, თავი და ბოლო მინაწერები. ასე მაგალითად, Sin.32-57-33 „სინურ მრავალთავში“ იოანე-ზოსიმეს წერილის ჩართვის თარიღს გვაძლევს. შესამოსელის ფარული რიცხვი ისევე 8050-ს იძლევა და ა.შ. თუმცა იოანე-ზოსიმეს მისი ხელნაწერის კულმინაციის, დასკვნის და შიფრის, საერთოდ ამონახსნის სწორად პოვნის შემოწმების შესაძლებლობაზე არსად აღნიშნული არა აქვს, მაგრამ ლოგიკურად სრულიად მოსალოდნელი იყო ასეთი ინფორმაციის დაფარულად მოცემა და როგორც ვხედავთ, იგი არის. ამით დაშიფრული ტექსტის ყველა ატრიბუტი სახეზეა. ამოცანა სისტემურად ამოხსნილია, ავტორმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არა მხოლოდ ხელნაწერის ფარული ინფორმაცია მიეღო დაინტერესებულ თაობას, არამედ შეემოწმებინა კიდევ მისი სისწორე. რაც მთავარია, ამის შემდეგ ხელნაწერის გამშიფრავის ხელთ შიფრის ის გასაღები უნდა აღმოჩნდეს, რომელითაც ქართული ენაში ჩადებულ ღვთიურ საიდუმლოში შედწევა შეიძლება. უკვე ამის, „უფლის ენაში“ არსებული, ნათელხილვით მიღებული ცოდნის მოძიება, ე.ი. შიფრის გასაღების ეფექტურობის ენაში შემოწმება, შემდეგი კვლევის საგანია.

იოანე-ზოსიმეს ნახატი

იოანე-ზოსიმემ ორიოდე ნახატი დატოვა. ერთი მათგანზე დახატულ ჯვარზე წვეროებში ასომთავრული ასონიშნებია გამოსახული: „ჟ ლ; თ; ც“. იგივე ასონიშნებით შედგენილი ქარაგმა ყველა ხელნაწერზეა მოცემული, მაგრამ უკვე სხვა მიმდევრობით: „ლ ც ყ თ“. ქართველმა ენათმეცნიერებმა იგი ასე წაიკითხეს:



„ლოცვა-ყავთ“. ბუნებრივად, განნდა განცდა, რომ დაშიფრის ასეთი დიდოსტატი, აქაც რაღაც იდუმალ გზავნილს ჩადებდა. ამავე დროს, რიცხვულად, თითქოს არაფერი ჩანს ხელჩასაჭიდი. როგორც აღმოჩნდა, იოანე-ზოსიმე ნახატში უკვე დაშიფრის სხვაგვარ ჭრილში გადადის და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს მის გენიალობას. გადავალავოთ ამ ლოცვის ასო-ნიშნები პირჯერის გადაწერის მიმართულებით (ისევე, როგორც წაიკითხეს „ლოცვა-ყავთ“).



„ლ“ „ც“ „ყ“ „თ“; ახლა თითოეული ასო თავისივე სახელდებაში გადავიყვანოთ, მივიღებთ პირდაპირ საოცარ ლოცვა-ვედრებას, წარმოიდგინეთ, იოანე-ზოსიმე ამ სახელდებებით მთელ წინადადებას ადგენს, თანაც როგორს(!)... ამასთან ბოლო ორი სახელდების სინთეზი იძლევა ერთ მთლიან სიტყვას:

„ლ“ – ლას; „ც“ – ცან; „ყ“ – ყარ; „თ“ – თან, ერთობლივად კი: „ლას-ი ცან ყარ-თან“. უკვე ცნობილია, რომ ანბანურ „ლას“-ში წრე, მზის გარშემო დედამიწის ერთი შემოვლის დრო, წელიწადი გვაქვს მოცემული. იოანე-ზოსიმეს გზავნილი აჩენს მოსაზრებას, რომ ასო-ნიშან „ყარ“-თან რაიმე კალენდარული ინფორმაცია უნდა იყოს „დაფლული“. ალბათ, იგი იქ უნდა „ვცნოთ“ (ვიცნოთ). ამ საკითხს, ოდნავ ქვემოთ მივუბრუნდებით. გზავნილი, ასეც შეიძლება გავიგოთ:

„ლას(არე) ცან ყარ-თან“.
ღვთისმოსავი ბერი გთხოვს „ყარ-თან“ მდგომი ლაზარეს (ქართული

ენის) ცნობას და რადგან ეს ასო-ნიშნები ყველა ხელნაწერის შესამოსელში, რამდენიმეჯგუფის მეორდება, გამოდის რომ იგი ამ სავედრებელს რამდენჯერმე გვიმეორებს.

იოანე-ზოსიმესგან ქართული ენის (ლას-არეს) მზის გარშემო დედამიწის წრესთან („ლას“-თან) გაიგივება ნიშნავს თუ არა, რომ მზის კალენდარი ქართულ სიტყვაში დევს?!

იოანე-ზოსიმესთვის „ლ“ „ც“ „ყ“ „თ“-ს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. პირველივე გადაწერი ამ ლოცვა-სავადრებელს სხვაგვარად წერს: „ლ'ც ყ'ვთ“, ნაცვლად იოანე-ზოსიმესეული „ლ'ცყთ“-სა. „ლ'ცყთ“ უკვე სწორედ ზემოხსენებული „ლოცვა-ყავთ“ არის.


ან რითი უნდა აიხსნას ის, რომ იგი ბერს ჯერის გამოსახულებაში გააქვს?

გარდა ამისა, ხომ ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა წერია ასეთი ქართული ასო-ნიშან „ყარ-თან“, რომ მას სარწმუნოების დარ მნიშვნელობას ანიჭებს იგი?

ქართული კალენდარი 128-წლიან მოქცევებს ეყრდნობა. ამაზე უკვე ბევრი ითქვა, ხოლო დღეების გაანგარიშებისას სიტყვა „წელიწადი“-თ მოცემულ 128 უზუსტეს წელში:
 $(365X3+366)X31+365X4=128X365+31=46751$,

დღე აღმოჩნდა: 4 6 7 5 1;
თუმცა დაშიფრის ამგვარ სტრუქტურაში, ხუთნიშნა და ნულისგან განსხვავებული ბოლო ციფრებით შედგენილი რიცხვის ანბანის ერთ სტრიქონზე გატანა, შეუძლებელი თუ არა, ურთუ-ლესია, მაგრამ ის მაინც არის!

პრაქტიკულად, შედარებით მარტივად იგი შეიძლება ქართული ანბანის ორ მეზობელ სტრიქონზე იყოს განთავსებული (!). ეს, ამ პრობლემის ყველაზე უკეთესი გადაწყვეტა იქნებოდა. უნდა შეგახსენოთ, რომ იოანე-ზოსიმე „ყარ“-იდან გვთხოვს ლაზარეს ცნობას, და არა „ყარ“-ში. იქ პირდაპირ წერია: „ლას“-ი „ცან“ „ყარ“-„თან“.



ე.ი. „ლას“-ი (წრე, ან წრეები მზის გარშემო) საჭიროა „ყარ“-„თან“ ვეძიოთ, „ვცნოთ“. მნიშვნელოვანია, რომ „ყარ“-ი ანბანში 26-ე ასოა, „ყარ“ ასოს გრაფემა იდეოგრამაა, მის წინ კი 25 რიგითი სათვალავით „ღან“ გრაფემა, ყველაზე საკრალური გრაფემაა ქართულ ანბანში. იგი უხილავი ღმერთის ღვთის კარია, და ამდენად, უხილავი ღმერთის იდეოგრამა-აკროფონია, -წერს რამაზ პატარიძე და მოსაზრების დასამტკიცებლად არაერთი თეორიული არგუმენტი მოჰყავს; „ღან“-ი, მზის ღვთაების საბუდარია ქართულ ანბანში.

გამოვიკვლიოთ ამ ორი გრაფემის ჰემატრიები, რადგან იდუმალება ჰემატრიაში უნდა იყოს დაფარული.

26 – „ყარ“, რიგითი სათვალავით:
 $y(26) \text{ ა}(1) \text{ რ}(19);$
 $26 + 1 + 19 = 46;$

25 – „ღან“, რიცხვ-მნიშვნელობით:
 $ღ(700) \text{ ა}(1) \text{ ნ}(50);$
 $700 + 50 + 1 = 751;$

ერთად, „ყარ“-ისა და „ღან“-ის ჰემატ-რიები:

$$46 \ 751 (!).$$

კომენტარები ზედმეტია. ნულარ გამოვედევნებით იმას, რომ რიცხვის პირველი ორი ციფრი რიგით სათვალავთა ჰემატრიითაა მიღებული, ხოლო შემდეგი სამი რიცხვ-მნიშვნელობის ჰემატრიით. ასეთი სხვაობის აღმოფხვრა ანბანის შემოქმედს არ შეეძლო. რაღა თქმა უნდა, უხერხულობას ქმნის ისიც, რომ იგი ანბანის ორ სტრიქონზეა გატანილი; მაგრამ ამას იოანე-ზოსიმეც გვეუბნება, როცა ამ რიცხვის ძიებას „ყარ-თან“ გვთხოვს. როგორც ანალიზიდან ჩანს, ციფრული ინფორმაციის ზედდების და ასე სასურველი რიცხვის მიღების ტრადიცია საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა.

ქართული უზუსტესი კალენდრის დღეთა რიცხვის (46 751) ორ სტრიქონზე გატანა იმის ნიშნებსაც აჩენს, რომ კალენდარი „წელიწადი“ შემდეგაა მიღებული და ზემოაღწერილ სირთუ-

ლეთა მიუხედავად ანბანში, განსაკუთრებით მის სახელდებებში, საჭირო ჩასწორებაც გააკეთებული. იქნებ, ფარულად თავიდანვე იყო ანბანში ჩადებული და მასში არსებული ჰემატრიული სქემის ძირეული გადაკეთება არც მომხდარა (!).

იმას, რომ 46 751 მან ანბანში იპოვა ავტორი თვითონვე აღიარებს... თავისი ფსევდონიმით, გავიხსენოთ მისი სახელების ჰემატრიები:

$$\begin{aligned} & \text{იოანე}(46)\text{-ზოსიმე}(71); \\ & \text{ი}(10) \text{ ო}(16) \text{ ა}(10) \text{ ნ}(14) \text{ ე}(5), \\ & 10 + 16 + 1 + 14 + 5 = 46, \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{ზ}(7) \text{ ო}(16) \text{ ს}(20) \text{ ი}(10) \text{ მ}(13) \text{ ე}(5), \\ & 7 + 16 + 20 + 10 + 13 + 5 = 71, \\ & \text{ერთად, } 4 \ 6 - 7 \ 1. \end{aligned}$$

ხომ ვერ უარყოფთ, რომ იგი ციფრებს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა, მაშინ ციფრული 46 71 რითი ჩამოუვარდება კალენდრის ჭეშმარიტებაზე, მასში დღეების რაოდენობის რიცხვზე – 46 751-ზე მისგან ხელმოწერას?! აქ მას სრულად მთელი 46 751-ის გადმოტანა პრაქტიკულად არც შეეძლო და საიდუმლოს დაფარვის გამო, ალბათ, არც სურდა. თანაც გამოტოვა სწორედ ციფრი 5 – ხორციელი ღმერთის ნიშანი („მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“). აი, მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეცვალა თავისი საერო სახელი „იოვანე“, „იოანე“-დ:

ქართული კალენდრის 128 წლიან ციკლებში დღეთა რიცხვი: 4 6 7 5 1;
 იოანე-ზოსიმეს „ხელმოწერა“, მისი სახელების ჰემატრია: 4 6 7 ... 1;

„ყარ“-თან გრაფემათა სახელდების ჰემატრიების ზედდება: 4 6 7 5 1.

კითხვები ავტორის ვინაობის თაობაზე აღარ არსებობს, ეს იოანე-ზოსიმეა!

ცივილიზაცია, რომელმაც შექმნა 1 წამის სიზუსტით მოქმედი მზის კალენდარი, წამის სიზუსტით კიდევ აფასებდა მისი და უძრავი კალენდრის ეფექტურობას; ამ ცივილიზაციის



კალენდარი შემთხვევითი ძიების შედეგი კი არა, კარგად გააზრებული და გათვლილი კვლევის რეზულტატია.

საოცრებაა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არათუ უდიდესი ცივილიზაციის კარიბჭესთან ვდგავართ(!), არამედ შთამომავლებიც ვართ მისი. ამიტომაც, გაცილებით დიდია იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის მნიშვნელობა, ვიდრე აქამდე ეს ენათმეცნიერებას მიაჩნდა.

* * *

თანამედროვე სეკუპტიკოსებმა არ იციან ალბათობის თეორია და არ ცნობენ ჰემატრიას (და იოანე-ზოსიმეს ამოცანას „თავსატყეხად“ თვლიან), არ იციან ასტრონომოსთა ისტორია და არ ცნობენ რიცხვების, ციფრების როლს სარწმუნოების დამკვიდრებაში (ბიბლია სწორედაც, რომ საწინააღმდეგოს ამტკიცებს) და მათ წინაპრები ჰყავდათ. მათი წინაპრები „მკრეხელს“ უწოდებდნენ იოანე-ზოსიმეს და ეჭვქვეშ აყენებდნენ მის ღვთისმოსაობას, ამიტომაც დასჭირდა მხსრეკაელ ბერს „ქება და დიდება“-ს ბოლო სტრიქონი: „მოწამედ წარმოგიტხარ“.

როგორ უნდა უჭირდეს ასეთ გენიოსს, რომ თავის შედეგზე თქვას: „მოწამედ წარმოგიტხარ...“ და მოწამეს დაუწყოს ძებნა, მაგრამ ვინ მოჰყავს ამ მოწამედ?!

**ვინ დაიცავს იოანე-ზოსიმეს?!
(„მოწამედ წარმოგიტხარ“)**

ერთი არგუმენტი, რომლითაც იოანე-ზოსიმეს უტყვენ ისაა, რომ წერილი მას არ ეკუთვნის, მან მხოლოდ გადაწერა, ხოლო იოანე-ზოსიმემდე ასეთი ინფორმაცია წერილობითი სახით მივიდა. ამას ვერც გამოვრიცხავთ, მაგრამ დამშიფრავი რომ თვითონაა, ეჭვსგარეშეა. ხელნაწერიდან ხელნაწერში შიფრი იხვეწება, უფრო მომხიბლავი ხდება, ავტორი ცვლის შიფრულ მიდგომას და ა.შ. ეს ჩანს მის სახელებშიც, მაგრამ თუკი მაინც მას დაცვა სჭირდება, მაშინ დამც-

ველიც თვითონ იოანე-ზოსიმე და მისი გზავნილია. დააკვირდით რა დონის ინფორმაციას შიფრავს იგი თავის ბოლო სტრიქონში. ამის შემდეგ კითხვა, არის თუ არა იგი ამ გენიალური ქმნილების ავტორი, უნდა მოიხსნას, რადგან შედეგურა თვითონ შიფრით მოტანილი შედეგი, შიფრის გამოყენების ასპექტი.

გაშიფრის შედეგების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ხელნაწერის სემანტიკას, მის მხატვრულ ქსოვილს თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება გამოყენებული შიფრი და მისი მოცემის თავისებურებები.

გაშიფრის შემდეგ თავიდან „ადმოაჩენთ“ ამ ხელნაწერს:

ბოლო სტრიქონი ფაქტობრივად არის პასუხი ნაწარმოების თავში დასმულ კითხვაზე: „ვის საწამებულად?“ ამით ნაწარმოები იკვრება და ორგანულად მთლიანი ხდება. ამ პასუხის ფონზე სრულიად არაკორექტულია მისი მკრეხელობის ბრალდებაც, სამწუხაროდ ასეთ მცდარ მოსაზრებას არა თუ საერო, არამედ საეკლესიო პირებიდანაც გაიგებთ.

დმერთთა პანთეონის ჰემატრიულად მთლიანი სქემის მიგნების ნიშანიც იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის დასკვნაში, სულ ბოლო სტრიქონში გამოაქვს, როცა წერს: „...და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისა.“

რას უნდა ნიშნავდეს „ასი ესე წელი“, ვინ უნდა იყოს ის, ვისი მოწამედ, „მოწამედ“ მოყვანა იოანე-ზოსიმეს ასეთი, ისედაც მესიანისტური ტექსტის გამყარებას შექმნებდა? ვინ უნდა მოეყვანა იმის მოწამედ, რომ ქართული უფლის ენაა?

სანამ ამ საკითხის განხილვას შევეუდგებოდეთ ავღნიშნავთ, რომ ხელნაწერში სწორედ „ასი ესე წელი“ წერია. სამწუხაროდ, ენათმეცნიერებამ აქაც ვერ გაუგო ავტორს და აქედან გამომდინარე ჯიუტად წერენ (და განიხილავენ) – „ესე წელი“-ს. ამ



დროს მისგან გადაწერილ სამივე ხელნაწერში ცხადად იკითხება – „ასი ესე წელი“ (ლ. ხევსურიანი, ტ. ფუტკარაძე, „ქებაი და დიდებაი“). მხოლოდ ერთადერთმა გადაწერმა შეცვალა ტექსტი – „ესე წელი“-თ. ხომ პარადოქსია, რომ ავტორის ხელნაწერის სამი დედანი გქონდეს და შენ ჯიუტად მისი გადამწერის ვარიანტს, ხელით გადაწერილ ასლს ეყრდნობოდე?!

ამასაც ქართული ენათმეცნიერება სჩადის...

სამწუხაროდ, არც უცნობმა გადამწერმა იცის ხელნაწერში დაფარული ჰემატრიული შიფრი. ეს კი უფრო გასაკვირია, რადგან იმ პერიოდის ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას აშკარად ეტყობა ჰემატრიის ცოდნა.

როგორც აღმოჩნდა, „ასი ესე წელი“, მართლაც ელვარე, თავბრუდამხვევი და ორმაგად იღუმალი შიფრია... მაგრამ გასაგები ხდება, იხსნება მხოლოდ და მხოლოდ ჰემატრიის გამოყენებით. დაუთვალოთ თითოეული სიტყვის ჰემატრია:

$$\begin{aligned} \text{ა(1) ს(20)-ი, } & 1 + 20 = 21; \\ \text{ე(5) ს(20) ე(5), } & 5 + 20 + 5 = 30; \\ \text{წ(31) ე(5) ლ(12) -ი, } & 31 + 5 + 12 = 48. \end{aligned}$$

21, 30, 48 ცალკეულად თითქოსდა განსაკუთრებულად ხელჩასაჭიდი ბევრი არაფერია. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, ასეთ მნიშვნელოვან მოწმეს, „მოწამეს“ იოანე-ზოსიმე ჰემატრიულად კარგად დაფარავდა, შენიღბავდა, მაგრამ ამ ფონზე მისი გამხელა უკვე შესაძლებელია.

დაუთვალოთ, პირველი ორი სიტყვის ჰემატრია:

$$21 + 30 = 51.$$

გამოვთვალოთ, უკვე მთელი ფრაზის ჰემატრია:

$$21 + 30 + 48 = 99.$$

ე.ი. „ასი ესე წელი“-თ იოანე-ზოსიმე ქართული ჰემატრიის ორ უმნიშვნელოვანეს რიცხვს გვაძლევს. პირველი მათგანი (51), „იესო“-ს ჰემატრიაა, მეორე (99) – „ქრისტე“-სი:

$$\text{ი(10) ე(5) ს(20) ო(16);}$$

$$10 + 5 + 20 + 16 = 51;$$

$$\text{ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5);}$$

$$24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99.$$

იოანე-ზოსიმეს „მოწამედ“... სწორედ ის მოჰყავს, „ვის საწამებელად“-აც დაწერა „ქებაი და დიდებაი“:

ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე (I).

დიდებულის, ძალიან ღამაზი გადაწვეტაა და უფლის ენის ქებათა-ქების ლოგიკური, ჰემატრიული დასასრული.

Sin,38-ში ბოლო ფრაზა: „მოწამედ წარმოვითხარ“ ასე გადააქვს: წარმოვითხარ. „წარ“ მარცვალის ჰემატრია 51-ა (წ(31) ა(1) რ(19); 31 + 1 + 19 = 51) – იესოს ჰემატრია და ა.შ..

ქართული ჰემატრიაში 51 ღმერთის კაცებრივი ბუნების რიცხვია, 99 – ღვთაებრივის. თავის ხელნაწერში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს მოტანილი უმთავრესი თეზის: „ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი, მეორედ მოსვლის შემდეგ, ღმერთი ქართულად განიკითხავს.“ (კომენტირება: ა. ცაგარელი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა) „მოწამე“, ერთადერთი მოწმე, ტექსტის ბოლოს შეფარულად მოხმობილი მაცხოვარი – იესო ქრისტეა.

ლოგიკურადაც, სწორი მიგნებაა, მხოლოდ მაცხოვარს ძალუძს ამ უმაღლესი სარწმუნოებრივი სიწმინდის ჭეშმარიტების დამოწმება.

სწორედ ასეთი უღამაზესი, თავბრუდამხვევი მომენტებით ფასდება ამაღლებული ლიტერატურული შედეგები!

ამ მიგნების შემდეგ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, როგორც ძეგლი, სულ სხვა, გამორჩეული სიმაღლით გამოჩნდა. მის შეფასებასაც, ალბათ, დროა ხელახლა მიუბრუნდეს ლიტერატურათმცოდნეობა. სულაც არა აქვს მნიშვნელობა, მან ეს ინფორმაცია უკვე მზა სახით მიიღო თუ თვითონ მოიპოვა, ვის ჩაუთვლია ავტორისგან წინასწარ ინფორმაციის მოიპოვება ცოდვად?!



შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ მთლიანად ჰემატრიული შიფრის მომტანი ტექსტია. მისი უმთავრესი იდეალეა სწორედ კულმინაციასა და დასკვნაშია მოცემული („და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოც და ათ თოთხმეტი წელი“, „ასი ესე წელი“). თუ პირველის მათგანის ამოხსნას მთელი ხელნაწერის საერთო ჰემატრიული რიცხვი (8050) ამოწმებს, რადგან სწორედ იქ არის დაფარული ქართული ენის „სასწაული“. კულმინაციის ამოხსნის შემდეგ მეორე მოწმის მიგნება მართლმადიდებელი მკითხველისთვის ცალსახად ელემენტარული ლოგიკაა (იესო ქრისტე). ისიც გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ორივე ფრაზის უმთავრესი მდგენელია სიტყვა და კალენდარი „წელი“.

ამ სიტყვით არა მხოლოდ ანბანის შექმნის პერიოდია განსაზღვრული, იგი პირველი კალენდარი, და ალბათ, პირველი ჰემატრიული სიტყვაცაა; მაგრამ მთავარი სარწმუნოებრივი მომენტი: წელი, და მისგან მიღებული „ელი“ წინარექართული უძველესი ღმერთის სახელია, რომელიც სწორედ აქედან გავრცელდა.

მეტი რა თვისება უნდა ჰქონდეს უფლის ენას?!

* * *

კითხვას: ხომ არ შეიცავს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი კიდევ სხვა დამატებით რაიმე დაფარულ ინფორმაციას, ლოგიკურად სრულიად ცხადი პასუხი აქვს: არა, ამაზე მეტი არც მსოფლმხედველობრივად, არც სარწმუნოებრივად მართლმადიდებელ ქართველ კაცს არ შეეძლო ეთქვა!

ან კი რაღაა ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი?!

და არა მხოლოდ იოანე-ზოსიმესთვის ან საერთოდ კაცისთვის ამ ცისქვეშეთში?!

* * *

ბუნებრივია, კვლევის არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი შეზღუდული მოცულობის გამო ვერ მოხვდა ნაშრომში, მაგრამ ვფიქრობთ მოტანილი არგუმენტებიც წარმოდგენას ქმნის გაშიფრვის უტყუარობაზე. დასასრულს მოგვყავს ხელნაწერის გაშიფვიდან გამომდინარე ორიოდე შედეგი, რომელიც სრულიად ცვლის ჩვენს წარმოდგენას არა მხოლოდ მეთავე საუკუნის, არამედ წინარექრისტიანული პერიოდის საქართველოზე.¹

**ცხრის მისტიკა
არსებობს თუ არა ძართული
ჰემატრია და მურუმთა ფარული ენა?**

მივუბრუნდეთ კითხვას: რა იქცა იოანე-ზოსიმესთვის მთავარ არგუმენტად მაშინ, როცა მისთვის ქართული „უფლის ენა“ გახდა? იოანე-ზოსიმეს მიერ ხელნაწერში გამოყენებული შიფრის გასაღები ბიბლიის გახსნის გასაღების (ჰემატრიის) თანხვედრილია. „ქებაი და დიდებაი“-ს ხელნაწერში გამოყენებული შიფრი „ღვთისმოსავემა ბერმა“ ბიბლიის გამშიფრავთაგან აიღო და, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ანბანის სახელდებათა, სარწმუნოებრივად და კალენდარულად უმნიშვნელოვანესი ლექსიკის(?) გასაღებიც იგივე გახლავთ; ანუ, წინაპართაგან თქმულს ქართულ სიტყვაში მანაც იგივე გასაღებით მიაგნო. წარმოუდგენელია ამ დროს ფიქრი, ვარაუდი არ გასჩენოდა ქართული ენის შემოქმედის ბიბლიის შემოქმედთან, დამშიფრავთან კონტაქტების თაობაზე. ჰქონდა თუ არა იოანე-ზოსიმეს იქამდე სურვილი წერილი მიეწერა მომავლისთვის, ჩვენ ახლა ვეღარ გავიგებთ, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის შემდეგ, ასეთი სურვილის გაჩენა, საეხებით ბუნებრივი ჩანს. ამის შემდეგ

¹ (ფართოდ ამის თაობაზე მოცემულია ავტორის წიგნებში: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2010; „ცის შვილების უამბობელ ამბავთა ისტორია“, 2011; „ყოველი საიდუმლო... ამას ენასა შინა“, 2012)



იგი თავის ხელნაწერში შიფრის გასაღებს რომ აღარ შეცვლიდა, ისიც ცხადია. ამდენად, თვით ხელნაწერის გაშიფვრისას მეტად საინტერესო დებულებამდე, ბუნებრივად მივიღვართ და ალბათ, ესეც იყო იოანე-ზოსიმეს ჩანაფიქრი:

ბიბლიის შიფრის გასაღები სწავლულ-ქურუმთა ფარული ენის გასაღებია(?!). მისი ხელნაწერის გამშიფრავს ქართულში იმის ნახვაც ძალუძს, რაც ღვთისმოსავმა ბერმა, იოანე-ზოსიმემ „იხილა“; რის გამოც, მისთვის ქართული „შემკულია სახელითა უფლისათა“.

გამოდის, რომ იოანე-ზოსიმეს კვალზე, ძველი ივრითის მსგავსად, კიდევ ერთი, ხელოვნურად შექმნილი და სრულყოფილი, წინარექართველ ქურუმთა საიდუმლო ენის ნაშთებს ვეხებოთ(!!!); და ამისკენ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს თანმიმდევრულად მივყავართ.

* * *

წინარექრისტიანულ პერიოდში ხელდასხმულთა მესამე დღეს აღდგინების რიტუალი ტარდებოდა, უკვე ეს, სამის განსაკუთრებული სარწმუნოებრივი ღირებულების ნიშანი იყო.

„უძველესი დროიდან საქართველოში ცხრაობით ითვლიდნენ, ძველ საქართველოში სამებას ეთაყვანებოდნენ... ჩვენი წინაპრები აღმართავდნენ სამ-სამ კერპს და სამჯერ სამიც ითვლებოდა წმინდად. ცხრაობითი თვლა აქამდეა შემორჩენილი (ცხრა უღელი ხარკამეჩი, ცხრაპირი ოფლი და ა.შ.)“ - წერს კირიონი (გვ. 125). აქედან სამი, და სამჯერ სამი, ე.ი. ცხრა, ჩარჩა რიცხვთა ქართულ სიმბოლიკაში.

ქართულში 9 დღემდე სარიტუალო სათველელი ერთეულია (ქიზიყში, ფშავში და ა.შ.). ქართველი მზესაც ცხრა-თვალას ხედავს („ცხრათვალა მზე“ - ილიომაა), ცხრათვალა მზის გამოსახულება არქეოლოგიურ მასალაზე ძვ.წ.ად. მესამე ათასწლეულში ფიქსირდება, მაგრამ იქაც რვა თუ გამოკვეთილია, მეცხრეს ამოკითხვას უკვე

დაფარულის მიგნება სჭირდება. (ა. ვერძეული) ხევსურეთში „მზე ცხრა-კნით (ადგილიდან) ამაუხდების“ - ღიღი, ღვთიური სიხარულია. იგივე ჩანს ზეპირსიტყვიერებაში:

„ღავწები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,

ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი, სულ
თავით დამეხვეწება.“ (ხალხური)

თუ ქართულში მზე ცხრათვალაა, ებრაულში - რვათვალაა, ებრაულ ჰემატრიაში ღმერთის რიცხვი - 88 და 888. იგივე წესი გამოყენებულია არაქართულ ყველა ჰემატრიაში („ათენში რვას მაგიურ ძალას ანიჭებდნენ.“ (ვ. კობალეიშვილი, „მოგზაურობა რიცხვთა სამყაროში“, გვ. 48), თუმცა მათი წმინდა ციფრი 9-სგან განსხვავდება, მაგრამ არსებულის ორჯერ, სამჯერ გამეორება იძლევა ღმერთის რიცხვს.

რვისა და ცხრის დაპირისპირება რიცხვითი მისტიკის უმთავრესი თემაა.

„ერთმანეთსა შემოსტყორცნის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა“.

(ვეფხისტყაოსანი) ცხრის მისტიკის სამშობლო წინარესაქართველოა.

აქედან გამოდის, რომ ცხრათვალა მზე ღმერთის ჰემატრიაა, თუ რუსთაველთან ჰემატრიის გამოყენება ხდებოდა, „ცხრის მისტიკის“ შედეგი უნდა იყოს. იგი ან ცხრიანით, ან მისგან ნაწარმოები რიცხვით უნდა იწერებოდეს. ამ საწყისი პირობის გათვალისწინებით ქართულ ჰემატრიაში ღმერთის რიცხვი 99 და 999 უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ძალიან გაწაფული, სწავლული ქურუმი შეძლებდა, ისეთი ასოთშეთანხმება ეპოვნა, რომლის ასოთა რიგითი სათვალავი - 99-ს, ხოლო რიცხვ-მნიშვნელობათა ჯამი - 999-ს, თანაც ერთდროულად იძლეოდეს. ეს იმდენად რთული და ორმხრივი შიფრია, იგი გამონაკლისად, მართლაც ღვთის შეწევნით მიღებულ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

ქართულ ენაში არის სიტყვა, რომელიც თან ღმერთს აღნიშნავს და



თანაც ამ ორ რიცხვს სინთეზში იძლევა (!):

ღორონთი – ღმერთი (მეგრ.);
ღ(25,700) ო(16,70) რ(19,100) ო(16,70)
ნ(14,50) თ(9,9) -ი;

ფრჩხილში პირველი რიცხვი ასოს რიგითი სათვალავია, მეორე – მისი რიცხვ-ნიშანი.

ამ სიტყვის რიგითი სათვალავის ჯამი:

$$25 + 16 + 19 + 16 + 14 + 9 = 99 \text{ (!)};$$

ხოლო რიცხვ-ნიშანთა ჯამი:

$$700 + 70 + 100 + 70 + 50 + 9 = 999 \text{ (!)}.$$

99 – ღორონთ – ი – 999.

ამ ფაქტის შემთხვევითად დადგომის ალბათობა თითქმის უსასრულოდ მცირეა. საგარაუდოდ, ასეთი რამ შემთხვევითად, სულ ცოტა 10 000 000 000-ში ერთხელ შეიძლება მოხდეს, ანუ, თუ სიტყვა „ღორონთი“ ყოველგვარი გათვლების გარეშეა შექმნილი 10 მილიარდჯერ რომ შევქმნათ ანბანი, მხოლოდ ერთი მათგანით მივიღებთ ასეთ საოცარ შედეგს. ან პირიქით, არსებული ანბანის პირობებში გათვლების გარეშე 10 მილიარდი სიტყვა რომ შევქმნათ, შემთხვევითად მხოლოდ ერთ მათგანში უნდა მივიღოთ ასეთი შედეგი. ესეც, იმ შემთხვევაში თუ რიგითი სათვალავის შეკრებით სიტყვები სულ 100 ვარიანტში გვხვდება, რიცხვ-ნიშვნელობათა შეკრებით – 10 000-მდე რიცხვს იძლევა, და მეგრულში სულ 100 000 სიტყვაა. ადვილად დარწმუნდებით, რომ ყველა ეს რიცხვი ძლიერ შემცირებულია, და მაინც, 10 მილიარდიდან ერთია იმის შანსი, რომ ეს რიცხვები შემთხვევით მივიღეთ, ანუ პრაქტიკულად გამორიცხულია. სიტყვა „ღორონთი“ (ღმერთი) ხელოვნურად, სწავლულთა მიერ შექმნილი სიტყვაა, და მას მეგრე, როცა ქართული ანბანი უკვე შექმნილი და მათი რიცხვ-ნიშვნელობები განსაზღვრული იყო.

განხილულ შემთხვევაში იმდენად ცხადია ქართველ სწავლულთა მიერ ჰემატრიის გამოყენების ფაქტი, უარყოფა ძნელდება.

მაგრამ ეს ცვლის ჩვენს წარმოდგენას წინარქართულ წარსულზე!

ანუ დადასტურდა, რომ:

ქართულ ენაში არის ხელოვნურად შექმნილი სიტყვები;

ჩვენი წინაპრები ჰემატრიას (კაბალას) იყენებდნენ;

მაგრამ როდიდან?

ჯერ კიდევ იმ უპველესი პერიოდის დიდან, როცა მატრიარქალური სამყარო გეგონდა და ხევესურული ღვთაებრივი ტრიადის მზეკალს „დღე დღესინდელი“ ეწოდებოდა. ჰემატრიით, „დღე“ ცალკეული დღეების მზის ღვთაება ჩანს, „დღესინდელი“ კი – მთლიანი წლის; მისი ჰემატრიაც, ისევე 99-ია:

$$\text{ღ(4) ღ(25) ე(5) ს(20) ი(10) ნ(14) დ(4) ე(5) ლ(12) -ი,}$$

$$4 + 25 + 5 + 20 + 10 + 14 + 4 + 5 + 12 = 99.$$

მის კვალზე პირველი 99 მზე ქალღვთაების რიცხვი იყო.

იგივე რიცხვს ინარჩუნებს „საღმთო“ „ბუდანის ხატი:

$$\text{გ(3) უ(22) დ(4) ა(1) ნ(14) - ის ხ(33) ა(1) ტ(21) -ი,}$$


$$3 + 22 + 4 + 1 + 14 + 33 + 1 + 21 = 99.$$

სანამ დასმულა კითხვა, რატომ ზოგადქართულში არ გვხვდება 99 ღმერთის რიცხვად, დავასწრებთ და განემარტავთ, სწორედ 99-ია „მამა ღმერთი“-ს ჰემატრია, მაგრამ ეს უკვე პატრიარქალური პერიოდია:

$$\text{მ(13) ა(1) მ(13) ა(1) ღ(25) მ(13) ე(5) რ(19) თ(9) -ი,}$$

$$13 + 1 + 13 + 1 + 25 + 13 + 5 + 19 + 9 = 99 \text{ (!)}.$$

(ე.ი. ღორონთი მამა (მზე) ღმერთია); ანუ ჰემატრიის შესახებ ცოდნა არსებობს და იგი ფარულად გადაეცემა თაობიდან თაობას; ის რომ, იგი (კონკრეტულ შემთხვევაში, 99-ის უმაღლესი ღმერთის რიცხვად მიჩნევა) მატრიარქალურ და პატრიარქალურ პერიოდებს გადის, ასახავს, ამის



სრულიად ნათელი დადასტურებაა. პატრიარქალური რეფორმის ზეგავლენით მზე ღმერთი (ამ შემთხვევაში „ღღესინდელი“) გახდა – მამა ღმერთი და მისი რიცხვიც გადაიტანა. გავიმეორებთ, რომ ქართული ჰემატრია ანბანის რიგით სათვალავს იყენებს და რიცხვ-ნიშანთა ჰემატრია იშვიათად იხმარება. ისეთი რთული, ორმხრივი დაშიფვრა, როგორც „ღორთი“-ს (ღმერთი) შემთხვევისას გვაქვს, საუკეთესო გამონაკლისია, ჰემატრიული შედეგია (!!!). ქართულ მართლმადიდებლურ ტერმინოლოგიაში ჰემატრიული სქემიდან გამონაკლისი არ არსებობს, არჩეული რიცხვები უცვლელადაა შენარჩუნებული:

ასე მაგალითად, იგივე 99 – ქრისტეს რიცხვია:

$$\text{ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5);}$$

$$24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99;$$

ისლამის მისტიკის მეგლევარები ღმერთს 99 სახელის მქონედ თვლიან. ქართულისთვის ღმერთი ერთია, „ერთღმერთიანობის იდეა ძველ კოლხეთსა და შუმერს უძველესი დროიდან მოჰყვებოდა“, მაგრამ 99 – მისი ღვთაებრივი ბუნების რიცხვია (!).

„ხოლო იქმნა აბრამ წელთა ოთხმოცდაათცხრამეტა და გამოუჩნდა უფალი აბრაამს და რქუა მას: მე ვარ ღმერთი შენი...“ (დაბ. 17.1). ეს ცოდნა ბიბლიაშიც ჩანს. თუ ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია დავუშვათ, რომ ბიბლიაში ჰემატრიული რიცხვი მთარგმნელთა შემოქმედებაა, ეს 99 მთარგმნელთა შეტანილი არაა, ორიგინალის ვერსიაა.

ბიბლიის ქართულ თარგმანებში ღმერთის სახელი – „ელიოხიმ“ ჰემატრით – 99-ია:

$$\text{ე(5) ლ(12) ი(10) ო(16) ხ(33) ი(10) მ(13);}$$

$$5 + 12 + 10 + 16 + 33 + 10 + 13 = 99$$

(!).

არაერთი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება.

მზისა და მთვარის კალენდრების სინქრონიზაციის 8-წლიან პერიოდში 99

მთვარე შობა, ახალმთვარეობა გვაქვს, 99-ის საკრალურობაც მასთან უნდა იყოს კავშირში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ჰემატრია არსებობს! მასში თანაბრადაა შერწყმული წინარექართული უდიდესი ცოდნა და ღვთიური.

ზოგადქართულ და ქართველურ ენებში ღმერთის ცნების აღმნიშვნელ სიტყვათა მთელი სიმრავლის გათვალისწინებით ალბათობის თეორიამ სრულიად გამორიცხა შემთხვევითობა. ეს სიტყვები შექმნილია რიცხვთა თეორიის იმდროინდელი ცოდნის გათვალისწინებით და წინასწარ არსებულ რიცხვულ სქემაზე „მორგებით“. (არაერთი მსგავსი მაგალითი იძებნება). ძველი ქართულის უმნიშვნელოვანესი ლექსიკის უკან ერთგვაროვანი, ასტრონომიულად და მათემატიკურად ასევე გამორჩეული რიცხვების არსებობა ამყარებს ალბათურად ისედაც დამტკიცებულ შედეგს. (შეცდომის ალბათობა 10⁻²⁰-ის ტოლია).

აქ წყდება ქართული სიტყვების ჰემატრიული შედეგების შემთხვევითობაზე საუბარი, იხსნება საერთოდ, ქართული ჰემატრიისა და „კაბალა“-ს არსებობაზე ყველა კითხვა.

იგი არსებობს და ყველა ზემოჩამოთვლილი სიტყვა შექმნილია (ან გადმოტანილია) ქართული ჰემატრიის წესების დაცვით.

დამწყობათვის შევნიშნავთ, რომ ეს უკვე ნიშნავს:

ქართულში მიგნებულია წინარე-ქართველ ქურუმთა ენის კვალი;

წინარექრისტიანული საქართველოს ისტორია თავიდანაა დასაწერი!

მცირე ასტრონომიული საფუძველი

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის იმ დროს უკვე კარგად ცნობილმა მეცნიერმა ინგლისელმა სერ ჯოზეფ ნორმან ლოკერმა წამოაყენა იდეა



გამოყენებინათ დედამიწის დახრის კუთხის ცვალებადობა ასტრონომიულად ორიენტირებული უძველესი ობიექტების (სტოუნხენჯი, „გოლანის სტოუნხენჯი“, პირამიდები და ა.შ.) დათარიღებისთვის, რადგან გადახრის მაქსიმალური კუთხის ცვლა ნაგებობათა ორიენტირებას, ხანდახან კი მათ კორექტირებას განსაზღვრავდა. „იგი მიხვდა, რომ მიაგნო არა მხოლოდ ასტრონომიის ფესვებს, არამედ მათემატიკისასაც. არქეოლოგიური ძეგლების ასტრონომიულ ასპექტებში მან უკვე დაინახა წარსულის ინტელექტუალური სამყაროს ზღაპრული გასაღები, რასაც შეეძლო რელიგიის არსი და პირველისტორია გაეხსნა.“ (ვ. ლარიხევი, „დროის ბორბალი“, 1986). იმ პერიოდის ავტორიტეტებს ლოკერის მათემატიკური მტკიცებები მოხერხებულ მანიპულაციად ეჩვენებოდათ. ბოლოს სტოუნხენჯის რიგიც დადგა და ლოკერი, იქაც მართალი აღმოჩნდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიძლია სკეპტიკოსთა წინააღმდეგობა და მეცნიერების მიმართულება, „ასტრო-არქეოლოგია“ ჩამოყალიბდა. დაწერა კიდევ ნორმან ლოკერმა წიგნი: „ასტრო-არქეოლოგიის გარიჟრაჟზე“, მაგრამ ეს მისი მთელი ცხოვრების ბრძოლის შედეგი იყო.

მზის ამოსვლის წერტილის დადგენაზე დამყარებულმა ამ იდეამ „უდიდეს აღმოჩენათა“ გვერდით დაიკავა ადგილი და უკვე შემდეგ, წარმატებით იქნა გამოყენებული არტურ პოზნანსკისა და როლფ მიულერის მიერ უძველეს საკულტო ნაგებობათა დათარიღებისთვის. ჰემატრიული ფაქტორი, რომელსაც რიცხვი, ამ შემთხვევაში დახრის კუთხის და მზის წლიურად განვლილი გზის გრადუსული ზომა, სიტყვაში გადააქვს, (რადგან იგი იცვლება და მისი ცვალებადობის „გრაფიკი“ დადგენილია) აჩენს ანბანის, პირველ რიგში კი, კალენდარული ქართული სიტყვების დათარიღების შანსს. სერ ნორმან ჯოზეფ ლოკერის დროს თუ წარმოუდგენელი იყო, რომ ასტრო-

ნომიული ინფორმაცია საკულტო ნაგებობებისა თუ ტაძრის არქიტექტურაში იქნებოდა, დღესაც ისიც წარმოუდგენელია, რომ იგივე ინფორმაცია სიტყვებში, ქართულ კალენდარულ სიტყვებშია ჩადებული. ეს უკვე გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ჰემატრია, ან მატერიალურ ძეგლში ამ ცოდნის არსებობა. იქნებ ახლა „ასტრო-ენათმეცნიერების“ გარიჟრაჟი დგება?! და ეს ცვლის აქამდე არსებულ პირველისტორიას...

* * *

დედამიწის ბრუნვის ღერძის ორბიტის (მზის გარშემო) სიბრტყის პერპენდიკულარული მიმართულებიდან წლიური გადახრა მზის ამოსვლის წერტილის გადაადგილებას იწვევს. დედამიწის ღერძის გადახრა ცვლის ცაზე მზის მოძრაობის სურათს და დიდი ტექნიკური შესაძლებლობების გარეშე, დედამიწიდან მასზე დაკვირვება შესაძლებელია. ამის გამო, მზის ამოსვლის წერტილი მოძრაობს რაღაც (გრადუსის, წრის ნაწილის) დიაპაზონზე, რკალზე და წლის განმავლობაში, ამ სვლაგებს სრულად ორჯერ გადის.

დედამიწიდან მზის დღევანდელი ასტრონომიული სურათის ცვალებადობა წლის განმავლობაში ამგვარად წარმოგვიდგება: დეკემბრის ბოლოს, ზამთრის მზებუდობისას მზე დედამიწის ეკვატორიდან სამხრეთით – 23,5⁰ განედზეა და სამხრეთით მეტს აღარ გადაადგილდება. ამის შემდეგ იგი ეკვატორისკენ მოძრაობს. მარტის ბოლოს, გაზაფხულის ბუნიობისას იგი ეკვატორზე დგას, ზენიტშია, ანუ გადახრა 0⁰-ია. განაგრძობს რა, ჩრდილოეთისკენ მოძრაობას ივნისის ბოლოს, ზაფხულის მზებუდობისას, იგი ჩრდილო ნახევარსფეროს 23,5⁰ აღწევს. ამრიგად, ნახევარ წელიწადში დეკემბრიდან ივნისამდე მზემ მთელი გადახრის დიაპაზონი გაიარა: 23,5⁰ + 23,5⁰ = 47⁰. აქ მზე კოსმოსურ



მარყუევს კრავს და უკუმიქცევა სამხრეთისკენ. სექტემბრის ბოლოს, შემოდგომის დღელამტოლობა – ბუნიობისას, იგი ისევ ეკვატორზეა, ხოლო დეკემბრის ბოლოს სამხრეთ ნახევარსფეროს 23,5⁰ უწევს. ე.ი. გადახრის დიაპაზონს წლის განმავლობაში ორჯერ გადის:

$$47^0 + 47^0 = 94^0$$

(ა. გასვიანი, „სამყაროული მოძრაობა“, გვ. 30-32).

მზის ეკვატორიდან გადახრის მაქსიმალური კუთხე, რკალი ათასწლეულებში მუდმივი არ რჩებოდა. ცნობილია, რომ იგი ცვლადი სიდიდეა, ასტრონომების მიერ მისი ცვლილების „გრაფიკი“ დროში დღეს დადგენილია. თუკი წელიწადში მზებუდობის ორ წერტილს შორის რკალი დროში მუდმივი არ რჩება, იმისდა მიხედვით, როდის გავზომავთ მას და ჩავიტანთ სიტყვაში, შეგვიძლია შემდეგ დავათარილოთ ამ სიტყვის შემოტანის დრო; ის, თუ როდისაა „გადაღებული ეს სურათი“; ე.ი. როდის იქნა ის სიტყვაში გატანილი.

დღეისთვის ცნობილია გადახრის მთელი სურათი:

ძვ.წ.აღ. 4000 – 1000 წლები – დედამიწის ღერძიდან გადახრა 24,0⁰ – 23,8⁰, მზის წლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 48⁰, მზის წლიური გავლილი გზა, დაახლოებით – 96⁰.

ძვ.წ.აღ. 1000 – დღემდე – დედამიწის ღერძიდან გადახრა 23,7 – 23,5⁰, მზის წლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 47⁰, მზის წლიურად განვლილი გზა, დაახლოებით 94⁰. მართალია, იმ დროისათვის ასტრონომოსთა პრიმიტიული დამხმარე ვიზუალური საშუალებები გაზომვის დიდ შესაძლებლობებს არ იძლეოდა, მაგრამ სერნორმან ლოკერის მეთოდის წარმატებებმა ექვიპოტანლად დაგვარწმუნა, რომ ძველი ცივილიზაცია ვერტიკალზე მზის გადახრის დიაპაზონს ნამდვილად ზომავდა.

როდის შეიქმნა ქართული ანბანი?

განვითარების იმ ეტაპზე ბუდობებს შორის მზის გადაადგილება განაპირობებდა დროის ნახევარწლიური პერიოდებით აღრიცხვას. გასაოცარია, რომ ქართულ კალენდარულ სიტყვა „წელი“-შიც ეს ინფორმაცია ნათლად იკითხება, მისი ჰემატრია ზუსტად იმეორებს ძვ. წ.აღ. 4000 წლისთვის არსებულ გადახრის დიაპაზონის წლიურ რიცხვს – $2 \times 24^0 = 48^0$ -ს:

$$\text{წ}(31) \text{ ე}(5) \text{ ლ}(12) - \text{ი};$$

$$31 + 5 + 12 = 48.$$

ძალიან მაღალი ალბათობით, „წელი“-ს ჰემატრია სწორედ ვერტიკალზე მზის გადახრის დიაპაზონის ამსახველია. ალბათობას ზრდის ის, რომ მზის გარშემო დედამიწის შემობრუნების მეორე ერთეულის („წელიწადი“) ჰემატრიაში მზის წლიური გადახრის გრადუსული (წრის ნაწილის) რიცხვი, ისევე, უკვე გაორმაგებული ფიგურირებს (ამ დროს უკვე ნახევარწლიურის ნაცვლად წლიური აღრიცხვა იხმარება). თუ სიტყვა – „წელი“ ქრისტეშობის შემდეგ შეიქმნებოდა მისი ჰემატრია 48-ზე ნაკლები იქნებოდა, რადგან ცაზე უკვე სხვა რიცხვი „იკითხებოდა“; იმ პერიოდში რომ შექმნილიყო კალენდარი „წელიწადი“, მისი ჰემატრია 96 უნდა ყოფილიყო. როგორც, ლოგიკურადაც კარგად ჩანს, იმ დროს პროტოქართველებს მხოლოდ „წელი“-ს შესატყვისი, მზის მოძრავი კალენდარი ჰქონდათ; უფრო მაღალი სიზუსტის კალენდარული ინფორმაციის დაფარვაც არაა გამორიცხული.

ჰემატრიული სიტყვა მხოლოდ ანბანის შექმნის შედეგ იქმნება, აქედან გამომდინარე, რომ მაშინ, როცა მზის მოძრავი კალენდარი, სიტყვა „წელი“ შეიქმნა, ანბანი უკვე შექმნილი იყო. თუ ჩვენი წინაპრები მზის გადახრის კუთხეს სწორად ზომავდნენ, მაშინ ანბანიცა და „წელი“-ც ძვ.წ.აღ. 4000 წლის თანადროულია და ეგვიპტელთა



პარალელურად „იბერიულ ცივილიზაციას“, არა მხოლოდ კალენდარული ცოდნა ჰქონდა, არამედ ანბანიც. ამ პერიოდისთვის ანბანური დამწერლობის ჩანასახებიც კი არ იცის კაცობრიობამ, მაგრამ ჰემატრია ამ კითხვას სვამს და იგი პასუხს ითხოვს (?!). იგივე სერ ნორმან ლოკერის მეთოდი ეგვიპტურ პირამიდებზე იმიტომაც გამოდგა, რომ ეგვიპტისთვისაც მზის გადახრის დიაპაზონი მნიშვნელოვანი სიდიდე იყო და ეგვიპტელი ქურუმები მას ზომავდნენ; როგორც აღმოჩნდა, ისინი მარტო არ იყვნენ, მათ გარდა, იქნებ, სულაც მათთან ერთად, ამ ინფორმაციას სხვაც ფლობდა, იგი, ვინაც ის სიტყვიერ კალენდარში ჩადო.

ფაქტია, რომ 4000 წლის შემდეგ ცაზე მზის ორბიტის ვერტიკალზე გადახრის დიაპაზონი 48 გრადუსზე ნაკლები ხდება და ცაზე „მრგვალი“ რიცხვი აღარ იჯდა, მაგრამ ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი დამრგვალება ხდებოდა. ჩვენთვის ეს, ამ ეტაპზე, შექმნილი დილემიდან ყველაზე მისაღები გამოსავალია: მაშინ უნდა მოვიძიოთ ის უკიდურესი თარიღი, როცა მზის დედამიწის ორბიტიდან წლიური გადახრის დიაპაზონი მიახლოებითაც კი 48⁰-ზე ნაკლები ხდება. ე.ი. ვეძებთ დროს, როცა „წელი“-ს ჰემატრია ცაზე, მიახლოებითაც კი აღარ „არსებობს“ და ეს სიტყვა იქამდე შექმნილად უნდა ჩაეთვალოს. იმ გაზომვის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, როცა კუთხე არა გრადუსებით, არამედ მხოლოდ წრის ნაწილებით იზომებოდა, გაზომვის ცდომილება გრადუსის მეათედების სიზუსტით, მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ქვედა ზღვარი, ამ დროს ცალმხრივად სულ ცოტა 23,8⁰ გადახრაა და მისი დათარიღება შესაძლებელია; ამის შემდეგ, მზის ვერტიკალური გადახრის დიაპაზონი (დერძიდან ორმაგი გადახრა – 23,7 X 2 = 47,4) მიახლოებით, 47⁰ ხდება. ძვ.წ.აღ. 1000-800 წლის შემდეგ, უკვე მიახლოებითაც კი, მზის გადახ-

რის დიაპაზონი 48⁰ აღარ არის; ე.ი. როგორც ანბანის, ისე სიტყვა „წელი“-ს შექმნის ქვედა ზღვარი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულის დასაწყისისთვის უნდა ვივარაუდოთ. ამის შემდეგ თუ შეექმნიდნენ სიტყვასა და კალენდარს – „წელი“, მისი ჰემატრია 47 იქნებოდა. ე.ი. შემოთავაზებული მეთოდი ქართული ანბანის შესაქმნისის პერიოდს ძვ. წ.აღ. 1000-800 წლებით ფარგლავს ქვემოდას. სიტყვა და კალენდარი – „წელი“ ქართული ანბანის შექმნის განმსაზღვრელი ხდება.

ანალოგიურად, ჰემატრიულ რიცხვს 94-ს, უკვე მზის ვერტიკალზე წლიური გადაადგილება, გადახრის გავლილი გზა იძლევა, რადგან წლიურად ზემოაღწერილ დიაპაზონს მზე ორჯერ გადის. უკვე იმის შემდეგ, რაც ვერტიკალზე მზის გადახრის წლიური დიაპაზონი 47-მდე დამრგვალდა, გავლილი გზა – 47 X 2 = 94 ხდება. ამიტომაც, ამ მეთოდით სიტყვა „წელიწადი“-სა და მისი კალენდრად შემოტანის პერიოდი, ისევე ძვ.წ.აღ. მეათე-მერვე საუკუნეებს „აქათ“ უნდა ვეძიოთ, ვივარაუდოთ. ამ დროს, თუკი ისევე ითანუხოსიმეს ხელნაწერს მოვიშველიებთ, „წ-ელი“, თავისი 48-ის ტოლი ჰემატრიით „მკ-დარი“-ა(48) და „წელიწადი“(94) შედის ძალაში. როგორც კი „წელი“-თ მოტანილი კალენდარი ხმარებიდან გამოვიდა, ანუ, როცა მზის ვერტიკალზე გადახრის დიაპაზონი 48-ზე ნაკლები აღმოჩნდა, უკვე იმავე დღიდან „წელიწადი“-ს(94) ჰემატრია ცაზე იკითხება. ასეთი გადასვლა ასტრონომიულადაც გამართლებულია.

ლოგიკურ კითხვას: ახალი, მზის უძრავი ან ქართული კალენდრის ჰემატრია, სიტყვა „წელი“-ს მსგავსად, ისევე მზის წლიური მოძრაობის დიაპაზონი, ანუ ცაზე ახლად გაჩენილი 47⁰ რატომ არ გახდა? სავსებით დამაჯერებელი პასუხი მოეპოვება. უკვე არსებული ანბანის პირობებში (და იგი ჯერ კიდევ „წელი“-ს შეცვლამდე, მისი



შექმნისას არსებობდა) მზის უძრავი, ქართული კალენდრის რიცხვული სქემა, ვერ თავსდება 47-ის ტოლ რიცხვული შიგთავსის მქონე სიტყვაში; მითუმეტეს, თუ „წელი“-ს(48) შენარჩუნებაც იყო საჭირო, ამიტომაც, საოცრად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: კი არ შეიცვალა ჰემატრიის საფუძველად აღებული მზის პარამეტრი, არამედ წინა პარამეტრი გაორმაგდა, მზებულოებს შორის რკალი, წლიურმა გზამ შეცვალა. ახალი კალენდარული სიტყვის ჰემატრიის რიცხვი მზის წლიურად განვლილ გზას, ანუ მზის გადახრის ორმაგ დიაპაზონს (94-ს) დაუკავშირდა. ეს ამ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი იყო, რადგან მოიცვა მზის უძრავი და ქართული კალენდრის მთელი რიცხვული მექანიზმი. მთავარი ისაა, რომ ამ პერიოდისთვის კაცობრიობამ დროის ნახევარწლიურ აღრიცხვაზე კიდევაც უარი თქვა და მის წლიურ აღრიცხვაზე გადავიდა, ზოგადსაკაცობრიო სიბრძნის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი პროცესიც ნათლად ირეკლება „წელი“-სა და „წელიწადი“-ს ჰემატრიულ კვალში. კალენდარულ სიტყვებში დაგროვილი ცოდნის ანალიზი, ცხადად გვაჩვენებს, რომ საქმე გვაქვს უდიდესი ცივილიზაციის ფარულ გზავნილთან.

გამოდის, რომ მზის მოძრავი კალენდარი და სიტყვა „წელი“ სულ მცირე ძვ.წ.ად. 4000-დან ძვ.წ.ად. 1000-800 წლამდეა შექმნილი. ე.ი. იგივე პერიოდშია შექმნილი ქართული ანბანი რიგითობისა და რიცხვ-მნიშვნელობით ხათვლით. (ამ დროის შემდეგ ცაზე მზის ნახევარწლიური გადაადგილების რიცხვი, არა 48, არამედ 47-ა.) თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანბანი ვერძის ეპოქაშია შექმნილი და ეს ეპოქა ძვ.წ.ად. 2200 – 0 წლამდე გრძელდებოდა, ანბანი 2200 – 1000 წლებში შექმნილი გამოდის.

ანბანის შექმნის თაობაზე მიღებული შედეგები ზუსტად ემთხვევა, ამ

საკითხზე ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს, მხოლოდ ქვემოდან საზღვრავს მას.

ძვ.წ.ად. 1000 წელის შემდეგ, მზის ამოსვლის წერტილის გადაადგილება ცაზე უკვე მიახლოებით 47⁰-ს იძლევა. სიტყვის შექმნელება იცოდნენ 47 გრადუსიანი რკალის არსებობა და კიდევაც იყენებდნენ ამას. ასე მაგალითად, ლაზურში „წელი“-ს შესატყვის „წანა“-ში კალენდრის რიცხვული მექანიზმი არ არის, სამაგიეროდ მისი ჰემატრია ისევ 47-ია:

$$\begin{aligned} & \text{წ(31) ა(1) ნ(14) ა(1);} \\ & 31 + 1 + 14 + 1 = 47. \end{aligned}$$

„წანა“-ც ხმარებაში შემოდის მაშინ, როცა მზის გადახრის რკალი 47⁰ გახდა და ანბანი არსებობს. მზე ამ გზას წლის განმავლობაში ორჯერ გადის $47 \times 2 = 94$. ამიტომაც კალენდრის შექმნელები ახალი კალენდრის შემოტანისას მზის ამოსვლის წერტილის წლიურად განვლილ გზას 94⁰ ითვალისწინებენ, სწორედ ამ რიცხვთან მოკვავთ შესაბამისობაში „უზუსტესი ქართული კალენდრის“ (წელიწადი) ჰემატრია; რადგან მიზანი მის ჰემატრიაში 94-ის მიღება იყო, ამის გამო დატოვეს „წელიწადი“-ს რთულ ფუძეში „წელ“-ის „ი“ ბრუნვის ნიშანი (იხ. ზემოთ).

მაგრამ ქურუმთა სამოსს კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე არსებითი მიზეზი ჰქონდა იმისა, რომ უარი თქვა წინა სიტყვიერ კალენდარზე და „წელიწადი“ აერჩია. „წ-ელი-წადი“-ს შემოღებით მისი წასვლის ეპოქა: „ელიწადი!“ უნდა დაწყებულიყო. (აი, სწორედ ამისთვის გახდა აუცილებელი სიტყვიერ კალენდარში წინა კალენდრის („წელი“) გამეორება).

მართლაც, სასწაულია სიტყვაში გადატანილი „ქართული უზუსტესი კალენდარი“ – „წელიწადი“ და მისი ჰემატრიით მზის წლიური გადახრის წერტილის (94) გამეორება.

სასწაული, ის ცოდნაა, რაც ქართულ სიტყვაში დევს.



უმთავრესი შედეგი:

ქართული სიტყვიერი კალენდრები და ანბანი, იმ პროცესების სრულ ლოგიკურ და მაღალალბათურ სურათს იძლევა, რაც მზის კალენდარზე ქურუმთა ჩაკეტილ კასტაში ხდებოდა, ხოლო ისტორიოგრაფიაში, მხოლოდ ეგვიპტელ, შუამდინარეთის ქურუმთა საოცარ მიღწევადაა ცნობილი. სავარაუდოდ, ეს პროცესები იქ, სულ მცირე, ბიბლიურ ხალხებთან, იბერიასთან (წინარესაქართველოსთან) პარალელურად მაინც უნდა განვითარებულიყო; რადგან ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია, შემდეგ პერიოდში ანბანსა და მით უმეტეს, დაფარულად სიტყვაში, მისი, მზის მოძრაობის და უძრავი კალენდრების ერთბაშად გადმოტანა, ხოლო ანბანის გარეშე სიტყვაში მისი ასახვა, საერთოდაც შეუძლებელი. რადგან „წელი“ უძველესი მზის კალენდარია, ხოლო „ელი“ მისივე რიცხვული კონსტრუქციის შემცველი ფუძე. ხომ ბუნებრივი იქნება ამის შემდეგ დაისვას „ელი“-ს, გაღური, სემიტური ღმერთის იბერიიდან წარმომავლობის საკითხი და იგი უკვე, ბუნებრივად ებმის, იესო ქრისტეს საკაცობრიო მხსნელად მოვლინების პროცესს.²

ახლა, როცა არა მხოლოდ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი გაიშიფრა, არამედ მისი ბიბლიის გასაღების ქართულ სიტყვასთან მიმართებაში ეფექტურობაც საკამათო აღარაა, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: „მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, იეროგლიფების გაშიფვრამდე, თუ ეგვიპტოლოგია თვლემდა თავის ჯადოსნურ იეროგლიფებში“, მაშინ 21-ე საუკუნის დასაწყისამდე, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრამდე ქართველოლოგია კი არ თვლემდა, არამედ... ქართველოლოგიას

ეძინა, დამარხულ იყო (იოანე-ზოსიმე) ქურუმთა ფარული ენის ჯადოსნურ სიტყვებში.

სამართო დასკვნა:

1. ყველა სხვა ღირსებებთან ერთად, რომელიც იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს აქვს, იგი გვევლინება, იქამდე არსებული და მისგან აღდგენილი ქართული ჰემატრიის (გემატრია) ფუძემდებლურ ძეგლად.

2. ხელნაწერის კულმინაციური სტრიქონი „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი...“ ქართული (უზუსტესი) კალენდრის შიფრია, რომელიც 1980 წელს ენათმეცნიერებმა ანბანში ამოიკითხეს, ახლა იგივე კალენდარი მიკვლეულია უკვე ქართულ სიტყვაში; თანაც აბსოლუტურ იდენტურობასთან, ანბანური და სიტყვისმიერი კალენდრების ყოველმხრივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე; მიგნებულია კალენდარული განვითარების მწყობრი, ლოგიკურად მთლიანი, ლექსიკურად სარწმუნოებრივი გარდატეხის ამსახველი სქემა. იოანე-ზოსიმეს შიფრით 94, ქართული ჰემატრიით, დროის აღრიცხვაში მზის კალენდრის გამოყენების მაჩვენებელია, მისი გადახრის რიცხვია.

3. ქართული რწმენისა და ენის საგალობელის – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ საიდუმლო მექანიზმი, გახსნილია. შიფრის თანხედენილი და ლოგიკურად ერთიანი სისტემა სრულიად გამორიცხავს სხვა კერძო ამონახსნის არსებობის შესაძლებლობას და არა მარტო ჰემატრიის ჭრილში.

პრაქტიკული შედეგები:

1. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრი გემატრიაა (ჰემატრია);

2. ჰემატრია ბიბლიის გაშიფვრის ერთ-ერთი მეთოდია; და ქართული ჰემატრია არსებობს; ე.ი. ქართულ

² (მოგვიანებით ეს ჰიპოთეზა გამყარდა ავტორის წიგნში: „ცის შვილების უამბობელ ამბავთა ისტორია“, 2011).



ენაში არსებობს დაშიფრული სიტყვები;

3. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში დაშიფვრის მეთოდის (ჰემატრიის) არჩევის მიზეზი, ქართული ჰემატრიის კვალზე გამშიფრავის დაყენება იყო;

4. ქართულში მიგნებულია ასტრონომიული ინფორმაციის მომცველი სიტყვების მთელი სიმრავლე; ძველი ქართულის უმთავრესი სარწმუნოებრივი და მსოფლმხედველობრივი ლექსიკა დვთის ნებით, გააზრებულად (ხელოვნურად), იმდროინდელი სიბრძნის გათვალისწინებითაა შექმნილი, ე.ი. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრის გამოყენებით მიგნებულია ქურუმთა ფარული ენის ნაშთები ქართულში;

5. ქურუმთა ფარული ენა ჰემატრიული ენაა;

6. პირველი ჰემატრიული სიტყვის და ასტრონომიულად არსებული (და დათარიღებული) ცის სურათის ურთიერთშედარება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქართული ანბანის შექმნის პერიოდი; ქართული ანბანი თანამედროვე სახით (სახელდებებით, რიცხვ-მნიშვნელობებითა და დაღებებით) ძვ.წ.ად. 2200 – 1000 პერიოდშია შექმნილი;

8. ხელნაწერის დამშიფრავი იოანე-ზოსიმეა; ხელნაწერი შედგენილია დაშიფვრის ხარისხის გათვალისწინებითაც;

9. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს გაშიფვრის შედეგების გათვალისწინებით წინარეკრისტიანული საქართველოს ისტორია თავიდანაა გასააზრებელი.

3. ა.ცინცაძე, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ჟურნ. „კავკასია“, 2011, №1.

ლიტერატურა:

1. ა.ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2010.
2. ა.ცინცაძე, „ქართული ანბანის შექმნის საკითხისათვის, ჟურნ. „ლიტ. და ხელ-ა.“, 2011, №3.



მაია ბურამიშვილი

**საქართველოს სამაჭრო-
ეკონომიკური ურთიერთობის
ისტორიიდან**

XVIII საუკუნის II ნახევრიდან სულ უფრო და უფრო ხელშესახები ხდება რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა, რამაც დარიალის გზის გახსნას შეუწყო ხელი. ამას კი წინ უძღოდა ახალშენების გაჩენა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში, განსაკუთრებით ყიზლარსა (1735 წ.) და მოზდოკში (1762-63 წწ.).

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით XVIII ს. II ნახევარში დარიალის გზით იმპორტირებულ ან ექსპორტირებულ საქონელზე დადებული საბაჟო გადასახადი ირანიდან ან თურქეთიდან შემოტანილი, ან იქ გატანილი საქონლის ბაჟის მხოლოდ 50% იყო.

რუსეთთან ვაჭრობის გაადვილებასა და ხელშეწყობას ისახავდა მიზნად დიფერენციალური საბაჟო ტარიფის შემოღებაც. რუსეთში გატანილ ან იქიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟი 25 კაპიკი იყო, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ (სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ) საქონელზე – 50 კაპ.

რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის საქმეში დარიალის გზის მნიშვნელობის გაზრდაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოებაც, რომ XVIII ს. 70-80-იან წლებში დუშეთი და ანანური ქალაქებად იწოდებიან. ერეკლე II-ის ბრძანებით დუშეთი ქალაქად 1784 წ. გამოცხადდა. 1770 წლის დემოგრაფიულ აღწერაში ანანური ქალაქად იხსენიება.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ქართველები რუსეთსა და საქართველოს დაახლოების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ და ერთგვარად შუამავ-

ლის როლში გამოდიოდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1771 წლის სექტემბრის 19-ით დათარიღებული საბუთები, რომელთა მიხედვითაც მოზდოკში სარჩოს საშოვნელად მიდიან თბილისელი ქართველები და სომხები, აგრეთვე ანანურელი ქალი, რომელნიც თბილისიდან მოზდოკს წაუყვანია იქ მცხოვრებ ქართველს ივანე წიკლაურს. აღწ. I, საქმე №3, ფ. 232.

1771 წლის სექტემბრის 9 დათარიღებულ (დოკუმენტიდან) საბუთიდან ვიგებთ, რომ საქართველოდან მოზდოკს მოსულა თბილისელი სომეხი ოსიპ ივანოვი ძმასთან ერთად. თან აქვს 4 ტომარა ფქვილი.


ამავე საქმის გვ. 239. ჩანაწერია მოყვანილი, საიდანაც ვიგებთ, რომ ცხინვალიდან მოსულა როსტომ ზახაროვი და ითხოვს ნაბართვას მოზდოკში დასასახლებლად.

„დარიალის გზას“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მეფეები. ისინი ზრუნავდნენ ამ გზაზე ვაჭართა უსაფრთხოებისათვის.

მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს: 1780 წ. ერეკლე II წერილს წერს მოზდოკის კომენდანტს და სთხოვს ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჯარის სპეციალური ნაწილის გამოყოფას, რომელიც ვაჭრებს დარიალის ციხემდე მიაცილებს. ეს საჭიროს იმიტომ, რომ „ეს გზა ვაჭრებისათვის უფიქრებელი რომ შეიქმნას, მრავალი ვაჭარი დაიწყებს სიარულს და დიდი სარგებელი ექნება ორივე მხარეს“³.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებას. ტრაქტატის XI არტიკული პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისას აქუს თავისუფლებანი, რათა განავაჭროს სავაჭროდ თვისი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუე სამართლითა და პატივისცე-

³ ფ. 1007, აღწ. I, ს. 10, ფ. 7.



მითა, რომლითაცა მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ“⁴.

იგივე არტიკული გვამცნობს, რომ ერეკლე მეფე კისრულობს რუსი ვაჭრებისათვის ყოველნაირ ხელშეწყობას თავის სამფლობელოს ტერიტორიაზე:

„ნაცვლად მისსა აღჰსთქუამს მეფეცა განწყობულად თავთა მთავართა მესამზღვრეთა, ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა, ყოველითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თვსთა, ამისათვის რომელ ვახდა ესეგუარისა ნამდვლისა განწყობისა და ზავის სარგებელთათვის ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს“).

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კი თბილისში, ე.წ. „ოსეთის გზით“, რუსეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან იწყეს მოსვლა სავაჭრო ქარავნებმა. „ოსეთის გზა“ ანუ „ასტრახანის გზა“ თანდათანობით ხდება მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს ქალაქებს აკავშირებდა რუსეთთან. ამ გზით „ქართველ ვაჭრებს“ საქონელი მოჰქონდათ ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან (თავისთავად ცხადია, საქართველოდანაც გაჰქონდათ საქონელი...).

1781 წ. ერეკლე II წერილს წერს გენერალ-მაიორ ფაბრიციანის, ხაზს უსვამს დარიალის სავაჭრო გზის დიდ მნიშვნელობას, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოსათვის და სთხოვს ჩიმიდან მიზღოკამდე ვაჭრობის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით სამ ადგილას საგუშაგოების მოწყობას. რადგანაც ყოფილა ვაჭართა ხშირი გაქურდვა დარიალის გზასა თუ რუსეთის ცენტრალურ ნაწილისაკენ მიმავალ გზებზე. ამის დასა-

დასტურებლად ქვემოთ ერთი საბუთი მოგვყავს, რომელიც 1783 წ. 28 ოქტომბრით არის დათარიღებული, საიდანაც ვიკებთ, რომ იმერეთის მცხოვრები კათოლიკე ოვანეს სოლომონოვი ოთხ მეგობართან ერთად გაუქურდიათ ეკატერინოგრადის მახლობლად.

ვაჭრობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურნი იცავენ ვაჭრების პიროვნებასა და ქონებას ზოგიერთი ადგილობრივი რუსი ხელისუფლის მხრიდან შევიწროებისა და ხელყოფისაგან. ამის თაობაზე საბუთები საკმაოდ ხელშესახებ მასალას გვაწვდიან: საქმე №38, გვ. 124, 233, 234, 285.

1788 წლის 16 აგვისტოს ქართველი ბატონიშვილი მიტროპოლიტი ანტონ ალავერდელი კავკასიის კორპუსის სარდალს, გენერალ-ანჟფეს ტეკელს წერს, რომლითაც იგი ატყობინებს გენერალს ქართველი ვაჭრების მიმართ მოზდოკის კომენდანტის – ტაგანოვის უკანონო მოქმედების შესახებ. იგი კომენდანტის უკანონო მოქმედების აღკვეთას მოითხოვს და მოაგონებს კავკასიის კორპუსის სარდალს 1783 წლის ტრაგატის სათანადო მუხლს, რომლის ძალითაც ქართველი ვაჭრები უფლებით რუს ვაჭრებს უთანაბრდებიან.

1788 წ. 16 აგვისტოსვე პ.ა. ტეკელი მოზდოკის კომენდანტისაგან ახსნაგანმარტებას მოითხოვს ქართველი ვაჭრების შევიწროების თაობაზე.

თბილისელი ვაჭრები ხშირად თვითონვე იცავდნენ თავს: საქმე №20, აღ I. 1783 წ. გვ. 4,5.⁵

მოზდოკში მოვაჭრე სტეფანე აუშტროვის საჩივრის შესახებ. იგი ყაბარდოში გაუძარცვათ. თხოვნა შედგენილია პოტიომკინის სახელზე. წერილები 21 ივლისითა და 30 ივლისით არის დათარიღებული.

როგორც ეტყობა სტეფანე აუშტროვი მოზდოკში საკმაოდ ძლიერი ვაჭარი ყოფილა, რადგანაც მასზე

⁴ გეორგიევსკის ტრაქტატი – ვ. მაჭარაძე, თბ. 1983, გვ. 84.

⁵ იქვე, ს. 20, აღ I. გვ. 4,5.



ბევრი მასალა მოიპოვება საქმეში. პირველად იგი მოიხსენიება 1783 წ. 5 მაისის საბუთში საქმე №18, გვ. 294. აღწ. I; საიდანაც ვიგებთ, რომ ქართველი თავადი აუშტროვი მოზდოკიდან ახმეტაში ბრუნდება.

მოზდოკში ქართველ ვაჭართა საქმიანობის შესახებ ცნობებს მრავალი მასალა იძლევა, რომელიც ფონდის საქმეშია, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1785 წლის 25 ივლისით დათარიღებული საბუთი, რომელშიც იმ ვაჭრების სახელობითი სიებია მოცემული, რომლებიც მოზდოკის დუქნებში ვაჭრობენ. აღსანიშნავია ის, რომ ეს საბუთი არცერთი მკვლევარის მიერ ადრე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ასტრახანის, ყიზლარისა და მოზდოკის გარდა ქართველები სავაჭროდ დადიოდნენ დიდ და მცირე ყაბარდოში, წმ. ეკატერინეს, წმ. გიორგის და ცენტრალური რუსეთის ქალაქებში მოსკოვში, პეტერბურგში და სხვ. აგრეთვე საზღვარგარეთაც გადიან სავაჭრო საქმეებზე.

„ბ-ნ პოლკოვნიკ ივანოვის ბილეთით მოზდოკელი ქართველი სიმონ გრომოვი ამხანაგებთან ერთად გაუშვიათ წმ. გიორგი სახელობის ციხესიმაგრეში სავაჭროდ. თან ჰქონდათ: ბერძნული კაკალი, 40 გოგრა, 2 ფუთი ნესვის ჩირი, 2 ფუთი შავი ქლიავი, 1 ფუთი სახანი, თუთუნი 10 ფუთი, ხიზილალა 4 ფუთი, ხორბლის ფქვილი 5 ტომარა“.

ამავე საქმის გვ. 280 „ბ-ნ პოლკოვნიკ ივანოვის ბილეთით იმავე ციხესიმაგრეში სავაჭროდ მიდის ქართველი – ვესეი ეგოროვი ამხანაგებთან ერთად. გასაყიდად მიაქვთ 4 კასრი თუთუნი, 10 ფუთი ბერძნული კაკალი, 40 მუხა, 2 ფუთი ქალაღლი, 2 ტომარა ხორბლის ფქვილი“.

ქართველ ვაჭართა თვითნებობით უკმაყოფილო ქ. ეკატერინოგრადის ქალაქის თავის მრჩეველ იუსუპოვს, მოზდოკის კომენდანტ – ტაგანოვისთვის შემდეგი სახის წერილი გაუგზავნია:

„Торгующие в здешнем городе Екатеринограде ларские, Моздокские и Тефлиские жители Армеане и Грузины по купеческой комерции здешнему Екатериноградскому купечеству и Мещанству

некоторих состоять доиженными а поотбытии наместничества в город Астрахан ключиня здалжениками никакова расчёту удаляются потом промыслом в городе Моздок, Кизляр безвсякого писменного выда, итем Екатериноградским купцам и Мещанам причиняют немалой убыток в таком благоволите ваше высокоблагородие чрезь кого следует повеля свискав выслать запринотом дабы здешние жители чрез самовольную их отлучку немогли напрасно посвоим камерциам лишится своих долгов до и пред благоволите подобних сему, безписменного выда неучрежденной заставе недопущая к торговле возвращат вздушную город Екатериноград. Августа 22²⁰ дня 1790 года.“


დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რუსეთიდან საქართველოში შემოდოდა როგორც ადგილობრივი – რუსული, ასევე ევროპული (გერმანული, ესპანური, ფრანგული...) საქონელი. როგორც ჩანს, საქართველო, ახლა უკვე რუსეთის საშუალებითაც უკავშირდებოდა ევროპის ბაზარს.

რუსულ საბუთებში მოხსენიებულია ევროპული ქსოვილები: ბრუსელის მაუდი, ესპანური მაუდი, გარნიტური, გერმანული ნემსები, გერმანული დასაკეცი დანები, გერმანული დაჩითული, სახეების ბამბის ქსოვილი.

რუსეთიდან შემოტანილ საქონელს შორის იხსენიება ადგილობრივი წარმოების რუსული საქონელი: ვერცხლით ნაკერი ფარჩა, სათავსაფრე ქსოვილი, მოსკოვური აბრეშუმის თავსაფრები, სელის ქსოვილი, სარკეები, სათითები, რუსული ნემსები, ბეწვეული, საღებავები, პილპილი, დარიჩინი, ვერცხლის დუგმები, სავარცხლები, თავთა...

ჩრდილოეთ კავკასიიდან დიდი რაოდენობით გადმოჰყავდათ ცხენები, შემოჰქონდათ ენდრო.

საინტერესოა რა საქონელი გადიოდა საქართველოდან რუსეთში? ზემოთ მოყვანილი დოკუმენტაციიდან ვიგებთ, რომ იმერეთიდან მოსული კათოლიკე იოსებ მურადოვს მოუტანია 70 ცალი



თახვის ბეწვი, 75 კატის ტყავი, იქ ნაყიდი მელიის 100 ბეწვი, მგლის ტყავი 2, 20 ცხვრის ტყავი.

1780 წ. 14 მარტის ასევე ქ. მოზდოკს შედგენილი საბუთი შემდეგი შინაარსისაა: მოზდოკს მოსულან მცხოვრებნი სომხები გოგია ზურაბოვი, როსტომ გოგიევი, რევაზ გოლიევი და სიმონ სარქისოვი, იარაღით და საქონლით. ისინი თხოულობენ ნებართვას ყიზლარში წასასვლელად. გოგია ზურაბოვს საქონლის გაყიდვის შემდეგ მოზდოკში აღმოაჩნდა სპილენძის ფული 5 მანეთი, 19 მზომა თეთრი მარმაში, 4 წავის ბეწვი, ხოლო დანარჩენებს – ყიზლარში მცხოვრები სომხებისთვის გადასაცემად 42 ფუთი ნედლი აბრეშუმი.

საქართველოდან რუსეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში გასაყიდად გაჰქონდათ ადგილობრივი – ქართული შემახური, ირანული თუ ინდური საქონელი. მარმაში, წავის ბეწვები, ნედლეული აბრეშუმი, ინდური უხეში ჩითი, აბრეშუმის და ნახევრად-აბრეშუმის ქაშრები, მილანური აბრეშუმი, მელიის ბეწვები, რილო, ინდური მარმაში, ოქროსქსოვილები, ხანჯლები და სხვ. ვაჭრები ამ დროს წინანდელთან შედარებით უფრო მეტად ხელს უწყობდნენ ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებას საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის. საგარეო ვაჭრობა ძირითადად გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჩანდა ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გასაღებასა და საქონლიანობის ზრდაში. ვაჭართა „საამხანაგო წიგნებში“ ვხვდებით მითითებებს იმის შესახებ, რომ საქონლის შემოზიდვა და გაზიდვა ხშირად მჭიდრო ურთიერთობაში ურთიერთკავშირში იყო.

თბილისელი ვაჭრები :

1. პეტრე ბორისოვი
 2. ივანე ვახილევი
- იმერეთის ვაჭრები :
3. ბრძენი ეკოსტატი ხანონი
- თბილისელი სომხები :
4. პეტრე გრომოვი
 5. გავრილა ბეჟანოვი
 6. არაქელ პაპოვი
 7. სტეფანე აუშტროვი
 8. ივანე არუთინოვი
 9. დავით გრიგორიევი

ვაჭრობენ საზღვარგარეთისა და ადგილობრივი ნაწარმით

ერთი სიტყვით, საგარეო ვაჭრობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საშინაო ვაჭრობასთან და ადგილობრივ საქონელწარმოებასთან, რომელიც ამ პერიოდში ასევე გაფართოვდა, ვაჭრების ხელში დიდძალი ფულადი კაპიტალი გროვდებოდა, რაც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მომავალი განვითარების ერთ-ერთი საწინდარი იყო.

1785 წლის 25 ივლისის სახელობითი სიები

10. ხანატურ პაპოვი
11. გაბრიელ ბეჟანოვი
12. ივანე ალეუევი
13. გურგენ თემოვი
14. ნიკიტა პაპოვი

ვაჭრობენ სხვადასხვა საქონლით

ასტრახანში მცხოვრები :

15. რომის სარწმუნოების მიმდევარი სარქის არაქელევი
- თბილისელი სომხები :
16. ოსიპ ტუტულოვი
 17. ანდრეი კაკალოვი
 18. ივანე ისმაილოვი
 19. სტეფანე ოსიპოვი
 20. მინას ანტონოვი
- ასტრახანში მცხოვრები თათრები :
21. მამედ ულევი
 22. ხადარ ისმაილოვი
 23. ატჟოგერ მამბეტოვი

ვაჭრობენ სხვადასხვა საქონლით ადგილობრივი და საზღვარგარეთის



ლიტერატურა:

1. თსსა დაცული „მოზდოკის კომენდანტის“ ფონდი.
2. ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ. 1983.
3. Гамрекли В. - Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке II-I, 1977г.
4. Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии с северным Кавказом - В. Гамрекли. тб. 1980 г.
5. Документы по взаимоотношениям Грузии с северным Кавказом в XVIII в. Документы подобрал, подготовил и предпослал исследование В.Н. Гамрекли, тб. 1968.
6. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის წ. III.
7. დ. კაციტაძე – ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან (XVII-XVIII სს).

Caucasus via so called “Ossetia road”. “Ossetia road” or “Astrakhan road” is becoming an important commercial road, which connected Georgian towns to Russia.

Data on the activity of Georgian merchants in Mozdok are supplied by various materials, which are kept at the file of “Mozdok Commandant”. Most important of them is a document dated on the 25th of July 1785, where there are the lists of merchants, who carried out commercial activity in Mozdok dukhan. There is a nominal roll of the above merchants in it.

SUMMARY

**MAIA GURAMISHVILI
GEORGIAN COMMERCIAL-
ECONOMIC ISTORIAN**

Political relations between Russia and Georgia has been becoming much more accessible since II half of XVII century, which assisted opening of Dariali Road. This is preceded by arising of settlements in the North Causcous towns, especially in Kizlari (year 1735) and Mozdok (1762-1763).

Georgians residing in South Caucasus actively participated in approaching activity of Russia and Georgia and they played a role of mediator. “Dariali Road” was granted great importance by Georgian Kings; they took care for security of merchants in this road.

1783 Georgiesvki Treaty assisted improvement of trade economic relation between Russian and Georgia much more. Trade convoys came into the Eastern Georgia namely in Tbilisi from Russia and north



ბიორბი კოკოშაშვილი

**ქართული მეომრული კოდექსის
შესახებ**

XVIII საუკუნის ნაწარმოებში „ცხოვრება-ანდერძი“, რომელიც იესე ბარათაშვილს ეკუთვნის, არის ადგილი სადაც ავტორი ლექთა მოთარეშე ჯარის ცხინვალზე თავდასხმას აღწერს. 1758 წელს ლექთა სამიათასიანი რაზმი ჩონჩოლ-მუსას სარდლობით ცხინვალთან ახლოს მდებარე სოფელ ზღუდერს მიაღწა. მაშინდელ საქართველოში ოსმალთა იმპერიის მიერ შეგულიანებულ-დაფინანსებულ ლექთა თავდასხმები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება შეტაკების დროს განვითარებულმა, ერთი შეხედვით უჩვეულო მოვლენამ მიიპყრო. იესე ბარათაშვილი მოგვითხრობს, რომ ლექებმა არ იკადრეს ჯარის გარეშე დარჩენილ სამეფო სახლზე თავდასხმა:

„მეფე თეიმურაზ და დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბძანდებოდენ ...

ლეკი ქსანზე იღვა. მე რომ მიველ, მეორე დღეს სამი ათასი ლეკი მოუხდა ზემო ქართლს, ქციხილვანს. ბატონებს ჯარი არ ახლდათ, ვერ შეეხებენ, ვახტანგის შვილი ეიკილა მოკლეს, სამი-ოთხი სხვა იტანა. ბელადმა თქვა:

– გავეცანეთ, დიდნი კაცნი უჯაროდ არიან, ნამუსი არ არისო.

აღის ციხე აიღეს, მრავალი ტყვე წაიყვანეს, ცეცხლი შეუკიდეს და ისე დაწვეს რაც მორჩა. და მრავალი თავადთა და აზნაურთა ხალხნი დახოცეს და წარიტაცეს“ [1].

საოცარია, რომ ქართლში სათარეშოდ და სამეკობროდ შემოსული ლექები მას შემდეგ, რაც პირველი შეტაკების დროს გაიგებენ, რომ მეფე-დედოფალს ჯარი არ ახლავთ და შესაბამისად დაუცველები არიან, იმის მაგივრად, რომ შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენონ და დიდძალი ალაფი ჩაიგდონ ხელში, თავს ანებებენ ბრძოლას და გაეც-

ლებიან იქაურობას, რადგან თვლიან, რომ ჯარის გარეშე მეფე მტერთან შეხმა უნამუსობა იქნება. თუმცა ეს სულაც არ უშლით ხელს, რომ დააწიოკონ მიმდებარე სოფლები, დახოცონ და ტყვედ წაიყვანონ მოსახლეობა და ცეცხლს მისცენ მათი სახლები. ჩანს, რომ ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური ქმედების მიზეზი ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ძალიან მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მოტივით.

ცნობილია, რომ კავკასიელი ხალხი ბრძოლის დროს ხელმძღვანელობდა გარკვეული ზნეობრივი პრინციპებით, ერთგვარი მეომრული კოდექსით, რომლის დარღვევაც მათ დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. მოთხრობილი ამბავი სწორედ ამ საომარი კოდექსის ცხოვრებაში განხორციელების ნათელი დასტურია. ეჭვგარეშეა, რომ მეომრული ეთიკის პრინციპების ერთგულება და სახელის გატეხვის შიში უფრო ძლიერია და მტკიცეაა გამჯდარი კავკასიელის ცნობიერებაში, ვიდრე ქონების მოხვეჭის სურვილი.

საომარ-საბრძოლო ქმედებებს კავკასიაში სპონტანურობისაგან იცავდა და არეგულირებდა ზეპირ კანონთა კრებული, რომელიც საბრძოლო ეთიკის ნორმების გარდა, მოიცავდა ასევე საყოფაცხოვრებო ნორმათა კომპლექსს. ასეთ კოდექსს საქართველოში „კაცის კაცობის წესები“ ერქვა, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში – „უერკ ხაბზე“, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში „ყონალალა“. იესე ბარათაშვილის მიერ მოთხრობილი ამბავი სწორედ ასეთი რაინდული კოდექსის ერთ-ერთი მუხლის დაცვის ამბავს გადმოგვცემს.

რას წარმოადგენს ზოგადად კავკასიური მეომრულ-რაინდული კოდექსი და რა სპეციფიკით ხასიათდება ამ კანონის ცალკეული მუხლი? ყაბარდოელი მკვლევარი, ეთნოფსიქოლოგი ბარასბი ბლაჟნიკოვი აღნიშნავს, რომ კავკასიური ეტიკეტით (ქვეყის კოდექსით) ორთაბრძოლის წინ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისთვის უნდა შეეთავაზებინათ ხმლის პირველი მოქნევა. ამ შემთხვევაში ტიპური არგუმენტაცია იყო: „შენ უფროსი ხარ, ამიტომ შენ დაიწვე“, „ბრძოლაში მე



გამოვიწვიე, ამიტომ პირველი დარტყმის უფლება შენ გეკუთვნის“, „ჩვენს მხარეში შენ სტუმარი ხარ, ამიტომ შენ უნდა დაიწყო“ და ა.შ.

საინტერესოა, რომ დასარბევად მოსული მტერი პირველი შეტევის დათმობის საკითხში სტუმრის სტატუსით სარგებლობს. ამის მაგალითია სვანურ პოემაში „მონადირე შერგილაი“ გადმოცემული ამბავი, სადაც ჩრდილოეთის სტეპებიდან საომრად მოსული თათართა რაზმის მეთაური თუმჯაყიანი პირველი სროლის უფლებას სთხოვს შერგილს:

*„სამ გასროლაზე ერთმანეთს
დავუდგეთ,*

*რომელიც მაშინ მოვერევი,
სადგომზე ფეხს არ გავანძრევთ,
ზურგ შემქცევი ის ვიქნებით.
თუმჯაყიანმა ითხოვა:*

*„პირველად შენ უნდა დამიდგე,
თათარი მოვდივარ შორიდან!
მკერდი მიუშვირა, დაუღვა
უშიშარი ტოტა ჭახანი.
არ ზოგავს, ისარს ამზადებს
თათრის უფროსი თუმჯაყიანი,
გვერდში ჰყავს მხლებელი.“*

პირველი შეტევის მოწინააღმდეგისთვის დათმობის საინტერესო მაგალითია იმერეთის მეფის, სოლომონ პირველისა და აფხაზთა მთავრის, ბექირბეი შერვაშიძის პირისპირ შეტაკება ბრძოლის ველზე რუხის ომის დროს, რომელიც 1780 წელს გამართულა იმერეთის სამეფოსა და აფხაზურ-ჩრდილოკავკასიურ კოალიციას შორის. ამ ბრძოლის ამსახველი პერიპეტები დეტალურად აღუწერია თ. მაგმაძეს (ილია ჭყონიას) XX საუკუნის დასაწყისამდე შემონახული ზეპირთქმულებების საფუძველზე. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს ის შემდეგნაირად გადმოგვცემს:


„მეფემ ჭოგრიტით ბექირი მოძებნა და შეუტია. ერთმანეთს ხმლის მოქნევაზე ჩაუჭენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მაგრამ არც ხმალი მოუქნევიათ და არც არა უენიათ რა.

მერე მათ კითხეს: რატომ არ შეებითო?

მეფემ თქვა: „არასოდეს შემხვედრია ბექირბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა, ისეთი ზავთიანი იყო მისი ვაჟკაციური გაბედულება, რომ საუცხოვოდ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსთვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავე სამშობლოს მცველად გამოდგება. ამიტომაც შემბრადლა მისი სიყრმე და ვეღარ გავიმეტე გასაფუჭებლათ! შემემართა არა მგონია უმარცხოთ გადავრჩენილიყავ.“

ბექირბეის ეთქვა: „ხმლის მოქნევაზე რომ მიუახლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველს მოქნევას, არც მან ინება შემოტევება, და მეც ისე გამდალა თვალით, რომ აზრათაც არ მომხვლია პირიქით შემებედა“ [2].

კავკასიური საბრძოლო ეთიკის მკვლევარი გიორგი ანჩაბაძე გადმოგვცემს XX საუკუნის ჩეჩნეთში მომხდარ ამბავს, რომელიც რაინდული ეთიკის დაცვის საოცარ მაგალითს წარმოადგენს: ეს შემთხვევა 50-იანი თუ 60-იანი წლების დასაწყისში მომხდარა. ერთმანეთს შეხვედრია ორი მტერი, რომელთაგან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა შეიარაღებული ხანჯლით. მოწინააღმდეგეებმა წილი ყარეს, ვის უნდა ეხმარა პირველს ეს ხანჯალი, და რიგრიგობით დაიწყეს ერთმანეთის ჩეხვა, თანაც ისე, რომ ერთმანეთისთვის იარაღის წვერით ჭრილობა არ მიუყენებიათ. აქ აღსანიშნავია, რომ მთიელთა წესით ხანჯლით მხოლოდ ჩეხვა შეიძლება, წვერით ძველება კი, რაც სიცოცხლისათვის უფრო საშიშია, იკრძალება. ადამიანის სიკვდილი წვერით ჩაცემული ხანჯლისაგან განიხილება, როგორც გამიზნული მკვლელობა და არასოდეს მთავრდება მოსიხლეოა შერიგებით [2].



ამ ეპიზოდების შესწავლისას ირკვევა, რომ პირველი შეტევის დათმობის მოტივი უფროს-უმცროსობის ცნებასთანაა დაკავშირებული. უფროსად მიიჩნევა არა მხოლოდ ასაკით, არამედ წოდებრივად შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომი პირი. მოწინააღმდეგე მხარეებს შორის უფროს-უმცროსობის წესის დაცვის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის კარზე ცხოვრობდა. ლამბერტის ნაშრომში „სამეგრელოს აღწერა“ არის თავი, რომელსაც „ომის წესრიგი“ ეწოდება. ამ თავში ავტორი მოგვითხრობს ომის წარმოების ქართული წესის შესახებ და სხვა მრავალ ჩვეულებათა შორის აღწერს ბრძოლის დაწყების წინ შესრულებულ მისაღმების რიტუალს. ოდიშის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის გამართული ბრძოლის წინ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ესალმებიან საყვირის დაკვრით:

„საყვირის დაკვრისათვის ასეთ წესს მისდევენ: პირველად დაუკრავენ დადიანის საყვირს, მეორედ გურიელისას, და მესამედ დაუკრავს ლიპარტიანი, ოდიშის უდიდებულესი თავადი. მერე საყვირი ხელიდან ხელში გადადის და ყველანი რიგზე უკრავენ უფროს-უმცროსობის კვალობაზე. თუ შემთხვევა იქნა და დადიანი შეხვდა პირისპირ იმერეთის მეფეს, რომელიც წინად მისი ბატონი იყო, ამ პატივსა კიდევ სცემს დადიანი, რომ თუმცა მტერია მისი, მაგრამ მანამდე არ დაუკრავს საყვირს, სანამ იმერეთისას არ დაუკრავენ.

შემდეგ ამისა ბრძოლა უნდა მოხდეს“ [3].

როგორც ცნობილია ლევან II დადიანის ოცნება იყო იმერეთის სამეფოს დაპყრობა, დასავლეთ საქართველოს თავისი მფარველობის ქვეშ გაერთიანება და მეფობის მიღება. ამ

მიზნით მან 1635 წელს ილაშქრა იმერეთზე, დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო იმერეთის მეფე გიორგი IV, რომელიც გამოსასყიდის მიღების შემდეგ გაანთავისუფლა. მიუხედავად ამისა ეს ხელს არ უშლიდა ოდიშის მთავარს, რომ ეცნო იმერეთის მეფის, თუნდაც დასუსტებულის, სუბიერენობა და საკადრისი პატივი მიეგო მისთვის მისაღმების დროს უპირატესობის დათმობით.

„ომის ქართული წესრიგი“ ასევე გულისხმობდა დაპირისპირებული ჯარების ხელმძღვანელობას შორის თავაზიანობის ნორმების დაცვას. არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: *„როცა ორი მოპირდაპირე ჯარი ერთმანეთს შეხვდება, მთავრებს ჩვეულებად აქვთ, თუმცა მტრები არიან, ერთმანეთს გასაგრძელებელი სახმელი უთავაზონ. აგრეთვე იქცევიან ერთმანეთს შორის დიდებულები“ [3].*

ასეთი დიდსულოვანი ქმედება არც ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის იყო უცხო. ზეპირი გადმოცემების თანახმად ძველ დროში ომის დროს ჩერქეზებს ჰქონდათ შემდეგი ჩვეულება: დღისით ისინი იბრძოდნენ, საღამოს კი მათი წინამძღოლები სტუმრობდნენ ერთმანეთს, ერთიმეორის საპატივცემულოდ აწყობდნენ წვეულებებს და მართავდნენ მოლაპარაკებებს ისე, რომ არ ეშინოდათ ღალატის [4].

უშუალოდ ბრძოლის ველზე მებრძოლები მოქმედებდნენ მორალურ-ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული მთელი რიგი ეთიკური ნორმების დაცვით.

ფეოდალური კავკასიის სამხედრო ეთიკა დამარცხებული მოწინააღმდეგის დანდობას მოითხოვდა. გავისხენოთ თუნდაც ტარიელის შეგონება:

*„ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე...“*

გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს ყველაზე დიდ სიქველედ არა მტრის



მოკვლა, არამედ მისი წყობიდან გამოყვანა ითვლებოდა. ამის მაგალითია ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, რომელიც მოსისხლე მტერს ვაჟკაცობას დაუფასებს და უარს ამბობს სისხლის აღებაზე. მრავალი ქართველი ვაჟკაცის „გამფუჭებელ“ ყიზილბაშს ცხენიდან ჩამოგდების შემდეგ არათუ სიცოცხლეს არ გამოასალმებს, არამედ ფეხზე წამოაყენებს და ასე მიმართავს:

- ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიება. ცოდვია შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

ყიზილბაშიც თავის მხრივ უფასებს დიდსულოვნებას და ქედს იხრის მხცოვანი მეომრის რაინდობის წინაშე:

- მე სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვინუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისგანაო, - პასუხობს ყიზილბაში, სალამს აძლევს და მიდის.

როგორც ვხედავთ, არა თუ უბრალო მოშულართან, გარეშე მომხდურებთან თუ მოსისხლე მტრებთან ბრძოლის დროსაც კი აუცილებელი იყო გარკვეული წესების დაცვა. ერთ-ერთ წესს „ახარი“ ერქვა და მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ყოველი ბრძოლის დროს თითოეულ მხედარს მხოლოდ თორმეტი მტრის მოკვლის უფლება ჰქონდა ღვთისაგან მინიჭებული და ამ წესის შეუსრულებლობა, ქართველთა რწმენით, უფლისაგან სიცოცხლის წართმევით ისჯებოდა. ხალხური ლექსი „რუსუდანი და დავით ბატონიშვილი“ აღწერს დათუნა ბატონიშვილის ბრძოლას ჯაბაღ-ხანის წინააღმდეგ:

„დათუნა ბატონიშვილმა
გადიცვა სამანქანო.

...
გამეურია ლაშქარსა,
გაანახევრა ჯარიო,
მეხვიდმეტეხედ მივიდა,
დადვა, ჩაავო ხმალიო:
„შამინდევ, ღვთის ბრძანებო,
ოცსა დამიკლდა სამიო“ [5]


სანამ წესს იცავს დათუნა ბატონიშვილი ღვთის მფარველობით სარგებლობს. მის ჯაჭვის პერანგში ტყვია ვერ ატანს, ისე, რომ თათრებიც კი გააკვირვებულები არიან: „ამას ჰკვირობდეს თათრები, ეს ტყვია რამ იჭირაო, ჯაჭვში მორტყმული ტყვიები ორ ლიტრა გამოვიდაო“. მაგრამ ფიცხელ ბრძოლაში გართული ბატონიშვილი არღვევს უფლის მცნებას და ჩვიდმეტ კაცს გამოასალმებს სიცოცხლეს. შემდეგ უეცრად გონს მოეგება და ღმერთს პატიებას სთხოვს ჩადენილისთვის: „შამინდევ ღვთის ბრძანებო, ოცსა დამიკლდა სამიო“. მაგრამ ღვთისგან განდგომა სისხლისმღვრელი ბრძოლის გამოც კი არავის ეპატიება და დათუნა ბატონიშვილიც თათრის ტყვიით იღუპება: „ერთმა ურჯულო ყაჩაღმა თოფსა დახვია ალიო... გაისახელა თათარმა, წაჰყარა სამანქანო“. ჯაჭვის პერანგი უფლის განგებით კარგავს დამცავ თვისებებს, ატარებს საბედისწერო ტყვიას და ბატონიშვილი იღუპება.

ბახტრიონის ბრძოლის გმირი ზეზვა გაფრინდაული ასე აქებს თავის ხმალს: „ხმალს აქებს გაფრინდაული: თორმეტი მოკვალ ამითა, ავავეს დიდი მინდორი თათრის ხოჯაის ძვალითა, ...“ [5].

ხალხური ლექსი „ხოჯაის მინდი“ ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ შეიცავს მოტივს ქართული საგმირო ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც ცოდვად ითვლებოდა მტრის რაზმიდან თორმეტ კაცზე მეტის მოკვლა:

მინდის ნუ მახკლავთ ქისტებო,
ხელში მიეცით ხმალია.
ხმალ თუ იხმარას მინდიმა,
შინავ ვაუშვით ხარია.
თორმეტი მოკლა მინდიმა,
დადვა, ჩაავო ხმალია.
არ დაიჯერეს ძაღლებმა,
ლაბახად დადგეს მეკდარია“ [5].

როგორც ჩანს, ქართული ტრადიციით 12 კაცის მოკვლის უფლება სისხლის აღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხევსურები ამ წესს „იოგის თავს“ ეძახიან. სერგი მაკალათია წერდა:



„თუ ხევსური მოკლა არა ხევსურმა, ე.ი. ქისტმა, ფშაველმა და სხვამ, მეშუღლეს მოკლულის ჭირისუფალი დაემუქრება: „რამდენი იოგიც (სახსარი) ჰქონდა ჩემს ძმას, იმდენი კაცი უნდა მოუკლა ჩემს მტერსაო“. ხევსურების წარმოდგენით, ადამიანს 12 იოგი აქვს და ამიტომ მან მტერს 12 კაცი უნდა მოუკლას“ [6]. ამავე მოტივს შეიცავს ლექსი „წოვათას ციხეს აგებენ“:

*„მიდიან ქისტებ, ჩივიან თავიანთ
მკედრების სისხლსაო:*

*– ძველი ყოფილა ნაჭერი, ნაქნევი
თუშის ხმლისაო.*

*ამ ლექსის მამლექსებელი შუა
წყაროში ზისაო,*

*თორმეტ მეც მერგო მარჯვენა მანდ
ნახოც ქისტებისაო“ [5].*

როგორც ვხედავთ ხალხურ ლექსში „ახარის“ წესთან ერთად ლაპარაკია მოკლული მტრისათვის ტროფეის (ფრანგ. trophée) ართმევის ჩვეულებაზე, რომელიც ქართული სინამდვილისთვის გარედან შემოტანილ, უცხო მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ჩრდილო კავკასიაში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც ჩანს თემურ ლენგის ლაშქრობების გავლენით, ფეხს იკიდებს დამარცხებული მტრისათვის საბრძოლო ტროფეის ართმევის ტრადიცია. წესად ჩნდება, კავკასიისათვის აქამდე სრულიად უცხო ჩვეულება, რაც ითვალისწინებს მოკლული მოწინააღმდეგისათვის თავის, ან მარჯვენა ხელის მოკვეთას. ამ პერიოდიდან მოკლული მტრისათვის თავის მოჭრა არა თუ შეურაცხყოფად არ ითვლებოდა, არამედ განიხილებოდა როგორც აუცილებელი რიტუალი. მაგალითად, ჩერქეზი მეომრები სუფთად იპარსავდნენ თავს და მხოლოდ კეფაზე იტოვებდნენ გრძელ ქოჩორს, რათა მტერს გადავილებოდა მათი მოკვეთილი თავის ხელში დაკავება. (საინტერესოა, რომ ფეოდალურ იაპონიაში ანალოგიური მოსაზრებით აიხსნებოდა სამურაების მიერ უღვაშების ტარება, ვინაიდან იქ მოკლულ მტერს ცხვირსა და ზედა ტუნს

აჭრიდნენ). ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის განდევნა და ისლამის დამკვიდრება დიდი სისხლის ღვრის ფასად ხდებოდა. მაჰმადის რჯულთან ერთად ბრძოლის უცხო, შუაზიური წესიც ფეხს იდგამდა კავკასიელი მთიელის ყოფაში [2]. როგორც ჩანს, ტროფეის ართმევის წესს ჩრდილოეთიდან საქართველოშიც შემოუღწევია – შედარებით გვიანდელ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულა წესი, რომლის მიხედვითაც სავალდებულო იყო მოკლული მტრისათვის მარჯვენა ხელის მტკვნის მოკვეთა გამარჯვების აღსანიშნავად. მოწინააღმდეგისთვის ხელის მოჭრა და ართმეულ იარაღთან ერთად ნაღავლის სახით დაპატრონება სახელის მოხვეჭასთან იყო გაიგივებული. ერთ-ერთი ხალხური ლექსის მთქმელი მტრისათვის ხელის არმოჭრას საყვედურობს ახალგაზრდა მეომარს:

„ვაჟე რას მეუღლიდები,

რა სახელ მაგიტანია?

შენი ცხენი და აბჯარი

ომში როს შავიტანია;

ლეკი როს მაჰკალ ჭარელი,

ხელი როს მაგიტანია?“ [5]

ცნობილია, რომ გვიანი შუა საუკუნეების ხევსურეთში საცხოვრებელი ციხურა სახლის ქავის (გალანის) კედლებზე უკვე ჩნდება, ჩრდილო კავკასიური ციხეების მსგავსად გამოკიდული, მოკვეთილი მარჯვენა ხელის მტევნების მზეზე გამომშრალი, გამხმარი ნაშთები.

„...გივის სიათა წაიდეს,

დაჰკიდეს ციხის თავზედა.

ხელიც მოჭრეს გივისა,

დააკრეს ციხის ქავზედა.“ – ამბობს

ხალხური ლექსი.

სავარაუდოა, რომ ხელის მოჭრის ეს წესი სწორედ ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ კი დაღესტნიდან უნდა იყოს საქართველოში შემოსული. ასევე ჩრდილო კავკასიიდან – კერძოდ კი ჩეჩნეთიდან და ჩერქეზეთიდან გავრცელებულა საქართველოში ტროფეის



აღების კიდევ ერთი წესი – თავის მოკვეთა. კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს დამარცხების შემდეგ ქართველთა უძღურებით გულმოცემული ლეკები, რიცხვით ათას ხუთასზე მეტნი, მოადგნენ ნორიოს დასარბევად, მაგრამ იძლიერენ ზაალ ანდრონიკაშვილისაგან და უკან დაიხიეს, გაიარეს დიღომი, ავიდნენ დიდგორში და კოთელიას მიაღწიეს: „მუნით წარმოსრულნი მოვიდნენ და დაეცნენ იედიბოლუქსა ზედან დემურჩიასანსა. მაშინ მეფის ძის ძეი დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. სცნა რა მან, მოკრიბა ბორჩალოველნი ვიდრე ას კაცამდე, ეწია იედიბოლუქსა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენავი. ესრეთ შიშვნეულ იქმნენ ლეკნი, რომელ მოეშთვნენ მტკუარსა შინა უმეტეს სამასისა. და დღესა მეორესა შემოვიდა ტფილისს გამარჯვებული, რომელმანცა შემოიტანა ჯორთა ზედან აღკიდებული საპაღლითა თავნი ლეკთანი. მას ზედან განმხდნენ ტფილისელნი და იწყეს კვალად აოხრებულისა ქალაქისა შენებად“ [7].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტროფეის აღების ტრადიცია მთელ მსოფლიოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ჩვენთვის საინტერესოა მარჯვენა ხელის მოკვეთის ტრადიცია, რომელიც ძველი ეგვიპტის მატიანეებში შემოგვინახა. საქმე ეხება ელ-ქაბეში ფარაონთა XVIII დინასტიის დამაარსებლის, იახმოს I აკლდამის კედელზე აღმოჩენილ წარწერებს, რომელიც ძვ.წ.ა. 1500-იანი წლებით თარიღდება. თავის ბიოგრაფიას აღწერს მენინბეთა უფროსი, იახანის ვაჟი, რომელიც იბრძოდა ჰიქსოსების წინააღმდეგ იახმოსის არმიის რიგებში. როგორც წარწერიდან ირკვევა ქალაქ ხატუარიტის ალყის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის ის დანიშნეს საბრძოლო გემზე, იბრძოდა პა-ჯელ-კუს არსზე ავარისის მახლობლად. იგი ამბობს: „მე მივიღე მონაწილეობა ხელნართულ ბრძოლაში. მე ავიღე

ხელი. მომანიჭეს „მამაცობის ოქრო“. ისევ ვიბრძოდი ხელნართულ ბრძოლაში. ავიღე ხელი. მეორედ მომანიჭეს „მამაცობის ოქრო“. ამ შემთხვევაში ხელის აღება უნდა ნიშნავდეს ერთი მტრის მოკვლას, რადგან ცნობილია, რომ ეგვიპტელები ტროფეის სახით და თავისი გამარჯვების დასტურად დამარცხებულ მტერს აჭრიდნენ მარჯვენა ხელის მტევანს.

შესაძლებელია იმ შორეული ეპოქის გამოძახილი იყოს მარჯვენა მტევნის მოკვეთის ტრადიციის დამკვიდრება ჩვენი მეზობელი ქვეყნების სინამდვილეში. თუმცა, შუა საუკუნეების კავკასიური ტრადიციული სამხედრო ეთიკა კრძალავდა მოკლული მტრის გვამის შეურაცხყოფას. საქართველოში ეს ნორმა იურიდიულადაც იყო გაბაგრებული. მაგალითად, ვახტანგ VI-ის კანონებით ნებადართული იყო ბრძოლაში მოკლული მტრის ცხენ-იარაღისა და სამკაულის დაპატრონება, მაგრამ იკრძალებოდა გვამის გაშიშივლება. კერძოდ, სამართლის წიგნში ნათქვამია: „*მოკლულს კაცს არას გზით ნიფხავი და პურანგი არ გაეცრცეების და ნურცავინ ხელს მიყოფს, თვარა კანონი აქვს; და თუ ვინმე იკადროს ამის ქნა, მათი უფროსი ნუ აქნევიანებს*“ [2].

საქართველოს მთაში ხელის მოკვეთის წესი უღირს ქმედებად იყო მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ხალხური ლექსის გმირი მოკლული მტრისათვის ხელის მოჭრის ჩვეულებას ხევსურთათვის არატრადიციულ და საძრახის საქმედ მიიჩნევს, რისთვისაც თანამებრძოლითა გაკვირვებას იმსახურებს:

„ – *ომშია ნასკვაურისძე,
მავის გამოსვლა გძლად არსა,
ლეკსა ხოცს, ხელს კი არა სჭრის:
„ხევსურის წესი არ არსა“.*
*ხელ მასჭერ, ნასკვაურისძე,
– უხელოდ სახელ არ არსა*“ [5].

როგორც სჩანს ნასკვაურისძემ იცის ძველი ადათი და მისი დაცვა სახელის მოხვეჭაზე უფრო მნიშვნელოვან



საქმედ მიანჩია. „ასეთი ტრადიცია ხევსურებს არ ჰქონიათ. მკლავის, თავის მოკვეთის და საფლაგზე დაკვლის წესს ხევსურთა მეზობლები მისდევდნენ და მათი გაგლენით ხევსურეთში მოწინააღმდეგისთვის მარჯვენა ხელის მტევნის მოკვეთის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი და ისიც, როგორც გადამთიელ მტერზე შურისძიების, მისი მოკვლის დამამტკიცებელი საბუთი (ნივთმტკიცება) და არა როგორც ჩვეულება“ [8] – მიანჩია მკვლევარ შოთა არაბულს.

თუ პატიოსანი ბრძოლის დროს მოკლული მტრისთვის ტროფეის ართმევას რაღაც გამართლება შეიძლება კიდევ ჰქონოდა, ყოვლად უღირს და დაუშვებელ საქციელად მიიჩნეოდა დედაკაცისთვის ხელის მოკვეთა. ხალხური გადმოცემა „ბაცალგაის მოკვლა“ სწორედ ასეთი უღირსი საქციელის ჩამდენს ასხამს ლაფს და მის დაღუპვას უფლის მიერ სამართლიანობის აღდგენად მიიჩნევს. „ღიაცისად ხელ მაუჭრავ ბაცალგას, როსაც ის ბაცალგა მაუკლავ მიცუელთ, ხელ ჯიბანი ამასჩენივ ღიაცისაი“:

*„ჭალაჩი მეგლთა შახეუელეს
მაგ ბაცალგაის მკვდარზედა:
მაგას რო ხორცი ხქონია,
კბილი არ მიდის ძვალზედა!“
ღიაცის ხელის მამჭრელო,
ღმერთმ გიყვა სამართალზედა!“* [5]

საერთოდ კავკასიელი მთიელი-სათვის ყოვლად დაუშვებელი იყო დედაკაცის მოკვლა, თუნდაც ის მოსისხლე მტრის ოჯახის წევრი ან მისი გვარისა ყოფილიყო. ამის გამო, მოსისხლეობის დროს, დილით სახლიდან ჯერ ქალი გამოვიდოდა, არემარეს მოათვალიერებდა, იქაურობას კარგად გაჩხრეკდა და თუ ჩასაფრებულ მტერს ვერ შენიშნავდა კაცებს შეატყობინებდა, რომ უშიშრად შეეძლოთ გამოსვლა. ხევსურული ტრადიციის მიხედვით სისხლის აღების დროს ასევე არ შეიძლება „უნიფხოსა“ და და მოხუცის მოკვლა. სერგი მაკა-

ლათია წერდა: „მეშუღლე ხევსური ცდილობს თავის მტერს მოუკლას სახელოვანი და გულით საყვარელი პირი, რაც თემშიც სასახელოა. ბეჩავზე და სნეულზე შურისძიება აქ სირცხვილია. ქალებზე და სამოც წელს გადაცილებულ მამაკაცზე შურისძიება და მოკვლაც სირცხვილად ითვლება, არც „უნიფხვო“, ე.ი. 12 წლის ქვემოთ ასაკის ვაჟზე შეიძლება სისხლის აღება“ [6].

სოფელ ამაღას ერთხელ ქისტის ლაშქარი დასცემია. ქარხათ ქალი, ბუბა, რომელიც იმ დროს შინ მარტო ყოფილა, არ დაბნეულა, მამის ტალავარი ჩაუცვამს, მამისავე ხმალი აუღია და მტერს შეებმია. უთანასწორო ბრძოლაში ბუბა დაღუპულა. ჩაჩქანი თავიდან მოსძრობია და თმები გადმოშლია. ქისტებს რომ დაუნახავთ ვისთან ჰქონიათ საქმე, მკვდრისთვის დიდი პატივი მიუგიათ: ხმალი და ჩაჩქანი მიცვალებულის გვერდით დაუწვევიათ და „აისრ გაუწირავთ“ (ასე დაუტოვებიათ). მოკლული მტერი ქისტებს თავისი მკვდრისთვის არ შეუწირავთ, – „რომ იქ უზიდოს წყალია, მსახურად ჰყავდეს, მორჩილად და გაუბანდოს ჯღანია“... რომ მოკლული ქისტებმა თავის მკვდრებს არ შესწირეს, ეს ყველაზე დიდ პატივად ითვლებოდა თურმე ქისტებში [9].

მკვდრისთვის მოკლული მტრის შეწირვის ტრადიცია დამარცხებული მტრისთვის პატივის მიგებასაც გულისხმობდა.

აკ. შანიძე შენიშნავს: „ბესარიონის (ბესარიონ გაბური) ცნობით, ახალა ჯაბუშანურს ორი შვილი დაუხოცავს ახდოლა გომტიკაურისათვის და უკანასკნელს სისხლის ასაღებად მზირი წამოუყვანია საარხვატოდ და ჩაუსხამს არხოტის ჭალაში, ჯარაის წყაროსთან, რომელზედაც არხოტივნებს საბოსლო ტანიეს გზა აქვთ. ამ დროს ს. ჭიმლიდან აღუდაური და მინდია, ძმები, ხეების საჭრელად წასულან ჯარაის წყაროზე. თუმცა ისინი ახდოლას



მესისხლენი არ ყოფილან, მაგრამ ახლოლას უთქვამს: „სულ ერთია, მე რა ვისა მემართა, რომ შვილნი გამიწყვიტნეს“-ო და დაუხლიათ თოფები. მოჰხვედრია მინდიას და წაქცეულა. ძმა ალუდაური კი გადაამხტარა „ხუთ საუან წყალზე“ და დასდევნებია ქისტებს და მოუკლავს „ძმის მეხელე“ (ძმის მომკლავი) ახლოლა. თვითონაც მოჰხვედრია ტყვია, მაგრამ საპირის-წამლეს გადაურჩენია. დაბრუნებულ ალუდაურს მინდია კიდევ ცოცხალი დაჰხვდომია. ამასობაში არხოტში ხმა გამტყდარა და მღვეარი წასულა, რომელიც სისხლის კვალს დაჭრილ ახლოლამდი მიუყვანია. ალუდაურს ყური მოუთლია ახლოლასთვის და თავისი ძმის უმცროსობა უთქვამს. ხალხს შემდეგ თოფები დაუყრია ქისტისათვის და მოუკლავთ, მიუხედავად ალუდაურის ხვეწნისა: „უსაკადრევოდ ნუ გახდითავ უსაკადრევოდ გახდილი არ მინდავ ძმისავ უნცროსადავ“ [5]. ხევსურთა შეხედულებით თანასწორ ბრძოლაში დამარცხებული მტერი, იმქვეყნად მოხვედრის შემდეგ, ვაღდებულია სისხლის ამღების მიერ შესახელებულ ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცს ემსახურებოდეს. ამ წესს „უმცროსობას“ უწოდებენ. მესისხლეობის ეთიკური ნორმების დარღვევა, ანუ „უსაკადრევოდ გახდა“ შეუძლებელს ხდის „უმცროსობის“ საპატიო წესის შესრულებას. ამ შემთხვევაში „უნცროსობის“ დარღვევა მომაკვდავი ქისტის თოფებით დახრეტას გამოუწვევია, რადგან ხევსურული ტრადიციით დაუშვებელია მძიმედ დაჭრილი მტრის მოკვლა.


საქართველოში დამკვიდრებული საბრძოლო ეთიკის მიხედვით არ შეიძლებოდა ჩაძინებულ მტერზე თავდასხმა. აკაკი შანიძეს არხოტში ჩაუწერია ერთი ხევსურული „ანდრეზი“, რომელიც ვეფხისა და მოყმის ცნობილი ეპოსის რეალურ ამბავს ასახავს: „...კილდეს (ხიტადეს) ვეფხვ ჩამოსულ ხალხის სადენნი, ხალხ არ უტევაგ,

სრუ უწოცავ, ვისაც გაუვლავ, კაცი და დიაცი. ერთ კაც ყოფილ, მგელა ყურაულისძე, ჩაუვლავ ჩასცილებივ ვეფხვი მძინარ ყოფილა. მგელას არ უკადრებავ მძინარის ვეფხვის მაკვლა. ბარგი აუკიდებავ, ამოსულ, ბარგ დაუდებავ, მაშინ: შე, ძაღლო, უძახებავ, რას უგდიხარ ამაშიგაო? მგელა მოვიდა, ადგაო. გაუგონებავ ვეფხვს, წამამდგარა, მაუქნევაგ ტოტი, თავი დაუკრავ და ტვინზეით სრუ ძვალ ამაურიდებავ. მგელას ამაუვლავ ჳმადლი და ტოტისად დაუკრავ და მაუგლეჯიებაგ ტოტი. ის ვეფხვ იქავ მამკვდარ და მგელა შინ მასულ და იქ მამკვდარ“ [5].

ხალხურ ლექსში „მარხვა გაბრიდის ამბავი“, გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ ქისტს მუხანათურად მოუკლავს მძინარე თუში გმირი მარხვა გაბრიდი:

*„მანდ მარხვას დასძინებია
დამშერალს დაღალულს მთებზედა.
ქისტო, რათა ხელავ მძინარსა,
რად არ აღვიძებ ცდაზედა,
თუშ იყო, წამოიღვიძებდ,
ადგებოდ ხანჯრის ტარზედა“* [5].

საუკუნეთა განმავლობაში კავკასიაში მოქმედი სამართლიანი ბრძოლის ტრადიცია ითვალისწინებდა ძლეული მოწინააღმდეგის სიცოცხლის დაცვას. ჩერქეზული „უერკ ხაბზე“, ვაინახური „კონალ ალა“ და ქართული „კაცის კაცობის წესები“ დაუშვებლად მიიხნევენ დამარცხებული მტრის სიცოცხლის ხელყოფას. შოთა რუსთველის სიტყვები „ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოფნე“ სამამაცო ზნეთა საუკეთესო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. იგივეს ქადაგებდა რაინდული კოდექსი „უერკ ხაბზე“, რომლის მიხედვითაც უღირს ქმედებად ითვლებოდა ბრძოლის დროს უიარაღო ან დაჭრილ-დაუძღურებულ კაცზე თავდასხმა. ასეთი საქმის ჩამდენი თანამებრძოლთაგან გააკიცხვას იმსახურებდა, მას კაცობას დაუწუნებდნენ და დედაკაცს შეადარებდნენ.



ქართული და ჩრდილოკავკასიური საბრძოლო-ეთიკური ნორმების შედარებისას დიდ მსგავსებასთან ერთად საგულისხმო განსხვავებებსაც აღმოვაჩინეთ. ასე, მაგალითად ლორერს (ნ.ი. ლორერი იყო დეკაბრისტი, რომელიც გადასახლების შემდეგ მონაწილეობდა რუსეთ-კავკასიის ომში) ყურადღება მიუქცევია მთიელთა ქცევის ერთი უცნაურობისათვის, როდესაც ისინი დახოცილი ჩერქეზი მეომრების გვამებს ტვირთავდნენ. მან შენიშნა, რომ მთიელებმა შეარჩიეს მხოლოდ ტყვიით დაღუპულთა გვამები. საქმე იმაშია, რომ ძველი ჩერქეზული ჩვეულებით მთიელს არ ჰქონდა მორალური უფლება დამარცხებულიყო ხელჩართულ ბრძოლაში, განსაკუთრებულ სირცხვილად კი ცივი იარაღით ზურგში მიღებული ჭრილობა ითვლებოდა.

მოწინააღმდეგისთვის ზურგის ჩვენება ასევე გააკიცხვას იმსახურებდა ქართული საზოგადოების მხრიდანაც, მაგრამ ამავე დროს უღირს ქმედებად ითვლებოდა რეტირებული მტრისთვის ზურგში ჭრილობის მიყენება. ყოვლად დაუშვებელი იყო მოწინააღმდეგისთვის ზურგიდან შეტევა და მისთვის ჭრილობის მიყენება. თუ მეტოქე ბრძოლის დროს მოშუღარს ზურგს შეაქცევდა, ადარ დასჭრიდნენ, რადგან ასეთი ჭრილობით თუნდაც მოსისხლე მტრის მოკვლა სიმბოლურად ითვლებოდა და თემისგან გააკიცხვას იმსახურებდა. გამოდის, რომ ქართველი კაცი ვალდებული იყო თანაბრად ეზრუნა როგორც საკუთარი, ასევე მოსისხლე მტრის ღირსების დაცვაზე. ქართული საბრძოლო-ეთიკური ნორმების კომპლექსი, რომელიც „კაცის კაცობის წესების“ ძირითად ნაწილს შეადგენს, თანაბრად ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის ღირსების დაცვასაც, რაც ამ უკანასკნელის გაცილებით მაღალ მორალურ დონეზე მეტყველებს „უერკ ხაბუხსა“ და „ყონაღალასთან“ შედარებით.

ბრძოლის ველზე გამოვლენილი რაინდული თვისებების გამო ქართ-

ველი მეომრები ძველი სამყაროს ყველაზე ჰუმანურ მეზობლებად იყვნენ აღიარებული. XIII საუკუნის არაბი ავტორის, იბნ ალ-ასირის ცნობით, მუსლიმები ქართველებს „ყველაზე კეთილ მტრებად“ მიიჩნევდნენ, რადგან ისინი გამარჯვების შემდეგ მოსახლეობისაგან მხოლოდ ხარკს იღებდნენ და მოსახლეობის დაჩაგვრას თავს არიდებდნენ. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბრძოლის ქართული წესი მეომარს ავალდებულებდა მუდმივად დაეცვა სამშობლოს პრესტიჟი.

ცხადია, რომ გარეშე მტერთან ბრძოლა პირველ რიგში საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ასეთ ბრძოლებში უკან დგებოდა ოჯახური და პირადი ინტერესები, რასაც ხშირად მეომრის მხრიდან შეგნებული თავგანწირვის მაგალითებიც მოჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვას და სათემო ღირებულებების დასაცავად საკუთარი ინტერესების დათმობას სჭირდება აღზრდა, რაც უმთავრესად შინაური შუღლის პირობებში იყო შესაძლებელი. შინაური შუღლის დროს ხევსური ბლაგვწვერა მახვილს (დაშნას, ხმალს) ხმარობდა, ხანჯალს ერიდებოდა, რადგან შეიძლება მოწინააღმდეგეს ან გამშველებელს შემთხვევით წვერით მოხვედროდა. მოწინააღმდეგეს მძიმედ არ დაჰკრავდა, ნაჭრევი (ჭრილობა) მსუბუქი უნდა ყოფილიყო, ისეთი, რომ მასში თმის ღერი ძლივს მოთავსებულიყო და მხოლოდ სისხლის ნამი გამოსულიყო. მოწინააღმდეგის მძიმედ დაჭრა დიდი სირცხვილი იყო. შუღლშიც დარბაისელნი უნდა ყოფილიყვნენ, არ აჩქარებულყვნენ, „გონთით არ გამოსულიყვნენ“, ჭრილობას და სისხლს არ უნდა გაეავებინა. თითოს რომ დაჰკრავდნენ, მახვილს ჩააგებდნენ, „ხმალმა გაძლოა არ იცის, მუღამ მშიერიას“ – იტყოდნენ [9].



ხევისურეთში შინაური შუღლის დროს მიყენებული ჭრილობა ხორბლის ან ქერის მარცვლით იზომებოდა და „დრამის“ გადახდაც მარცვლების რაოდენობის მიხედვით ხდებოდა. ამიტომ მოშუღარები ცდილობდნენ, რომ ერთმანეთისთვის უმნიშვნელო ჭრილობები მიყენებინათ. ამასთან, როგორც ითქვა, დიდი და ღრმა ჭრილობის მიყენება შიშს მიეწერებოდა და დიდი სირცხვილი გახლდათ.


ასევე დიდი სირცხვილი გახლდათ სიმთვრალეში, სასმელის მორევის გამო მომხდარი შუღლი [8].

ყოველად დაუშვებელი იყო შინაური შუღლის დროს დამარცხებულისათვის იარაღის აყრა (რა თქმა უნდა ეს შეხლულდა არ ვრცელდებოდა გარეშე მტერზე, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც უცხო მტერს ვაჟაკობას დაუფასებდნენ და სიცოცხლის შენარჩუნებასთან ერთად არც იარაღს აჰყრიდნენ). ამ წესზე წარმოდგენას შეგვიქმნის ხევისურეთში სხვადასხვა დროს მომხდარი ორი ამბავი, რომელიც ზუსტად ასახავს ჩვენთვის საინტერესო ტრადიციას. ეს ისტორია გვიამბო როშკის თემის სოფელ დელისვაკის მცხოვრებმა, ივანე ბურდულმა: როშკის და დელისვაკის გზაზე ერთმანეთს ორი მოშუღარი შეხვედრია. ერთი მათგანი ფარხმლით ყოფილა ხევისურთა ჩვეულებისამებრ შეიარაღებული, ხოლო მეორე მათგანს, დელისვაკის მცხოვრებს, ხელში მხოლოდ ხელჯოხი სჭერია. ტრადიციის მიხედვით ორი მოშუღარის პირისპირ შეხვედრა აუცილებლად შეტაკებით მთავრდებოდა და გრძელდებოდა ერთ-ერთი მათგანის სისხლის დაღვრამდე, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი მეტოქის უიარაღოდ ყოფნა ამ ბრძოლის გადავადების შესაძლებლობასაც იძლეოდა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა შეიარაღებულმა ხევისურმა ყურადღება არ მიაქცია მეტოქის დაჩაგრულ მდგომარეობას, თან მეშველიც არ გამოჩნდა და გაიმართა ერთი

შეხედვით უთანასწორო ბრძოლა. ხელჯოხით შეიარაღებული დელისვაკის მცხოვრები კარგი ვაჟაკი და ძლიერი მებრძოლი გამოდგა და თავისი მეტოქე, მიუხედავად მისი უპირატესობისა, ადვილად დაამარცხა, აჰყარა ფარხმალი და ისე გამოუშვა სირცხვილნაჭამი [10].

მეორე მსგავსი შემთხვევა მოხდა სოფელ კორშაში, XX საუკუნის 70-იან წლებში. სოფლის სასადილოში სუფრასთან ისხდნენ ბარისახოს ინტერნატის მოსწავლე უფროსკლასელი, 15-16 წლის ასაკის ოთხი ყმაწვილი და, რა თქმა უნდა, თავისი ასაკის შესაბამისად მხიარულობდნენ. ამ დროს დარბაზში შევიდა სოფლიდან ქალაქში მიმავალი, ერთ-ერთი ახლო მდებარე თემის მკვიდრი, შუა ხნის მამაკაცი, რომელიც თავისი მძიმე ხასიათით იყო ცნობილი. ამ კაცმა საკმაოდ უხეში ფორმით მოსთხოვა იქ მყოფ ახალგაზრდებს, რომ ჩუმიად ყოფილიყვნენ, რითაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. შელაპარაკებას მოჰყვა ჩხუბი ამ კაცსა და ერთ-ერთ მოზარდს შორის, დაპირისპირება სასადილოს გარეთ გაგრძელდა და საქმე იარაღზეც მიდგა. მამაკაცს ჰქონდა დიდი სანადირო დანა და დააპირა მისი გამოყენება. თუმცა მისი მოწინააღმდეგე ნაფარჯიშევი იყო კრივში და კარგი ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩეოდა, ისე, რომ მოახერხა ამ კაცისთვის დანის წართმევა და კარგადაც სცემა. შემდეგ კი, რადგან იცოდა თავისი მეტოქის ხასიათი და ფიქრობდა, რომ იგი მაინც შეეცდებოდა შუღლის გაგრძელებას და შეიძლებოდა იარაღი ისევ გამოეყენებინა, დანა ელექტროგანათების ბოძის ბეტონის საყრდენსა და ხის ძელს შორის შეარჭო და გადატეხა [10].

ეს ორი ამბავი იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ ორივე დაპირისპირებისას უიარღო მოშუღლარმა, მიუხედავად მეტოქის უპირატესობისა, მოახერხა გამარჯვების მოპოვება, რის შემდეგაც



განაიარაღა თავისი მოწინააღმდეგე. თანაც ორივე შემთხვევაში შუღლის წამომწეები უკეთ შეიარაღებული პირი გახლდათ. ამ ორი ამბის დასასრულიც ერთმანეთის ანალოგიურია. როგორც მოსალოდნელი იყო შუღლის საქმე ტრადიციისამებრ ხევესურული რჯულის წესებით გაირჩა. „კითხულმა“ კაცებმა (ხევესურული რჯულის მცოდნე ხალხმა, რომლებიც სადავო საქმეებს არჩევენ) ორივე შემთხვევაში ბრძოლაში გამარჯვებული დაადანაშაულეს და შესაბამისი „დრამის“ (ჯარიმის) გადახდაც დააკისრეს. ერთი შეხედვით ასეთი გადაწყვეტილება თითქოს გააკვირვებს უნდა იწვევდეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანში, მაგრამ როდესაც „რჯულის კაცების“ მოქმედების მოტივს ჩაწვდებით ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. საქმე ის გახლავთ, რომ ხევესურული რჯულის მიხედვით თანა-მემამულის უიარაღოდ დატოვება, თუნ-დაც ის მოსისხლე იყოს, არაფრით არ შეიძლება (თუ რა თქმა უნდა ის უცხოტომელი მომხდური არ არის), ხევესური ყოველთვის მზად უნდა იყოს უცხოტომელთა თავდასხმისათვის, გზაზე მიმავალს შეიძლება მტერი დაესხას თავს, თავდასაცავი კი არაფერი ექნება. „გამარჯვება და სახელი ისედაც შენი იყო. იარაღს რაღას ართმევი, როგორ დატოვე კაცი უიარაღოდ“ – იყო ნათქვამი საქმის გარჩევის დროს.

საინტერესოა ხევესურული რჯულის აღნიშნული წესის შედარება ჩრდილოეთ კაკასიაში მოქმედ ეთიკურ ნორმებთან, რომლის მიხედვითაც გამარჯვებული უფლებამოსილი იყო იარაღი აეყარა დამარცხებული მტრისათვის. ჩერქეზ დიდებულთა შორის დუელის ერთ-ერთი მოტივი უკავშირდებოდა ღირსების გრძნობას. როგორც წესი, ასეთი დუელი, ერთ-ერთი მოწინააღმდეგის სიკვდილით მთავრდებოდა, რადგან გამარჯვებულს შეეძლო ისევე მოქცეოდა დამარცხებულს, როგორც მოკლულს, ანუ აეყარა მისთვის

აბჯარი და წაერთმია იარაღი. დამარცხებულისთვის იარაღის დათმობა დაკავშირებული იყო პატივის აყრასა და, შესაბამისად, უდიდეს სირცხვილთან. ღირსების დაკარგვას კი მებრძოლი უეჭველ სიკვდილს ამჯობინებდა.

გაცილებით მაღალ მორალურ-ეთიკურ ღირებულებებს ეფუძნება დუელის წარმართვის ქართული წესი, რომელიც გამორიცხავს დამარცხებული მოწინააღმდეგისათვის იარაღის აყრას და ამით მისი ღირსების შელახვას. გამარჯვებული ვალდებულია იმოქმედოს თემისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით და მხოლოდ „სახელს“ დასჯერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კანონი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდას.

ბრძოლის ველზე მოქმედი წესები, რომელთა ავ-კარგიანობას ზემოთ შევეხეთ, ხელს უწყობდა მეომრის რაინდული თვისებების ჩამოყალიბებას. მაგრამ ქართველი მებრძოლის ხასიათის სრულად გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ძირითადი ფაქტორი, რაც უდიდესწილად განსაზღვრავდა ამ წესებისადმი უპირობო მორჩილებას. უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველი კაცის ცხოვრებას იმთავითვე განაპირობებდა რწმენა უზენაესი ძალებისა. მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული სამოქმედო კოდექსის თითოეული მუხლი უფლისათვის სათნო მსახურების გამოხატულებად მიიხნეოდა. უფლის ყმა, „მოყმე“ – ასე უწოდებდნენ სარწმუნოების დაცვის სამსახურში მყოფ მეომარს. მთაში ამბობდნენ „ლაშარის ყმას სხვისი ყმობა არ მაუდისო“. ძნელი იყო კარგი ყმის სახელის მოპოვება მთაში. „კაცის კაცობის“ სამოცდასამ მუხლს ბევრი ვერ ასრულებდა და იცავდა მტკიცედ. (ზოგმა თემმა ოცდასამ მუხლამდეც კი დაიყვანა იგი) [8]. უფლის ანგელოზის შემწეობა ბრძოლაში წარმატების უმთავრეს პირობას წარმოადგენდა ქართველი მეომრისთვის. საღაშქროდ



მზადებისას მებრძოლები შვიდ დღე-ღამეს „წმინდობდნენ“, თავს წმინდად ინახავდნენ. ლაშქრობის წინ ქადაგს დასვამდნენ და მისი პირით ხვთის ბრძანებას შეიტყობდნენ. თუ ხატის სურვილი არ იქნებოდა არას გზით სალაშქროდ არ გავიდოდნენ, რადგან ანგელოზის შეწვევის გარეშე ხელი არ მოემართებოდათ და აუცილებლად დამარცხდებოდნენ.


ბრძოლის დროს აუცილებელი იყო გარკვეული ეთიკური ნორმების დაცვა, რომლებიც ასევე ქადაგის მეშვეობით უზენაესის მიერ იყო მეომართათვის ბოძებული. ეთიკური ნორმების დამრღვევი უფლის რისხვას იმსახურებდა და აუცილებლად დაისჯებოდა. ბრძოლაში გამარჯვება ამ ზნეობრივი პრინციპების დაცვისათვის მიღებული ჯილდო გახლდათ, დამარცხება კი „უგვანი საქმის“ ჩადენისათვის მიღებული სასჯელი. მატიანე ქართლისა გარეშე მტერთა მიერ ქვეყნის აკლებას ღმრთის განგებასა და ერის ცოდვათა მატებას მიაწერს: „ხოლო ამიერიტგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხვასროანთამან. ...რამეთუ განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა. და განეფინა ქადაგება მაჰმად უსჯულოსა და მრავალი ერი შეუდგა მას“ [11].

ბრძოლაში ნებისმიერი გამარჯვება ჩვენს წინაპრებს უფლის წყალობად მიაჩნდათ. ბაგრატ ბატონიშვილი თეიმურაზ II და ერეკლე მეფის ყოველ გამარჯვებას ღმერთის ნებას უკავშირებს. 1753 წელს აჯი ჩალაბმა, შაქელმა ქეთხუდმა, შირვანის, ნუხისა და შამახის მპყრობელმა, შეჰყარა შაქის, შირვანის, განჯის, ყარაბაღისა და დაღესტნის მხედრობა და წამოემართა ქართლის დასაპყრობელად. თეიმურაზ მეფემ შეკრიბა კახელთა და ქართლელთა ლაშქარი და ბაიდარს მდგომს აჯი ჩალაბს მიუხდა. „მხილველი აჯი ჩალაბი აიყარა და უპუნ იქცა შიშენული. ქართველნი უკან

შეუდგნენ, ეწივნენ ზაგმის წყალზე შამშადინში, შეიბნენ, მოსცა ძლევა ღმერთმან ჩვენთა მეფეთა, აოტეს აჯი ჩალაბი მხედრობითა, მოსწვიტნეს ურიცხნი ლეკნი და ტყვე ჰყვეს და ალაფი მათი აღიღეს და დევნა უყვეს ვიდრე განჯადმდე, რომელნიცა მცირედნილა განერნეს ლეკნი, და შემოიქცეს მეფენი გამარჯვებულნი.“ „წელსა 1755 ხუნძახის ერისთავი მუცალი ჩამოვიდა შეკრებული სრულის დაღისტნის რჩეულის ჯარით, შიგნით კახეთი შემოვლო, თიანეთზედ გარდავიდა და მჭადის-ჯვარს შემოადგა. მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმან მცირედის სპითა მიუჭდნენ მჭადისჯვარს მუცალის. შეიბნენ. მოსცა ძლევა ღმერთმან მეფეთა ჩვენთა, აოტნეს ლეკნი, მოსწვიტნეს ურიცხნი და ტყვე ჰყვეს უმრავლესნი და შემოვიდნენ გამარჯვებულნი“ [12].

თუმცა იმავე აჯი-ჩალაბის ძესთან ალა-ქიშისთან ბრძოლაში ერეკლე და თეიმურაზი მარცხს განიცდიან უფლისათვის არასათნო საქმის ჩადენის გამო. ერეკლემ თეიმურაზის ნების საწინააღმდეგოდ დაატყვევა მასთან მორჩილებით მისული განჯის, შუშისა და ყარაბაღის ხანები, რითაც უზენაესის წყრომა დაიმსახურა:

„მხილველთა ხანებთა ადრიბეჟანისათა ძლევისათვის აზატ-ხანისა, სთხოვეს მეფესა თეიმურაზს, რათა წარვიდეს მხედრობითა დასაპყრობელად ადრიბეჟანისა და თანა წარიტანოს ესენიცა. თანწმობილი ამას ზედა მეფე თეიმურაზ შთავიდა რა განჯას ძითურთ ირაკლითა, მაშინ მოვიდა წინაშე მეფისა ხანი განჯისა, შუშისა და ყარაბაღისა, გარნა ნებითა მეფისა ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე, თუმცადა არა სადა სწადდა მეფესა თეიმურაზს ესევეთარი უგვანი საქმის ქმნა და ვერცა და აღუდგა ძესა თვისსა. სცნა რა ესე ძემან აჯი-ჩალაბისამან ალა-ქიშიმ, გამოვიდა მტკვარსა, ეკვეთა მეფეთა, რომელთაცა ამხილა ღმერთმან ესევეთარისა



უსამართლობისა ქმნად. და დაყარნეს მუნ პერობილნიცა იგი და ივლტოდნენ, რომელთაცა მიეცათ ფრიადი ნაკლულევანებად. ხოლო იქმნა ესე წელსა 1751, ქ“კს: ულთ:“ [13].

უსამართლოდ წარმოებული ომის თემა ძველი სამყაროს სამხედრო სტრატეგია მსჯელობის საგანიც გამხდარა. ბერძენი სამხედრო სტრატეგის, ონისანდრას ნაშრომში „ღარიგებები მხედართმთავრებს“, რომელიც სამხედრო ხელმძღვანელობის სხვადასხვა საკითხებს ეხება, გადმოცემულია აზრი „ომის შესახებ, რომ საჭიროა ომი დაიწყო სამართლიანი მიზეზით“.

„ომის სამართლიანობისა და არასამართლიანობის მიხედვით ყალიბდება არმიის მორალური სულისკვეთება... სამართლიანობა ეს ერთადერთი საშუალებაა გაამხნევო ჯარი საომარი სიძნელების გადასატანად...“ – წერს იგი [14]. ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთ პირველ სამხედრო-თეორიულ შრომას წარმოადგენს ბიზანტიის იმპერატორის მავრიკიუსის წიგნი „ტაქტიკა და სტრატეგია“. მავრიკიუსი გახლდათ იმპერატორ ტიბერიუსის მთავარსარდალი და მრჩეველი. იგი წარმატებით იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ, რომლის დროს არ თაკილობდა არავითარ მზაკვრულ მოქმედებას. 582 წელს ტიბერიუსმა დაამტკიცა მავრიკიუსი თავის მემკვიდრედ.

თავისი იმპერატორობის პერიოდში მავრიკიუსმა თეორიულად განაზოგადა თავისი მდიდარი მხედართმთავრული გამოცდილება და ჩამოაყალიბა ომის წარმოების ტაქტიკისა და სტრატეგიის მისეული ხედვის საფუძვლები.

მავრიკიუსისა და მისი მიმდევრებისათვის ომში გამარჯვების მისაღწევად ყველა მეთოდი და საშუალება გამართლებულია. მის ნაშრომში თავმოყრილია ბრძოლის ყველა ვერაგული და სულმდაბლური მეთოდი, რომელიც კი იმ დროისათვის გახლდათ ცნობილი. სამხედრო ხელოვნებას მავრიკიუსი აღიქვამს, როგორც

ემშაკობისა და მოტყუების ხელოვნებას (თანაც უღირსი საშუალებებით). იგი წერს: „თუ მოწინააღმდეგის ჯარი შედგება სხვადასხვა ხალხებისაგან და მათ შორის უთანხმოებაა, მაშინ უნდა გათიშო ისინი ძვირფასი საჩუქრებითა და დაპირებებით, გადმოიბირო წარჩინებულნი. პირდაპირ ეომო მამაც, გულად ხალხებს, – ძალიან საშიშია. ამიტომ მათ წინააღმდეგ უნდა გამოიყენო სამხედრო ხელოვნება, კეთილგონიერებით, ფარული მიდგომით, ეშაკობით და მოტყუებით და არა პირდაპირ, აშკარა შებრძოლებით“.

მისი აზრით ბრძოლების მოგება შეიძლება არა მოწინააღმდეგის ძალებზე უპირატესობით, არა უგუნური მამაცობით, არა ხელჩართული ბრძოლით, არამედ აქ მთავარია „ხელოვნება და გამოცდილება სამხედრო საქმეში“. მავრიკიუსი გვთავაზობს გამარჯვების მისაღწევად ყოველთვის არ მივმართოთ გადამწყვეტ ხელჩართულ ბრძოლას, რადგან ბიზანტიის დაქირავებული არმიის მორალურ-საბრძოლო ღირსებანი მას არა სანდოდ მიაჩნია.

ბრძოლის წინ ჯარისკაცების დასჯას მავრიკიუსი სახიფათოდ თვლის, რადგან მისი აზრით შესაძლებელია განაწყენებული ჯარისკაცი მტრის ბანაკში გადავიდეს.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მავრიკიუსი თითქმის მთლიანად გამორიცხავს ომში მორალურ ფაქტორს [14].

თხზულებათა წინასიტყვაობაში ბიზანტიელი სტრატეგი მიუთითებს, რომ მან გადაწყვიტა დაეწერა ეს შრომები, რადგან დიდი ხანია აღარავინ ზრუნავს სამხედრო ხელოვნებაზე და ყველაფერი დაგიწყებას ეძლევა. „ბევრი ძველი ავტორებისაგან ავიდე, – დასძენს იგი, – ჩემი გამოცდილებაც დაეუმატე, რათა გადმომეცა ომის წარმოების პრინციპები იმათთვის, ვინც გადაწყვიტასამხედრო სამსახურს შესწიროს თავი“. როგორც ჩანს ბიზანტიისა და მისი წინამორბედი რომისა და საბერძნეთისათვის უცხო



არ იყო ბრძოლის წარმართვა უღირსი მეთოდებით და ის გარკვეულწილად წინაპართა სამხედრო ხელოვნების მემკვიდრეობადაც მიიჩნდათ.

სამხედრო ხელოვნების ამგვარი გაგებისგან დიამეტრალურად განსხვავდება ბრძოლის წარმოების საქართველოში დამკვიდრებული ეთიკა, რომელიც ყოველთვის მოიცავდა მორალურ კატეგორიას: სიკვდილით გამოცდა მთელი სიდიადით ავლენდა ადამიანის – მისი ხალხის ღირსებებს.

თავი გასწირო სამშობლოსათვის, რომელიც სიცოცხლეზე ძვირფასია, – აი, შთამაგონებელი ძალა, რაც მასობრივად წარმოშობს ომის გმირებს. ხოლო ვერაგობას, სიმდაბლეს, გაიძვერობას, სიცრუეს და უღმობლობას ბრძოლებში, რომელიც ომის ხელოვნების რანგშია აყვანილი, შეუძლია აღზარდოს მხოლოდ მხდალები, ზნედაცემული ადამიანები, რომლებიც, უწინარეს, საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობენ [14].

ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში მოქმედი ბრძოლის ზნეობრივ ნორმატივთა კომპლექსი, რომელიც „კაცის კაცობის წესების“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ესენია:

1. გარეშე მტერთან ბრძოლის დროს მოქმედი წესები;

2. შიდა კონფლიქტების დროს მოქმედი წესები;

3. პირადი ღირსების დასაცავად გამართული დუელის დროს მოქმედი წესები და

4. „მესისხლეობის“, ანუ დაღვრილი სისხლისათვის შურისძიების, სისხლის ალების დროს მოქმედი წესები.

პირველი ჯგუფისთვის დამახასიათებელი კანონები გულისხმობს უფლისა და სამშობლოსადმი თავგანწირვას, მტრისადმი ღმობიერ მოპყრობას, „აზარის“ წესის დაცვას, დატყვევებულის პატივისცემას, მოწინააღმდეგის ღირსებაზე ზრუნვას, მოკლული მტრის გვამის შეურაცხყოფის დაუშ-

ვებლობას, თანამებრძოლისთვის თავდადებას, დაღუპული თანამებრძოლის პატივობას.


მეორე ჯგუფის კანონთა კომპლექსში შედის წესები, რომელთა შორის უნდა გამოეყოთ პირველი შეტევის შეთავაზების ჩვეულება (უფროს-უმცროსობის, იერარქიული ხარისხის, სტუმრის სტატუსის, დაღლილობის და ა. შ. მიხედვით), მოწინააღმდეგის იერარქიული მდგომარეობის აღიარება რიტუალური მისაღმების დროს, თავაზიანობის პრინციპების დაცვა და დამკვიდრებული ეტიკეტის ერთგულება, პირადი ინტერესების დამორჩილება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

პირადი ღირსების დასაცავად გამართული დუელის დროს მოქმედი წესები მოითხოვდა მონაწილე მხარეთაგან ერთმანეთის ჯანმრთელობაზე ზრუნვას – ძლიერი დარტყმების დაუშვებლობას და უმნიშვნელო ჭრილობების მიყენებით დაკმაყოფილებას, „გონით არ გამასვლას“, ანუ მორალურ-ფსიქიკური წონასწორობის სიმტკიცეს, პირველი შეტევის დათმობას შეურაცხყოფისთვის.

სისხლის ალების დროს სავალდებულო იყო უმკაცრესი დაცვა მთელი რიგი აკრძალვებისა, რომლებიც ჩვენ პირობითად მეოთხე ჯგუფში გავაერთიანეთ. ამ წესების მიხედვით დაუშვებლად მიიჩნეოდა სნეულზე, ქალზე, მოხუცსა და 12 წლამდე ასაკის მოზარდზე განხორციელებული შურისძიება.

ზემოთ განხილულ წესთა უმეტესი ნაწილი საერთოა კანონთა ოთხივე მოქმედი ჯგუფისთვის, ზოგიერთი მათგანი კი სპეციფიური ნიშნით გამოირჩევა და მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფისთვისა დამახასიათებელი.

უმართებულო იქნება ვიფიქროთ, თითქოს საბრძოლო მოქმედებები ყოველთვის მაღალზნეობრივი ეთიკური ნორმების დაცვით მიმდინარეობდა. რატომ უნდა ცალკეულ შემთხვევებში



ადგილი ექნებოდა მეომართა მხრიდან უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევებს, თუმცა ასეთ ქმედებები საზოგადოების მხრიდან მუდამ გაკიცხვას იმსახურებდა.

საბედნიეროდ ქართული ეროვნული ცნობიერების წიაღში წარმოიშვა მაღალ ეთიკურ-ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული საბრძოლო ნორმატივთა მთელი კომპლექსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციებით იქნა განმტკიცებული. აღნიშნულ კანონთა არსებობა ხელს უწყობდა ახალგაზრდა მეომრის მისწრაფებათა სწორი გზით წარმართავას. „კაცის კაცობის“ წესების დაცვა მხოლოდ ღირსებას მატებდა ქართველი ვაჟკაცის სახელს და დიდებას უხვეჭდა მას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. იესე ბარათაშვილი – „ცხოვრება-ანდერძი“, 1728-1786, „საბჭოთა საქართველო“, 1983წ.
2. გიორგი ანჩაბაძე, ქცევის ტრადიციული ნორმები კავკასიაში ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002 წ.
3. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ტყონიასი, თბილისი, 1938 წ., გვ. 86.
4. Хан-Гирей, 1978, ст. 297.
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975 წ.
6. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, „ნაკადული“, თბილისი, 1984 წ. გვ. 88
7. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

- აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1941, გვ. 6. გამოსცა თამარ ლომოურმა
8. შ. არაბული, „ისტორიული თავგდასავალი ხევსურთა“, თბილისი, 2006 წ.
9. ნათელა ბალიაური, ხევსურული ქრონიკები, ქრონოგრაფი, 1995 წ.
10. გიორგი კოკოშაშვილის საველე დღიურის ჩანაწერები.
11. მატიანე ქართლისა, უცნობი ავტორი, ქართული პროზა ტ. III, საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1982; გვ. 64.
12. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1941, გვ. 49, 50, გამოსცა თამარ ლომოურმა.
13. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1941, გვ. 6. გამოსცა თამარ ლომოურმა.
14. ირაკლი ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1990, გვ. 43, 78, 79.



ბიორბი ბრძელობა
ბურთის ქრისტიანული ტოპონიმობა
ეთნოგრაფი

ცნობილია რომ ადგილის სახელწოდებათა, ტოპონიმურ* კვლევა-ძიებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ნებისმიერი რეგიონის ქალაქის უბნისა თუ სოფლის შესწავლის დროს.

თუ ჩაუღრმავდებით, ტოპონიმობას ხშირად გადავყავართ შორეულ წარსულში, რაც უკავშირდება შორეულ, თუ უახლოეს ფაქტს, მოვლენას, ხშირად ტოპონიმობას გააჩნია ხალხური ახსნა, რაც ყურადსაღებია.

ამჯერად თქვენი ყურადღება გვსურს მივაპყროთ გურიის რეგიონში დღევანდლამდე არსებულ, თუ აქ უკვე გამქრალ ქრისტიანულ ტოპონიმობას. სანამ შევუდგებოდეთ თითოეული ტოპონიმის ჩამოთვლას ურიგო არ იქნება ორიოდ სიტყვა ითქვას, გურიის ტოპონიმურ კვლევა ძიების მხრივ არსებულ დღევანდელ სურათზე.

გურიის ტოპონიმურ კვლევა ძიების მხრივ, მრავალწლიანი მუშაობა გასწია ადგილობრივმა მკვლევარმა იური სიხარულიძემ. რომელმაც დღეს მოგვცა გურიის თითოეული სოფლისა თუ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის მეცნიერულად შეჯერებული ტოპონიმები, ჰიდრონიმები, აგიონიმები და ჩანაწერები.

ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს ახლავთ მინიშნებები – სოფელი, მთა, მდინარე, წყარო, ბორცვი, ტყე, საძოვარი და ა. შ. [3].

გარდა იური სიხარულიძისა, აღსანიშნავია მეორე მკვლევარი ალექსანდრე ღლონტი, რომლის ნაშრომიც, სუფსა-ნატანების ხეობები, წარმოადგენს ავტორის მრავალწლიან დეტალურ კვლევა-ძიებას, გურიის ტოპონიმურ ერთეულების შესწავლისათვის [5].

სტატიაში ფართოდ ვიყენებთ ზემოთ დასახელებული მეცნიერების კვლევით ტოპონიმებს, გარდა ამისა ზოგან შეგხვდებით, ჩვენს მიერ მოძიებული ტოპონიმები, რომელთაც თან ახლავს

ხალხური ახსნა განმარტებანი, მოყოლილი ადგილობრივთაგან.

აღსანიშნავია, რომ მრავალი ტოპონიმი სრულიად გაქრა, დროთა განმავლობაში კი წარმოიშვა მათ ადგილას ახალი სახელწოდებანი, ვეცდებით დავადგინოთ ქრისტიანული ტოპონიმები და მათი გავრცელების არეალი, რაც არცთუ ისე იოლი საქმეა, რადგან ამჟამინდელი გურიის ტერიტორიაზე ქრისტიანული ტოპონიმები დაფიქსირებულია სამასზე მეტ ადგილზე, ესენია: მთა, ქედი, წყარო, სამლოცველო, ტყიანი ადგილი და სხვ. [4,9].

ამაღლება – სოფელი [5, 53].

ანდრიას მონაწევი – სათესი ყანა, ჭყონაგორაში. [5.53].

ანდრიას წყარო – წყარო მამათში. [5, 53].

ახალსაყდარი – სოფელ თხინვალის ძველი სახელწოდება, სოფელს ახალსაყდარი უწოდეს ახალი წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის აგების გამო, დღეს ტაძარი აღარაა შემორჩენილი. მდებარეობდა უბან ინაურში ძველი სასაფლაოს ეზოში [1].

ბერების უბანი – ადგილი, უდაბნო განახლებაში. [5, 61]

ბერი სალო – ტყე ბუკისციხეში [5, 62].

ბერის კონახი – ადგილი მეწიეთსა და ბულოეთში [5, 62].

ბერის ნამოსახლი – ადგილი, სათესი – ქვაყუდში [5, 62].

ბერის ნასახლევი – ადგილი, ზემო ფარცხმაში, მამათში [5, 62].

ბერის ნატეხი – ადგილი, საძოვარი ორაგვეში [5, 62].

ბერის სენაკი – გამოქვაბული შემოქმედში [5, 62].

ბერის წყალი – წყარო აცნაში [5, 62].

ბოლოწმინდა – წყარო მაკვანეთში [5, 63].

გვაბრათის ეკლესია – ნაეკლესიარის აცნაში. [5, 69].

დაბლაჯვარი – ტყე ქვემო ხეთში [5, 78].

ეკლესია – ნაეკლესიარი ნატანებში [5, 84].

ეკლესიის გორი – გორაკი დაბლა-ციხეში, მტერჩვეულში [5, 84].



ეკლესიის ეზო – საჩაიე ხორეთში [5, 84].

ელიაწმინდა – ნაეკლესიარი ხიდისთავში [5, 84].

ელიას ნაყანები – სათესი ადგილი და დასახლება ზოტში [5, 84].

ვაკეჯვარი – ადგილი, მთა და საძოვარი ტობახნაში [5, 86].

ვაკიჯვარი – სოფელი ოზურგეთის რაიონში [5, 87].

ზედა სამება – ადგილი სამებაში [5, 89].

ზემო ჯვარცმა – უბანი ჩაისუბანში [5, 91].

თოხაძნების სალოცავი – სალოცავი გაგურში [5, 95].

იორდანეს წყალი – წყარო სამებაში [5, 97].

კვარაწმინდა – ტყე გორაკი [5, 100].

კვირაცხოველი – მთა ჯუმათში [5, 100].

კვირიკეთი – სოფელი ოზურგეთის რაიონში [5, 101].

კვირიკეთი ნაეკლესიარი ნინოშვილში [5, 101].

კვირიკეს გორა – მთა და ტყე ზოტში [5, 101].

ლომის კარელი – საკულტო ადგილი, შუა სურებში [5, 111].

მამათი – სოფელი ღანჩხუთის რაიონში, სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს როგორც ადგილობრივები ამბობენ მამათა მონასტრიდან [1].

მამაწმინდის დეღე – წყარო ზემო ერკეთში [5, 113].

მარიამის გორი – გორაკი მთისპირში, ოქროსქედში [5, 113].

მარიამის წყარო – წყარო რომეთში [5, 114].

მარიამის ტყე – ტყე უკანავაში [5, 114].

მაცხოვარი – ადგილი და სალოცავი გაგურში.

ზემო აკეთში, ნატანებში, ქაქუთში.

ქვემო ხეთში, ქვიანში, წყარო შრომაში [5, 115].

მაცხოვრის დეღე – წყარო შრომაში, სათავეს იღებს ზემო ნატანებში [1].

მაცხოვრის გორა – ნაეკლესიარი ჭანიეთში [3, 82].

მღვდლის ნასახლევი – სათესი ჩოლობარში [5, 118].

მთავარანგელოზი – სამლოცველო – გორმალაში, პატარა ოფეთში [5, 119].

მიქელ-გაბრიელი – თემი XX საუკუნის დასაწყისამდე, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა სოფლები, კერძოდ, შრომა, ორმეთი, თხინვალი, სუფსა, კონჭკათი [1].

ნაეკლესიარი სასაფლაო ბასილეთში, დაბლა ციხეში, გოგოლესუბანში, ნაბელაღში, ქვაბლაში, ჩომეთში, შუა ფარცხმაში, ლაითურში, ინტაბუეთში [5, 125].

ნაეკლესიები – ადგილი ჭანიეთში [5, 126].

ნასაყდარი – ადგილი – ბაღლეფში, ჭინათში, კოკათში, ოქროსმუხუროში ნატანებში [5, 130]. [3, 75].

ნაეკლესიარი – სათესი ადგილი ლაითურში [3, 82].

ნასაყდარის დეღე – წყარო ვაკიჯვარში [5, 131].

საეკლესიო – ადგილი, საჩაიე ბაილეთში [5, 152].

სათესი ადგილი ახალსოფელში [3, 79].

სამება – სოფელი ჩოხატაურის რაიონში, ასევე მთა. აცანაში, გვიმბლაურში, ზემო ჩიბათში. მაჩხვა-რეთში [5, 154].

სამღვდელოების დეღე – დეღეკოსნარში [5, 155].

საკურთხეველი – სოფელ საჭამიას ერისძველი სახელწოდება [1].

სამღვთო – ადგილი ზემო ნატანებში, სადაც XX-ს. 20-იან წლებამდე იდგა იოანე ნათლისმცემლის ხის დიდი ეკლესია. დღეს მის ადგილას განთავსებულია სკოლის სტადიონი. [1].

სამხვთო – ადგილი ძირჯუმათში [5, 155].

საყდარი – ადგილი ქვიანში, ჭალაში, ბოხვაურში, ჯაპანაში [5, 158].

საყდრის ფერდი – სათესი ექადიას [3, 81].

საჯვარე – ადგილი გოგოლესუბანში. გორმალაში, შუასურებში, ჯანიეთში გორაკი ჭანჭათში [5, 161].

ფიჩხისჯვარი – ადგილი სოფლების შრომა ნატანების საზღვარზე. გადმოცემით სასაფლაოს ეზოში ცხოვრობდა აჭარიდან გამოქცეული ბერი იესე ბოლქვაძე. ადგილობრივები ბერს



უგროვებდნენ შეშას იგივე ფიხს და უწყობდნენ გზაზე რის გამოც ადგილისთვის შეურქმევიათ: „ფიხის ჯვარი“. დღეს ტოპონიმი დაკარგვის პირასაა [1].

ადგილი ნარუჯაში, ჩიქვეთში, ჭანიეთში, ჯურუყვეთში [5, 172].

ფიხისჯვარი – ტყე ჭანჭათში [5, 172]. [3, 82].

ქვედა სამება – უბანი სამებაში [5,177].

ქვედა ჯვარცმა – უბანი ჩაისუბანში [5, 178].

ყველაწმინდას გორა – ადგილი წითელ მთაში [5, 183].

ყოვლად წმინდის კარი – ნასოფლარი საჯავახოსთან [5, 183].

ჩაჩუების ჯვარი – გორაკი პატარა ოფეთში [5, 190].

ხატის მამული – სათესი თავსურებში, ადგილი კაპრუანში, მთისპირში, ჭანჭათში, ჭაჭიეთში, გოგოლესუბანში [5, 207].

ხატმამული – სათესი ადგილი დიდოფეთში [5, 207].

ხატმამულა – ადგილი ნაწილოფეთში [5, 207].

ხატის დელე – წყარო სოფელ შრომაში და ორმეთში.

წყაროს პირას ძველად მდგარა ეკლესია, თუ რომელი წმინდანის სახელობისა უცნობია, ადგილობრივები უწოდებდნენ ნატაძრალს [1].

ხუცის ადგილი – ადგილი მამათში [5, 211].

ხუცის ნასახლევი – ადგილი გურიანთაში [5, 211].

ხუცის ნაყანევი – სათესი ადგილი შუაფარცხმაში [5, 211].

ხუცის უბანი – ადგილი სამებაში [5, 211].

ხრიალეთი – უბანი სოფელ შრომაში, ტოპონიმი მომდინარეობს ზარის ხმიდან ხრიალიდან, როდესაც სოფელში ეკლესიაზე ზარს რეკავდნენ მისი ხმა – ხრიალი ყველგან ისმოდაო [1].

ჯვარი – ადგილი არჩეულში, აცანაში, ვანისქედში, ზემო აბაშაში,

დიდვანში, დიდოფეთში, უბან თხილაგანში, ლიხაურში, სასაფლაო მეწუთში, გორაკი ნიგორზღვაში, საჩაიე ორაგვეში, ფატარში, გორაკი ქვაყუდეში, შევლაურში, მთა შუასურებში, გორაკი შუბანში, ადგილი ჩოხატაურში, ჭინათში ადგილი ხევში. [5, 212].

წმინდა ნიკოლოზი – ადგილი, პორტი, ციხე-სიმაგრე, გურია-აჭარის საზღვარზე, მსინარეებს ჩოლოკსა და ნატანებს შორის. ციხე-სიმაგრე აგებულ იქნა რუსული მართველობის პერიოდში, საქართველოს მთავარმართველის რტიშჩევის მიერ 1818 [1], [2,321].

ჯვარიანი – ტყე ახალსოფელში [5, 212].

ჯვარიანი ნაძვი – ტყე ბუღლეთში 5, 212].

ჯვარიანი წიფელა – სათესი ადგილი ოზურგეთის სასოფლო საკრებულოში [5, 212] [3, 79].

ჯვარი გორი – სასოფლო გორმაღლაში [212].

ჯვარი ზრუგი – გორაკი ზედა ყელში [5, 212].

ჯვარის გორი – გორაკი გორმაღალში პატარა ოფეთში [212].

ჯვარის ეკლესია – ნაეკლესიარი გოგორეთში [5, 212].

ჯვარის მთა – მთა ჭინათში [5, 212].

ჯვარის ფერდი – გორაკი კონჭკათში, მამათში [5, 212].

ჯვარის ქედი – ადგილი ქედი, საჩაიე ნაკადულში, მთა ქვემო ხეთში [5, 212].

ჯვარისწყალი – წყარო ერკეთში [5,212].

ჯვარის ჭალა – საძოვარი პატარა ოფეთში [5, 212].

ჯვარტალახი – სათესი ადგილი ლესაში, ქვემო ჩიბათში [5, 212].

ჯვარცმა – უბანი ერკეთში [5, 212].

ჯვარის ქედი – მთა ქვემოხეთში [5, 212].



ლიტერატურა

1. გ. გრძელიძე – პირადი ეთნოგრაფიკული 2013.
2. ჟ.გ. გამბა – მოგზაურობა ამერიკაში, ტI 1987.
3. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 1971.
4. ქრისტიანული არქეოლოგიის VI –სამეცნიერო კონფერენცია, 2002.
5. ალ. ღლონტი –სუფსა-ნატანების სეპეტი, 1993.

SUMMARY

CHRISTIAN TOPONYMS OF GURIA

It is known that the toponimic research has very great importance for city, region, village and other units. In previous article there are introduced Christian toponyms of Guria Region. It should be noted that today there are more than three hundred Christian toponyms in Region.

The local researchers – Yuri Sikharulidze and Aleksandre Glonti – worked hard for toponym's researching.

The previous article aims to inform the public about these toponyms because not to be forgotten and disappear.



ბიორბი ბიბაური
დაკარგული ისტორია
(უძველესი ღვთისმსახურების კვალ-
დაკვალ)

*„თავის ქვეყნის და გვარ-ჯილაგის ისტორია
ვინც კარგად იცის, იმას ვერანაირ მტერ
ვერ მაერვეს“
1981 წანაწერი. ხევს.*

/ხვთისო ლიქოკელი/

ქართულ ისტორიულ წყაროებში მოყვანილი ცნობები, ზოგიერთი დრამად შესწავლას მოითხოვს და ამოუხსნელია ბევრი დაკარგული ინფორმაცია. ისტორიკოსების მიერ ნახსენები მონათესავე ქვეყნის ხალხი, შემდგომ საუკუნეებში დაკარგულია, ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეა მოქცეული და შერეული. ისტორიული ეთნიკური პროქართველები თავისი გენეტიკური კოდის და მრწამსის გადასარჩენად თავისივე თვისტომთან მისულან და იბერიულ-ქართული ქვეყნის შენებაში ჩაბმულან. ასეთ ისტორიულ ინფორმაციას ვხვდებით „არიან-ქართლის“ შესახებ, „ქართლის ცხოვრებიდან“. ასევე სპეციალისტებისთვის ამოუხსნელია ვ. გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის მიერ ნახსენები „ჯაზირის მიწა-წყალი“, სადაც ქართველებიც ცხოვრობდნენ. ასევე ინფორმაციაა, რომელიც ეხება „ქალდეველთა ურიდან“ მოსულ მონათესავე ქართველი ხალხის ერთ ჯგუფზე „იგინცა დაეშენეს ქართლს“ [1]. ძველ ბერძნული ისტორიული ცნობებში ნახსენები და აღწერილი „კოლხები“ საერთოდ არ ჩანს ქართულ ისტორიულ წყაროებში, ასევე ქართველი ხალხების „ხალდეების“ შესახებ არასრული ინფორმაცია, ასევე ისტორიულ ფრიგიაში პროქართველი მესხების („მესხი“

ძებრძ.) შესახებ არასრული ინფორმაცია და ა.შ.

არქეოლოგიური მასალები და შემორჩენილი ტოპონიმთა საქართველოს სამხრეთით პროქართველთა ისტორიულ არსებობას ადასტურებს. საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული პიქტოგრაფიული და ფარული დამწერლობის ნიშნები, უძველეს დამწერლობის ტრადიციას ადასტურებს. ასეთივე დამწერლობის ნიშნები საქართველოს გარდა კიდევ სად იყო, ამაზე კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ქრისტიანობამდელი ქვეყნის, წარსულის სწორი კვლევა ერთერთი მთავარია, სწორი ინფორმაციის დასადგენად და მომავალი თაობებისთვის სწორად გადასაცემად. ამ საკითხში ფარული ნიშნების იდენტიფიცირება და პროფესიონალურად წაკითხვა უპირველესია, რომელიც ძველ ღვთისმსახურების კულტურის ძეგლებს უკავშირდება. ქვები დაღუმებულან და ელოდებიან ამეტყველებას, ისტორიიდან ხმის მოწვევას. ფარული ნიშნები ღვთისმსახურებას რომ, ეკუთნოდა ამაზე რამდენიმე ფაქტი მეტყველებს, მაგრამ მთავარი კვლევა წინ გვაქვს. პირველი, საერთოდ უნდა ითქვას რომ, ქართულად „წერა“ და „შეწირვა“ ურთიერთკავშირშია. ნივთი თუ რიტუალი ყოველთვის იყო ნიშნებით დანიშნული, რათა ღმერთისთვის მიკუთნებულიყო. შესაწირავ ცხოველზე და პურსაწირებზე ჯვრის გამოსახვის გარეშე დღესაც არ ხდება (შესაწირის შეწირვა) სალოცავისთვის. იმ ჯვარსალოცავებზეა სწორედ საუბარი, სადაც მიმდინარე ღვთისმსახურება ძველ აღთქმასთან მსგავსია, უფრო ზუსტად ძველი აღთქმის არქეტიპია. ბოლო პერიოდში რამდენიმე წიგნი გამოვიდა სადაც მცდელობა იყო შედარებინათ ხევსურეთის ღვთისმსახურება და ძველი აღთქმის წესები („ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს-რწმუნებანი“ ავტ. ლ. გაბური). მათ შორის მსგავსებებია; კარავიანი ღვთის კარი,



ხუცესის ხელ-მხარის განათვლა, რჯულის კაცები, მოფიცრობის ტრადიცია, მოკვეთის ტრადიცია, სისხლის აღების ტრადიცია, მაწმიდარ-მაგანძურნი და ქადაგ-მისანნი, სამკადრეო ნაჭერი, უფროს-უნცროსობა, წინაპართა კულტი, წაყროთა დალოცვა, რქების შეწირვის ტრადიცია, ქვათა შენახვის ტრადიცია, წყაროს წყალში განბანვა, სალოცავის დიდი ქვებით აგების ტრადიცია, ცხოველის სისხლით განათვლის წესი, სამან-სამძღვრის ტრადიცია, ქალის უწმიდურების შესახებ, უსურმაგის შესახებ დაცვის წესი, შაბათის უქმი, ხატში მიბარების ტრადიცია, ხატში შვიდდღიანი დღესასწაულის და მსახურების წილის ყრის ტრადიცია, ხატისთვის პირველმოგებული ხბოს შეწირვის ტრადიცია, ხატში ზღვნობის და ხავიწიანი ქალების შეწირვის ტრადიცია, ტაბლის სახელდების ტრადიცია, „ფერხისაის“ ტრადიცია („მახანაიმის ფერხისაის“ (ქებათა-ქება სოლომონისა 7: 1,2), მკვდრის დატირების ტრადიცია, მკვდრის უწმიდურობა, პირის სახსნილოს ტრადიცია, ნაცარ-თვალი და გამაწმიდავებელი წყალი, ხატში ხუცესის ყავარჯენის (კვერთხი) ტრადიცია, ფარულ ნიშნიანი სალოცავის ქვები და ამ ნიშნების მსგავსება კაბალას თილისმათა სიმბოლოებთან, „კამალა“ და კაბალა, კიდობნით „წმიდა ჯვრის“ შენახვის შესახებ გადმოცემები და ბიბლიური „უფლის კიდობანი“ და სხვა. აქ შემთხვევითი მსგავსება ნაკლებად საფიქრებელია, რადგან რწმენასთან გვაქვს საქმე. ამას ღრმა კვლევა, რომ სჭირდება საერთო აზრია, სადაც სხვადასხვა სპეციალისტების, გამოცდილი, ცოდნა მოგვცემს სწორ დასკვნას.

ღვთისმსახურების ისტორიის მკვლევარები დღეს გამოთქვამენ აზრს რომ, მრავალღმერთიანობამდე მონოთეისტური რწმენა არსებობდა მსოფლიოს ხალხებში და დამადასტურებელ ნაშთებსაც პოულობენ, მაგ. ეგროპაში


მალტის უძველესი ტაძრის ნაშთები და სხვა. რწმენის სფერო ყველაზე დიდხანს ინახავს ენობრივ, ფოლკლორულ და რიტუალურ ფორმებს და აქედან ადვილია ზოგადი წარმოდგენების კლასიფიკაციის შესახებ. რომელი რწმენა იყო ნამდვილი პროქართული, ამაზე თვითონ სახელების და სახელწოდებების ეტიმოლოგია გვეუბნება. სხვა ერისგან მიღებული ღვთისმსახურება აჩვენებს, იმ ერისთვის დამახასიათებელ სახელწოდებებს, რაც მიღებული იყო რწმენიდან და ენობრივი ჩვეულებიდან გამომდინარე. მაგ: ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ბერძნული სახელწოდებები გაჩნდა ქართულ ღვთისმეტყველების ენაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ღვთისმეტყველებაში სახელების ეტიმოლოგია არ შეცვლილა, რადგან უფრო ძლიერი ტრადიციული ფონი დახვდა. მათი წარმომავლობა ქართული ცნობიერებით იყო განპირობებული. საინტერესო ინფორმაცია, 1212 წლის: „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იხემებენ“ (გვ. 111-112) [1] საყურადღებო გამოთქმაა „იხემებენ“ ანუ საკუთარის შესახებ წარმოდგენა აქვთ. აქ ღვთისმეტყველების ტერმინოლოგია ღრმად ქართულია და ამას ემატება „ჯვარის ენაც“. მთის მოსახლეობა მტკიცედ ინახავდა ოდიოგანვე წესებს და სხვა ენის (ბერძნულის) მიხედვით „ლიტურგია“ მიუღებელი იყო. იბადება კითხვა, ქართველთა წინაპრებს ხომ არ ჰქონდათ ძველი ალექსის მსგავსი ღვთისმეტყველება?, რომელიც ებრაული ბიბლიის ხალხური, უფრო ძველი წესი იყო. სალოცავებში შემორჩენილი პიქტოგრამები და ფარული ნიშნები დღეს რიტუალური ხის საბეჭდავებში შემორჩა მხოლოდ ფუნქციურად. ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ მოხდა სინკრეტიზაცია (შერწყმა) ძველ ღვთისმსახურებასთან და მთავარანგელოზების და ქრისტიანი წმიდა-



ნების სახელები ჩაენაცვლა. მთავარანგელოზების სახელებიც ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირდება, ხოლო ღვთისშვილები მითიურ ძეგლებად შემორჩა ხსოვნას. ხევსური ხუცესის „ხელ მხრის განათვლა“ შესაწირავი ცხოველის სისხლით მსგავსია ძველი ალექსის წესებთან, მაგრამ მოსეს და არონის ხსენება არაა. ბევრი მსგავსი ჩვეულება და საღვთო რიტუალია მსგავსი და სიღრმისეულად გამოკვლევას მოითხოვს. ხევსურული ღვთისმსახურება აშკარად უფრო ძველია და ქართული ენის ძირებს სწვდება. წარმართული ელემენტები შემატებულია, ხოლო ცენტრალური, მთავარი „მერიგეს“ (მორიგე, მარიგე) ხაზი მთავარია და მასზეა აგებული მთელი წესრიგი. ამ კონტექსტში ქართული ისტორიული ინფორმაცია, რომელიც ვ. ბატონიშვილს და ლ. მროველს („მეფეთა ცხოვრება“) აქვს ყურადღებას იმსახურებს, მაგ. „და შემდგომ დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა და შემოურიათ გარეგანი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი, და ბერძენნი და შემდგომად ურიან. და იტყვიან ესოდენითა ენითა. და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი“. (ვ. ბატონიშვილი „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“). „ქართული ჩვეულებანი“ გაიგივებული იყო „დამბადებელის“ ღმერთის რწმუნის წესთან, ეს ძალიან საინტერესოა ჩვენთვის. ისტორიულ პერიოდში რათანამიმდევრობას კჳონდა ადგილი, ამოუხსნელია. სიმბოლო-ნიშნების მიხედვით ხევსურეთში ღვთის ვარსკვლავის და სემიტური ნიშნების კვალი არ ჩანს. თვითონ ქართული ენა ენათმეცნიერებაში, სტადიური კლასიფიკაციით წინაინდოევროპულ ენების ჯგუფს მიეკუთვნება. იგი შედარებულია უძველესი კულტურის ხალხთა ენებს, როგორც არიან: შუმერული,

ელამიტური, სანსკრიტული, თაბალური, ხათური და ხმელთაშუაზღვის მკვლარ ენებს: კრეტულ, ეტრუსკულ და იბერიულ ენებს. ქართული ენის არქაულობა და ამავე ენაზე ძველი ალექსის მსგავსი ღვთისმსახურება ორგანულად ურთიერთკავშირშია. ღვთისმსახურების კონსერვატიულობა და ტრადიციის მდგრადობა ენის სიძველეს ინახავდა ყოველთვის. ხევსურულ სალოცავებში დაცული ნიშნები რამდენად უკავშირდება ამავე სალოცავების საკრალურ ბუნებას, ამის გარკვევა უმთავრესია. საჭიროა სიღრმისეული გენეზისის ძიება და სისტემურობის ხარისხი. შედარებითი ცხრილის მიხედვით, რომელიც ჩავრთეთ მონოგრაფიაში „ფარული ნიშნები“ [15], გარეგნული, გრაფიკული ფორმების შედარება შეიძლება შუმერულ, ხარაპულ (სინდურ), კრეტულ და იბერიულ დამწერლობის ნიშნებთან. მსგავსება 25-35-მდე ერთეული ფიგურაა. 8-9 ერთეული ნიშნის მსგავსება ნაკლებად საყურადღებოა, ხოლო უმეტესად განმეორებული ფიგურა უკვე სერიოზულად საკვლევი. აქ შემხვევითობა გამორიცხებულია და ენის ფაქტორი უფრო ხელს უწყობს, ამ დროს. 2011 წლის ინფორმაციით ასეთივე პიქტოგრამებიანი ქვები ლაზეთის მთიანეთშიც (არქაბი) აღმოჩნდა. იქაური ტოპონიმიკა და გეომეტრიული დეკორი რამდენად კავშირშია პიქტოგრაფიულ გამოსახულებებთან გასარკვევია.







საერთოდ დამწერლობის ისტორიაში პიქტოგრაფიული (ხატოვანი) და იდეოგრაფიული ფიგურები უფრო მეტი იყო, რადგან თითოეული ფიგურა შეესაბამებოდა სიტყვას, ხოლო სილაბური და მარცვლოვანი დამწერლობის ჯგუფები შემცირებული რაოდენობითაა ცნობილი. საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში მატერიალურ კულტურის ძეგლებზე დაფიქსირებულია 50-მდე განსხვავებული (სისტემური) ნიშნები. მათ შორის ჯვარ-სალოცავებზე და ამ სალოცავებთან არსებულ ციხე-კოშკებზე. სულ 170 ქვა, ზედ 900-მდე ერთეული განმეორებული წყობილი ნიშნები. ფარულ ნიშნებში ჩართულია ასომთავრულის მსგავსი ნიშნები და გეომეტრიული ფიგურები.

ძველ ქართულ ტრადიციულ სიმბოლო-ნიშნებში (მათ შორის ქართული დედაბოდის ორნამენტის სიმბოლოებში) რადგანაც სემიოტიკური სამყაროს დამახასიათებელი ნიშნები არ გვხვდება (ქრისტეანულ ძეგლების სიმბოლოებს არ ვგულისხმობ), მაშინ თვითონ ივრითში (ძველ ებრაულში) გახდა საძიებელი ასეთი სიმბოლო-ნიშნები. ქართულ ისტორიულ წყაროსთან შედარებით, ძველ ებრაული ისტორია უფრო ძველ ჩანაწერებს ინახავს. სწორედ ბიბლია გახლავთ ის ისტორიულ-თეოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ებრაელი ერის გმირულ წარსულს აღწერს. თავისი დადებითი და უარყოფითი ისტორიული პიროვნებების აღწერით გვასწავლის ცხოვრებას და ღვთისმორჩილებას. ღმერთისადმი ერთგულება და ეროვნული თვითმყოფადობა განუყოფელია და ამაზეა ებრაული ბიბლიის დედააზრი. ძველ ებრაული წარწერების ტექსტები ძვ.წ. X-VIII-საუკუნისაა აღმოჩენილი (გეზერის კალენდარი) და ისინი ღვთისმსახურების შესახებ არის. ბიბლიის მკვლევარები შტადე, ჰოლცინგერი, ბუდე, გუნკელი, ველჰაუზენი მივიდნენ იმ დასკვნაზე, რომ შესაქმეს წიგნში შესულია (წინაინდოგროპული ენიდან) ქალდეველთა ურიდან სხვა ხალხთა გადმოცემები და რიტუალებიც. მათ შორის შუმერული მითო-

ლოგიები და გადმოცემები. მკვლევარები გამოარჩევენ (დღევანდელი მონაცემებით) არაებრაულ სახელებს მაგ. თობელი, ლამეხი, მეთუშელი, ჰენოხი [2] გვ.408. ასევე მუსიკალური საკრავი ინსტრუმენტების სახელები: ბანბანი, ებანი და სხვა. გადმოცემებთან და სახელებთან ერთად უძველესი სიმბოლო-სკრიპტებიც გასათვალისწინებელია. ბიბლიური გადმოცემით ებრაელთა ერთ-ერთი (მთავარი) წინაპარი ებერი იყო (დაბ.19.25), რომელიც „წყალში გამსვლელი“-ს (მდინარეზედ გამსვლელი) მითიური მნიშვნელობით არის ცნობილი [19]. „ებერ“ - იქითა მხარეს, ასეთი შესატყვისობაც ცნობილია. „ბერეშიტ“ - დასაბამად საწყისი, „ბერი“- ახალი აღთქმა, „ბერა“- ჭრა, „ბარა“- შექმნა [13]. ებერთან ერთად იბერის ეტიმოლოგიაც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს. უძველესი „პიბრუ“ და „ნიპპურ“ სახელწოდებებსაც ერთნაირად ასახელებენ, მაგ. N.I.B.R.U. (M.Зильберман). მზის და მთვარის კალენდარული აღრიცხვიანობის შემოღებასაც შუმერული პერიოდიდან ვარაუდობენ მკვლევარები, რომელსაც ებრაული და ქართული ისტორიკოსები იყენებდნენ, ე.წ. „დასაბამისმიერი“ დროით ძველ ქართულად დღეს 7616 წელია. ეს წელთაღრიცხვაც შუმერული პერიოდიდან ჩანს მოდიოდა და არა მართლა დასაბამიდან (ავტ.). ჩვენი აზრით, „ებერი“ - რაღაც მნიშვნელოვანის „გადმომსვლელი“, გვიან მიაწერეს მდინარეზე გადამსვლელს. „ებერი“ - გადამსვლელი ასეთი შესატყვისობა ქართულ ენაშიც ნაცნობია, მაგ. „ებირება“, „გადაბირება“, „შაუნდნას იმასავ, თუ სხვაგანიურ, სულ რა ებირებოდასავ“ (ხევს. ლექს. აღ. ჭინჭარაული). ცნობილია გადასვლები სახელწოდებებში: „იბერი“ და „იმერი“ (იქითა მხარე). ბიბლიის მკვლევარი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლაბიოსი აღნიშნავდა: „თობელმა დაფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებაო“ (გეორგიკა 1. გვ. 271). აქ ქართული ბერიკაობის რიტუალია საინტერესო და ამაზე მოგვიანებით აღვწერთ. ბიბლიაში თობელის ანუ თუბალ-კაენის შესახებ ნათქვამია „ესე



იყო კვერთხით ხუროთმოძღვრული რვაღვლისა და რკინისა“ (შესაქმ. IV, 22). საქართველოში აღმოსავლეთ რეგიონშია „თებულოს“ მთა. აქ შემორჩენილი ტოპონიმები მსგავსია მესხურ-ლაზურ-ჭანურ სახელწოდებებთან, მათ შორისაა: „შუბან“ (ლაზეთი), „შუბან ნერგის ანგელოზი“ (ხევსურეთი. ლიქოკის ხეობა), არხოტა, კვირიწმიდა, აბულთა (აბულეთაურნი. ხევს.), ბისო, აჭე, აწუნდი(წუნდა) და სხვა. ბიბლიურად წარღვრის შემღვომ, „ებერი“ არ მონაწილეობდა ბაბილონის გოღოღის შენებაში და ენობრივ აღევაში არ მოხვდა. ამ დროს „ერთ ჭეშმარიტ ღმერთს სცემდნენ თაყვანს“ ასეთი ინფორმაციაც ინახება ბიბლიის მიხედვით, შემღვომ დაიწეეს უკეთურობა და იწეეს „გოღოღის შენება“. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები, „წეალში გამსვლელი“ წარმოადგენს უფრო ძველი მითიურ წარმოღვენას მაგ. შუმერული მითოლოგიით „ღვთაებრივი წელიდან განუნიდან“ ღვთაება ამოღის (მათ შორის ინანა), იგივე „უთუსეული ენგურის სახლიდან“ ზეკაციის ამოსვლა (შუამდინ. მითოლოგია ზ. კიკნაძე).



„განუნი“ და ქართული დედაბოღის სიმბოლო-ორნამენტი ანალოგიურად ქართულ-ბასკური ენებით „იბერის“ დაკავშირება წეალთან, მდინარესთან და ტბასთან (ტაბალი) ცნობილია. „ტაბალ“ - ებრაულად წეალში ნათლობა (ტაბუირება - დაფარული საიდუმლოება). ენათმეცნიერები „ტაბალს“ და „იბერს“ ერთმანეთს უკავშირებენ. სახელწოდება იბერი (ბერ) ღრმა წარსულში არსებობდა და ამ ენაზე მოსაუბრე ხალხები, წინაინდოფეროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხად მოიაზრება. „მესხნი ჩვენაც გვეყან წელისანი“ - ასეთი ხალხური ღექსიც მოიპოვება ხევსურულ პოეზიაში. „წელისანი“ ღვთიშვილები იყვნენ ასეთი მონაცვლეობაც სჩანს მეორენაირ ამავ დროის ღექსში: „ხორეჯნ ჩვენც გვისხენ ღვთიშვილნი“. შუასაკუნების ხალხურ თეოლოგიურ წარმოღვენაში „ღვთიშვილების“ „წელიდან“ მომდინარეობის შესახებ წარმოღვენა, რომელიც ხალხურ ღექსშია, შემთხვევით არ შემორჩენილა (მსგავსება „ბერიკაობის“ დღესასწაულთან). ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა სიმბოლოების და ორნამენტების კომპოზიციებიც, სადაც ანთროპომორფული ფიგურები წელის (დაკავკაული და დატალღული ორნამენტები) მნიშვნე-



ლობის მსგავს სიმბოლოების შიგნით ან გვერდით ხშირად გვხვდება, ქართულ დედაბოძების დეკორატიულ გაფორმებებში და ძველი ავეჯის სიმბოლოებში. ტერმინი „წყალობა“ (შეწყალება) ღვთისმსახურების ენიდან მოდის ასევე და ჩვენი აზრით, „ღვთაებრივი წყლის“ გადმოცემას მიუთითებდა. წყლის კულტის ნაშთები შემორჩენილია პირენეის (იბერიის) ნახევარკუნძულზეც და ქართულ სამყაროშიც „ვეშა წყაროს“ მომდინარეობა „სიცოცხლის ხესთან“ არსებობს, მითოლოგიური გადმოცემებით. ფარული ნიშნების მსგავსი განლაგება ჩანს ერთერთ ქვაზეც იხ.სურ. 102. [15]



აღნიშნული საკითხი ცალკე საკვლევი თემაა და ბევრად მდიდარ მრავალფეროვან გამოთქმას და საკულტო ობიექტებთან დეკორულ-იდუურ კომპოზიციებს წარმოადგენს. სახელტერმინების მსგავსება შეიძლება შემთხვევითაც იყოს, მაგრამ როცა რწმენას და ღვთაებრივ წარმოდგენებს ეხება საქმე, მაშინ საეჭვოა უბრალო, მსგავსებას მივაწეროთ ფაქტები.

ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფების ინფორმაციით სახელი იბერიის ისტორია იმდენად ძველია რომ, იმ დროსაც, ე.ი. ანტიკურ დროსაც, იგი, უკვე ღრმა წარსულის მქონეა. ქართულ ლექსიკონში ფუძე „ბერ“ ღრმად გამჯდარია და უძველესია. ჩვენი აზრით, „იბერი“ არის ღვთისმსახურებიდან და მისი წარმოდგენიდან მომდინარე (იხ. „ბერიკაობის“ რიტუალი). „ბერ“ მთავარია და „ი“

თავსართია როგორც მაჩვენებელი მაგ. ი-სარი, ი-მერი, ი-რემი, ი-ელნო (მთა), ი-არა, ი-არალი და სხვა (ი და ე პრეფიქსებია და მათი მონაცვლეობაც ცნობილია, მაგ. „ებრო“, „ებირება“). ხევისურულ ჯვარ-სალოცავებში შემორჩენილი „საბეროები“ მიუთითებს წინაქრისტიანულ ღვთისმსახურების კვალს. საბერო ოთახია სალოცავს მიშენებული სადაც ჯვარის მსახურნი დამეს ათევედნენ დღეობების დროს [8]. „საბერო“ რომ წინა დროისაა, ამას ადასტურებს „ბერ ბაადურის“ შესახებ სალოცავთან დაკავშირებული გადმოცემაც და საბერო „ნინახთისა“ სადაც კოპალას, ქოხ-სამლოცველო ჰქონია და აქვეა „სანეს“ გორიც (ფშავი, შუაფხო). ფშავში არის ერთი საინტერესო სახელწოდება „ცაბაურთა“, რომლის წამომავლობა ამოუხსნელია და ამის შესახებ არავინ დაინტერესებულა, რათა ღრმად გამოკვლეულიყო. ჩვენი მცდელობით ნაწილობრივ შევეცადეთ აღგვედგინა უძველესი წარმოდგენა და ლოცვები, რომელიც ამავე სალოცავში ტარდებოდა, მაგ. ადგილობრივი ხევისბერი ხეთისო პატარაშილი (80 წ. 2012წ. ბულაჩაური), რომელიც აქ „მთავარანგელოზის“ სალოცავში მსახურობდა 36 წელიწადი, იხსენებდა ძველ ლოცვების შინარსს: „დიდება შენდა მთავარანგელოზო, ცასმარულო, ცასბარებულო, შენაგა-მარჯვებით, ჩვენდ წყალობა, დიდება დიდო მთავარენგელოზო“.... ვფიქრობთ ამავე სალოცავის სხვა ლოცვებზეც ასევე ჩასაწერი და შესადარებელი იყო და ასე შეიძლება ამოხსნილიყო „ცაბაურთას“ სალოცავის ქართული წარმომავლობა. სალოცავებში ხუცესის მთავარ თასს „ბარძიმნი“ ეწოდება და ესეც ბერის სასმისს მიუთითებს. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში ცნობილია მდინარე „იბერის“ არსებობა (სტრაბონი) და დღევანდელ „იორს“ შეესაბამება ეტიმოლოგია (იბერი-ივერი-იორი). ამ მდინარის ხეობაში არსებობდა დასახლება „ბერი“




(დღევანდელი ჟალეთი. ვ. ბატონიშვილის მიხედვით ადრე ერქვა „ბერი“). „პიბერი“ ასეთი სახელწოდება რომაულ პერიოდში არსებობდა. მესოპოტამიაში მდინარე იორდანის ტბას, ტიბერიის ტბა ეწოდებოდა. უფრო უძველეს შუმერულ მითოლოგიაში ცნობილია „ბეროსოსი“ - ძველი ღვთაების სახელი და „ბარა“ - უზენაესის მნიშვნელობით იხსენება (შუამდ. მით. ზ.კიკნაძე). ამავე მითოლოგიაში ნახსენებია „ქუსინგ“ (უზენაესი ქურუმი), რომელიც „ხუცესი“-სთან მსგავსია, ჩვენი აზრით, ასევე მსგავსებაა „მერიგე“ (მორიგე, მარიგე) შუმერული „რიგმე“-„პირველი ღვთაებრივი უდიდესი ხმა“, რომელმაც წესრიგი მისცა სამყაროს (ღმრთის დაბადების წინა ხმა). თუშეთის ჯვარის მსახური „შულტა“ ძალიან ჰგავს, ასევე შუმერულ „შულპაეს“-„ახალგაზდა უფალი გამობრწყინებული“ (იქვე). ბოლოს მთავარი, ხევეურეთში ბერიკაობა იმართებოდა ახალ წელს, გამცხადებას (18 იანვარი), გუდანის ჯვარში, განმცხადება-წუხრას აქ იცოდნენ „ბერიკაობა“. „ბერბაადური“ გუდანის ჯვრის სახელია, „გმირმა ბერბაადურმა - გუდანის ჯვარმა დელამფარი უფარა“ (ბაჩანა რაზიკ. „რამე-რუმე მთისა“). ბერიკაობის თემა ცალკე, ღრმად საკვლევი, რადგან მთაში მისი რიტუალური ფორმები და სემანტიკა, უფრო ძველ წესებს შეიცავდა. მთავარი პერსონა „ბერიკა“ ატარებდა სხვადასხვა ნიღბებს და უფრო ხშირად მიღებული იყო კურდღლის, ღორის და თხის ნიღაბი. კურდღლის ნიღბიანი ბერიკა ჯვარ-სალოცავიდან კურთხევით გამოდიოდა და ჯგუფთან ერთად დადიოდა სოფლებში. მუსიკის და მღერის თანხმლებით დადიოდნენ ოჯახ-ოჯახ და აგროვებდნენ შესაწირავს. ბერიკას კურდღლის ნიღაბი თავისი ლამაზად გაწყობილი უღვაშებით ძალიან დაფასებული იყო და უღვაშის „წართმევა“ ბარაქის მომცემი იყო ოჯახისთვის. „წაგლეჯილ უღვაშს პურის მოსახელ

ვარცლში ჩააგდებდნენ და ეტყოდნენ: „ბარაქისა არათასა, ბარაქისა ბევრათასა“.. „ბერიკა“ს ვითომ დაიჭერდნენ და მოკლავდნენ, მერე დედოფალი წყალს აპკურებდა ან პატარა წყალში ჩააგდებდნენ და „გაცოცხლებოდა“. იყო დიდი მხიარულობა“ (ხევისბერი. ფშავი. მუქო. ფილიპე ბალიაური 70წ. 2012წ.) „ბერიკა“ ამ შემთხვევაში სალოცავთან დაკავშირებულია და იგი ამდღორძინებელი, ხევის და ბარაქის მომგანია სიმბოლოურად. „ამ მხიარულობის სიცილის ბუნება, ბუნების სიცილში იღებს სათავეს, იმ ბუნებისა, რაც გვამყოფებს. სადაც დაუსრულებელი მიწიყვ ახლად მშობი ამდღორძინებელი სხეულები და ფორმები ურთიერთგარდამავლობენ, სადაც მიკროკოსმოსი ღიაა მაკროკოსმოსის მიმართ“ (ზ.ქარუმაძე. რა არის პანტაგრუელიზმი?. ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი. 1991 თბ. გვ. 351-360). (სამწუხაროდ, ბერიკას და დედოფლის მისტერიაში ბაბილონური თამუხის და იშტარის სახეებსაც ხედავენ, რაც ჩვენი აზრით არასწორია). ბერიკაობის რიტუალებშია ჩადებული უძველესი პროქართული მსოფმხედველობის დედააზრი, რომელიც ქართულ ზღაპარშიც გვხვდება, მაგ. დედინაცვალი გერს კლავს, იგი ხედ ამოდის, მისგან სალამურს აკეთებენ, სალამური საუბრობს თავის შესახებ, სალამურს ცეცხლში აგდებენ, ფერფლი აღმოცენდება ისევ მცენარედ და საუბრობს. დაუსრულებელი მოკვდომა-აღორძინების იდეა-მისტერია სწორედ ბერიკაობის დედააზრშია მოცემული, რომელიც ეროვნული თვითმყოფობის, თვითგადარჩენის სტრატეგიის ერთერთი მთავარი ხაზია უძველეს ღვთისმსახურებაში. აქ „ღვთაებრივი წყალიც“ ჩანს და წყლიდან ამოსული ბერიკას მხიარული სახეც. „ბერიკას“ მოსვლა იგივე „გადასახევა-გადმოსვლა“ საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს ებრაული მამამთავრის „ებერის“ შინაარსობრივ გადმოსვლას-



თანაც. ეს უკანასკნელი გვიანდელი მატერიალიზებული გადმოცემითაა ბიბლიურ ისტორიაში. მსგავსება „წყალთან“ და „გადმოსვლასთან“ არაა მხოლოდ, ასევეა ებრაული წყალში დაფლა (განწმედა) „ტაბალ“ სახელწოდება. ამას უკავშირდება ხევსურული ზემოთ ნახსენები ლექსი: „მესხნი წყლისანი“-ს შესახებ ხალხური ლექსიც და „წყლის ხალხი“ (ბასკ.) და „ტბის ხალხი“ (ტაბალეები. ქართ.). ბერიკას პერსონა დღეობაში მთავარია და ხევსიბერის თანაშემწეა თითქოს. ფშავში გვიანობამდე იყო შემორჩენილი „ბერიკაობა“, ხოლო ხევსურეთში დღეს თითქმის დავიწყებულია. ჩვენი აზრით, „ბერიკაობა“ არქაული პალეოლითური დროის ხალხური საღვთო წარმოდგენის გამოძახილია, რომელიც წინაინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე იბერიულ და პრობერიულ ხალხებს ჰქონდათ. „ღვთაებრივი წყლის“ მნიშვნელობა ბერიკაობის მთავარ პერსონასთან „ბერიკას გაცოცხლებასთან“ თავი მთავარია და ამას ეხმიანება შორეული ბასკური ენით „ური“ (ურ) პრეფიქსის და სუფიქსის გამოყენებაც, რომელიც „წყალს“ ნიშნავდა და ნიშნავს. ხევსურეთში გავრცელებული სახელებია; ბერდია, ბერდუდა, ბერისძე, ადუა, გარსია, აბა, აბაისძე, ალუდა, უთურგა, შარუმა, სამძიმარი, მინანი, თამთინა, ქალდა, უა და სხვა. ცნობილია სალოცავში „მიბარება“ ანუ სალოცავისთვის, ღმერთისთვის გადაბარება (მიკუთნება). ასევე დასავლეთ საქართველოშიც არსებობს უძველესი ძეგლის ნაშთები სადაც „ბერ“ ამოსავალი ფუძეა სახელწოდებისა მაგ: „ნაბერაყუ“ და სხვა. ძველ ქართული ქალაქური სადღესასწაულო დღეობა „ბერიკაობა“ მხატვრულ სახიობაში გადასული პერსონაა, რომელსაც რწმენასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს. ენათმეცნიერები „ბერის“ ეტიმოლოგიას „ბრძემდი“, „გრდემდი“-ს სახელთანაც აკავშირებენ, როგორც ლითონის დასამუშავებელ ხელსაწყოებთან (პროფ.

მ. ქურდიანი). ქართულად ფერად ლითონის სახელი „თითბერი“-ც ძველია. ჩვენი აზრით, „ებერი“ და „ბერი“ უფრო თეოლოგიური სახელწოდებაა ვიდრე გეოგრაფიული. „ბრ“ თანხმოვანთა კომბინაცია ნათებასთან და ბრწყინვასთანაც (ბრიალი, იბერთქნა – ხმაურით გაცეცხლდა) გვხვდება ქართულ ლექსიკონში. „ბერ“ - სახელწოდება უცხო არაა იბერიულ-კავკასიურ ენაშიც, მაგ: ვაინახურში იგი „დაბადებასთან“ და „დამბადებელსთან“ კავშირშია (Бераш ден ца- მშობლიური სახლი, Бер динарг – სამშობიარო). ბერის სახელი უძველესი დროიდან საღვთო წარმოდგენებში და გეოგრაფიულ ადგილებიდან მოდიოდა (ქართ. „ბარი“ და ბასკური „ბარ“-ჭალა. „იბაი“ – მდინარე. „იბერ“ – მდინარის, წყლის ხალხი. იხ. რ. ლაფონი („ბასკური ენა და ბასკურ-კავკას. ჰიპოთ.“. 1976). რაც დღეობებში ნაშთებად შემორჩა იგი საღვთო რიტუალიდან იღებდა სათავეს, ასეთია მკვლევარების აზრი. იბერიულ სკრიპტოგრამებში „ბე“ მარცვალი აღინიშნება ცალმხრიდან სხივებიანი წრე, რომელიც მსგავსია ეგვიპტური იეროგლიფის „ათინ“ (ატი). იბერიული „ბე“, „გე“ [16] და ხევსურეთის სოფ: კისტანის ღვთისმშობლის სახელობის სალოცავთან ციხის ქვის ნიშანი, იხ. სურ. 95 [15].



იბერიული მარცვლობანი გეომეტრიული ფიგურები ასტრალურ-კოსმო-



ლოგიური ხასიათისაა და მხატვრულად ჩამოყალიბებული ნიშნებია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილია ქურუმი-ქადაგი ქალის „მინანის“ შესახებ გადმოცემაც, რომელიც წმ. ნინოს არქეტიპია და ზოგჯერ იგივედგება კიდევ. მის სახელს უკავშირებენ „ჯვარისმსახურების“ დაარსებას და კარატის, გუდანის, ხახმატის ჯვარ-სალოცავეების წარმოქმნას. ჭალაისოფელში „კარატის“ ჯვარ-სალოცავში აღმოჩენილია ფარულ ნიშნის მინანის „ქვა-ტაბლა“, რომელზეც „დღეობებში ქალებს აწვობდნენ და სანთლებს ანთებდნენ“ (ადგილ. ხუცესი იმედა ლიქოკელი 65 წ.) „მინანის“ სახელიც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს შუმერულ მითოლოგოებში დაფიქსირებულ „ინიმინი“ - „პირველი ღვთაებრივი სიტყვა“-სთან. შუმერულ ენის საღვთო სახელ-ტერმინების გარდა მსგავსებაა ამავე კულტურის პიქტოგრაფიკით და სიმბოლოებითან, (იხ. „განუნი“ და „ენგურის“ გამოსახულება და ქართული დედაბობის ორნამენტული სიმბოლო) იხ. ზემოთ გრაფიკ. გამოს. ქართულ გამომსახველობით დეკორში გეომეტრიულად სტილიზირებული სიმბოლოები ორნამენტის ფორმით გვხვდება საკულტო ობიექტებზე. საინტერესოა რომ, დასავლეთ საქართველოს მდინარე „ენგურის“ სახელის მსგავსად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევსურეთში სოფლის შუა საღვარე ქუჩას „ენგური“ (ინგური) ჰქვია და ეს სახელწოდება შატილის შუა ქუჩას დღემდე შემორჩა. კოპალა და იახსარი ბერებად იცნობიან და საინტერესოა რომ, იახსარს თავისი საბერო და სამლოცველოც ქოხიც ჰქონია „ნინახისა“, „ნინახი“. აქ „ნანა“ ღვთაების და „წმ. ნინოს“ სახელები ურთიერთთანაცვლებულია. რას ამბობს ბიბლია აბრაამზე და უძველეს ღვთისმსახურებაზე?

ბიბლიური ინფორმაციით აბრაამი ქალღვევლთა ურიდან გამოვიდა და

გამოიტანა ღვთისმსახურების ტრადიცია (მელქისედექის დალოცვა. დაბ. 14: 18-20). მელქისედექი „უხენაესი ღმერთის მღვდელი“ (პავლეს ეპისტ. ებრაელთა მიმართ. თავი 7) ასეთია უცნობი მონოთეისტი ღვთისმსახურის აღწერა ბიბლიაში. ეს ღვთისმსახური ნახსენებია კუმრანის ტექსტში „მიდრაშ მელქისედექ“, როგორც „წმიდათა მეფე“ და „მღვდელი მუდამ“. იგი თითქოს წარდგენამდელია და მისი ღვთისმსახურებაც წინა დროისაა (ენოქის წიგნი, ესეველთა ორიგინალიდან). გაურკვეველი წარმომავლობის „უბამო, უძმო უნათესავო“ მელქისედექი საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ქართულ ხალხურ მითოლოგიაშია ასევე „უბამო, უძმო“ ამირანის ეპოსი. ბიბლიურად, ამ დროს, საფიქრებელია უძველესი ღვთისმსახურების წესებიც და ამ ღვთისმსახურების შემნახავი და გადმომცემი სკრიპტები (ფარული ნიშნები). არქეოლოგი ლეონარდ ვული რომელმაც გათხარა უძველეს ქალაქურის ადგილები (25-30-იანი წ.) მან აღმოაჩინა 1840 სამარხი (ძვ.წ. 2500წ.) და უმეტესი თავის ქალა კავკასიურ-ევროპეიდური რასისაა. ბიბლიური აბრაამის დროის დამწერლობის ნიშნები გაურკვეველია და სასაუბრო ენაც [21]. მითური გადმოცემით ბიბლიური „ჰენოხის ენა“ დაკარგულია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ბიბლიური ეს პერიოდი, ისტორიოგრაფიული არტეფაქტებით უცნობია. „აბრაამი“ („ხაიბრი“), ეთნონიმი „ხა-იბრი“ ძალიან არქაული წარმომავლობისაა ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ წერილობით წყაროებში (M. Зильберман). „Ибру, Ибри. (пересекшие реку Евфрат) – слово из Шумерского языка“ [28]. ბიბლიური „უფლის ალექსელი“ მიწის დაკავება და ადგილობრივი ხალხის განადგურებას თავისებური არქაული გადმოცემა გვაქვს ქართულ მითოლოგიაში, როცა მიწას ველურები „დევეები“ არიან დაპატრონებულნი, რომელიც ადამიანის ჭამასაც არ ერიდებიან. მაშინ ღმერ-



თის მითითებით „ღვთიშვილი“ ჩამოდიან პირველად გერგეტის ტერიტორიაზე და ეხმარებიან ადამიანებს მიწის დაკავებაში. ჩვენი აზრით, აქაც უძველესი ისტორიული მითოლოგიზირებული მოვლენის გვიანდელი ინტერპრეტირება ჩანს, რომელიც კეთილის გამარჯვებაა ბოროტებაზე, ანუ ისტორიულად ადამიანების გამარჯვება ველურ და სასტიკ არსებებზე. ველური დევების ამბავი ზღაპარშიც დამკვიდრებულა, სადაც პატარა, სუსტი და ჭკვიანი ნაცარქექია ამარცხებს ბოროტ დევს. მთაში ამ ბრძოლების გამარჯვების ადგილებშია სწორეთ ჯვარ-სალოცავთა გვიანობამდე მოღწეული კვრები და ციხე-დარბაზები. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან არის დაფიქსირებული „ღვეისხვრელის“ გამოქვაბული, „საკერპო“, „ღვეთანადგომი“ (ზემოთიანეთი), „ღვეის ნასახლარი“, „ღვეის ნაციხვარი“, „ღვეის საფლავი“ (უკანა-ფშავი), და სხვა. მითიურად „ღვეი“ ველური არსებაა და მისი გამოჩენა შიშს იწვევდა. ამ მითიური დევების გამოა, როცა ყოველ სოფელთან არსებობს ე.წ. „უფრიანი“ ადგილი, ანუ მოსარიდებელი ხევი, რომელიც კეთილის ჯვარ-სალოცავის საპირისპირო საკრძაღვი ცუდი ადგილი. იქ ადამიანის მისვლა და გავლაც არაა მიღებული. „უფრიანის“ შესახებ საუბარიც კი არაა მიღებული კარგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

საქართველოში შემორჩენილ საკულტო ძეგლებთან დაფიქსირებულ ფარულ (სკრიპტებზე) ნიშნების შესახებ, გამოცემულ მონოგრაფიაში („ფარული ნიშნები“) განგებ არ აღვნიშნეთ და არ ვაჩვენეთ, შედარებით ცხრილში კიდევ ერთი სიმბოლოები. საქმე ის გახლავთ რომ, ამ სიმბოლოების ჩვენებით უფრო გავართულებდით ისედაც რთულად ასახსნელ ფაქტებს და უფრო გაურკვეველობას გამოიწვევდა. სირთულე არა მარტო გრაფიკულად მსგავსებაა, ასევე ღვთისმსახურების (ძველი

აღოქმის) ანალოგიური წეს-ჩვეულებანი. საქმე ეხება ე.წ. „კაბალას“ თილისმების ნიშნებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებს.

კაბალა არის უძველესი სწავლება და ფილოსოფია, რომელზეც დაყრდნობით წარმოიშვა ებრაული საღვთო წიგნი „თორა“. კაბალას ეზოთერული მომდინარეობა 2-ე და 12-ე საუკუნეში გამოჩნდა. იგი ეყრდნობა ეცირას, ბაგირის, ზოპარის სწავლებებს და მათ ნაწერებს (რაბინი იცხაკ ლურია აშკენაზი). მასში გაერთიანებულია 2-ე საუკუნის გნოსტიციზმი და ნეოპლატონიზმის შეხედულება. კაბალას ცნობიერება მოტანილია ისტორიული აბრაამის, მოსეს და სხვა ბიბლიური პატრიარქების მიერ (კაბალას ისტორია). მას ინახავდნენ საიდუმლოდ და თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა, „სულიერი ენერჯია რომელიც მოდის აბრაამიდან“ (კაბალს მიხედ). ჩვენთვის საინტერესოა კაბალას თილისმების სიმბოლოთა ისტორიული ხაზი და გრაფიკული ფორმების თავისებურებები. პირველ კაბალისტად აბრაამი ითვლება, რომელმაც შეკრიბა უძველესი ინფორმაცია და ღვთის მითითებით ჩაწერა. კაბალა საიდუმლოებით მოცული გემატრიებით და სიმბოლონიშნებით იყო ცნობილი. გამოიყენებოდა ე.წ. უძველესი „ენოხის ენა“, რომელიც ღვეს ებრაულ სამყაროში დავიწყებულია. მოგვიანებით ხელოვნურად, მედიტირებით შექმნილი „ანგელოზების ენა“ ოკულტურ რიტუალებს ემსახურებოდა (ეიდენის ენა). კაბალას თილისმების სიმბოლოები ასტრალურია და ძველ ებრაული დამწერლობიდან (?) მოდიოდა, თუმცა გაურკვეველია წინარე დამწერლობის ასოები და პიქტოგრამები. ჩვენი აზრით, ძველ ებრაულში სად და როგორ არსებობდა (ჯ. დის და ე. კეპის ინფორმაციით 16-ს.) ამ სიმბოლოების წინარე ნიშნები, ღრმად გამოსაკვლევი. სწორეთ გემატრიები და ასტრალური ნიშნები იქცევის



ჩვენს ყურადღებას, რადგან ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის პიქტოგრაფიკა და ფარულ ნიშნებთან 30-მდე (ერთეული) მსგავსია. იხ. კაბალას თილისმების ნიშნები.



სანამ კაბალაზე კიდევ ვისაუბრებდეთ, ჯერ აღვნიშნოთ ქართულ ენაში რა შეხებაა ამ სახელწოდებასთან. „კაბალა“ ძველ ქართულად ნიშნავს: „ხართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლითა მოსაცემად პირობითა რითმე სხვადასხვაითა“ (ს.საბა) [12]. ცნობილია გამოთქმა „დაკაბალეული“. ხევსურეთში და თუშეთში კაბალა არ ხსენდება, მაგრამ არის ერთი სახელწოდება „კამალა“, რომელიც ღმერთის პირდაპირ სამყოფელს აღნიშნავს, „შენს კარს, შენს კამალას დაიყენენ უამსა-უუამოსა, ბნელსა-ცისკარს“... (ხახმატის ჯვარის ხუცობიდან. გ.ალუდაური 2002წ.) [8] ხევსურულად კამალა არის, მერიგეს (მორიგე, მარიგე) სამყოფელი მეცხრე ცაზე (ზოგან მეშვიდე ცა). „ცა ქვეყნის გამჩენო, დამრიგებელო, მომრიგებელო მერიგე ღმერთო“, „თქვენ, თქვენს გამჩენ, მერიგე ღმერთს ნუ მაიწყენთ და ნუ მაიძულებთ, თქვენ გამჩენ მერიგე ღმერთ არ მაგიწყენთ და არ მაგიძულებთ“ [8]. კამალა სალოცავში ყველაზე შიგნით, დაცულ ადგილზეა. ხუცობებში, წინადადებების ბოლოს ითქმება „ადამდე“, რომელიც „ამინ“-ს

მაგიერ იხმარება და გასარკვევია მისი მნიშვნელობა [9]. ძველებურ ჯვარსალოცავთა ხუცობებში უმეტესი გადმოცემა მხატრულ-ქარიზმულ სტილშია დაცული და ამაზე თითქმის არავის უმუშავია. მცირე გამოჩენილია „ჯვარის ენის“ შესახებ კვლევები და ისინი სამწუხაროდ მხატვრულ გაფორმებად არის მიჩნეული.

ებრაულ კაბალაში არის გემატრიები, რიცხობრივი გამოთვლების საფუძველზე შექმნილი საღვთო სახელები და სქემები. სწორედ აქ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქართული ენის გამოთქმა „შემოთვლილი“, რომელიც ბრძანებას და რიცხოვნულ ანგარიშსაც გულისხმობს. ხევს. მითოლოგიაშია ქადაგის ნათქვამი: „ძალა და შეძლება ღვთით მაშინ მქონდ შ ა მ ა თ ვ ღ ი ლ, კოჭნმირგვალნ კარზე რომ დამდიოდესაჲ“ [8]. ქართულ ღვთისმსახურებაში გემატრიები იყო, თუ არა, ასეთი კვლევა აუცილებელია პროფესიონალურად ჩატარდეს. დაფარული უძველესი წესების ნაშთები, ამაზე მეტყველებს. ხევსურულ ღვთისმეტყველებაში „თორა“ და ებრაელი წინასწარმეტყველები არ ხსენდება, რაც ამტკიცებს რომ იგი წინა დროისაა. თორასთან და თორის ეტიმოლოგიასთან საინტერესოა ქართული ისტორიული საბრძოლო ჩასაცემელი ჯავშანი „ორი“. საბრძოლო თორზე იყო გამოსახული ასტრალური ფიგურები: მზე, მთვარე, პლანეტები, ვარსკვლავები და სხვა ციური მნათობები [6] გვ.125. დეკორატიულობა შერწყმული იყო საკრალურ-აპოტროფიულ ფუნქციასთან. ხევსურულ ხუცობაში სადაც ქრისტიანული წმიდა წერილების ტექსტები შეერთებულია უძველეს ტექსტებთან, ერთი საინტერესო ინფორმაციული ადგილია. აქ „სიონელ ძმებს“ ახსენებენ და „ადგეს წავიდეს“-ო, ასეთი თანამიმდევრობაა: „ჩვენო ძმანო სიონისანო, მტკიცენო, მტკიცედ იყვენით, საქმესა ჩვენსა აღმატობდით, განაცუდდა შრომა იყო



რემენი, იწვა ეძინა ჩვენისა ოხითა კვირაისითა. ა დ გ ე ს წ ა ვ ი დ ე ს, მ ა ა ხ ს ე ნ ე ს ღ ვ თ ი ს მოწაფეთა ანგელოზთა -ადე, განიღვიძე! ადგა, განიღვიძა დილიხნია ფრია დაძღვეს, ეგენ უფრო საყიდელნია ცათაშია-თქვა უფალმა“. ქართული დღეობების კალენდარი. 2. აღ. ოჩიაური [9] გვ. 14. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, თუშ-ფშავ ხევსურეთის და მთიულეთის ძველი სალოცავების კარები და ფასადი უმეტესად სამხრეთის მხარესაა მომართული, ხოლო შესაწირავ ცხოველს თავით აღმოსავლეთით აყენებენ, აქაც, ვფიქრობთ გარკვეული ტრადიციული წესი იყო დაცული.

გუდანის ზენა სამხვთო ჯვარში, ხუცობაში იხსენიება „კულხა“. „შენ ხარ კულხელი“ (ხუცესი გადუა არაბული 2004 წ. ჩაწერილია დოკუმენტური ფილმი). ცნობისათვის მსოფლიოს ისტორიაში სხვადასხვა დროს და ადგილას იყო „კულხა“. ყველაზე ძველი შემერული ურის ქალაქი შემდგომ იხსენიება როგორც კულხა, ეგვიპტის ძველი ქალაქი იყო კულხა და დღევანდელი ლაზეთის წინა პერიოდი ასევე კოლხეთად იხსენიება ძველ ბერძნულ წყაროებში. რომელ კოლხას ახსენებენ გუდანის ზენა სამხვთო სალოცავში გაურკვეველია და ამოსახსნელია. პირაქეთ ხევსურეთში არსებობს სოფ. ხადუ და ამავე ხეობაშია მამიშვილობის მოკლე გვარის ხალხი „აღდიანი“. ცნობილია ხმალის სახელი „კაღდიმი“ ასეთივე უძველესი სახელწოდებებია ზემო სვანეთშიც სოფ. ხაღდე და გვარი ქაღდანი. ცნობილია ფშავის სოფლის სახელი „ახადი“ და ადგილი შუაფხოში „ხადო“. ენათმეცნიერები ამ სახელწოდებებში ხედავენ სწორედ, უძველეს პროქართველთა ხაღდების და ქაღდების კვალს. „ხაღ“ (მოხაღვა) ცხელთანაც კავშირშია და მითოლოგიური გადმოცემით სოფ: ხაღუს თავს, ცროლზე, მთავარ სალოცავთან „თოფლი არ მოდიოდა ისე ცხელოდა და

სარიტუალო ქვაბებში უცეცხლოდ დუღდა ლუდი“ [9]. საინტერესოა მეცნიერების აზრი „ურ-ქაშდომ“ სახელის შესახებ, რომელიც ასევე ბიბლიაშია ნახსენები „უკანასკნელი აზრი (იგულისხმება დილმანი რი.) ვგონობ სიმართლესთან ახლოს იყოს ამიტომ რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი - „ქაშდომ“- ქართველის სახელია: კაშდომ = კასდივ - ქართივ. აქ ამ დავ მრავლობითის რიცხვის (= ებ) ნიშანია. ამგვარი ბგერათა ცვლილება ქართულში ჩვეულებრივია. მაშასადამე დაბადების „კაშდომ“ ქართველსა ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდომ“ ურარტუს ქართვეს.“ (ქართ. ერის ისტორია. 1 ტ. გვ. 411, 1960 წ.) არსებობს ხალხურ ნაქარგობაში სიმბოლო-ორნამენტი „ხ (ქხ) აღურა“ (ხევს. ლექს. აღ. ჭინჭარაული). შუამდინარეთში ასევე ცნობილია; „ხადუ“ - ძველ აქადურში ჭეკაქუხილის ღვთაება. არავის ხეობაში და კერძოდ ხევსურეთში აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი კერამიკის ნაშთები და სამარხები. მტკვარ-არაქსის დროის კულტურის ხალხი კავშირურთიერთობაში იყო შემერულ და მესოპოტამიურ კულტურასთან. ეს ეხება მეტალურგიას და საყოფაცხოვრებო ნივთების არქეოლოგიურ არტეფაქტებს. კულტურული ურთიერთობა ხშირად ერთნაირ გემოვნებას და წარმოდგენებს აყალიბებდა. ქაღდეველთა ურის ქვეყანაში ოფიციალური ინფორმაციით არამეულსემიტურ ენაზე მოსაუბრე ხალხები ცხოვრობდნენ, მაგრამ ასევე ცნობილია ამ ხალხთა ერთი ჯგუფის პროქართველების შესახებ ცნობებიც (ძვ. ბერძნული ისტორ. წყაროები. გ. ქავთარაძე ანატოლ. ქალთველურ ტომთა საცხოვ. 1985). სტრაბონის მიხედვით (გეოგრაფია. XII. 3, 19-24) ტრაპიზონსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობდნენ ქაღდები-ძველი ხაღიბები, რომელსაც პომპროსი ჰაღდიონებს და აღიბებს უწოდებს. ლაზეთში დღემდეა ტოპონიმები ოფის ხეობაში „ხაღდი“ და



„ხალდის მთა“, „ხალდიზენი“. ადიღურ ენის მავსულურის დიალექტის საყუხურ კილოში ქართველის აღსანიშნავად ძველი სახელია „ხალდე“. ხალდების გაგლენით შემორჩენილი ტოპონიმია მთიელ ჩაჩნეთში, ჭანთის თემი „ხილდე“ (ხილდე-ხაროი), კილდე (ხეესურეთი ჭალაისოფელი). ამავე ძირისა სხვა ხეობის სახელწოდებებიც: „ხდე“, „ხანდო“. ცნობილია ქალდეველთა ურის (ხალდეველთა ურის) გაუშიფრავი დამწერლობები, რომელიც მსგავსია საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ ფარულ დამწერლობის ნიშნებთან [16] გვ. 604. კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება უძველესი დამწერლობის გაშიფრა? აქ აუცილებელია ორენოვანი (ბილინგვა) ნაწერი იყოს, რათა სარწმუნო მტკიცებულებად ჩაითვალოს. შეიძლება ადგილობრივი ხალხური ტრადიციული ორნამენტების სახელწოდებების გათვალისწინებაც, თუმცა ეს მეორე გზა გაცილებით ძნელი დასამტკიცებელია. ენა ცოცხალი ორგანიზმივითაა, „მოძრაობს“ და „სუნთქავს“. გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ დღევანდელი სასაუბრო ენა 3000-4000 წლის უკანაც ასეთივე იყო. ყოველ შემთხვევაში გრამატიკული ფორმები, პრეფიქსები და სუფიქსები ხშირად იცვლებოდა ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ სიტყვათა ფუძეები დიდხანს ცოცხლობს. მოსაძიებელია ისტორიული ხალხის „ხალდების“ გვიანდელი საცხოვრებელი ადგილები, (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რაც გადაურჩა განადგურებას მცირე ნაშთიც ძვირფასია პიქტოგრამების ან სკრიპტების ისტორიისთვის (და არა მარტო მათთვის).

კაბალა მრავლისმომცველია, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს სიმბოლოები და ამ სიმბოლოთა წარმომავლობის ისტორიული სახეები. კაბალას საიდუმლო თილისმათა ნიშნები და გემატრიები ათასწლეულების განმავლობაში ინახებოდა. მათი გამოქვეყნება მოხდა XII

საუკუნეში ი. ელიცურის მიერ, შემდგომ ჯონ დიმ და ეკეპიმ XVI საუკუნეში უკვე უმეტესი ნიშნები გამოიყენეს [23]. მათი სიტყვებით „ანგელოზის მითითებით“. ამიტომ, ნიშნებსაც „ანგელოზის დამწერლობა“ უწოდეს. კაბალას სკრიპტების შესახებ რამდენიმე კვლევა არსებობს, მათ შორის ავტორები: ხ. ფარბრიდგე, ხ. ჯენინგი, ტ. უილსონი, დ. მასკენზიე, ნ. ჯენსენ და სხვა. ყველა მიუთითებს რომ, კაბალას სიმბოლო-სკრიპტები უძველესია. დღეს ეს ნიშნები გამოიყენება როგორც „თილისმები“ (Kabbala talisman). ქართულად „თვალისა“, ანუ „ავის თვალისგან“ დამცავი (კაბალას მის.) და დადებითი ენერჯის მომცემი. კაბალას სიმბოლო-სკრიპტები ზოგი იდეოგრამულია (ლიგატურით), ზოგიერთი მარცვლოვანია. მათი მსგავსება სემიტურ დამწერლობის ნიშნებთან ნაკლებია, ხოლო იბერიულ სკრიპტებთან უფრო მეტია. ასევე პიქტოგრამები შუმერულ და ხარაპულ დამწერლობის ნიშნებთან უფრო მსგავსია. ნიშნების ასტრალური ხასიათი უფრო თვალშისაცემია და ჩამოყალიბებული ფიგურებია. მაგ: კაბალას სიმბოლო-ნიშანი იხსნება როგორც „ხეციური და მიწიერი კავშირის, ანუ მამაკაცური და ქალური კავშირის შემკვერელი. ყოველი არსის ცვალებადობის და განვითარების საწყისი“.



როგორც არის ჩინური „ინის და იანის“ ნიშან-სიმბოლო (Ariel Megadriel-March). მსგავსი ფარული ნიშანი ფიქსირდება „მიწის დედური ღვთაების“ სალოცავში ბისო-ხახმატის ჯვარში



(ხევსურეთი) ქვაზე ამოკვეთილი. იხ. „ფარული ნიშნები“ სურ. 40. [15]



„ხახ“ - ძველ ქართულად მკვრივი ადგილია (გოხი, კოხი, ხოხი). ხევსურეთში გავრცელებული იყო კაცის სახელი „ხახონა“. ცნობილია თუშეთში სალოცავები „ქვედ ხახა“ და „ზედ ხახა“. „ხახმატი“ - „მკვრივი უმეტესი“. ეს სალოცავი ითვლება უხსოვარი დროიდან „რჯულიან-ურჯულთ“ საკრალურ ადგილად. მიწის დედური ნაყოფიერების სალოცავში არსებობს „ხელის კოშკი“ (სამძიმარის კოში) [8]. ხახმატის სალოცავი კახეთშიც არსებობს (ყვარელი სოფ. შილდა. ახმეტაში) და ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება უძველესი მატრიარქალური პერიოდის კვალს ამჟღავნებს, როცა ქალღვთაება „მეტი“ იყო მამრულ ბუნებაზე. იბერიულ მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნებშიც არის მსგავსი, გამარტივებული ფიგურა (მნიშვნელობა უცნობია). ბისო-ხახმატის ადგილებში შემორჩენილია არქაული ხასიათის ქვაზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა. ადამიანის მსგავსი ფრთიანი ფიგურა ამოკვეთილი ქვაზე. იხ. [15] სურ. 55. სავარაუდოდ „ქალღვთაების“ გამოსახულებაც გვხვდება „სანეს“ გორთან, ზენა სამხვთო გუდანის ჯვარში, იხ. [15] სურ. 11 ასეთი არქაულობა კაბალას სიმბოლოებში არ იგრძნობა, მეტიც, კაბალას თილისმების ზოგიერთ სიმბოლოს ნაპირებში სამკუთხედი „ეპმის“ და ამით ღურსმური დამწერლობის გავლენა ემჩნევა. „კონცეპტუალური სიმბოლოები“ აბრაამის მიერ გამოტანილი ქალღვთაური ირიდან (Gardner Laurance. Genezis grall

kings. Bantam press, 1999), იქვე, „აბრაამის მიერ მოტანილი ფირფიტები იყო „განაცხადი დაკარგული ცივილიზაციისა“. „განაცხადი იმაზე თუკი რამე კაცობრიობამ იცოდა ძველიდან. შუმერები ასეთ კომპოზიციებს უწოდებდნენ „ბედის ტაბულებს“. ტაბულები იყო როგორც „ხა-გაბალა“ და იყო ნათქვამი, რომ ვინც ფლობდა „გაბალას“, ასევე ფლობდა (Ram) ცოდნას, უმაღლეს გამოსატყულებას კოსმიური ცოდნისას“. „შუმერული უძველესი ქალაქი „ნიპპურ“ („ჰიბრუ“) გადაითარგმნება როგორც „გადასვლა“, „გადაღახვა“, ხოლო ძველ პიქტოგრამებში სახელი „ჰიბრუ“ გამოისახებოდა ჯვრით “В ранних пиктографических письмах ‘Н-ибру’ изображалось крестом” (А.Л. Оппенхейн). „ებერი“-ს წინა გამომხატველი სიმბოლიკა ჯვარი, თავისი ფესვით დაკავშირებულია უძველეს ისტორიასთან. „დიდი გადასვლა“ - ასე იხსნება უძველეს შუმერულ ტექსტებში შინაარსი“ (Gardner.L). ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ხევსურეთის ყოფაში სიმბოლო ჯვრის კულტი და „ჯვარისმსახურების“ მდგრადად ჩამოყალიბებული სისტემა. აქ სიმბოლურად ჯვრის საუფლოა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და სალოცავებში შემორჩენილ პიქტოგრამებშიც ჯვარი განსაკუთრებული ნიშანია ყოველთვის. თუკი სახელწოდება „ებერი“-ს და „იბერი“-ს სემანტიკური კოდი ჯვარს უკავშირდებოდა უძველეს დროს, მაშინ გამოდის, რომ „წმიდა ჯვრის“ შესახებ არსებული გადმოცემები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ფიქსირდება, ყველაზე საყურადღებოა. კერძოდ, არსებობდა კიდობანი, რომელშიც ინახებოდა ცოცხალი „წმიდა ჯვარი“. ეს ჯვარი ხალხს ეცხადებოდა მანათობელი მტრედის სახით [9]. ამ კიდობნით ხამხაში (ჩრდილო კავკასიაში) გადასულან ბოლოს და ხალხი მოქცეულა ჯვარისმსახურებაზე. ჩვენი



აზრით, „იბერის“ და „იბერიის“ კავშირი ჯვართან მიუთითებს უძველეს ჯვარისმსახურებაზე, რადგან, სანახ კიდობანში „ცოცხალი ჯვარი“ ინახებოდა. ქართულ ენაზეც თავისუფლად გამოდის სახელის გადასვლები, მაგ; „იბერი“ - „ივერი“ - „ჯვარი“. ცნობილია გამოთქმა: „საბერო ჯვარი“. ჩვენი აზრით, კიდობანთან დაკავშირებით, აქაც, არქაული ხასიათი იგრძნობა და კონკრეტულობა, იგი უფრო მნიშვნელოვანი მითიური ნივთის „ბუდეა“. ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ხსენებული კიდობანი ებრაულ უფლის კიდობანთან გაიგივდა და ამიტომაც „გაუფერულდა“ მის შესახებ გადმოცემები. შუმერულ, აქადურ ჩანაწერებში სახელწოდება „ნიპურ“-„ხაბირ“-„იბერ“ მნიშვნელობები ჯვარს წარმოაჩენს („ფესვით ჯვარს უკავშირდება“). იხ. Gardner Laurance), თამამად შეიძლება ვიფიქროთ, საერთოდ ჯვარისმსახურების ისტორიულ ხაზზე. ამ დროს ბიბლიური ტერმინი ებრაულად: „ბერეშიტ“ (დასაბამი), კიდევ სხვანაირადაც იქცევეს ყურადღებას, ადგან ერთმანეთში „ჩაწნული“ (ჩაშატული, გადაჯვარედინებული) დროის და სივრცის შექმნა, სამყაროს საწყისში საინტერესოა. ეს ინფორმაცია მყარდება უამრავი, ძველი გრაფიკული (ჯვრისებური) გამოსახულებების ფონზე, რომელიც არა მარტო ქართულ, არამედ უძველეს შუმერულ და იბერიულ საკულტო კულტურაშიც მყარად იყო დამკვიდრებული. ჯვრის სიმბოლოები ჩანს კაბალასთან დაკავშირებულ ჰექსოგრაფებში და პიქტოგრაფებში. კაბალას სიმბოლო-სკრიპტები ებრაული დამწერლობიდან მკვეთრად განსხვავებულია, უფრო მეტიც, ძველ სემიტურ ნიშნებთან მსგავსება ნაკლებია. ცნობილია სემიტური დამწერლობის ნიშნები როგორცაა: ძველ ფინიკიური, ქანაანური, არამეულის ნიშნები, ასურული, ძველი არაბული, სინაის მთის სკრიპტები, სამხრეთ სემიტური დამ-

წერლობები: სამუდის, საბეური, საფეის, ძველ ეთიოპური და სხვა [16, 17]. კაბალას სიმბოლოებში ჩანს ჯვრის ნაირსახეობები, ვარსკვლავები, მბრუნავი ფორმები და წრიული ფიგურები. გეომეტრიული ისეთი ნიშნები, რომელიც შუმერულ და ვედურ სიმბოლო-ნიშნებშია. რაც კაბალაში თილისმების ნიშან-სიმბოლოების სახით შემორჩა, მსგავსი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში სალოცავებში და ამ სალოცავებთან დაკავშირებულ კოშკებზეა დაფიქსირებული. ამ სალოცავებში კი ძველი აღთქმის არქეტიპი ღვთისმსახურებაა შემორჩენილი, რომელმაც მაცხოვრის (ქრისტეს) მოსვლა აღიარა და შერწყმულია რიტუალურად ხუცობის ტექსტებში. თეოლოგიურად ამ ფაქტის დახასიათება ძალიან რთულია, დღევანდელი გადასახედიდან, მით უმეტეს რომ, მთელი საქართველოს მასშტაბით ეთნოგრაფიულად ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში შემორჩენილა ასეთი ღვთისმსახურების ნაშთები, მაგ: კახეთში ზედაშეს ღვინის გახსნის რიტუალი და „ნანა“ ღვთაების უძველესი ლოცვები და „ანინა-მანინას“ სავედრებელი დარ-ავდრის ლოცვა, რომელიც ფერეიდნელ ხალხშია (თორელი ფერეიდნელები. ლექსო მაძულაშვილი.) შემორჩენილი, სალოცავში საქონლის შეწირვა, დედა-ღვთაების იგივე „ადგილის დედის“ საკულტო ადგილები, სალოცავის და დედაბოძების რქებით შემკობა, ქართულ ტრადიციულ საკულტო ობიექტებზე (ფარული ნიშ. მსგავსი) სიმბოლოების გაკეთება, მაგ. ქართლ-კახეთში ზედაშეს ღვინის ქვევრის პირებზე, სამეგრელოში ცხენის დაღები, სვანეთში ლიფანალური ნიშნები, ტრადიციულ ქართულ ქუდებზე და ყაბალახებზე ჯვრის სიმბოლოებით მორთვა, რიტუალური საახალწლო „ბახილას“ პურ-საწირები და მათი სიმბოლოები, საახალწლო ტრადიციული ჩიჩილაკების ჯვრებით მორთვა, დედაღვთაების მიხედვით ქალის სახელზე ძედ შემორჩენილი სახელები, მაგ. „ამირან-დარეჯანისძე“ (მითიური), „ნანაისძე“, „მარაისძე“, „თამარისძე“ (ანალოგიურია, გასკონის ბასკი მამაკაცები დედის სახელით მოიხსე-





ნიებიან) და სხვა სახელ-ჩვეულებანი სათავეს წინაქრისტიანული დროიდან იღებენ. ძველ ბერძნული ასლებში „ოიდიპოსის წიგნი“ საინტერესო ინფორმაციაა „ებერ“-ის სუბსტანტის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომ თავიდან მატრიარქალური იყო მათი რწმენა და მერე გადაირქმნა. ამის ნაკვალევია ებრაულში დედის ხაზის არსებობა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, ძველი ალექსის (არქექიპი) ღვთისმსახურების ნაშთები სემიტურ ენაზე მოსაუბრე სხვა ხალხებში არ არსებობს, ანუ ამ ღვთისმსახურებას უფრო ძველი წარმომავლობა აქვს, ვიდრე ინდოევროპული ან აფროაზიული ენები ჩამოყალიბდებოდა. საქართველოში ამდენი ხნის და ისტორიული მოვლენების გამოვლით შენარჩუნებული ძველი ალექსის მსგავსი ღვთისმსახურება, ახალ აზრს წარმოშობს და მის გენეზისს წარმოაჩენს. კერძოდ, პროქართველებს ჰქონდათ ღვთისმსახურება, რომელი უძველეს ენაზე წარმოიშვა და მტკიცე და „წმიდა“ იყო. საკითხი ეხება შემოტანილ სპარსულ კერპთაყვანისმცემლობამდელ და მზის თაყვანისმცემლობის წინარე რწმენის საკითხის გარკვევას და ქართულ ენაში დაცულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით, ე.წ. „ღვთაებრივი“ სიმბოლო-ორნამენტები საკულტო ობიექტებთან არა მარტო აპოტროფიული, არამედ იდეის მატარებელი იყვნენ.

საღვთო წერილში არის ერთი ძალიან საინტერესო საგანზე საუბარი, „შეჩერებული ქვა“ (Камень преткновения) - ღმერთის მიერ მოცემული და დადებული იერუსალიმში, რომელიც ჩვენს ყურადღებას იქცევს, „და მივცემ მათ თეთრ ქვას და მასზე იქნება, ახალი სახელი, რომელიც არ იცის არავინ, მხოლოდ მან ვინც მიღებს“ (გამოცხ. 2: 17-18). ბასილ კესარიელის განმარტებაში „ქვა“-ს მაგიერ „რიცხვია“ ნახმარი (შეადარეთ ქართ. „შემოთვლილი“ და „ნათქვამი“). ფშავ-ხევსურეთში არსებობდა და არსებობს საიდუმლოდ „ცოცხალ ქვასთან“ დაკავშირებული გადმოცემა, რომელიც სალოცავის (კერივში) თასში ჩასმული ინახებოდა და ძალიან ტაბუირებული

იყო მის შესახებ ინფორმაცია. კი. ივი თითქოს ღვთისმშვილებისგან დანატოვარი „ცოცხალი“ კვერცხის ფორმის თეთრი ქვაა, რომელსაც „მაკადრები“ ემსახურებოდნენ თავისებური წესების დაცვით. „მეფის რუსეთის კავკასიაში გამოჩენის შემდგომ, მას საფარველი დასდო ღმერთმა“ (ხევს. სოფ. კისტანი გ.ჭინჭარაული 85წ. 2004 წლის ჩანაწ.). ეს ერთერთი დიდი საიდუმლოა უძველეს ღვთისმსახურებაში და ვფიქრობთ, ქართულ-კავკასიური ინფორმაცია უფრო არქაული გადმოცემაა.

საინტერესოა რომ, არსებობდა „წმიდა ჯვარი“, რომელიც უძველესი დროიდან მოდიოდა. ასეთი ჯვარი კაბალას სიმბოლოებშიც არის და გარეგნული ფორმით შუმერულ სიმბოლოებს ჰგავს. აღნიშნული ჯვარი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში საკმაოდ გავრცელებულია და ცნობილია როგორც სარიტუალო (ფხოური) ჯვარი. ჩვენი აზრით, მოსაკვლევია ე.წ. „ჰენოხის ენის“ შესახებ გადმოცემები და კაბალაში „წმიდა ჯვრის“ ისტორიული წარმომავლობა (იხ. „ჰიბრუს“-ს შუმერული სიმბოლო) [27], რადგან მსგავსი ჯვარი საქართველოს ეთნოგრაფიულ დეკორში გავრცელებული ნიშანია და ასომთავრული „ჰოეს“ გრაფიკული ფორმაც ასეთ ჯვართან ჩანს კავშირში.





რას ამბობს კაბალას (რელიგიური არსი) სამყარო ასტრალურ-გეომეტრიულ სიმბოლო-ნიშნებზე?


„ანგელოზის დამწერლობა“ უძველესი დროის სიმბოლოების საფუძველზე წარმოიშვა და საიდუმლოებიდან თანდათან გამოქვდა. თავიდან ეწოდებოდა „ბერეშით“ - საწყისი [24]. „ღმერთმა დახედა სიმბოლოებს (რომლებიც დაწერა) და შექმნა სამყარო“ (ზოპარი). შედარეთ ქართული გამოთქმა „ბედისწერა“, სადაც ჩანს რელიგიურ-მაგიური გააზრების საკითხი. „პირველი ნიშნები რომელიც მიმართულებას აძლევს ყველაფერს“ (კაბალას მიხედვით). „ასეთი ნიშნები გამოყენებული იყო მანამ, სანამ ადამიანი გაჩნდებოდა“ (ეიდენის ენა), ანგელოზები როცა საუბრობდნენ ადამიანებთან (Voarchadumia) ცნობრიდან. (კაბალას მიხ.) მეორენაირად „მდინარეზე გამსვლელი“ (ებერი) დამწერლობა. კაბალაში ცნობილია 200-ზე მეტი ანგელოზის სახელი და მათ შორისაა: ბარაქიელი, არაგუელი, ასაელი, აზაზაელი, არაქიელი, ნანაიან, არმისაელი, გალიელი, ომაელი, მებანიან, ბეზალიელი, ეხექიელი, სარიელი, აბა, აბატონ, აბდია, აბულიელი, ალისტარიონ, ალალიელი, ამატორ, ამელიეთი, ანანაელი, ამბერ, არმაიტა, აფსუ, არაფიელი, არაქია, არჩანა, არჩანგელ, არურუ, ადად, აზრაული, ბარბოლ, ბარიელი, დარიელი, დარდარიელი, გაზარდიელი, გურიელი, კაბიელი, კუტიელი, პურიელი, ქუაბრიელი, საბლო, საჩიელი, გუარდიანი და სხვა. იდეოლოგიურ-სტრატეგიული პოზიციიდან გამომდინარე უფრო ძველი სახელები დემონურ ძალის მქონე ანგელოზების სახელებად არის მიღებული და მათ შორისაა მაგ: კობალა, კობალე, უპირ, ზეპირ და სხვა (G. Brecher) [22] („ელი“ - ძალა - ღვთური ძლიერი, ძველ ებრაული ენით). სახელები ბიბლიური ჩანაწერების მხოლოდ თანხმონებით იყო ფიქსირებული და გამომდინარე აქედან შეიძლება

სხვადასხვა ნაირადაც წარმოითქმებოდა მაგ. „ასაელი“ (იგივე ასაელ, ასაიელ, ასაიელი). კაბალას ანგელოზთა სახელების უმეტესობა ებრაული ენიდან გამომდინარე ძნელი ასახსნელია, თუ საიდან მოვიდა ისეთი სახელები როგორცაა, მათ შორის „არჩანა“, „ასაელი“, „არაქია“, „არაგუელი“, „გურიელი“ და ა.შ. ყურადღებას იქცევს ძველ ებრაულად დემონის სახელწოდება „ზეპირ“ და ხევესურული გადმოცემით მავნენი, ზოგჯერ „ზეპირ“ გამოდიან (ხედავირზე გამოდიან). „ზეპირ“ სახელწოდება, რომ მხოლოდ ძველ ქართული ენით შეიძლება აიხსნას, ეს უდავოა. ასევეა სახელი „კობალა“, რომელიც ძველი დროის საბრძოლო „კომბალის“ (კოპიანი ჯოხი) სახეცვლილი ფორმაა. „კობალა“ ბოროტების, იგივე დევების განადგურებაში იღებდა მონაწილეობას და დღეს სალოცავის სახელია თუშ-ფშავ-ხევესურეთში. ჩვენი აზრით, მითოლოგიური ებრაული „ჰენოზის ენა“ შესაძლებელია სწორედ, ამ საიდუმლო ინფორმაციის შემნახავი ენა იყო. სემი, ქამი და იაფეტი ერთი მამის შვილები იყვნენ და ერთ ენაზეც საუბრობდნენ, ხოლო შემდგომ მოხდა ენის გადასხვაფერება. ებერიანთა ენა სემიტური იყო უკვე, ქალდეველთა ურშივე?, თუ, იქიდან გასვლის შემდგომ მოხდა სემიტოზაცია?, ამის ამოცნობა დღეს ძნელია. „Что касается Шумерской культурой и цивилизации, нет сомнения в том, что протоевреи (отцы Авраама) впитали и асимилировали многое из жизни Шумеров“ (М.Зильберман) [28]. ფაქტია ძველ აღთქმაში დაცული სახელ-ტერმინები ებრაულში აღარ გვხვდება და გვაქვს საქართველოში ძველი აღთქმის არქეტიპი ღვთისმსახურება, თავისი ფარული ნიშნებით, რომელიც ზოგადქართული ხასიათისაა. ჩვენი აზრით, ბიბლიის მკვლევარების ბუდეს, შტადეს, პოლცინგერის და სხვა მკვლევარების დასკვნები დღეს შეიძლება კორექტირდეს, ბიბლიის ძირი



ებრაელ ხალხს ნამდვილად უკავშირდება, მხოლოდ ენაში მოხდა ცვლილებები ისტორიულად.

ოფიციალური ინფორმაციით კაბალას თილისმების სიმბოლოები აღებულია ძველი ივრითის და ბერძნული ნიშნების მიხედვით (ეს საკითხი ღრმად კვლევას მოითხოვს). უდავოა მათი არქაული მოხაზულობის ფიგურები უძველესი ქალდეველთა ურის ქვეყანას უკავშირდება, სადაც კოსმოლოგიურ-კოსმოლოგიური ცოდნა – წარმოდგენები იყრიდა თავს [21]. კაბალას სიმბოლოების ჯგუფში თავაშისაცემია ე.წ. Malachim script, [25] რომელიც ყველაზე მეტად მსგავსია საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ ფარულ ნიშნებთან. მსგავსება ტექნიკურ მხრივაც საინტერესოა, რადგან ნიშნები „დაჭკრეთით“ „ჩაჭკრეთით“ იგივე „წერტილებს“ გამოყენებით არიან შექმნილნი [23]. ეს ნიშნების ჯგუფი გამოაქვეყნდა 1675 წელს გ. აგრიპას მიერ და დღემდე გამოიყენება მასონურ ნიშნებში, ისე, როგორც სიმბოლო-ნიშნები დაფარულად უძველესიდან გამოიყენებოდა. მათი მნიშვნელობები და ფორმები განსხვავებულია სემიტური დამწერლობის ნიშნებიდან, მაგ: ნიშანი „ხარი“ (Alef)



იგი ჯგუფის თავშია და „მეთაურად“ წარმოდგენილია. მისი ფორმა საინტერესოდ ემსგავსება ხევსურეთის, თუშეთის და სამცხე-ჯავახეთის ფარულ ნიშნებს. მათ შორის ხევსურეთში

და თუშეთში სალოცავებში დაცულ ფარულ ნიშნებს (იხ. „ფარული ნიშნები“) სურ. 77. 154. 198. 202. 253. (ამ კონტექსტში არ შეიძლება არ შევნიშნოთ ასომთავრულის „ხ“ (ჱ), მსგავსი გამარტივებული მოხაზულობა და მისი პიქტოგრაფიული სავარაუდო სახელიც „ხარი“. ფხოურ ლექსიკონში (ხევსურულში) „ხარი“ ეპითეტია კარგი ვაჟკაცის და იგი სალოცავის სახელსაც უკავშირდება, მაგ. „ნახარელა ღვთისმშობელის ჯვარი“, „მობარნადე“ „კოპალაის ხარი“, „ნახარელას მობურთვალი“, „სანახარელონი“ და ა.შ (ხევს. ლექს. აღჭინჭარაული). ვფიქრობთ, რომ ასეთი სახელწოდებები წინაქრისტიანული დროისა და მიწათმოქმედების კულტურის „ხარი“-ს კულტს უკავშირდება, რომელიც ზოგად ქართულია. „სულეთს ხარი ხნავს ცალრქა, ბარაქა მესტუმრეთია“, საკრალური ხარის რქა, რომელიც „წდეა“ მოგვიანებით, ანუ საწყაოა სარიტუალო ლუდისთვის, ქერის ასაწყავად (ზ.კიკნაძე - ჯვარი და საყმო. ნაწ. 3). ანალოგიურია (ესპანური) იბერიული ხარის კულტის დამადასტურებელი არტეფაქტებიც. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში სალოცავთან დაკავშირებული ხარის სახელწოდება და მისი სავარაუდოდ გრაფიკული ფარული ნიშანი (რომელიც ასევე სალოცავებშია) ღრმად კვლევას მოითხოვს პერსონალურად. ცნობილია გამოთქმა „ხარატული“, რომელიც „ჯვრისებურ“ გამოსახულებას ეწოდება ნაქარგობაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რწმენა დაკავშირებულია მითოლოგიურ „ღვთიშვილების“ მოსვლასთან და მათგან დადგენილ წესზე. წარმართული ელემენტები გვერდით შემატებულია, ხოლო ცენტრალური ხაზი „მერიგეს“ წესრიგზეა აწვობილი. „მერიგეს“ (მორიგე, მარიგე) მხოლოდ ფშავ-თუშხევსურეთში კი არა, ძველი აღთქმის გვიანდელ ტექსტებშიც გვხვდება და ჩანს ძველ ქართულ მონოთეისტურ რწმენაში „არსთა გამრიგე“ მთავარია, მაგ: „ერთადერთო გ ა მ რ ი გ ე ვ




ერთადერთო მეუფევე, ერთადერთო მართალო“ (2 მაკაბელთა 1:24.25), „ღმერთო ყოველის გ ა მ რ ი გ ე ვ მოწყალებით“ (3 მაკაბელთა 5:28), „არამედ ყოველთა ძალთა გ ა მ რ ი გ ე ვ უზენაესი ღმერთი“ (1 მაკაბ. 7:9) და ა.შ. თარგმანის ძიებით ძველ ებრაულში ასეთი სახელწოდება არ ჩანს, (მხოლოდ მსგავსებაა, გვიან აღმოჩენილ უძველეს შუმერულ ენაშია „რიგმუ“ და „მე“ - მარადიული სიცოცხლის დგრიტა. შუამდ. მით. ზ.კიკნაძე) და იგი, ადრექრისტიანული პერიოდის ქართული ლექსიკონით ითარგმნა სწორედ. ასევეა „კვრივთან“ დაკავშირებითაც, რომელიც ძველ აღთქმისეულ ტექსტშია, მაგ: „ანეას ქურუმებმა გადაიხადეს ფული და მეფეც მცირედი ამალით კ ვ რ ი ვ ი ს გაღაგანში შევიდა“ (2 მაკაბელთა 1; 15).

ჯვარ-სალოცავის „კვრივი“ შეუვალი ადგილია დღესაც ფშავ-ხევსურეთში და თუშეთში. „კვრივი“ მიწაზე ღვთის კარია, სიმბოლურად ცის კარისა. „ღვთის კარი“ და „ცის კარი“ (ანუ გასასვლელი) მონაცვლეობით იხსენიება ხუცობებში [5.8]. ჯვარ-სალოცავებთან დაკავშირებულია დაბალი რანგის მსახურის „ჩანჩხის“ სახელწოდება, რომელიც უძველეს „ხი“ სუფიქსიან, (ხალდეურ სამყაროს), სახელწოდებებს უკავშირდება [2]. გვ. 21, 22, 26, 27.

ჯვარისმსახურების რწმენასთან დაკავშირებულ საკულტო ძეგლებში, დღევანდლამდე მოღწეული დეკორატიული ასტრალური სიმბოლოები „ღვთაებრივ“ ნიშნებად არის მიჩნეული და ნიშნების ამოჭრაც „ღვთაებრივ საქმედ“ იყო მიჩნეული. სიცოცხლის ხის ერთგვარი გაგრძელებაა დედაბოძი, ქართულ დარბაზში და საკულტო ობიექტია. „ხევსურეთში გაგრძელებული ტრადიციული ორნამენტის სიმბოლოები ოდითგანვე არსებობდა საქართველოში და მაგიურ-აპოტროფიულ ხასიათს ატარებდა“, (გ. ჩიტია) [11]. თუშ-ფშავ-ხევსურეთში

„სიცოცხლის ხის“ სიმბოლოა ჯვარ-სალოცავის „ალვის ტანი“ (დროშის ტარი) და ერთერთ „ლაბარუმ-ჯვარზე“ (სამკაპა ჯვარი), რომელიც უკანა ფშავში აქვს დაფიქსირებული ვ.ბარდაველიძეს 1930-იან წლებში (აღ. საქ. მთიან. ტრად. ძეგლ. 1ტ. ფშავი. „გიორგი წყაროსთაულის ჯვარი“. უკანა ფშავი), „ლაბარუმ-ალვისტანის“ ტარზე ფარული ნიშნებიც არის, ვერცხლის ფირფიტებზე დაჭერითილი (ეს საინტერესო უნიკალური ფორმის „ლაბარუმ - ალვისტანის - ჯვარი“ 1930-იან წლებში დაიკარგა. ინფორმ. ხევისბ. ივ. წელაური 80 წ. ვაკისოფელი) პიქტოგრაფიული და ფარული (სკრიპტული) ნიშნები ნამდვილად უკავშირდება ამავე რეგიონში შემორჩენილ ღვთისმსახურებას, რომელიც ძველი აღთქმის არქეტიპია (კაბალას თილისმების სიმბოლოებიც ამის მსგავსია, მათ შორის ჯვრები და ასტრალური წრე-სპირალები). ოპონენტები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამბობენ და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონის ეთნიკურ ქართველებს, სემიტური ხალხის მიგრაციის შედეგად წარმოდგენენ, უნდა აღინიშნოს ღვთისმსახურების ძველ-ქართული ლექსიკონი და ფარული ნიშნების უმეტესად მსგავსება შუმერულ, ძველ ინდურ (ხარაპას ნიშნები), კრეტულ და იბერიულ დამწერლობის ნიშნებთან [16]. იბერიულ დამწერლობის ნიშნების გარდა დიდი მსგავსებაა იბერიულ (პეტროგლიფების) და ბასკურ დეკორატიულ ასტრალურ-კოსმოლოგიურ სიმბოლო-ორნამენტებთან ტრადიციული ბასკური სასაფლაოს ქვების დეკორი და სახლის ავეჯის ხეზე კვეთილი გეომეტრიული ორნამენტებიც). ცალკე საკვლევი, ბასკურ ტრადიციულ ორნამენტებთან დაკავშირებით ჯვრის ფიგურები, რომელიც მხრებთან ოთხი სხვადასხვა დეკორით გამოირჩევა და ასეთივე ორნამენტებს ჩვენ ვხედავთ შუასაუკუნეების ქრისტიანულ ტაძრების ორნამენტებშიც



(რკონის, სკრის, წილკნის და წუნდის ტაძრის ორნამენტები). ჩვენი აზრით, ქართულ-ბასკური ორნამენტების მხატვრული მსგავსება და სახელწოდებებიც ღრმად საკვლევი თემაა, რომელიც ახალ ფურცელს გადმოშლის უძველეს დროის გემოვნება-წარმოდგენის შესახებ და ამ ორნამენტების სახელოდებების კავშირ-ურთიერთობაზე ახალ სიტყვას იტყვის („ქართველი დასავლისანი“ ბ. კესარიელი, გ. ნოსელი, გ. მთაწმიდელი). იბერიის (პირენეის) ნახევარკუნძულზე არსებობდა მდინარე „ებრო“ და მის ეტიმოლოგიას უკავშირებენ „იბერს“ (იბერ-ებერ, ასეთი გადასვლა ნაცნობია ენათმეცნიერებისთვის). 5-6 ორნამენტის სიმბოლო ან სახელწოდება შეიძლება სხვაგანაც იყოს განმეორებული და შემთხვევითობა იყოს, ხოლო, 20 ერთეულზე მეტი ორნამენტი, ჩართული ანალოგიურ გეომეტრიულ ჭრებთან და სახელწოდებები რწმენის სამყაროდან, უკვე ამ ხალხის უძველეს საერთო გენეზისზე მიუთითებს. ჩვენი აზრით, ასტრალური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობა დედამიწისეული წარმოდგენებიდან ნამდვილად არ აიხსნება, ისე როგორც სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობა, მხოლოდ, დედამიწაზე სამოღვაწეოდ ვერ აიხსნება. ეს ორი უდიდესი საიდუმლო დიდ კოსმოსურ წესრიგთან და მოვლენებთან და სიცოცხლისეულ მისიასთან, ერთმანეთთან, ნამდვილად ურთიერთ-კავშირშია.

ამრიგად, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში შემორჩენილი ღვთისმსახურება პროქართულ ენაზე ჩანს წარმოქმნილი და სათანადო ფარული ნიშნებითაც „დალოცვილი“ და განმტკიცებული (ეროვნული ღვთისმსახურება). ძველ საქართველოში მონოთეისტური რწმენის არსებობა მოითხოვს დრმა ანალიზს, რომელიც მომავალში პროფესიულ დონეზე უნდა გაგრძელდეს. „იბერი“ და „ებერი“ ეტიმონები არამარტო გარეგნულ-ში-

ნაარსობრივ მსგავსებებს ამჟღავნებენ, არამედ, მათ ისტორიულ რწმენის წესებშიც ბევრი თანხვედრაა. ეს თანხვედრები შემთხვევითობას რომ მივაწეროთ, ნაკლებად სავარაუდოა. ღრმად გამოსარკვევია ფარული ნიშნების იბერიულ დამწერლობასთან გენეტიკური კავშირი და ამ დამწერლობის მიმართება „ებერიანთა“ დამწერლობასთან (ეს უკანასკნელი თუკი არსებობდა), რომელიც ძველ ებრაულში სიმბოლოების სახით შემომრჩადა (XVII საუკუნეში გამოქვეყნდა). გამოსარკვევია მითიური გადმოცემა „ებერის“ შესახებ (მდინარეზე გადამსვლელი) და მისი კავშირი ისტორიულ „იბერის“ სახელის (წელის ხალხი) საკრალურ მნიშვნელობასთან. ქართული ფარული ნიშნების ძველებური მხატვრული ფორმები შესაბამისობაშია ადგილობრივ ხალხურ თეოგონიურ წარმოდგენებთან და რიტუალებთან, რომელიც დღეს მითოსური ბურუსით მოცულა. ფარული ნიშნები და ადგილობრივი დეკორატიული ტრადიციული ორნამენტებიც საკულტო ობიექტებთან და ღვთისმსახურების რიტუალურ წესებთან კავშირ-ურთიერთობაშია. ჩვენი წერილი არ ითვალისწინებდა სისტემური კვლევის წესებს, ეს უკვე პროფესიონალი მეკვლევარების და მეცნიერების საქმეა. ჩვენ გამოვთქვით აზრი და ახლა საქმე სხვებმა, ანუ მომავალმა თაობებმა უნდა გააგრძელონ. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში ძველი ადრეული მსგავსი ღვთისმსახურება მოითხოვს სიღრმისეულ წვდომას, რადგან ამას პროქართული ენის ერთერთი უცნობი ისტორია აქვს შენახული და მოეღის პროფესიონალთა ფუნდამენტურ კვლევას.



ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ. 2. 1959.
2. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია 1. 1913.
3. თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1960.
4. გ.მელიქიშვილი ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. თბ. 1965.
5. ვ. ბარდაველიძე – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტები. მას. „საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ ნარკ. 1. თბ. 1938.
6. ი.სურგულაძე ქართული ხალხური ტრადიციული ორნამენ. სიმბოლიკა, მეცნ. თბ. 1986.
- 7 თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა. თბ. 1954.
8. ს. მაკალათია ხევსურეთი. თბ. 1984
9. აღ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. მეცნ. თბ.1988
10. ლ. მოლოდინი, გ. ჩახაშვილი ორნამენტი. ქართული კოსტუმის კატალოგი. 1. ხევსურეთი. 1964.
11. ვ.ბარდაველიძე, გ. ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი. თბ. 1939
12. ორბელიანი სულხან-საბა - სიტყვის კონა.
13. კ. წერეთელი ბიბლიის ებრაული ლექსიკონი. თბ. სახელ. უნივერს. 2001
14. გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისთვის. თბ. 1985.
15. გ. გიგაური ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი. 2010.
16. Д. Дирингер. Алфавит. М. 1963.
17. В. Истрин. Возникновение и развитие письма. М. 1965.
18. Х. Фарбридге. Исследования в библейские и семитских символизма. 1960.
19. О. Н. Штейнберг. Еврейский и Халдейский этимологический словарь. 1878
20. E. Gordon. Sumerian proverbs Philadelphia. 1959.

21. J. Henson. Biblicsl Hebrew. University of Wisconsin, Madison, Wisconsin.2008.
22. G. Brech er. Das transcendentale, magie ud magische neilarten im Talmud, Pp1, 39,v:enna 1950.
23. G.k. Agrip. De occulta philosophia. 1533.
24. D. Mackenzie Migration of Symbols.
25. Sefer Raziel Homalach, Steve Savebow
26. Библия ветхого и нового завета. Канон. М. 1990.
27. С.М. Крамер История начинается в Шумере. М. 1965.
28. М. Зильберман. Истоки. История мифология и религия претков Евреев М. 2004.
29. А. Л. Оппенхейн. Древняя месопотамия М. 1990.

**GEORGI GIGAURI
THE LOST HISTORY**

(following the footpinds of the God serving Ceremony)

The enicient God serving ceremony preserved in the east region of Georgia is combined with the rules of Christianity.

The sphere of our research is the ancient God serving ceremony in this region which doesn,t include Jewish names or titles. This ceremong preserved up to now by the ancient Georgian language and traditions. Here also exist. He old stones with ancient pictographic written language onit. It was published monograph on this subjest „Secret symbols” in the east Georgia 2010. Highland (Tseraculi (pick-shaped) script) Georgi Gigauri.

Some pictographic symbols and signs are decorative where exist Georgian character this tradition of the God serving ceremony requests deep analysis and it belongs to the sphere of research of linguists paleographers, ethnograpersl and theologists.